K 22202/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქება

## ქ ა რ თ ლ ი

საყვარელო ქართლო! შენ სასტიკი ხარ და ნაზი, ცივი და მხურვალე, ნათელი და მწუხარე, უხვი და ღარიბი.

მდიდარი ხარ ნაყოფიერ ველებით და მთებით, ტყეებით, მდინარეებით და ბაღებით. შენ მრავალფეროვანი, დიადი ბაღი ხარ; ამ ბაღის მომხიბლავი სურათებით საუკუნეებით ტკბება ადამიანი. ყოველ გორაკზე, ყოველ ალაგას დამალულია ახალ-ახალი სურათი შენთა მშვენიერებათა უხილავ წიაღიდან. მაგრამ შენ გამკობს არა მარტო სილამაზე მთებისა და ველების, არამედ შორეულ ყინვათა ჯადოქრული სანახაობანი. მაღალ კავკასიონის ქედის გიგანტური პირამიდები თავის სიდიადით ალპებსა და ევროპის ყველა მთებს აღემატებიან. და, აი აქ, ამ თოვლის მკვდარ სამყაროს გულში, აღმართება ამაყი ყაზბეგი, სადაც ილია ჭავჭავაძის პოეტურმა თვალმა იპოვნა ბინა თავის „განდეგილის".

საყვარელო ქართლო! შენს წიაღში იშვა საქართველო და მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შენ აძლევდი სიცოცხლეს მთელ ივერიას. შენ იყავ მისი სული და გული, მისი სიმაგრე აღმოსავლეთის გაფთრებულ მტერთა წინააღმდეგ. ლამაზო ქართლო! ნაზია შენი გაზაფხული, როდესაც იასამნის სურნელი დაიღვრება ბაღებში, როდესაც სიმწვანით იმოსება ტყეები და რაკრაკით მორბის მთის წყაროთა ვერცხლისფერი ჩქერები.

მშვიდათ და ნაზათ მოდის შენი გაზაფხული, ნელ-ნელა იღვიძებს მისი სილამაზე, მაგრამ როდესაც აივსება სიცოცხლით მისი ახალგაზრდობა და ხმა-მაღლა გაისმის ბულბულის სტვენა, გუგულის მწუხარე ძახილი, მაშინ მთები და ველები სამოთხეს ემსგავსება! აგერ მოჩხუის ამღვრეული მტკვარი და ვერცხლისფერი არაგვი, რომელთა ნაპირებზე ბევრჯელ გადაწყვეტილა საქართველოს ბედი. მტკვარო და არაგვო! რა მწუხარე ჰანგებს გამღეროდათ ილია და ბარათაშვილი, რომელნიც მთელ თავის სიცოცხლეში საქართველოს ტრფიალით იყვნენ ავადა. მტკვარი და არაგვი, შენი წარსულის უკვდავი მოწმენი! ეს ორი მდინარე ქართლის სინაზისათანავე მოაგონდება ადამიანს. ისინი შეერთებულნი მორბიან ძველ თბილისისაკენ, საქართველოს გულისაკენ. საყვარელო ქართლო! ხშირად გინახავს სიმ-

ЧИТАЛЬНЫЙ ЗАЛ 1927

წუხარე, მაგრამ ხანგრძლივათ არასოდეს დადარდიანებული შენი მზე, ხშირად, ძალიან ხშირად ისმოდა სიხარულის და ზეიმის ჰანგები ტფილისში, და აი, აქ ჩაჰყარა მაღალ გონიერმა დავითმა სახელმწიფოს საძირკველი, ხოლო თამარმა ნაზი სიტყვით და კეთილი გულით შეაერთა ქართველნი.

## კ ა ხ ე თ ი

ნათელო კახეთო! ტყიანი მთების გვირგვინი შემოვლებია შენს მწვანე ველ-მინდორს! მზე და მთვარე—შენი მეგობრებია, მათი სინათლე და სიბრწყინვალე მომხიბლავად ამკობენ სურათს. ვისაც უნდა სასწაული იხილოს, მან კახეთში მზის ამოსვლას უნდა უცქიროს, როდესაც ოქროს სხივი ეხვევა მთელ ველს და ალაზანი ბრწყინავს, როგორც ვერცხლისფერი ზონარი!

ვისაც უნდა სასწაული იხილოს, მან სავსე მთვარიან ღამეში თელავიდან აღმოსავლეთით ალაზნის ველს უნდა უყუროს. კეკლუცო კახეთო! ოქროს ფერ ღვინის, სიხარულის და სიამის ქვეყანავ! შენს სამოთხეში იშვა ორი პოეტი: ერთი—ალექსანდრე ჭავჭავაძე, ეს მეთვრამეტე საუკუნის დაგვიანებული პოეტი, რომელიც უმღეროდა ქალებს, ღვინის და სიყვარულს,—ის იყო ნამდვილი სიცოცხლით სავსე კახელი, ის კახელი იყო; ხოლო მეორე—ილია ჭავჭავაძე—ქართველი, რომელიც მთელ საქართველოსათვის ფიქრობდა. ილია აღტაცებული იყო კახეთის ბუნების სამოთხისებურ სილამაზით, მაგრამ არ უყვარდა კახელთა უზრუნველობა.

ძვირფასო კახეთო! შენ უშრეტი სალარო ხარ პოეზიის, სინათლის და სილამაზის. შენ ნაზ ქალთა სამშობლო ხარ და მოვა დრო, როდესაც შენ საუნჯეთა სალაროდან გაიშლება მაღალ პოეზიის და ხელოვნების ყვავილნი. კახეთო! სეტყვა აზიანებს შენს ვენახებს, გვალვისგან შრება შენი მდინარენი, მაგრამ არასოდეს არ დაშრება შენი სილამაზის უკვდავი წყარო.

## ი მ ე რ ე თ ი

მომჯადოებელო იმერეთო! ნაზი სამხრეთის საყვარელო, სადაც ჯერ ისევ ზამთარში იღვიძებს გაზაფხული და რომლის სილამაზეთა სიმდიდრეში იკარგება თვალი. იმერეთო! ვისაც არ უნახავს შენი გაზაფხული, მას არ უნახავს სამოთხე.

რა სიამეა და ბედნიერება შენი აყვავებულ მინდვრების, მწვანე ბაღების და ტყეების ხილვა!..

მდიდარი ხარ ძვირფასი მარგალიტებით, მაგრამ ყველაზე უმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვენიერესი — ქუთაისია. ის გარშემორტყმულია, როგორც სიზმარი, მწვანე ბაღებით, სადაც სცხოვრობენ სამხრეთის ნაზი ყვავილები და ხეები. მის სიმწვანეში ჩუმათ სდგანან ძველი ნანგრევები და რიონი ბობოქრობს ტყიანი ხეობით.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ქუთაისი, მის ხსოვნაში ზმანებად რჩება ამ ქალაქის ნაზი გაზაფხულის და ლამაზ ქალების სურათი. მწვანე იმერეთო! საუკუნოებით ჟღეროდა შენი დიდების ჩონგური, მაგრამ მხოლოდ აკაკიმ ააჟღერებინა მას დიდი ქებათა-ქება. და იქამდის, ვიდრე შენი ლამაზი ასულნი ჰხიბლავენ შენს ვაჟებს და ვიდრე რიონი მოშხუის მწვანე ხეობით და მისი დაუდეგარი ტალღები მიისწრაფვიან შავი ზღვისკენ, ცოცხალი იქნება აკაკის სიმღერაც.

# აკაკი წერეთელი

როცა პირველად, 1884 წელს, ვეწვიე საქართველოს, ბათომიდან ტფილისამდე ვაგონის სარკმლიდან მთელი დღე გავსცქეროდი შორეულსა და მახლობელ არე-მარეს. აქამდე ბევრი რამ წამეკითხნა საქართველოს შესახებ, ეხლა კი მწყუროდა საკუთარი თვალით მენახა იგი. გაზაფხული იდგა და ბუნება მთელი თავისი სიმშვენიერით იხატებოდა ჩემ წინაშე. მაგრამ არა მარტო ბუნება იტაცებდა ჩემს თვალებს, არამედ უფრო მეტად კაცნი, რომელთაც ვხედავდი რკინისგზის სადგურებზე: შენობები და ეკლესიები, სოფლების ნაწყობილობა, მინდვრებისა და ბაღების დამუშავება, ურმები, საქონელი და ათასი სხვა. ერთი სიტყვით, მსურდა გავცნობოდი საქართველოს სახეს. და მართლაც, ტფილისს ჩამოსვლისას უკვე მქონდა საერთო წარმოდგენა საქართველოს გარეგან სახეზე. იმერეთისა და ქართლს შორის განსხვავება, უკვე ამ სწრაფი გამოვლისასაც, აშკარა შეიქმნა ჩემთვის.

ჩამოსვლის მეორე დღესვე ილია ჭავჭავაძესთან გავიცან აკაკი წერეთელი და რაფიელ ერისთავი. ეს სამი მგოსანი ერთიმეორეს არც გარეგნობით და არც სხვა რამით მიაგავდა. არც თუ მაღალი, მაგრამ მაგარი აგებულებისა, ილია, შესახედავად მეტად მშვიდი იყო და ნებისყოფას დამორჩილებული მაშინაც კი, როდესაც მასში იწვოდა სული და გული.

მაღალი აკაკი სხარტი იყო, როგორც ნამდვილი იმერელი. ისიც მაგარივე აგებულებისა იყო, მაგრამ სუსტი ნებისყოფისა. მისი სიტყვა მდინარებდა ილიასაზე ბევრად უფრო სწრაფად და მისი თვალები ამოძრაობდნენ სიტყვებივით მოუსვენრად.

მესამე მგოსანი, რაფიელ ერისთავი, მეჩვენა მომძიმოდ. ლაპარაკობდა დინჯად, აუჩქარებლივ და მისი აზროვნების უნარი გაცილებით სუსტი იყო, ვიდრე ილიასი და აკაკისა.

მე მაშინ, ჩვენი გაცნობის პირველ დღესვე, უკვე მივხვდი, რომ ეს ორი მწერალი განასახიერებდა მთელ მაშინდელ გონებრივ ცხოვრებას საქართველოისას, მაგრამ ორივე კი ერთ წყაროს არ ეწაფებოდა.

ილია მტკიცე დამცველი იყო აღმოსავლეთ საქართველოს კულტურისა და მსოფლმხედველობისა, მაგრამ მას იტევებდა ახალი დროის სულიცა. აკაკი, უფრო ხშირად, ფიქრით თავს ევლებოდა საყვარელ იმერეთს და თუმცა უმეტესი ნაწილი თავისი ცხოვრებისა ქართლში გაატარებინა, სულით მაინც იმერელი დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ მწერლებზე, რომლებიც თავიანთი სამშობლოს ბეჭედს ატარებენ, გერმანელები იტყვიან ხოლმე: მათ მიწის სუნი უდისთ. ა.ა. აკაკისაც მთელ თავის სიცოცხლეში თან სდევდა სუნი იმერეთისა და იმერული მიწისა.

ბავშვობამ, რომელიც გაატარა მან გლეხურ ოჯახში თავისი ძიძისას, ღრმა კვალი დააჩნია მას. შთაბეჭდილებით ასავსე ყმაწვილი, რომლის წარმოდგენა უკვე ნაადრევ ბავშობაშივე ცხოველად ჰმუშაობდა, არაფერსა სტოვებდა შეუმჩნევლად ამ მახლობელ სურათთაგან. მისი მშობლების ოჯახი ძველი ქართული ცხოვრების ნამდვილ შესაფარს წარმოადგენდა, და აკაკი თითქმის ყოველდღე ჰხედავდა ისეთ სურათებს, რომლებიც მისი მშობლების სახლს გარედ უკვე აღგვილიყვნენ. მისი მშობლები დაიბადნენ და აღიზარდნენ მე-19 საუკუნის დასაწყისში, როცა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნე არ მიწურულიყო. ამ სახლში ყველაფერი ქართული სულით ჰსუნთქავდა, და აკაკიც თუმც კი ამ სულით იყო გულმოჯაჭული, გონებით მაინც მალე განსდევნიდა მას თავისაგან, რადგანაც მასში ჰხედავდა თავის სამშობლოს შეფერხების გზასა.

ფეოდალად შობილმა, ახალგაზრდობაშივე მოიშორა ფეოდალური შეხედულებანი, იცავდა გლეხებს მემამულეთა უსამართლობისაგან, მაგრამ გრძნობითა და ჩვეულებით მთელ თავის სიცოცხლეში ვერ გათავისუფლებულიყო მშობელთა ოჯახის პირველ გავლენისაგან.

როგორც ილია ჭავჭავაძე, აკაკიც თავის დროზე უფრო დაწინაურებული იყო და ეხებოდა ისეთ საკითხებს, რომლებიც მისი ახალგაზრდობის დროს ჯერ კიდევ არ მომწიფებულიყვნენ ქართველთა გონებაში. ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის პირველ დღიდგანვე იგი ამათრახებდა ყველაფერს, რაც კი არ მოსწონდა თავის თანამედროვეთა ზნესა და ხასიათში. ყველაფრის განკიცხვის ამ მისწრაფებამ, რასაც შეეძლო შეეფერხებინა სალი განვითარება სახალხო ორგანიზმისა, წაიყვანა იგი სატირისაკენ, მრავალ მოვლენათა დაცინვისაკენ. ასეთი იყო მისი განწყობილება ცხოვრების უფრო ნათელ დღეებში, ხოლო როდესაც რამე შემთხვევა ანუ მოვლენა გაალიზიანებდა ან დაასევდიანებდა, იგი სამსალასაც ურევდა თავის სატირაში.

აკაკი წერეთელი როგორც ლიტერატურაში, ისე ცხოვრებაშიაც სცდილობდა მოეპოებინა და შეენარჩუნებინა ავტორიტეტი. და ეს გარემოება, რა თქმა უნდა, აღიბეჭდა მის ზოგიერთ ნაწარმოებზე. ეს იყო ერთ-ერთი მის სისუსტეთაგანი სიცოცხლეში, ეხლა კი სავსებით შეგვიძლიან დავივიწყოთ ეს.

მახსოვს, როცა აკაკი გამოსცემდა თავის „კრებული"-ს, შიგ ხშირად ჰბეჭდავდა კერძო ხასიათის ლექსებს, რომლებიც მხოლოდ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაშინ იქნებოდნენ გასაგებნი, თუ მკითხველნიც გაცნობილნი იქნებოდნენ იმ გარემოებასთან, რომელშიაც ითხზებოდნენ ეს ლექსები. მე მაშინ მივაქციე აკაკის ყურადღება ამას და ვურჩევდი — კვლავ აღარ დაებეჭდნა ასეთი ბზე კრებულში. მან გაიღიმა და მითხრა, რომ არჩევანი თვით მისთვისავე ძნელი იყო. მაგრამ მეტად სასიამოდ დაჰრჩა, რომელსაც გამოვთქვი აზრი მის ზოგიერთ ლექსებზე, რომელთაც მუდამ აღტაცებაში მოვყავდი ხოლმე. დიდ ხანს ეგონა, რომ მხოლოდ ილია ჭავჭავაძის მეგობრობით მომდიოდა, თუ ისე კარგად ვიხსენიებდი მის ნაწერებს, მაგრამ მაშინ გულახდილად ვუთხარ, რომ, ჩემი აზრით, ის, როგორც ჭეშმარიტი ლირიკოსი, გაცილებით მაღლა დგას ილიაზე, რომ ის მღერალია, ილია კი იდეური პოეტი-მეთქი.

ისედაც არის: რამოდენიმე წმინდა გრძნობის ლექსს გარდა, ილიაში მუდამ სჭარბობს აზრი და სილამაზე, გრძნობა კი უფრო მკრთალად გამოსჭვივის.

აკაკი გავიცანი მხოლოდ 1884 წელს, როცა იგი დაახლოვებით 44 წლისა იქნებოდა და მისი ხშირი თმა-წვერი უკვე იწყებდა შეთეთრებას. პირველი პოეტური ძალა მასში, რასაკვირველია, უკვე მკრთალი ან მისუსტებული იყო, მაგრამ მის შემოქმედებითს ძალას კიდევ შეჰრჩენოდა ახალგაზრდული გაქანება, მაშინ როცა ილიას პოეტური შემოქმედება ამ წლოვანებაში უკვე განქრობას იწყებდა.

ჩვენი ნაცნობობის პირველ ორ წელს აკაკის ხშირადა ვხედავდი ქართულ თეატრში, რომელიც იმ დროს იშვიათად იყო ხოლმე სავსე, თუმცა კი წარჩინებული მთავარი მსახიობები, რომელთაც საძირკველი ჩაუყარეს ქართულ დრამატიულ ხელოვნებას, ბუნებრივ ნიჭით იყვნენ მომადლებულნი.

ქართული თეატრალური საზოგადოება ჯერ კიდევ მცირე იყო და რეპერტუარიც ღარიბი. აკაკი ხშირად მარტო იჯდა ლოჟაში, სადაც ხანდახან ვეწვეოდი ხოლმე. ის არა ჰფარავდა ჩემს წინაშე, რომ ქართული თეატრის სიღარიბე აწუხებდა მას, მაგრამ მარწმუნებდა, რომ წლითი-წლობით ამჩნევს პაწია გაუმჯობესებას და იმედოვნებდა, რომ მე-19 საუკუნის მიწურულამდე ქართული თეატრი მომაგრდება.

ასეც მოხდა: და საზოგადოება ყოველ წელს იზრდებოდა. ამ საუბარში თეატრზე ვხედავდი, თუ რა ძლიერად უყვარდა აკაკის თავისი სამშობლო და ჰფიქრობდა მისი კულტურის ამაღლებისათვის. ის მუდამ იდგა თეატრის ახლოს, აწვდიდა რამოდენიმე მაღალ ლიტერატურულ ღირსების პიესას და გულმოდგინეთ აქეზებდა მსახიობთ. მისი პიესები, შესაძლოა, რომ სავსებით არ ეთანხმებოდნენ სცენიურ ხელოვნების მოთხოვნილებათ, მაგრამ უხვად შეიცავენ სილამაზეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცთა თავისებურ განჭვრეტას და დიდ სიამეს ჰგვრიან მკითხველს. დიახ, ქართველნი თავს არ გაანებებენ მის კითხვას და არა მხოლოდ იმისათვის, რომ მათში მდიდარი, ცოცხალი, მომჯადოებელი პოეზიაა, არამედ იმისათვისაც, რომ მათი შინაარსი არ არის მარტო უბრალო მოთხრობა და რომ ის ნაყოფია აკაკის მდიდარი ფანტაზიისა.

ეს გაღატაკებული ფეოდალი, ეს უმიწაწყლო აზნაური უმდიდრესი დიდებული და თვითმპყრობელი მეფე იყო პოეზიისა და ხელოვნების სამკვიდროში.

ერთხელ, მე-19 საუკუნის ოთხმოციან წლებში, აკაკის შევხვდი ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩაში. მშვენიერი თიბათვის დღე იდგა და ქალაქის ყოველი კუნჭული მზის სინათლით იყო ნაფენი. დილით ჯერ გულით ვიყავ და ჯერ ისევ იქ ვიმყოფებოდი ხილული ბუნების სიკეკლუცისა და სიძველეთა შთაბეჭდილების ქვეშ.

აკაკი გართობით და ენა-წყლიან, ტკბილ სიტყვებით მასაუბრობდა გელათზე, ქუთაისზე, იმერეთსა და იმერელ ქალების სილამაზეზე. ჩვენ წყნარად მივდიოდით ტფილისის ქუჩაზე გორაკისაკენ, სადაც სიმწვანეში კოხტად გამოიცქირებოდენ ბაგრატის ტაძრისა და სასახლის ნანგრევნი. ყოველ ხუთ წამში ჩაგვივლიდა ხოლმე პოეტის რომელიმე ნაცნობი ტურფა ასული და ჯადოსნური ღიმილით სალამს აძლევდა.

— ბედნიერი კაცი ხართ! — ვუთხარი მე.

— ისინი მგოსანს აძლევენ სალამს და არა მეო, — ღიმილით შენიშნა აკაკიმ და განაგრძო თავისი ქება მწვანე იმერეთისა.

მასთან საუბარში ისე ჯერ არასოდეს შემენიშნა ყველა მისი ბრწყინვალე მხარე, როგორც მაშინ.

დიახ, ის გახლდათ ჭეშმარიტი მგოსანი, მდიდარი ფანტაზიით, ენაწყლიანობითა და გრძნობით, მხატვარი და ჭკუამახვილი მჭერმეტყველი.

იმის სიტყვებს რომ ვუსმენდი და სახეში რომ ვუცქეროდი, მომაგონდა უნებლიედ რამოდენიმე მისი ლექსი და დრამა და უდიდეს სიამეს ვგრძნობდი, რომ ჩემ წინაშე ვხედავდი იმ მდიდარი პოეზიის წყაროს, მაგრამ იმერელსაც ცხადლივ ვხედავდი მასში. იგი იყო იმერელ ღირსებათა განსახიერება, ამ სიტყვის კარგისა და ცუდის მნიშვნელობით. და როგორც იმერელი და მგოსანი, იგი საკვირველი მოვლენა იყო თავისი ნიჭისა და შემოქმედების სიძლიერით; რადგან იმერეთში მას წინაპარი თითქმის სრულებით არა ჰყოლია. საუკუნოებით ეძინა პოეზიას იმერეთში, იმერელნი დაჰმღეროდნენ თავიანთ ნაკლებად პოეტურ სახალხო ლექსებს, და უეცრად მოვიდა აკაკი, რომელმაც შექმნა მათ მთელი ლიტერატურა.

როდესაც ვსაუბრობდი მასთან და ყველა გამომჟღავნებული ხატოვნის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემით სილამს აძლევდა. გავიგე, რომ მას შეეძლო ემაყნა და თავი ეგრძნო იმერეთის გონების მფლობელად. იგი ხომ პირველი და ერთად-ერთი მგოსანი იყო თავის სამშობლოისა, მაგრამ ისეთი ლაღდებული, ბრწყინვალე, რომ შეგვეძლო გვეწოდებინა სახელი ახალი სიცოცხლის გამომფხიზლებელისა. ბუნებამ მასში თავი მოუყარა ჭკუის ყოველგვარ ღირსებას. იმერეთს საუკუნეთა განმავლობაში არ ენახა ისეთი პოეტი. მაგრამ ბუნება არასოდეს ჰყოფს ადამიანს სრულს და თავის რჩეულთა და საყვარელთაც უტოვებს ნაკლთა და სისუსტეთ, ხანდახან ცოდვათაც კი. მე მგონია, რომ აკაკი იყო ნიჭიერი ბუნებისა და ბედისა, მაგრამ მეტისმეტად იყო დაჯერებული თავის უპირატესობაში.

1887 წელს სასახლის ქუჩაზე ვცხოვრობდი, ხარაჯიშვილის დიდ სახლში, სადაც იმ დროს ვანო მაჩაბელიცა ცხოვრობდა. მასთან თითქმის ყოველ დღე ვიყავ და იქ ხშირად ვხვდებოდი აკაკი წერეთელს. რა თქმა უნდა, მე ვცდილობდი გამეგო მისი შეხედულება სხვა და სხვა ლიტერატურულ საკითხებზე, მაგრამ აკაკი გაურბოდა ჩემთან ასეთ ბაასს და მალე გავიგე, რომ მისი ცოდნა ევროპულ ხალხის გონებრივ ნაწარმოებთა განსაზღვრული იყო. დიახ, აკაკი არ იყო ნაკითხი, როგორც ილია ჭავჭავაძე. იგი ბევრს ჰლაპარაკობდა და ცოტასა კითხულობდა, მაშინ როცა ილია წინააღმდეგ ირჯებოდა. ვანო მაჩაბლისას აკაკი იშვიათად თუ შეჩერდებოდა რომელიმე ცოტად თუ ბევრად მეცნიერულ საკითხზე; მეტ ნაწილად ერთობოდა იოლ, ხან ჰუმორისტულსა და მსუბუქ საუბარში; ჩემი გერმანული სული კი ხშირად მოიწყენდა ხოლმე და ვერ გამეგო, თუ როგორ შეიძლებოდა უსარგებლო ლაპარაკში იმდენი დროის გაცდენა. რამდენიმე წლის შემდეგ დავრწმუნდი, რომ იტალიელნი და ბერძენნი ამ მხრივ სავსებით ჰგვანან ქართველთ და დღეობით რამდენიმე საათს თავს ირთობენ უმიზნო ლაპარაკით.

ერთი თვის შემდეგ აკაკი რუსეთიდგან ჩამოსულ მეუღლითურთ რამდენიმე თვესა ცხოვრობდა იმავე სახლში, ასე რომ ვხედავდი თითქმის ყოველ დღე და საკმაოდ კარგად შემეძლო მედევნებინა თვალი მისი ცხოვრებისათვის. რეგულიარულად არა ჰკითხულობდა, წიგნები ცოტა ჰქონდა და იშვიათად თუ შევესწრობოდი ხოლმე წიგნის მკითხველს. ეს მაკვირვებდა ასეთ ჭკუიან და ნიჭიერ მგოსნისაგან, მით უმეტეს, ის მაშინ დაახლოვებით მხოლოდ 46 წლისა თუ იქნებოდა, და ცნობისმოყვარეობა და ცოდნის წყურვილი მასში ჯერ კიდევ ცოცხალი და ნორჩი უნდა ყოფილიყო. დიახ, ცნობისმოყვარეობა აკაკისა ჯერ კიდევ ფრიად ცოცხალი იყო, მაგრამ მას არ უყვარდა შრომა და საჭირო აუცილებელ ცოდნის დაფარვას ხანდახან მოსწრებული და ლამაზი სიტყვებით ცდილობდა ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი სიტყვით, აკაკი ცოტასა ჰშრომობდა თავის განვითარებისათვის, მცირედ იყენებდა ბუნების მიერ მიცემულ ნიჭს. არ ასულა ცხოვრებაზე სერიოზულ შეხედულებამდე და, პირიქით. ხშირად ეთამაშებოდა ხოლმე ცხოვრებას.

მისი ნაკლი მხოლოდ იმათ შეეძლოთ კარგად დაენახათ, ვინც მასთან ახლო ერთიერთობაში იყვნენ. რადგან მის თხზულებაში ჭკუის სიჭარბე, სიმაღლე გრძნობათა და აზრთა და ნაღვლი, იდეალური აღმაფრენა თავიანთი ბრწყინვალებით ჰფარავენ მის ნაკლთ, რომელთაც მე უხალისოდ ვეძებ და თუ ვეძებ, მხოლოდ იმისათვის, რომ მინდა ნათელვყო, თუ რა სიმაღლეზე შეეძლო აკაკის ასვლა, მეტი რომ ეშრომნა თავის განათლებისა და განვითარებისათვის.

ყველა ნაკლის მიუხედავად აკაკიმ მისცა თავის ხალხს უმდიდრესი განძი უდიდესი სხვა-და-სხვაობისა. წაართვით საქართველოს აკაკი და... დარჩება დიდი ცარიელი ადგილი, რომელიც ალბად დიდხანს ვერ შეივსება.

ჩემი აზრით, აკაკი ყველა თავის პოეტურ თხზულებაში იყო ლირიკოსი ანუ გრძნობით მგოსანი, მისი დრამებიცა და ეპიური პოემებიც ისევე ატარებენ ლირიკულ ხასიათს. მისი ცოცხალი ბუნება ვერ იტანდა ეპიკურ ობიექტივობის ბორკილებს და ამიტომ არიან მისი პოემები და დრამები სავსენი ლირიზმით, როგორც ბაირონის თხზულებანი. ეს ძლიერი ლირიზმი, ეს ძლიერი მოქმედება გრძნობათა არ აქარწყლებენ მკითხველის შთაბეჭდილებას და, პირიქით, უფრო აცხოველებენ კიდეც. როდესაც ვკითხულობ პოეტურ ნაწარმოებს, არა ვფიქრობ ხელოვნების წესებზე და, თუ ნაწარმოების სილამაზემ გამიტაცა, ეს წესები მავიწყდება კიდეც.

რაღა ითქმის აკაკის თხზულებაზე! მისი პოეტური მემკვიდრეობა იქცა ძვირფას განძად ქართველი ხალხისა, რომელიც მეტად გაღატაკდებოდა, ეს საუნჯე რომ დაეკარგნა. მე აკაკის ლექსების კითხვა უდიდეს სიამეს მგვრის და აღვნიშნე, რომ ასეთივე შთაბეჭდილებას სტოვებენ ისინი ქართველთა უმრავლესობაზე. აკაკის პოეტური სული სცხოვრობს არა მხოლოდ მის წიგნებში, არამედ განაგრძობს ცხოვრებას საქართველოს ყოველ კუნჭულში, მკვიდრთა გულსა და გონებაში.

თუ ჩვენს თავსა ვკითხავთ, რა შეადგენს აკაკის ლექსების უდიდეს ღირსებასა, ამ კითხვაზე არ შეიძლება რამდენიმე სიტყვით გამოპასუხება. ჩემი აზრითა და გემოვნებით, ყველაზე უფრო ლამაზადა და ძლიერად ის დამღეროდა საქართველოსადმი სიყვარულს, სევდის მისი ბედისას და მომავლის სასოებას. თავის გრძნობებს იგი ხშირად მომხიბლავი ენით გამოხატავს, ისეთი მომხიბვლელი ენით, რომ სულსა და გულს სწვდება ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და როგორ დამღერის იგი ქალ-ვაჟთა სიყვარულს! ამ სფეროშიც ის შეგნებული მეოცნებეა, მაგრამ, გარდა ამისა, სიყვარული მას იტაცებს, მოჰყავს ალტაცებაში ან კიდევ მოუხდის სასოსა. მთელ მის სიყვარულის ლაღადში მოსჩანს მისი იმერული წარმოშობა და ილუზიონიზმებისა და გატაცების ცხად სინათლეზე ეცემა ჩრდილი სინამდვილისა. განა იმერული ივიწყებს სინამდვილეს? იმერული ხაზები მრავლად არიან აკაკის ლექსებში და ეს გარემოება მას თავისებურ ხასიათს აძლევს, ე. ი. თითქმის ყველგან ვხედავთ გამომზირალე მგრძნობიარობას. მიუხედველად ამისა აკაკის ლექსები ახალგაზრდა გულით იტაცებენ და ალტაცებაში მოჰყავთ. იგი წმინდა იმერულ გემოვნების სიყვარულის მგოსანია, როგორც გრიგოლ ორბელიანი იყო სიყვარულისავე მგოსანი ნაკლებ მგრძნობიარე გემოვნებითა და ქართლური შეგნებით. აკაკის სიყვარული ვერ აღწევს ისეთ ამაღლებულ, იდეალურ და უმწიკვლო გატაცებამდე, როგორც გრიგოლ ორბელიანისა. მაღალ ხელოვნებამდე მიდის აკაკი ბუნების სიმშვენიერის აღწერაში, მაგრამ არ დასდევს წვრილმანსა და ჰკმაყოფილდება საერთო სურათებით.

მაგრამ აკაკი იყო არა მარტო მგოსანი სილამაზისა და სიყვარულისა, არამედ მძლავრი მეგობარიც დაბეჩავებულთა, დამცირებულთა და შეურაცყოფილ ძმათა; მტრად ევლინებოდა ფარისეველთ, მჩაგვრელთა და კაცობრიობის სხვა მათ მსგავს მტერთ...

მათზე ანთხევს მთელ თავის სამსალას გესლიანი დაცინვით და ამათრახებს ყოველგვარ უსამართლობას.

თავის თხზულებათა ზნეობრივი მხარე აკაკის დროშასავით მაღლა უჭირავს და ამ დროშით კიდევ უფრო მომაგრდება იგი თავისი ხალხის ხსოვნაში.

უკვე მოხუცებულობაში აკაკი რამოდენიმე ხნით გაემგზავრა საზღვარგარეთ და მოინახულა გერმანეთი და საფრანგეთი. დაბრუნების შემდეგომ დაწვრილებით მესაუბრა თავის შთაბეჭდილებაზე და თან შენიშნა, რომ მეტად გვიან მოიხდა მოგზაურობაო.

აკაკის რომ 20—30 წლით ადრე მოემგზავრებინა გერმანეთი და საფრანგეთი, თავის დაკვირვებით, ეჭვი არ უნდა, გამოიყენებდა ლიტერატურულ მოღვაწეობისათვის. თვით მიუთხრობდა, რომ შეეძლო ეგრე მხოლოდ საერთო წარმოდგენა საფრანგეთისა და გერმანიაში ნახულზე, მაგრამ მაინც დარწმუნებული იყო, რომ თავისი ხასიათით, თავისი გონებრივი სიძლიერითა და გულდადებით გერმანიის ხალხი ახლო მომავალში უთუოდ ბევრად გაუსწრებდა ფრანგებს კულტურული განვითარების სფეროში.

ესა სთქვა აკაკიმ ამ საუკუნის დასაწყისში, საზღვარგარეთიდან დაბრუნებისას და 1922 წელს ინგლისური ჟურნალი „Contemporary Reviw" („თანამედროვე მიმოხილვა") წერდა შემდეგს: „ვიქტორ ჰიუგო არ შეიძლება შეადაროთ ფილოსოფოს კანტს და საფ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რანგეთს არ წარმოუშვია ასეთი მოაზროვნე". ამისათვის ეს ჟურნალი ურჩევდა ინგლისელთ, რომ სასწავლებლებში შეემცირებიათ ფრანგული ენის სწავლება გერმანულის სასარგებლოდ. ჟურნალი განაგრძობს: „ფრანგნი გამოირჩევიან ანალიზით, კრიტიკითა და ნათელი მეტყველებით, გერმანელნი კი გამოირჩევიან უფრო გაბედულისა და ღრმა აზროვნებით, უფრო ძლიერი შემოქმედებით, განსაკუთრებით აგრეთვე ადამიანის ბუნებისა და ტვინის გამოკვლევაში".

აკაკის აზრი თითქმის ეგუება ინგლისურ ჟურნალის აზრსა და მას რომ დასავლეთი ევროპა ოციოდე წლით ადრე მოენახულებინა, შესაძლებელია, დაეწერნა მეტად ძვირფასი წიგნი თავის მოგზაურობის შესახებ.

როცა ქართველნი დღესასწაულობდნენ აკაკის იუბილეუმს, მას უკვე დასრულებული ჰქონდა თავისი სამწერლო მოღვაწეობა, ხოლო ნელი და მოხუცებულობის სნეულებასთან ბრძოლით დაასრულა თავისი ვრცელი სიცოცხლე. გარდაიცვალა იმერეთს, თავის სამშობლოში, მაგრამ დასაფლავებულია საქართველოს დედა-ქალაქში, თავისი დიდების რაყიფის, ილია ჭავჭავაძის, გვერდით.

მართლა იყვნენ იგინი რაყიფნი? დიახ, მაგრამ ეს რაყიფობა ლიტერატურაში არ გადასულა და კერძო ცხოვრებაშიაც შეუმჩნევლად არსებობდა. გულაბდილი მეგობრები არ ყოფილან, მაგრამ აშკარად არ აჩენდნენ მიზეზს თავიანთ ცილობისას და ამისათვის არიან ორთავენი პატივსაცემნი. კარგად ვიცნობდი მათ და ვიცი, რომ მეცილეობა და წარმატება, ერთისა და მეორე მხრითაც, იყო მიზეზი ფარული იჭვიანობისა. მაგრამ ისინი მალავდნენ თავიანთ გრძნობათ და ხსოვნა ამ ორ დიდ მგოსნისა არ დაჩრდილულა ძმური სიძულვილით. პირიქით, როდესაც ილია ჭავჭავაძე გარდაიცვალა, აკაკი ღრმად იყო შეწუხებული და თავისი შეწუხება ხმამაღლა და კეთილშობილურად გამოსთქვა მის დასაფლავებაზე. თავის მხრივ ილია მხოლოდ იშვიათად და ისიც ახლო ნაცნობთ ესაუბრებოდა აკაკის ხასიათსა ანუ შრომაზე და უნდა ითქვას, რომ ორთავენი, როგორც ნამდვილი ფილოსოფოსნი, ისე ეპყრობოდნენ ერთიმეორეს.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში იგინი თითქმის ერთმანეთის გვერდით იდგნენ საქართველოს გონებრივ ასპარეზზე და მაღლა იჭერდნენ და იცავდნენ მის იდეალებს. ორთავე ერთნაირი სიყვარულით, ერთნაირი გულისწყრომით, ერთნაირი თავდავიწყებით ებრძოდნენ ყველას, ვინც კი ზურგი აქციეს თანამემამულეთ და სამშობლოს მომავლის რწმენას; თვით უმძიმეს დროშიაც კი არა ჰკარგავდნენ იმედსა და თავიანთი ვრცელი სიცოცხლის უკანასკნელ წლებშიაც კვლავ ჰხედავდნენ ქართულ ერის კულტურულ ცხოვრების აღორძინებას.

# ვაჟა-ფშაველა

მეზობელ ხალხთან ბრძოლა, ყაჩაღთა თავგადასავალი და საქმენი საგმირონი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში იყო ერთად-ერთი მასალა ფშაველთა გაუთლელ სიმღერა-ლექსებისა. მდიდარია მათი ხალხური თქმულებანი და ზღაპრები; მაგრამ ეს არის მხოლოდ ზეპირი პოეზიის გამოუყენებელი მასალა. ასიოდე წლის წინ ფშაველები არც კი იცნობდენ აზროვნებასა და მწერლობას. საერთოდ, მათი ზნეობრივი შემეცნება, მათი აზროვნება და ცხოვრებაც, როგორც მაშინ, ეხლაც თითქმის პირველყოფილია. და ამისათვის ვაჟა-ფშაველა არა თუ იშვიათი, უმაგალითო მოვლენა არის კაცობრიობის ისტორიაში. ალექსანდრე ყაზბეგის მაგალითი უადგილო იქნებოდა, ვინაიდან ყაზბეგი გამოვიდა იმ წრიდან, რომლის რამდენიმე თაობა უკვე მიისწრაფოდა უმაღლეს კულტურისა და ცოდნისაკენ.

სულ სხვა იყო ვაჟა-ფშაველას წრე: ის დაიბადა სად კლდეებს შუა მოქცეულ ერთ მიყრუებულს სოფელში, ერთ-ერთს იმ უბრალო სახლში, რომელშიაც ქარი გადი-გამოდის ყველა ფანჯარასა და კარში და კერის ბოლი კაცს თვალებსა სჭამს; აქ ფუფუნებას არა აქვს ადგილი, ცხოვრება აქ უშუალო ბრძოლაა ბუნებასთან. თითქმის ნახევარ წელიწადს ფშავეთში ზამთარია, და თოვლით შებორკილ ბილიკებით თუ და შეიძლება ერთ სოფლიდან მეორეში გადასვლა. ზამთარი დასასვენებელი ხანაა, და მისს გრძელს ღამეებში, როცა ნისლი მზურავს ღელეებს და მთის ფერდობს, ან როცა მოკაშკაშებული ცის კამარა მოცულია სუსხიან ყინვით, მეზობლები თავს იყრიან მასლაათისათვის და თუ მათ შორის აღმოჩნდა ხელოვანი მოამბე, განუწყვეტელია ძველი თქმულებანი გმირებზე, ყაჩაღებზე, ქალწულზე, მეფე ერეკლე მე-II-ზე, ლეკიანობაზე და სხვა. ლუკა რაზიკაშვილი ბავშობიდანვე გაჟღენთილ იყო ამ ამბებით და ალბათ მათ გაიღვიძეს მისი ცოცხალი ფანტაზია და მასალა მისცეს მის ოცნებას.

მრავალ პოეტთა ცხოვრების აღწერა გვირწმუნებს, რომ ბავშობაში გაგონილი ამბები და საზოგადოთ ბავშობის შთაბეჭდილება დიდ გავლენას ახდენდნენ მათს განვითარებაზე. ეჭვი არ არის, რომ ესეთივე გავლენა იქონიეს ლუკაზედ მის სამშობლოს თქმულებამ და არაკებმა. ყველა ამ ბავშობაში გაგებულსა და შეთვისებულს ამუშავებდა ყრმის მახვილი გონება და გული.

გაზაფხულს და ზაფხულს შემოდგომის პირამდე ლუკა სცხოვრობდა წლობით ბუნების წიაღში და უკვირდებოდა მის მოვლენებს და ცვლილებას. მის თვალს არ გამოპარვია არც ერთი მთა და ვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, ტყე და ანკარა რუები, ხევები და ყვავილები, კლდეები და ღრმა ღელეები. ყოველ დღე მის თვალს წარმოუდგებოდა დიადი სურათი შორეულის მყინვარისა, რომელიც ელვარებდა ამომავალ მზის პარისფერ შუქით იმ დროს, როცა იქ, დაბლა, მთები და ველი ჯერ კიდევ გახვეული იყვნენ ღამის წყვდიადში. ან მთვარიან ღამეს, როცა არე-მარე სიჩუმით იყო მოცული, მის ყურს ხიბლავდა მთის ნაკადულის საიდუმლო რაკრაკი. პატარა ლუკა ხშირად იყო აქ მოწმე საშინელის ქექა-ქუხილისა, როცა ელვა აპობდა ღამით მოცულს ველს და ღელეს და ქუხილის გრგვინვა გადადიოდა მთიდან მთაზედ. წვიმა, ქარი, თოვლი და ნისლი ხშირათ სტანჯავდენ მას. მაგრამ ზაფხულში, როცა მთელი კვირაობით ლაჟვარდი ცა მოცული იყო ბრწყინვალე მზის სხივებით, ლუკა განიცდიდა განუსაზღვრელ ბედნიერებას და სიხარულს და სიცოცხლით სავსე თვალებით შეჰხაროდა მთის ბუნების აბიბინებულს გულმკერდს.

ესე გაიზარდა ვაჟა. პირველად ჰხედავდნენ მხოლოდ მისი თვალები, შემდეგ გაიღვიძა მისმა აზრმაც. ასე ნელა გაიზარდა მასში პოეტი. როცა ის შეუდგა თავის სწავლა-განათლებას, ალბათ ჯერ არ ჰქონდა თავის ზეგარდმო ნიჭის შეგნება, თუმცა არ შეიძლება არ ეგრძნო, რომ მსოფლიო მასზე მოქმედობდა არაჩვეულებრივად, არა ისე, როგორც დანარჩენ მის თანამემამულეებზე. დიახ, ის ჰხედავდა, ფიქრობდა და გრძნობდა ათასი ფშაველის მაგივრად, და მისმა შემოქმედებითმა ძალამ დააყენა ის მსოფლიო პოეზიის მწვერვალზე, თუმცა მან თავის თავს უწოდა „ფშაველა“.

რაც შეეხება მის განათლებას, ის არ იყო ფართო, თუმცა ძლიერ ბეჯითობდა თვითგანვითარებისათვის. ჩემის აზრით, მისი განათლება საკმარისი იყო იმგვარ პოეზიისათვის, რომელიც მან თვითონ შეუერთა თავის ნიჭს. მე ვგულისხმობ პოეზიას და არა დანარჩენ მის თხზულებას პროზის სახით, რომელიც, ჩემის აზრით, უფრო დაბალი ხარისხისაა. ჩემთვის ვაჟა-ფშაველა არის პოეტი და არა ეთნოგრაფი, მით უმეტეს, რომ ისეთი პატარა ხალხის ზნე-ჩვეულების აღწერას, როგორიც არიან ფშაველები, თვით ქართულ ლიტერატურაში შეუძლია დაიკავოს მეორე ხარისხოვანი ადგილი. ყოველი ერის მნიშვნელობა განისაზღვრება ერთის მხრით მისი ისტორიული როლით და მეორეს მხრით—მისი კულტურული შემოქმედებით. ფშავლებმა არც პირველი აქვთ და არც მეორე. მაგრამ მათი პატარა მხარე და მათი პირველყოფილი ცხოვრება წარმოადგენს საუკეთესო ნიადაგს პოეტურ აღმაფრენისათვის.

სხვა დროს მე უკვე ვუწოდე ვაჟა-ფშაველას „მთების პოეტის“ სახელი და ვსთქვი, რომ როგორც ფრიგიის მეფე მიდასი თავის შეხებით ყველაფერს ოქროდ აქცევდა, ისევე ვაჟა—ყველაფერს პოეზიად აქცევს-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფშაველებს აქვთ საკმაო რიცხვი გრძელი ხალხური სიმღერებისა, უმთავრესად ეპიკური ხასიათისა, მაგრამ ამ უხეშ, გაუთლელ ლექსებში ცოტაა პოეზია, და ვაჟა-ფშაველამ ისარგებლა იმით მხოლოდ როგორც მასალით. მისმა პატარა სამშობლომ მისცა მას მხოლოდ ნედლი მასალა. თვითონ ვაჟაში სჩქეფდა ძლიერი წყარო პოეზიისა, და მისი დიადი თანამშრომელი იყო—მისი მშობელი ბუმბერაზი მთების ბუნება.

ბავშობიდანვე ამ მთათა მშვენებამ შექმნა ვაჟას შთამბეჭდავი ჰანგები, რომელთაც ვერ შეუწყვეტს საუკუნეთა მსვლელობა და რომელთა ჟღერაც მომავალში უფრო ძლიერი იქმნება, ვიდრე აწმყოში. წაიკითხეთ მისი მომჯადოებელი სიმღერები, რომელთა მსგავსნი არ მოიპოვება მსოფლიო ლიტერატურაში! მთელი ბუნება არის ჩაწნული ამ სიმღერებში. წყაროთა ჩუხჩუხი, მთის ნაკადულთა შხუილი და წვიმის ტყაპუნი, ქარ-ბუქი და ელვა-ქუხილი, ვარსკვლავთ ციალი და მზის ცხოველი შუქი, განთიადის ნაზი ელვარება და ჩამავალი მზის სხივები, ღრუბელთა ლანდები, მთა და კლდე, ხეები და ყვავილები,—ყოველივე ეს ცხოვრობს მის სიმღერებში. ვაჟა არა მარტო დიდებული მხატვარია, რომლის განკარგულებაში მოიპოვება ათას ფერადით ჩამწკრივებული პალიტრა, არამედ ის შემკულია ზეგარდმო ძალით ამ ბუნების შეგრძნობისა და შეთვისებისათვის. ამაშია მისი ლირიკის სიდიადე.

ვაჟა-ფშაველას სიმღერებში ბუნება შედუღებულია ადამიანის სიცოცხლესთან და ეს ადამიანი უპირველესად ყოვლისა—თვით ვაჟა არის. ადამიანის ტანჯვა-სიხარულს ვაჟა თანაუგრძნობს მთელის თავისი სულით და გულით და მისი სიმღერები, რომელნიც, მიუხედავათ მათი მხატვრულის ენისა, სავსენი არიან სადა, ბუნებრივი კილოთი, ჰხიბლავენ მსმენელს წყნარის სიამით, თანაგრძნობითა და აღტაცებით.

მის სიმღერებში სიყვარულიც გამოიხატება შეუდარებელი ძლიერებითა და უბრალოებით. მისი ლამაზი, უბრალო და იმავე დროს ძლიერი ლექსი „შენმა სიყვარულმა დამლია“, შეუდარებელია. ვაჟა-ფშაველას სასიყვარულო ლექსებს ახასიათებს ზომა და სრულიად ბუნებრივი კილო. ისევე ითქმის მის სიყვარულზე საქართველოსადმი, რომელსაც მან უძღვნა ერთი რიგი შინაარსიანი ლექსებისა, წიმართული აკაკისა, ილიასა, ყაზბეგისა და ბარათაშვილისადმი.

ვაჟა ხშირად ოცნებობს ადამიანის ბედ-იღბალზედ და ჩვენი არსებობის ხანმოკლეობა მასში ბადებს სევდას. ვაჟა-ფშაველა დარდობს არა მარტო ადამიანთა ბედისათვის, არამედ ყველა სულიერისა და უსულოსათვისაც. რა თქმა უნდა, ის არ კისრულობს ძნელი საკითხების გადაჭრას და ეს არც მოეთხოვება მას. ვაჟა არ არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტი-მოაზროვნე. იგი ბუნების პოეტია, რომლისათვის არსებობს მხოლოდ პოეზია, ყოველნაირი „იზმის“-საგან განთავისუფლებული.

ვაჟას სკოლა მისი დიადი ნიჭია, და ეს სრულიათ საკმარისია.

ნახევრად ველური ფშავეთის შვილი, რომელმაც უმეტესი ნაწილი თავის ცხოვრებისა გაატარა არა-კულტურულ პირობებში, ვერა სთმობს ველურ სამშობლოს. მას უყვარს პირველ-ყოფილი ცხოვრების ზნე-ჩვეულება, და, მგონი, არც კი ცდილობდა „გაკულტურებას“, გაევროპელებას. ასეთი გადახალისება მას წაართმევდა მის სტიქიურ ძალას, რომელშიაც იმალება მთელი მისი სიდიადე და ჩამოაყალიბებდა მისგან ჩვეულებრივს ლიტერატორს, ოთახის პოეტს.

ყოველივე, რაც იცოდა, წიგნიდან კი არ ჰქონდა ამოკითხული. ეს იყო ბუნების უხვი ჯილდო, რომლითაც ისარგებლა ისეთის სიღრმით და მხურვალებით, რასაც ვერ დაიკვეხებს ვერც ერთი პოეტი და მხატვარი. მისი მხატვრული ნიჭი განსაცვიფარია, და, გარდა გრიგოლ ორბელიანისა, არცერთის ქართველ პოეტს არ შეუქმნია ბუნების ისეთი დიდებული და მხატვრული სურათები. თვით გრიგოლ ორბელიანმა ქართულ ლიტერატურაში მხოლოდ რამდენიმე ბუნების სურათი შეიტანა, იმ დროს როცა ვაჟამ შექმნა მთელი გალერეია. ეს გალერეია უდიდესი საუნჯეა არა მარტო ქართულ ლიტერატურაში, არამედ მთელ მსოფლიო ლიტერატურაშიაც, რომელშიაც ვაჟა უთუოდ დაიჭერს საპატიო ადგილს. ფშავეთის მიწის სუნი, რომლითაც გაჟღენთილია ვაჟა-ფშაველას ლექსები, ასკეცებს მისი პოეზიით ტკბობას. გერმანელები ყველაზე უფრო იგრძნობენ ვაჟას, რადგანაც განსაკუთრებით მიხვდებიან ხოლმე უცხო ერების თავისებურებას.

ვაჟას ყველა თხზულებაში გამოსჭვივის განსაკუთრებული სიყვარული ფშავეთისადმი, და ეს სიყვარული ყველაზედ მეტათ აცხოველებს და ამშვენიერებს მის პოეზიას.

აი რასა სწერს ვაჟა საშობაო მოთხრობაში: „უენოა ყველაფერი, რასაც ვხედავ, მაგრამ რამდენს რასმე ეუბნება ჩემს გულს ეს მთები, ეს ტყე გაბარდნული თოვლით. აგერ საყდარი განმარტოებით გორაზედ, დაღონებულად მარტოთ-მარტო გადმოსცქერის ის არაგვის ხეობას. აი იმედის კაკალიც, დამამშვენებელი მამულებისა, უზარ-მაზარი, გაბარჯღული. დაინახე ჩვენი სახლიც: სვეტად ბუხრიდან მაღლა ადიოდა ბოლი.

..... გული აღარ მითმენს, გავაჩქარე ცხენი... გორზედ ვიღაც პატარა გადმოდგა, გადმოგვხედა და სწრაფათ შებრუნდა შინისკენ. ის ჩემი ძმა იყო. გვიცნო და გაექანა, რომ ჩვენებისთვის ეხარებინა. ყველაზედ უწინ დედა გამოჩნდა კარებში და შეგვეგება წინ. თვალებზედ ცრემლი მოუვიდა: „შეგცივდებოდა, შვილო, ვაი შენს დედას!“ მკოცნა, ბევრი მკოცნა“.

არ. ლეისტი, წიგ. II.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ის, რასაც ვაჟა-ფშაველა მოგვითხრობს თავის მშობლების სახლზე, თავის სოფელზე და სამშობლოზე, იკითხება არა მარტო სიამოვნებით, არამედ გულის ძგერით. საზოგადოდ მის ლექსებსა და პროზაში ჩამალულია რაღაცა საიდუმლო ძალა, რომელსაც მოკლებულია ბევრი ქართველი პოეტი და რის გამოთქმაც ერთი სიტყვით შეუძლებელია: ეს არის დიდი საიდუმლოება ჭეშმარიტი პოეტისა.

გავა დრო, ბევრი „მთის წყარო" დაშრება ფშავეთში, პირველყოფილი ფშაველი გარდაიქმნება კულტურულ ქართველად, მხოლოდ ვაჟა-ფშაველას პოეზია არასოდეს არ ამოიფხვრება ლიტერატურის სალაროდან.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ორი მგოსანი

## ალ. ჭავჭავაძე და ნ. ბარათაშვილი.

მე-19 საუკუნის ქართველ მგოსანთაგან ალექსანდრე ჭავჭავაძე კიდევ ატარებდა წინა საუკუნისა და ძველ ქართულ ცხოვრების კვალს, თუმცა იგი დაიბადა რუსეთსა და იქვე სცხოვრობდა 15 წლის ჰასაკამდე. ამ ძველ ქართველ ფეოდალს უცნაური მდგომარეობანი და ცვლილებანი გამოუვლია. რუსეთის დედა-ქალაქში მიიღო რუსულ-ფრანგული აღზრდა მსგავსად მაშინდელ რუს არისტოკრატთა. შეითვისა მრავალნი შეხედულებანი ამ წრისა, სულით კი მაინც მე-18 საუკუნის ქართველად დარჩა და კარგად შეისწავლა დედა-ენა. ძველი ქართული სული გადმოინერგა მე-19 საუკუნეში და ამასთან ერთად გახდა ბობოლა მოხელედ რუსეთის ცარიზმისა. ძველ ქართულ ენაზე სთხზავდა სიმღერებსა და ლექსებს, ჰბაძავდა ხან ბესიკს, ხან კი სპარსელ მგოსანს ჰაფისსა და ამავე დროს ხანდისხან სწერდა როგორც ევროპელი პოეტი მე-19 საუკუნისა. გარკვეული ხასიათი და შეხედულება ცხოვრებაზე არა ქონია ამ სიცოცხლიან ფეოდალს. ღვინო, ქალები და სიყვარული შეადგენენ მის ლექსთა დედა-აზრსა და უნდა ითქვას, რომ ხმატკბილი სიმები ჰქონდა მის ჩონგურს, რომელზედაც არტისტულად უკრავდა.

ახალგაზრდობისას უშედეგო შეთქმულობის შემდეგომ, იგი მთელ თავის სიცოცხლეში ერთგული მსახური შეიქნა მეფის მთავრობისა და არაფერში ჰღალატობდა თავის ფეოდალურ პრინციპებსა. საარაკო კახეთში, წინანდალში, სადაც კაშკაშა მზე აბნევს სხივებს უხვ ვენახებს, ვენახებს, ნექტარ საამო ღვინოს რომ იძლევიან, გაატარა ალექსანდრე ჭავჭავაძემ უზრუნველი მრავალნი დღენი და სტკბებოდა ფუფუნებასა და განცხრომაში. უეჭველია, იგი იყო მგრძნობიარე ადამიანი და მგრძნობიარება თვისი და სწრაფვა სიამისაკენ გადაჰხატა თავის ლექსებში, მაგრამ ასათუთებდა მათ გულითადის სინაზითა. ლექსთაგან ბევრი ეტყობოდა თანამედროვეთ, რომელთაც უმრავლესობა ისეთსავე ცხოვრებას ატარებდა. მოხუცთა ყურებში კვლავ ჰკრიალებდნენ ჰანგნი ბესიკისა და სავათნოვასი და ხმანი ალექსანდრე ჭავჭავაძისა მხოლოდ იმათ გაგრძელებადა ჰჟღერდნენ.

იგი სცხოვრობდა იმ დროს, როცა მრავალნი ქართველნი ჯერ კიდევ შორს იდგნენ რუსულ გავლენისაგან და მხოლოდ ცოტანი ჰკარგავდნენ თავიანთ ქართულ სახელსა. ბევრნი მის თანამედროვეთაგან აღიზარდნენ და განვითარდნენ ერეკლე მე-II-ის უკანასკნელ

წლებში და თავიანთი ძველ-ქართული შეხედულებანი და ზნენი გადმოიტანეს მე-19 საუკუნეში. სპარსთა და ოსმალოებთან ომი შესწყდა და ლეკნი ღა განაგრძობდნენ კახეთის შეწუხებას. ყველასათვის, ვინც არა მსახურობდა სამხედრო სამსახურში ანუ მთავრობის მოხელედ, დაიწყო უქმი ცხოვრება და გამრავლდნენ ლუარსაბნი და დარეჯანნი.

ასეთს წრეში სცხოვრობდა ალექსანდრე ჭავჭავაძე, მასთანა სტკბებოდა და მისთვის სწერდა თავის ლექსთ. მაგრამ ჩვენთვის უცნობია, თუ როგორ მოსწონდათ ეს ლექსები მგოსნის სიცოცხლეში. ვიცით მხოლოდ, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში მისს ლექსებსა მღეროდნენ მთელს საქართველოში და ეხლაც ხშირად გაისმის ეს ლექსები, თუმცა კი ქართველნი უკვე გამდიდრდნენ ხმატკბილ სიმღერებითა.

მალე შესრულდება ასი წელი, რაც დამყუჩდა ჩონგური ალექსანდრე ჭავჭავაძისა, მაგრამ არ ემჩნევა, რომ ქართველთ დამვიწყებოდეთ მისი სიმღერები და ალბად კვლავაც იმღერებენ, როგორცა ჰმღერენ უბრალო ხალხური ჰანგები საუკუნოებითა.

ხმატკბილ წინაპრის, ბესიკის, მსგავსად, იტაცებდა და იტაცებს იგი ქართველთა გულს, ათრობდა კაცსა და ქალს, უადვილებდა ზრუნვის დავიწყებას, ტანჯვის გადატანას სევდიან, მწუხარე დღეებში. განა ეს ცოტა არის? მხოლოდ მცირე მგოსანთ ძალუძთ შექმნან ასეთი ბალზამი სულისა და გულისათვის.

როცა ალექსანდრე ჭავჭავაძე ოცდაათი წლისა შეიქმნა, ხოლო ძველი ქართული ცხოვრება ხელუხლებელი იყო, მაშინ დაიბადა მეორე მგოსანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც უკვე მოიცვალა 1845 წ., ალექსანდრე ჭავჭავაძის გარდაცვალებას. ასე მოკლე იყო სიცოცხლე ამ ქართველთა სევდის მღერალისა. სიყრმე არ იყო მისთვის სიყრმე, გაზაფხული—გაზაფხულად და სიცოცხლე დამსრულდა მაშინ, ოდეს ჰყვავიან კვლავ ვარდნი და სულში ჰგალობს ტოროლა. ბარათაშვილის სულში ჰყვეოდა მხოლოდ ბულბული სევდიანი.

უსახსროს, კოჭლსა და ალბად სუსტ აგებულებისას, ნაადრევ სიყრმითგანვე ხვდა მძიმე ცხოვრება. ბედნიერება გაურბოდა მას და ალბად სიყვარულის ბედნიერებაცა. ასე მგონია, და ვინ იცის, ვსცდები თუ არა. იქნებ ვერა ჰპოვა ამ სულმა ობოლმა სხვა სული, რომელსაც შესძლებოდა ყოფილიყო მის მანუგეშებლად. თუ ეს ასეა, მაშინ ხომ ტანჯვა ამ კეთილშობილის, ნაზისა და კაეშნიანის მგოსნისა უზომოდ მძიმე იქნებოდა. სიყვარულს უნდა გაეჩირაღდნებინა გზა მისი ცხოვრებისა და მიეყვანა მხიარულ ჰაზრებთან. მაგრამ არა. თვითონა სწერს: ჩონგური ჩემი არაოდეს გამოსცემს მხიარულ ხმათა. ან, იქნებ, მისმა სასურველმა, ქედმაღალმა კეკლუცმა უარჰყო

იგი, როგორც მერი ჩავორთმა ბაირონი, და უწოდა „კოჭლი ბიჭი“. ანუ, იქნებ, სუსტი იყო იგი და ულამაზო, როგორც ჯაკომო ლეოპარდი, და ამ ნაკლმა გაჰრიყა მისგან კეკლუცი, რომელზედაც გული შეუვარდა.

როცა ბარათაშვილი გადავიდა იმ ჰასაკში, როდეს გონებამაღალი კაცი ჰფიქრობს თავის არსებობაზე და სოფლიოზე, რომელიც ირტყია გარს, მან ჰპოვა მარტოოდენ სიცარიელე. წრემ, რომელშიაც ალექსანდრე ჭავჭავაძე ბედნიერადა სცხოვრებდა, გარიყა ბარათაშვილი. ამბობენ, რომ ბარათაშვილი ხშირად ჰღებულობდა მონაწილეობას ტფილისის საზოგადოების უქმ გართობაშიო; მაგრამ ეს კიდევ არა ჰნიშნავს, რომ სიამეს ჰპოვებდა ამ გასართობებში, რადგანაც მოწყენის მიზეზით ჰმონაწილეობდა ალბად. თუ როგორი იყო ტფილისის მაშინდელი საზოგადოება, ამაზე საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს გერმანელი პოეტი ფრიდრიხ ბოდენშტეტი, რომელიც ტფილისში სცხოვრობდა 1840-დან 1843 წლამდე. ქართველთა და სომეხთ გარდა სცხოვრობდნენ აქ რუსნი მოხელენი და სამხედრო პირნი, რომელნიც საკმაოთ გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდნენ, ასე რომ გონებრივ საზრდოზე ლაპარაკიც კი მეტი იყო.

საქართველოსას დამოუკიდებლობის დაკარგვა, უეჭველია, მეტად ადარდებდა ბარათაშვილსა და რაც უფრო უფიქრდებოდა, მით უფრო ჰღრმავდებოდა მასში ის განწყობილება. სწორედ ასეთმა განწყობილებამ დააწერინა ალბად მიცკევიჩს შესავალი სიტყვები თავის პოემა „პან თადეუშ“-სა: „ოჰ, სამშობლოვ, შენა ხარ, როგორც ჯანის სიმრთელე: მხოლოდ იგი გაფასებს ძვირად, ვინაც დაჰკარგა“!

შეიძლება ითქვას, რომ ბარათაშვილს საკმაოდ გამომუშავებული შეხედულება ჰქონდა ცხოვრებასა და სოფელზე. მუდამ უკმაყოფილო დამკვირვებელი იყო და თავითვან ბოლომდე მწუხარე. იმედ-მიხდილი მგოსანი, მაგრამ არა ბაირონული, როგორც მას მრავალნი უწოდებენ. მასში არ იყო არც ბაირონისეული ვნება, არცა დიდებული მჭერმეტყველება და არც ცინიზმი ინგლისელი პოეტისა. ბარათაშვილი ჰგავდა იტალიელ პოეტს ჯაკომო ლეოპარდის, რომელიც 1798 წელს დაიბადა და თითქმის მისი თანამედროვე იყო. ხასიათით, მწარე ბედით, სინაზითა და ნაღვლიანი განწყობილებით ქართველი მგოსანი იტალიელსა ჰგავდა. მაგრამ ლეოპარდი კლასიკურად განვითარებული მოაზროვნე იყო. მაშინ, როცა ბარათაშვილმა მიიღო მცირე განათლება მხოლოდ და იყო უფრო პირველყოფილი მოაზროვნე. მაგრამ, როგორც პოეტმა, ხანდახან მეტი ბუნებრივი სიძლიერე და მელოდიურობა გამოააშკარავა, ვიდრე მშრალმა იტალიელმა.

მაგრამ არ შეიძლება შედარება სხვა და სხვა ხალხის შვილთა. როგორც ქართველ მგოსანს, ბარათაშვილს ჰქონდა სახე სულ სხვა

კულტურისა და ცხოვრებისა. თავის დროში და, რა თქმა უნდა, თავის ხალხში იგი იყო მხოლო, მაგრამ შემდგომ. როდესაც ზნე და მსოფლმხედველობა მრავალ ქართველთა გამოიცვალა, ჰპოვა ნაცნობმეგობრები. მისი დაფასება ღირსებისამებრ კი იწყეს მხოლოდ მის თანამედროვეთა შვილთა და შვილიშვილთ. როგორც პოლონეთში მის განყოფის შემდგომ, ისე საქართველოშიაც მის რუსეთთან შეერთების შემდგომ, დაიწყო თავაშვებული ცხოვრება გრძნობის ხასიათისა. და გაგულქვავებულ მასსაში ბარათაშვილის კაეშნიანნი ჰაზრნი და ნაზნი გრძნობანი ვერა ჰპოებდნენ გამოძახილსა. მოქეიფე თანამედროვეთათვის მისი ლექსები ჰგავდნენ საპანაშვიდო გალობასა. აგრეთვე მისი ნაზი სიყვარული ბუნებისა ნაკლებ გასაგები იყო მათთვის, მაშინ როცა ჩვენ მის ლექსთა ღირსებას სწორედ ბუნების სილამაზის სულიერ განწყობილებასთან ნაზ შეხამებაში ვპოებთ. ბუნებაში თავისი სამშობლო უყვარდა. მასში არ ეძიებდა გრანდიოზულ, დიდებულ სურათებს, არამედ სტკბებოდა შედარებით პაწია სანახაობით, როგორც არაგვისა და მტკვრის ნაპირებით ანუ მთაწმინდით. ბარათაშვილამდე არც ერთ ქართველ მგოსანს არ უწერნია საქართველოზე ასეთი წმიდის სიყვარულით, არავის გადმოუნთხევია გულითგან ასეთი თბილი, ნაზი გრძნობა ამ სიყვარულის გამოსახატავად.

ბარათაშვილის ბევრ ლექსში ისე მკრთალად ჰკანკალებს კაეშანი გულისა, რომ ბოროტების ერთი ბეწო კვალიც არ ემჩნევა. ცეცხლიანი სიძლიერე არ იყო მასში და სასოწარკვეთილება თითქმის მუდამ ნაზადა ჰბგერის. მაგრამ მიუხედველად ამისა, ეს ლექსებიც ღრმადა სწვდებიან გულში მკითხველსა და იქა სტოვებენ წარუშლელ კვალსა. არა აქვს მას ისეთი გრძნობა, რომელიც ჩვენთვის უსიამო იყოს და ამისათვის ჰპოვეს მისმა ლექსებმა ამდენი მუდმივი მეგობრები ქართველთა შორის. ის, რაც ბარათაშვილმა დაუტოვა თავის ერსა, მარად ხორხი საზრდოა სულთა და გულთათვის.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სილამაზე

საქართველოს სიმშვენიერის აღწერა ეგზომ ძნელი და შეუწყნდო-მელია, ვით უკავალავი თვალ-მარგალიტი აღმოსავლეთის საარაკო მდელომწვანისა. დიახ, ძნელია, მაგრამ ვისაც უყვარს საქართველო, მისთვის საამურია ლაპარაკი მის სილამაზეზე.

ჩემი მიზანი არ არის მისი საზოგადო სურათის დახატვა, მე მხოლოდ მინდა აღვნიშნო ამ სილამაზის მრავალფეროვნება საქართველოს ზოგიერთ კუთხეში.

უკვე შორეულს წარსულში საქართველოს აღტაცებაში მოჰყავდა უცხოელები, განსაკუთრებით იტალიელი ბერები. მაგრამ ფრიად უფერულია სიტყვიერი განსახიერება მათი აღტაცებისა, რადგანაც მათ შორის არ მოიპოვებოდა მწერალი, სავსე მხატვრული გრძნობით და გემოვნებით. მგონი, მხოლოდ ერთი ლამბერტი უწოდებს საქართველოს „თვალის სატრფოს".

ეგრეთვე ეხლა, ჩვენს დროში, უცხოელები უხვად სწირავენ ქება-დიდებას საქართველოს უმშვენიერეს ბუნებას, და თვით ტფილისი, რომლის მდებარეობაზე თვით ქართველები არ არიან დიდი აზრისა, ბევრისაგან ცნობილია ლამაზად. ჩავარდნილი ალაგი, სადაც გაშენებულია ქალაქი, მცირეა სიმშვენიერით, მაგრამ ქალაქის საზოგადო სურათი სავსეა სილამაზით, განსაკუთრებით ნავთლუღიდან. საიდანაც მოსჩანს კრწანისის ღელე და მამადავითის მთა; განსაკუთრებით ნაზი და მხატვრულია ეს სურათი, გაშუქებული დილის მზის სხივებით. და მე მახსოვს, სხვათა შორის, როგორ აღტაცებას ეძლეოდნენ უცხოელნი ვაგონის ფანჯრებიდან ამ სურათის მზერის დროს!...

წაკითხული მაქვს აგრეთვე წერილი სომეხი მწერალ ხაჩატურ აბოვიანისა (1843 წ.), რომელიც აღუწერს თავის მეგობარს გერმანელს ტფილისის დილას და იმ განსაკუთრებულ სიამეს და სიხარულს, რომელსაც მას აძლევს სწორედ ეს მთა-წმინდა. და მართლაც ეს თითქმის ხრიოკი მთა აძლევს ტფილისს რაღაც განსაკუთრებულ სიმშვენიერეს მზის თავისებური შუქისა გამო: საღამოთი, როცა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ქალაქის ერთი ნაწილი უკვე გახვეულია ჩრდილში, მარცხენა მხარეს მდებარე ნაწილი კიდევ დიდხანს ელვარებს ჩამავალ მზის ოქროს სხივებში. მთაწმინდიდან თვალი სწვდება არა მარტო მთელს ქალაქს, არამედ გასწვრივ მთელ მის მიდამოს, მარტყოფის და საგურამოს მთებს.

ლამაზია აგრეთვე ვერის დაღმართის გადასახედი მტკვარზედ და ყაზბეგზედ, რომლის სურათიც მზის სხვა და სხვა გაშუქებისა

გამო ცვალებადი და ფეროვანია ზამთარ-ზაფხულს. საზოგადოდ ტფილისი ღარიბია მწვანით, მაგრამ სამაგიეროდ მის სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთ მხარეს გადაჭიმულია ტყეთა უსაზღვრო სამეფო, საითაც ზაფხულში მიესწრაფოდნენ ყოველთვის ტფილელნი. აქ, ბევრ ალაგას მოიპოვება მხატვრული კუნძულები, მაგრამ მათ უნდა ძებნა, როგორც ეს საზოგადო მოვლენაა მთიან ადგილას. ალგეთის ნაპირები შემკულია შედარებით მცირე სილამაზით, მაგრამ აქაც მოიპოვება თვალისათვის საამური და გასახარი ადგილები. ტფილისის აღმოსავლეთის მხარეს ბუნება ძლიერ ღატაკია: კუმისის ტბა მოქცეულია ცარიელს, მწვანით შეუმკობელ ალაგს და არც დიდხანს იზიდავს მგზავრის თვალს; თელეთის მაღლობელი მთა, შავნაბადა, გადაჰყურებს დიდს შიშველს მიდამოს, რომელზედაც მიიკლაკნება ამღვრეული მტკვარი ფლატეებით როყე-ნაპირებს შუა აღმოსავლეთის გასწვრივ: სამგორის ტრიალ მინდვრებს შუა. მისის გზა გომბორისაკენ და ეს ხერხემლის სამოთხე გადაბმულია თვით კახეთამდე. გომბორი არის საქართველოს მრავალ სამოთხეთა შორის პირველი. აქ მოულოდნელათ შეიძლება ხეტიალი მთელი დღე ბუმბერაზ ხეთა ჩრდილოვან გუმბათის ქვეშ. ეს ტყე, შუაში გასხეპილი კახეთში მიმავალ გზატკეცილით, წააგავს უცხო მშვენიერს ხელოვნურს პარკს, პატარა მინდვრებით, ლამაზი ჭალებით და ჩხრიალა რუებით. მზის სხივი მხოლოდ ოდნავ გასჭვრეტს ატყორცნილი ხეების დაბურულ ხეივანს და მთელი გზა მოცული არის არა მარტო ჩრდილით, არამედ წყვდიადითაც. დიდ მანძილზედ არის გაჭიმული ეს ჩრდილოვანი გზა, მხოლოდ შუამთის მონასტრის შემდეგ უცებ ირღვევა ეს შეუწყვეტელი ფარდა და მთელის თავის სიმშვენიერით, როგორც უზარ-მაზარ ფანჯრის ჩარჩოში, მოსჩანს მზეში ჩანთქმული კახეთი. შუამთის მონასტრიდან თვალი უკვე სწვდება „ცივი“ მთით, მაგრამ ეს სურათი ისევ გომბორის ტყის სამეფოს გაგრძელებაა და აქ ჯერ არ სჩანს ნარნარი კახეთის ნაზი ფერადები.

თუ გინდათ სავსებით დასტკბეთ კახეთის სიმშვენიერით, ადით თელავში ნადიკვრის გორაკზედ ან ალაზნის მარჯვენა მხარეს ზოგიერთ მაღლობზედ. გინდათ ნახოთ სიღნაღი და გარე კახეთი?—ადით ყვარლის ახლო პატარა აღმართზედ და დასტკბით ამ მომხიბლავ ნაზ სურათის სიმშვენიერით.

კახეთი ანუ ალაზნის ველი არის ერთი მთლიანი საოცნებო ბაღი, გადაჭრილი კავკასიონის მთაგრეხილის სალ კლდეთა და გომბორის მთათა შუა; ეს კედელი თანდათან დაბლდება და თელავ-სიღნაღის გზის ნაწილობრივ თავდება პატარა გორაკების ხაზით.

სურათისებრი მდებარეობისა და უხვი მწვანის გარდა კახეთი

შემკულია კიდევ მესამე სიმშვენით განსაკუთრებული სინათლით, რომელიც აქ, გაორკეცებული კავკასიონის მთათა ბუნებრივ რეფლექტორის სიახლოვით, მეფურის სიუხვით არის მოსილი მთელს ველზედ. ეს სამი მშვენება შეადგენენ კახეთის ზღაპრულ სილამაზეს.

და საქართველოს ამ მარგალიტს ჯერ დღესაც უჭირავს ისეთი მცირე ადგილი პოეზიაში! ილია ჭავჭავაძე, ვახტანგ ორბელიანი და ალექსანდრე შანშიაშვილი უძღვნიან მას მხოლოდ რამდენსამე ლექსს და მხატვრობაში მხოლოდ რუსმა მხატვარმა ზანკოვსკიმ დიდის ნაქით გადაიტანა ეს სიმშვენე ტილოზედ იმ დროს, როცა ქართველი მხატვრები დღემდეც მას ძალიან მცირე ყურადღებას აქცევენ.

ალაზნის მარჯვენა მხარე, რა თქმა უნდა, გაცილებით ლამაზია, ვიდრე მისი მარცხენა ნაპირი, რადგანაც ცივგომბორის ტოტის უკანასკნელი პატარა სიმაღლეები და შეფოთლილი ფერდობები წარმოადგენენ აქ მრავალფეროვან, კალმით აუწერელ სურათებს. თელავსა და სიღნაღს შუა მდებარე სოფლები მორთულ-მოკაზმულია უხვის მცენარით და ყველგან მომხიბლავი გადასახედი იტაცებს თვალს. ერთის მხრით მიდამო მთებისაკენ და მეორის მხრით — ალაზნის მოკრიალებულ ველისაკენ. ალაზნის მარჯვენა ნაპირი მოიკლაკნება კავკასიონის მთაგრეხილის მწვანე გალავანს გასწვრივ და თვითონ ფრიად ერთფეროვანი და ვიწრო გადაჰყურებს მშვენიერს, გუმბათუბურ სიმაღლით შემკულს მარცხენა ნაპირს, სადაც მაღლობზე მოსჩანს ერთის ბოლოს მწვანით მოსილი თელავი და მეორეს — სიღნაღი.

თუ გინდათ იპოვნოთ კახეთის ყველა სურათი — უნდა შეხვიდეთ სიმაღლეთა შუა მოქცეულ პატარა ველებში, რომლებიც ჩამორბიან ცივგომბორის მთებიდან. იქ მოიპოვება ყველაფერი: უხვი მცენარე, რუები და ნაკადულები, პატარა ჭალები და ალაგ-ალაგ ტყიანი აღგილები.

დასავლეთ კახეთს და ქვემო ქართლს შუა მდებარე ტყიან მთებით შევდივართ ტყის ფართო სამთლობელოში და შემდეგ ერწოს მწვანე ველში. ეს ველი განიერათ არის გაშლილი წინამძღვრიანთკარისაკენ, ხედაზენის ტყიან მთებისაკენ და ბრჭყვიალე მზისაგან დღეფერილ-შევერცხლილ არაგვისაკენ. იქ არაგვი მიმდინარეობს სწორე ალაგზე, გაშლილ კალთაზედ, რომლის ნაპირი შეფენილია მწვანითა, ზევით და ზევით მისი მიდამო მეტის სიძლიერით იმოსება უხვის მცენარით და ეს სილამაზე აღწევს უმაღლესს წერტილს არაგვის სათავეში, თუშეთში. გერმანელმა გეოლოგმა აბიხმა, რომელიც იყო ხელოვანი მწერალიც, აღწერა ეს პირველყოფილი მთიული სამეფო, სადაც არაგვი გამშვენებული არღვევს სალ კლდეებს და ციცაბო მთებს და აქაფებული მიაქანებს გატაცებულ ქვა-ქვიშას. არაგვი მართლაც და საუცხოვო მდინარეა და ბარათაშვილი ლირის-

ულად აღნიშნავს მის სიმშვენეს. ცხენოსანი გამვლელი ქართველი აქ სიამით ისვენებს მწვანე ხეებს შორის და სტკბება მისი წარმტაცი ბუნების ცქერით. შევერცხლილ არაგვის და ამღვრეულ მტკვრის შეუღლების ადგილას ახლო აწარმოებდა საქართველოს წარსულის შესანიშნავი ამბები, რის გამოც ეს ორი მდინარე სხვაზედ ხშირად არის მოხსენებული საქართველოს მატიანეს ფურცლებზე. მახლობელ ზედაზენის მთების ერთ-ერთ მწვერვალზედ, მაღალ ხეებით შემოტყმულ ადგილზედ აღმართულია ძველთა-ძველი მონასტერი. იქიდან იხსნება ფართო გადასახედი სამხრეთისაკენ, ირგვლივ კოჯრის მთები, ტფილისი და ძირს ძველი მცხეთა. ქვემო-ქართლის თავისებურობა, ე. ი. შიშველი მთათა და სალ კლდეთა მწვანე ველთა შეჯგუფება აქ, ამ ალაგს, წარმოუდგება თვალს უფრო მკვეთრად, ვიდრე სხვაგან; სამაგიეროთ ჩრდილოეთისაკენ არაგვის ველი და მთები ლაჟვარდ ცის კამარაში ატყორცნილ ყინვარამდე, შემოსილია დაბურულის ტყით და ყველა ამას მბრძანებლობს ყაზბეგის გიგანტური პირამიდა, ეს ბუნებრივი სამიჯნო ბოძი მზეუცხოველ საქართველოს და შებურულ ჩრდილოეთს შუა. ვინც მოახერხა მზიან ამინდში მის მწვერვალზე ასვლა, ის მოწმეა დიდის სასწაულებისა ამ ქვეყანაზე. გერმანელ მწერალმა, გოთფრიდ მერცბახერმა, შესანიშნავ წიგნის „კავკასიონის მთების სიმაღლეზედ"-ის ავტორმა, მოგვცა მაღალმხატვრული აღწერა იმ პანორამისა, რომელიც მან იხილა ამ დიდებულ მყინვარიდან, რადგანაც აქედან მან გადაავლო თვალი მთელ კავკასიას თვით არარატამდე.

ქართულ პოეზიაში ყაზბეგს ჯერ კიდევ უჭირავს მეორე ადგილი და მხოლოდ ილია ჭავჭავაძემ თავის პოემა „განდეგილი"-ში იპოვნა ღირსეული სიტყვები მის დიდებულ სილამაზის დასურათხატებისათვის. საზოგადოთ კი ქართველი პოეტები ნაკლების ყურადღებით ეკიდებიან ყაზბეგს, და ქართულ მხატვრობაში საქართველოს მთების მეფე თითქმის არ არსებობს. არამცთუ თვით მთა, მისი მიდამოებიც წარმოადგენენ უძვირფასეს მასალას მხატვრობისათვის. აიღეთ, მაგალითად, სადგურ ყაზბეგიდან გადმოსახედი წმინდა სამების ეკლესიისაკენ. განა ეს დიდებული და მომხიბლავი სურათი არ არის!..

ბუნების და არქიტექტურის შეფარდება, განსაკუთრებით მთიან ადგილებში, დიდ ესტეტიურ შთაბეჭდილებასა ჰგვრის. ეს არ ითქმის მცხეთის ტაძარზედ, ვინაიდან მისი მდებარეობა მტკვრის დაბალ ნაპირზედ არ შეეფერის მის სიდიადეს. დუშეთის და ფშავხევსურეთის მთების დიდებული, მაგრამ ჯერ სრულებით შეუმუშავებელი სილამაზე დიდის ხელოვნებით აქვსთ აღწერილი გერმანელ მეცნიერთ აბიხსა და მერცბახერს. ნამეტნავად ამ უკანასკნელმა აღწერა ეს მთიული ბუნება შეუდარებელი მხატვრობით.

მცხეთის შემდეგ ქვემო ქართლის შესავალში მგზავრის თვალი მიმართულ უნდა იქმნეს სამხრეთისაკენ, მთების გადასწვრივ, რადგანაც ჩრდილოეთის მხარე საკმაოთ ღარიბია მცენარეთი. ზოგიერთ სოფლების ხილის ბაღები და ქალაქები, თუმცა ვერ შეედრება სილამაზით ტყიან მთებს, მაგრამ ყანით დაფარულ სახნავებთან ერთათ წარმოადგენენ შუა ქართლის ბუნებრივ სიმდიდრის სავსე სურათს. ბუნებაში არ არის ისე, რომ სიმდიდრე და სილამაზე ყოველთვის არსებობდეს ერთათ, და საქართველო, ეჭვი არ არის, უფრო მდიდარი იქნებოდა, რომ მას ლამაზი მთები ნაკლებადა ჰქონოდა და ნოყიერი სახნავები-კი—მეტად.

შუა ქართლის უმთავრეს ალაგებს, როგორიც მაგალითათ გორს, ახალქალაქს, კავთისხევს და სხვა სოფლებს, არ შეიძლება ითქვას, ლამაზი მდებარეობა აქვსთო, და ლამაზი ქართლი იწყება მხოლოდ შემდეგ—დასავლეთისა და სამხრეთისაკენ. სამხრეთ ქართლის მთელი ნახევარი, მანგლისიდან დაწყებული, ბორჯომის გადასწვრივ, მთლად წიწვიანი ადგილია და მდიდარი ტყით, წყაროებით და მდინარეებით. აქ თითქმის ყველგან შეუძლიათ ადამიანს დასტკბეს მრავალი მცენარით შემკულ მთებით და ველის მშვენიერი სურათებით.

სურამის მთები ბუნებრივი მიჯნაა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შუა და, შეიძლება კიდევ ითქვას,—ორ სხვა და სხვა ქვეყნიერებათა შუა. დასავლეთი ანუ ზემო-ქართლი უკვე ცივი ქვეყანაა და მისი ზამთარი წააგავს უკვე ჩრდილოეთის ზამთარს. მაგრამ ტყიანი მთები და ველები სავსენი არიან მომხიბლავი სილამაზით. ზამთარშიაც კი, როცა მთები დაბარდნილია თოვლით, ამ ცივე მხარის სილამაზე მაშინაც კი საამურად ახარებს ადამიანის თვალს.

აუწერელია ქართლის სიმშვენე გაზაფხულს, როცა მთების ქვევითა კალთები და ველი აბიბინებულია ზურმუხტის ფერ ნორჩი მწვანით და აქვე მთის მწვერვალები გახვეულია ბრწყინვალე თოვლის თეთრს სუდარაში. ეს ზემო-ქართლი ნამდვილი მთის სამოთხეა, საცა ყველა მოსახვევში ჩნდება ახალი საოცნებო სურათი. მაგრამ ეს აღარ არის ნამდვილი სამხრეთი და ნაზი ბუნება თბილი ჰავისა. ეს არის საქართველოს ჩრდილოეთი და მისი ქალაქები—ხაშური, სურამი და ბორჯომი მთელი ზამთარი რამდენიმე თვით გახვეულია თოვლში.

სურამის მთები მართლაც და ნამდვილი მიჯნა არის ორ მხარეს შუა. მთებს გადაღმა ნაზ იმერეთში ხალხიც-კი სულ სხვა არის. ყველა უცხოელი, რომელიც პირველად მოგზაურობს საქართველოში ბათომიდან ტფილისში, აღტაცებაში მოდის ზემო-ქართლის საუცხოვო სურათებით. და მართლაც აქ შეგროვილია იმოდენა სილამაზე, რომელიც ძნელად მოიპოვება ამ ზომით საქართველოს სხვა კუთხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. ქართლი, რომელიც უწინდელ დროს ხშირად იყო საქართველოს პოლიტიკურ და კულტურული ცხოვრების ძარღვი და ცენტრი, თითქოს მართლაც რაღაც განცალკევებული ჩრდილო ქვეყანაა და ბევრით განირჩევა საქართველოს სხვა მხარეებისაგან. ქართლი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში იყო დედა-ბოძი სპარსეთსა და ოსმალეთთან ბრძოლის დროს; მე-18-ტე საუკუნეში ქართლმა შექმნა ახალი კულტურული ცხოვრება და ჩაუყარა საძირკველი საქართველოს ახალ ცხოვრებას. მე-19-ტე საუკუნეს ყოველივე ეს შეჰქმნეს ცივი ქართლის მცხოვრებთა, რომელნიც უკანასკნელ ათეულ წლებში წინ-უძღვიან საქართველოს დანარჩენ მხარეებს.

ვუმზერდებით-რა ზემოქართლის, ანუ საქართველოს პროვინციის, ბუნებას, უნდა ითქვას, რომ ეს ცივი მხარე გადასცქერის სხვა, უფრო ცივს მხარეს, კავკასიონის მთავარ ქედის ზორეულს მყინვარებს. ყველაზედ ფერით და დიდებული სურათი გადაიშლება ადამიანის თვალს წინ ეგრეთ წოდებულ „ცხრა წყაროს“ მწვერვალიდან, თუმცა თვით დაბალი ადგილებიდანაც, როგორც, მაგალითად, კასპისხევიდან, ადამიანს შეუძლია დასტკბეს ამ ყინვების დიდებულ სურათით. დიდს მანძილზედ არის გაჭიმული ეს მშვენი ადგილი, შეფენილი მრავალი სოფლით და მწვანე ბაღებით, რომელნიც აღწევენ თვით მთავარი ქედის ლურჯ მთებს და მათ უკან აღმართულს, თოვლით შემოსილ მწვერვალებს. ხშირად ეს მწვერვალები მკაფიოდ ბრწყინავენ ლაჟვარდ სივრცეში, როგორც მარმარილოს ბურჯები და გიგანტიური პირამიდები. მათი მეფური სიმშვენე ცვალებადია დილით, დღისით და საღამოს, მაგრამ მარადის დიადი და მომხიბლავია.

სურამის მთები, რომელნიც ჰყოფენ დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთისაგან, საკმაოდ სიგრძისა და სიგანისა არიან და წარმოადგენენ ნაწილს მთის სამთობს. მისი დასავლეთი კალთები თანდათანობითი გადადის უფრო ნაზ ბუნებისაკენ და რამდენიც მეტად უახლოვდება ქვემო იმერეთს, იმდენათ მეტათ იგრძნობის სამხრეთი. რაც შეეხება ზემო იმერეთს, ამ ლამაზ ლეთიან ადგილს, ის ჯერ კიდევ ბევრით წააგავს ქართლს. მიუხედავათ იმისა, რომ ეს კუთხე მხიანია, მდიდარია სახნავ-სათესავ ადგილებით და ხეხილში მრავალი თვალგადაუწვდენელი მინდორი, სავსე შემოსილი ყანით, ახარებს ადამიანის თვალსა და გულს.

ზემოიმერეთის სილამაზე ფერადოვანია და ადგილ-ადგილს მოჯადოებელია, თვით შავი-ქვის მადნეობის მახლობლადაც-კი. ზემოიმერეთის სილამაზე წარმოსდგება არა მარტო მთების, ველის და მდინარეების მხრით, არამედ მდიდარი მცენარეების ხშირითაც. მთა და ველის ყველა მისახვევში ჩასახული მშვენიერი სურათები დაუშრეტელი მასალაა მგოსნისა და მხატვრისათვის. აქ, ამ ნახევრად საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთის კუნჭულში, დაიბადა ქართველ ლირიკოსთა მეფე, აკაკი წერეთელი, რომელიც ისეთის აღფრთოვანებით უმღეროდა ბუნებას.

წიფის გარდა, ზემოიმერეთის საუნჯეში, არის აგრეთვე მდინარე რიონი, რომელიც აქ, თავის სათავეში შესანიშნავია იშვიათის სიტურფით. იმ დროს, როცა სხვა მდინარეები არ განირჩევიან განსაკუთრებულის სილამაზით, რიონის მიდამოები, ქუთაისს ზევით, ერთი განუწყვეტელი ტყის სამოთხეა. საზოგადოთ საქართველოს მდინარეები მხოლოდ თავის სათავეში არიან შემკულნი დიდის სილამაზით.

ზემოიმერეთის მთიან სილამაზეს არ დაუვარდება სიმშვენიერე ქვემო-იმერეთისაც, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავს მნახველი. ეს ნამდვილი ტურფა სამხრეთია ორი მარგალიტით: ბაღდადით და ქუთაისით. იმერეთის დედა-ქალაქი შემკულია სამოთხისებრი ბუნებით და მდებარეობით. ზემო-იმერეთისათვის უცნობი ბევრი მცენარე აქ უხვათ ხარობს და მისი დაუჭკნობელი მწვანით მოქარგულია საუცხოვო ველები და გორაკები. მაღალი მთები მხოლოდ გალავანივით ამართულნი არიან ქვემო-იმერეთის ერთ მხარეს. თუმცა შიგნითაც, აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის მხარეს, ის მორთული არის დაბალი მთების ძვირფასი გვირგვინით. კეთილი იყო აზრი იმ ხალხისა, რომელმაც ათასი წლის წინ გააშენა აქ ქუთაისი, იმერეთის მომავალი დედა-ქალაქი. ჩრდილოეთიდან ქუთაისი დაფარულია სიცივისაგან მაღალი მთებით, მეორე მხრიდან შემორტყმულია ნაყოფიერი და მდიდარი მიდამოებით. რა ლამაზი უნდა ყოფილიყო ეს ქალაქი ძველ დროში, როცა აქ მთაზედ ამართული იყო ძველი სასახლე და ტაძარი, რომელთა სიმშვენიერისაგან შერჩენილია მარტოოდენ ნანგრევები! ყველაფერი ნაზია და კეკლუცი აქ, და ვერ ძღება თვალი და გული მისი სიმშვენიერით!... ქუთაისის მიდამოები დაფარულია თბილი სამხრეთის მცენარეებით და მის ახლო მდებარე ადგილები შესანიშნავია საქართველოს წარსულის და არქიტექტურის ძვირფასი ნაშთებით: გელათი და მოწამეთა. გელათის მონასტერი აშენებულია ისეთს მარჯვე ალაგს, რომ მართლაც მთელი მხარის სამკაულია. არქიტექტურა შეფარდებული უნდა იყვეს ბუნებასთან და აძლიერებდეს მის სილამაზეს. გელათის მონასტრის აივნიდან გადასახედი დიდებული და მომხიბლავია, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მეფების რამდენი თაობა გადაჰყურებდა აქედან მშვენიერს სურათს, გადაშლილს მთელს ქვემო-იმერეთზე და სამეგრელოზე შავი ზღვის ნაპირამდე! მაგრამ ეს გულუბრყვილო ხალხი ვერ სწვდებოდა ბუნების კანონის სიღრმეს და მისი სილამაზე მათთვის იყო უცნაური და გაუგებარი.

დღევანდელი ქართველები უფრო ფართო თვალსაზრისით უყუ-

რებენ ბუნების სილამაზეს, ვიდრე წარსულ საუკუნეთა პერიოდში, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც ნაკლებ იქცევენ მას და არც პოეზიაში, არც მხატვრობაში ტურფა იმერეთმა ვერ მოიპოვა ღირსეული ყურადღება. როგორც კახეთი და ქართლი, იმერეთი შემოზღუდულია ჩრდილოეთიდან კავკასიონის ქედის მაღალი ციხე-გალავანით. ყველაზედ უმაღლეს მთების წინ გაჭიმულია სვანეთი. ეს პატარა კუნჭული, რომელიც თავისი ბუნებით და ხალხით სრულიად განსხვავდება იმერეთისაგან. როგორც თუშეთში და ფშავ-ხევსურეთში, აქაც კულტურა ჯერ სავსებით მიუწვდომელია და მთელი ცხოვრება პირველყოფილია, მაგრამ სვანეთი ლამაზი და საინტერესოა. სამწუხაროთ ქართველნი ძლიერ იშვიათათ ესტუმრებიან ამ ცივს მხარეს და მგონი ჯერ არც ერთი პოეტი და მხატვარი სვანეთს არა სწვევია. სვანეთის კარგი აღწერა შეადგინა გერმანელმა მწერალმა მერცბახერმა, რომელმაც გადიარა სვანეთი და იქიდან ავიდა იალბუზზე და უშბაზე. ამ ორი მწვერვალის და მათ შუა სხვა მყინვარების გადასახედი შეუდარებელი და უმშვენიერესია მთელს კავკასიონის ქედზედ და ეს კიდევ ბევრისთვის უცნობი სურათები ფოტოგრაფიულად გადაღებულია მერცბახერის მიერ ორასი სხვა და სხვა მხრიდან. ტფილისში გერმანულ გიმნაზიის მასწავლებელმა ბაუმჰაუერმა შეადგინა მთელი რიგი მშვენიერი სურათებისა ყაზბეგის და მისი მიდამოებისა. კავკასიონის ქედის ზემო მთები საქართველოს ჩრდილოეთით აფხაზეთიდან დაღესტნამდე წარმოადგენენ სილამაზის და საზოგადოთ ბუნების საინტერესო მოვლენათა უმდიდრეს საუნჯეს და ამ მდიდარი მასალის დამუშავება და გამოქვეყნება მოუხვეჭდა ქართველთ დიდ სახელს.

იმერეთის ქედი არ არის ისე დაქანებული, როგორც კახეთში; აქ მთები ადის ტერასებად და ეს ტყიანი საფეხურები მეტად ნაირი და მხატვრულია. ამგვარად, სამართლიანი იქნება ჩაითვალოს იმერეთი საქართველოს ყველაზედ ლამაზ და ფერად მხარედ. მაგრამ ამ ფერადმა და ლამაზმა ბუნებამ ჯერ კიდევ ნაკლებ გაიღვიძა შემოქმედებითი ძალა ქართველი პოეტებისა და მხატვრებისა. მარტო აკაკი წერეთელი უმღეროდა მეფურის სიდიადით მშობელ ბუნებას, თუმცა, როგორც წინ უკვე ვსთქვი, ის არ აღწერს გარკვეულ ცალკე ალაგებს. ეჭვი არ არის, მომავალი თაობა იძიებს და მოიპოვებს აღფრთოვანებას თავის მხარის სილამაზეში, რადგანაც ფუჭი არ არის რწმენა, რომ სილამაზე ასაზრდოებს პოეტის და მხატვრის ოცნებას. სად იპოვნეს პუშკინმა და ლერმონტოვმა მასალა თავის საუკეთესო პოემებისა? რუსეთში კი არა,—საქართველოში. სად სწერდნენ ბაირონი და შელლი თავის უკვდავ თხზულებას? ნისლიან ინგლისში კი არა,—კამკამა სპეტაკ იტალიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავითარი ბუნებრივი მიჯნა არ არსებობს იმერეთსა და სამეგრელოს შუა. ძველი კოლხიდა—ნესტისა, ჭაობისა და ტყეების მხარეა. მისი ტყეები მე-19-ტე საუკუნის განმავლობაში თითქმის ნახევრად შემცირდა. უწინ სამეგრელო რაღაც საიდუმლოებით იყო მოცული ბერძნების თვალში, რადგანაც ისინი უჩვევნი იყვნენ იმ დაბურულ ტყეებს, სავსეს უზარმაზარი ხეებით და უთვალავი ყვავილებით, რომლითაც დაფარული იყო სამეგრელო. მაღალ, ყინულით დაფარულ მთებს განცვიფრებაში მოჰყავდა ბერძნები, რადგანაც ეს შედარებული იყო ყველა იმასთან, რაც უნახავთ საბერძნეთში, სადაც პატარა ოლიმპი მიაჩნდათ თავიანთ ღმერთების უმაღლეს სამყოფელოდ. დღეს სამეგრელომ დაჰკარგა თავისი საიდუმლოება, მთელი მისი ქვევითი ნახევარი გაჩეხილია და თითქმის გაშიშვლებული. სამაგიეროდ ამ ლამაზ სამეგრელოს მთიანი ალაგი ჯერ კიდევ ხელუხლებელია და სავსეა მდიდარი ტყით. ზემო-სამეგრელო თავის მთების და ტყეების სიმშვენით წააგავს ზემო-იმერეთს, რომელსაც სჯობიან მხოლოდ თავისი მრავალი მდინარეებით. საქართველოს არც ერთს მხარეს არ მოეპოვება იმდენი მდინარე, როგორც სამეგრელოში, რომელიც გაჟღენთილია წყლით. ცხოვრობს რაღაც განსაკუთრებული ცხოვრებით და თვისი მცენარით დიდათ განირჩევა უფრო მშრალ იმერეთისაგან. შეიძლება ითქვას, რომ ქვემო-სამეგრელო არის ჭაობების, სიმინდის ქვეყანა. ეს არის მისი უმთავრესი დამახასიათებელი. და შუა სამეგრელოს კი მაღლობი ახასიათებს. გერმანელმა მწერალმა ზუტნერმა დასწერა რამდენიმე მოთხრობა სამეგრელოს ცხოვრებიდან, სადაც ნიჭიერად არის გადმოცემული შუა-სამეგრელოს რამდენიმე სურათი. ეს სურათები დახატულია ისეთის სიცხოველით, რომ მკითხველს ებადება მოუთმენელი სურვილი ამ ზურმუხტის კუნძულის ნახვისა. მეგრელთა არქიტექტურა სადაა და მოკლებულია ყოველივე თავისებურებას; ვერც ერთს ალაგს ვერ მოიპოვება ისეთი შენობა, რომელიც აცხოველებდეს გარემო ბუნების სილამაზეს. არც ზუგდიდი, არც ახალსენაკი და არც თვით ფოთი არ აღინიშნება რაიმე თავისებურობით, რომელსაც უნდა მიეცა ბუნებისათვის ერთგვარი ელფერი. მხოლოდ მარტვილის ტაძარი, მოთავსებული მარჯვე ადგილს, შეადგენს მთელ სამეგრელოს ერთად-ერთ საარქიტექტურო საუნჯეს. ფოთი მდებარეობს დაბალს, ულამაზო ადგილს, რიონის ულამაზო ნაპირზე, და თვით ზღვის სიახლოვეც თითქმის არაფერს არ უმატებს მის შნოსა. ულამაზო ზღვის ნაპირი გაჭიმულია თითქმის ქობულეთამდე, სადაც თავდება ჭაობიანი სამეგრელო და იწყება ბათუმის ედემი.

იმის შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით მოთავსებულია პატარა გურია: ქვეყანა ნესტიანი დაბისა და მშვენიერი მთებისა, ნაზი და ცოც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალი ქალებისა, და მომქმედ და ცნობისმოყვარე კაცებისა. როგორც საზოგადოთ მომეტებული რიცხვი საქართველოს ნაწილებისა, გურია იყოფა ორს სხვადასხვა კუთხედ: ქვემოდ-გურიად, თავისი განსაკუთრებული მცენარეებით, და ზემო-გურიად. ქვემო თბილია და ზემო ცივი. გურიის მთების, ველის და მდიდარი მცენარეების საზოგადო სურათი ფრიად ლამაზია. ბევრი მხრიდან გურიას აქვს მხატვრული გადასახედი ზღვისაკენ, რომელიც უხვად სთავაზობს მას წვიმას და ნესტს.

დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი შემორტყმული და გალამაზებულია შავი ზღვით, მაგრამ არსად მისი ნაპირი არ შვენის ისე, როგორც ბათუმის მხარეს; აქ ზღვა ამშვენებს დედამიწას და დედამიწა ზღვას. ეს დიდებული სტიქია თითქოს უცხოა ქართველთათვის, რომელიც, როგორც მეცნიერებაში, ისევე პოეზიასა და ხელოვნებაში, საზოგადოდ ზღვას სულ მცირე ყურადღებას აქცევენ:

ბათუმის მიდამოში ლამაზი ალაგები იწყება ქობულეთიდან. თუმცა ეს სოფელი არ განსხვავდება არც განსაკუთრებითი ლამაზი ადგილით და არც მდიდარი მცენარით, საზოგადოთ-კი ეს კუთხე სასიამოვნოა და ზღვის ნაპირი განიერი. ბათუმთან ახლო იწყება გაფურჩქნილი სამხრეთის მცენარე და პატარა მთები, რაც ერთად შეადგენს იმ ედემს, რომლის მზერითაც ვერ ძღება ადამიანის თვალი. ბაღები მორთულია კვიპაროსით და დაფნით, პალმებით და მაგნოლიით, და სხვა იშვიათი მცენარეულობით და ღრმა შემოდგომამდე, თვით შუა იანვარში, განუწყვეტლივ ყვავის მრავალი მათგანი. მთები მდიდრად არის შემოსილი ხეებით, ბუჩქებით და ყვავილებით და ყველგან მოსჩანს ზღვის ზურმუხტი სარკე. ხშირად, როცა მთელი კვირაობით მოდის განუწყვეტელი წვიმა და შავი ღრუბლები ეფარებიან ცის ლაჟვარდს, ზღვაც ღონდება და მისი სარკე იორთქლება მუქი ნისლით, მაგრამ მაშინაც კი არ ჰკარგავს თავის სილამაზეს და და მისი სურათი სავსეა სევდიანი პოეზიით. ამისთანა ამინდში შავი კვიპაროსები უფრო მეტად ალამაზებენ ზღვის ნაპირს და მაღალი, თოვლით დაფენილი აჭარის მთები ნაღვლით დასცქერიან ამ დაბურულს სურათს. მე მახსოვს ჩემი ბათუმში ყოფნის დროს, როცა ასეთ ამინდში ზღვის ნაპირი ცარიელი იყო. მე მაინც ხშირად მივდიოდი იქ და ვსტკბებოდი მისი დიდებული სურათით. დიდი ხნის განუწყვეტელი წვიმის შემდეგ ხშირად ღრუბელი უცებ იფანტება და გამოდის კაშკაშა მხიარული მზე. ეს სანეტარო დღეებია, ლაჟვარდი ცა მოკრიალებულია და დაფერილი მზის ოქროს სხივებით, რომელნიც თამაშობენ წყნარი ზღვის ლურჯ სარკეში. ამისთანა საამურ დღეებში ამ ედემის სიმშვენე მკაფიოდ წარმოსდგება მთელის თავის სავსებით და საითაც გინდა მიბრუნდე, ყველგან თვალი სტკბება ლამაზ სურათთა უთვალავი რიცხვით. აჭარის მთები, ბათუმის უმშვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერესი ჩარჩო, მზის შუქზე წარმოადგენენ საუცხოვო სურათს თვი-სი ტყით-შეფენილ კალთებით და შორსატყორცნილ თოვლიან მწვერვალებით. ბათომიდან სამხრეთით ნაზი ბუნება იცვლება და ჭოროხის მიდამო უკვე უფრო ძლიერს და ლამაზს სურათს გვაძლევს.

საქართველოს ნაირს ბუნებას ბადალი არა ჰყავს მთელის ქვეყნიერების ზურგზედ. საზოგადოთ საქართველო ეკუთვნის უმშვენიერეს ქვეყანათა რიცხვს და წარმოადგენს დაუშრეტელ მასალას როგორც ხელოვნებისა, ისე მეცნიერებისათვისაც.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ალაზნის ველი

მკრთალდებოდა თიბათვის თბილი ღამე... აღმოსავლეთით, იქ, სადაც კავკასიის მთებ შორის სდგას სიღნაღი, ჰორიზონტი იშორებდა თავის მუქ პირ-საბურავს და ალაზანსაც მოედო ელვარება.

როდესაც იმდენათ განათდა, რომ შეიძლებოდა საგნების გარჩევა, მე ნელნელა გავემართე წინანდლიდან მახლობელ მთისკენ..

ნეტარებაა ზაფხულში დილით მარტო სიარული, როცა მთელი სამყარო გეჩვენება წმიდათა-წმიდად!!

ირგვლივ სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ ახლად გაღვიძებულ ფრინველების გაუბედავი ჭიკჭიკი ისმოდა. იღვიძებდა სოფელიც, რომელიც მივატოვე და ნელ-ნელა ვიწრო ბილიკით ზევით ავდიოდი.

აღმოსავლეთით ცა მთლად განათებული იყო, მხოლოდ შუაგულში მოსეირნე პატარა შავი ღრუბლები მწუხარე იერს აძლევდა. ასეთივე მწუხარე და სევდიანი იყო კავკასიის მთების კედელი, ასევე მწუხარეთ გამოიყურებოდა ალაზნის ველი დასავლეთისაკენ. მხოლოდ აღმოსავლეთით უკვე ბრწყინავდა ალაზანი ვერცხლისფერ ზონარად და მიემურებოდა შორს, სადღაც აღმოსავლეთისკენ. შავ წერტილებად მოსჩანდა ალაზნის მეორე ნაპირიდან სახლები და ვენახები.

ნელნელა ავდიოდი სულ ზევით და ზევით. იქვე, მახლობელ წყაროს ჩურტული ისმოდა. მე მოველ ახლო და ქვაზედ ჩამოვჯექ. აღმოსავლეთით ცას ოქროსფერი ზეწარი გადაეფარებოდა. ის-ის იყო, მზეც ამოსულიყო და ალაზნის მარცხენა ნაპირზე უფრო გარკვევით მოსჩანდა სახლები, საყდრები და ვენახები.

მოსჩანდა ყვარლის სიმაგრე, ენისელის დაჩრდილული ბალ-ბოსტნები და კავკასიის მთების მედიდური მწვანე კედელი.—იქ, მაღლა, უკვე იღიმებოდა ნორჩი დილა. სინათლეს გაემარჯვნა. ავდექი, დავლიე წყაროს ცივი წყალი და გზას შევუდექ. ჩემს თავზედ, მაღლა, სიცოცხლით სავსე ტოროლები დასრიალებდნენ და მღეროდნენ.

აღმოსავლეთი აინთო. მზემ ოქრო და ვერცხლით დაჰფარა: ალაზნის ველი, სოფლები, ბაღები, მთაზედ მდგომარე თელავი, ცივი მთა, დასავლეთით ტყიანი მთები, თიანეთს რომ მალავენ. მთელი ეს გრძნეული სურათი განათებული იყო ახალ ოქროს მზით.

სინათლე და სიცხოველე ყველგან, მაღლა თუ დაბლა, მიწაზედ თუ ცაზედ! ელავს ალაზანი თავის მწვანე ნაპირებ შორის და შორს სადღაც, დასავლეთით, იმალება ფერმკრთალი მთვარე.

# ზღვის სიმღერა

რა საყვარელია და საამო ზღვის ტალღების სიმღერა! მიყვარს ყოფნა ზღვის ნაპირას და საათობით შემიძლიან ყური ვუგდო ტალღათა დუდუნს. ხშირათ, ძალიან ხშირათ მომისმენია ბათუმში ტალღათა სიმღერა, ბულვარზედ პალმებისა და კვიპაროსების ჩრდილში, კაპანდიდში, ქობულეთში, ჩაქვში და ფოთში.

კარგია ბათუმის ბულვარი დილით ან გვიან საღამოთ, როცა ცოტაა მოსეირნე ხალხი და თავისუფლათ შეიძლება დასტკბე ტალღათა ღიღინით. მარცხენა მხარეზე გაჭიმულია მთიანი აჭარა, მისი მედიდური მწვანე მთები გიგანტურ სვეტებადაა აზიდული მოლურჯო ჰაერში. როცა მზე ბრწყინავს, ისინიც მხიარულნი არიან, მაგრამ როცა ღრუბლებით დაიჩრდილება ცა, მაშინ მწუხარეა მათი კალთებიც. ასევე ცვალებადია ზღვის სარკე, თუმცა ყოველთვის ისმის ტალღების სიმღერა და ნაპირებზე ხათქა-ხუთქი. მაგრამ ყოველთვის ერთ ჰანგზე არა მღერის ზღვა. ის მღერის ათასნაირ სიმღერებს და როგორც ხმა ქარისა, ისე იცვლება ტალღების ხმაც.

ზაფხულში, როცა ბათუმს მთელი კვირაობით ანათებს მზე და ზღვა გაჭიმულია, როგორც უძრავი სარკე შორეულ ჰორიზონტამდე, მაშინ ტალღები მშვიდ და წყნარ ჰანგზედ მღერიან სულიერ სიმშვიდის სიმფონიას, რომელიც აწყნარებს ადამიანის აღელვებულ სულს და შეჰქავს უხილავ ოცნებათა ციხე-სიმაგრეში. მაგრამ ხშირად ზღვას არა სძინავს მზის სინათლეზე, ამოვარდება ქარი, ცოცხლდება ზღვა და პატარ-პატარა აქაფებული ტალღები ზევით სივრცეში იკარგებიან. ტალღები ხმას იმაღლებენ.—კარგია ასეთ დღეებში საღამოობით ზღვის ნაპირზედ ყოფნა, როცა სუნთქავ სუფთა ჰაერით და ყურს უგდებ გაგიჟებულ ტალღებს!...

შემოდგომობით ბათუმი ჰკარგავს თავის მომჯადოვებელ სიმწვანეს. მაგრამ მწვანედ რჩებიან ტანმაღალი კვიპაროსები, ეს მწუხარების კეთილშობილი ხეები. პალმები, ლიბანის ნაძვი, სამხრეთის და მრავალი სხვადასხვა მცენარეები.

შემოდგომის და ზამთრის დარიან დღეებისთვის, რომელნიც აჭარაში მთელი კვირაობით მისდევენ ერთი-მეორეს, ეს მუქი-მწვანე ხეები წარმოადგენენ ნამდვილ, შესაფერის დეკორაციას. ვინაც არ უნახავს ბათუმი და აჭარა ზამთრის სცივიან დღეში, ვისაც არ უნახავს მუქი კვიპაროსები ასეთ ბნელ ამინდში, მას არ უნახავს და არ იცის, რა არის ბუნების მწუხარება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ სიბრაზეც იცის ბუნებამ, ზღვამ! ხანდახან რამოდენიმე დღე ზღვა შფოთავს და ხმაურობს. ქარიშხალი მაღლა სივრცეში ისვრის ტალღებს. გაჰქრენ ლურჯი ტალღები რძესავით თეთრ ქაფით: ეხლა ზღვის თვალუწვდენელ სივრცეზედ უზარმაზარი ჭუჭყიანი მთებია ამართული, რომლებიც ერთი-მეორეს გააფთრებული ეჯახებიან. ეს აღარ არის ტალღების ნაზი სიმღერა, ეს ქუხილია. გაცოფებული ქუხილი ზღვისა, ეს საშინელების სურათია, სტიქიის ძალთა შებმა და ჭიდილი.

მაგრამ ეს იშვიათი ხდება!

ძალიან ხშირად, შფოთიან ღამის შემდეგ, დილით ცა მოწმენდილია, ქარი ნელდება, ზღვა კი ძალიან ნელა მშვიდდება და ტალღათა ბობოქარი ხმა მაინც ისმის.

გაზაფხულობით, როცა ბათუმის ახლო-მახლო მიდამო მწვანე სამოთხედ გადაიქცეოდა ხოლმე, ხშირად დავეძებდი მე ბედნიერებას მახინჯაურში და ჩაქვში და ვპოულობდი კიდეც. მთების კალთები დაფარულია მწვანე ხეებით, ჰყვავიან როდოდენდრონები და აზალიები, ქვევით ბაღებში ათასნაირი ვარდების სურნელია, სადმე მიყრუებულ ადგილას ბულბული უსტვენს და მთელი ბუნება ხარობს მზის თბილ სინათლეზე და ლურჯი ზღვა მშვიდათ ღუღუნებს თავის მარად სიმღერას.

ჰო, ეს მშვიდი ჰანგია, რომელიც ამშვიდებს ადამიანის სულსა და გულს! ჰო, ვინც ბედნიერებას ეძებს, ის გაზაფხულზე უნდა მოვიდეს ზღვის ნაპირას და უნდა დასტკბეს ბუნების სიმწვანით, ყვავილთა სურნელით და ზღვის ტალღათა სიმღერით.

ეს არის ბედნიერება!...

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი დღე სოფელში

ეს იყო სწორედ იმ დროს, როცა თბილისში ჰყვავიან თეთრი მაგნოლიები და ბროწეულის წითელი ყვავილები. ერთმა მეგობარმა დამპატიჟა მთელი დღით თბილისის მახლობელ სოფელში. მე ყველაზე ადრე მოველ, რადგან მიყვარს ბუნება დილით, როცა ჯერ კიდევ გრილია ჰაერი და სიჩუმეც არ დარღვეულა.

სახლი ძველი იყო, გასულ საუკუნის ოცდაათიან წლებში აშენებული. მისი თეთრი კედლები ახალსა ჰგვანდნენ და სახლის სიძველეს მხოლოდ გაშავებული კრამიტის სახურავი, აივანი და კარები ამჟღავნებდნენ. სახლს პატარა ბაღი მისდევდა, სადაც ორი მიმოზის ხე იდგა და რომელთა ნაზი ყვავილები ყოველ წლივ ახარებდნენ ჩემს გულს. აქვე იყო დიდი კაკლის ხე განიერ, დაჩრდილულ გვირგვინით, რომლის ქვეშ ზაფხულობით სასადილო მაგიდა იდგა.

მაგრამ ყველა ხეებს თავს დაჰყურებდა მაღალი კვიპაროსი. ამ ბაღში ჰყვაოდნენ ქართულ წითელ ვარდების ბუჩქები. მათი სურნელი მთელ ბაღს აკეთილშობილებდა. მე მიყვარს ეს ვარდები. სწორედ ამ ვარდებს ჰგულისხმობდნენ წინანდელი ქართველი პოეტები, როდესაც უმღეროდნენ „ვარდს და ბულბულს“. ამ ლამაზ ვარდების რამდენი თაობა ჰყვაოდა და სჭკნებოდა საქართველოში საუკუნეების განმავლობაში! რამდენი სახელგანთქმული და რამდენი უსახელო პოეტი შეასხამდა მათ ქებას და რამდენი ლამაზი ქალი დამღეროდა ამ ლექსებს! ვარდები, ლამაზი ქალები, ბულბული — ყველა იყვნენ, სცოცხლობდნენ, ჰხიბლავდნენ ერთმანეთს და გაჰქრნენ უკვალოთ, მაგრამ მრავალი ლექსები და სიმღერები დარჩა, რომელნიც დღესაც ახარებენ ქართველის გულს.

ეს პატარა ბაღი ქართველი იერის უბრალო ბაღი იყო, მაგრამ ლამაზი და კოხტა: წააგავდა ერეკლე მეფის დროის თბილისის ბაღებს. სახლიც სწორედ შეეფერებოდა ბაღს. მისი მორთულობა მოგაგონებდათ ძველ ქართულ სახლებს. ტახტები, მუთაქები, ხალიჩები შეადგენდა ამ სახლის მთავარ მოწყობილებას, მხოლოდ სასადილო ოთახში იყო ევროპიული ავეჯი, რომელიც არაფრით არ იზიდავდა ადამიანის ყურადღებას.

სასადილო ოთახი დიდი იყო, რადგან სახლის პატრონი სტუმართ-მოყვარე კაცი იყო. აქ ის ხშირად მასპინძლობდა, აქ ქეიფობდნენ მისი სტუმრები, მუსაიფობდნენ, მღეროდნენ, მხიარულობდნენ და ხანდახან... ჩხუბობდნენ კიდეც, მაშინდელ ქართველების ჩვეულებისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დილით, როცა მე მოვედ, კაკალს ქვეშ სუფრა გაშლილი იყო. ჩვენ შევექეცით ძმიან ჩაის და ქართულ პურსა და ყველს. აქ იყო სამი მაღალი ტანის ქართველი. ორი მათგანი ისე ჩქარა სჭამდა და სვამდა, თითქოს რკინის გზის სადგურზედ და მატარებელზე უგვიანდებათ. ეს იყო: პატივცემული იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე, შავ სერთუკებში გამოწყობილნი. თუმცა ორივენი ერთმანეთს ბევრით წააგავდნენ, მაგრამ განსხვავებაც დიდი იყო. ორივე ქართლელ ღვდლის შვილები იყვნენ, სწავლობდნენ სემინარიაში, საიდანაც გამოიყოლიეს სემინარიელის დაღი, და რომელიც მთელი სიცოცხლე ემჩნეოდათ. ორივე ახალგაზრდობაშივე დაუმეგობრდნენ ერთმანეთს. უყვარდათ საქართველო და ამიტომ აირჩიეს სამოღვაწეოდ მასწავლებლის ასპარეზი. მაგრამ გოგებაშვილმა მალე თავი დაანება მასწავლებლობას და დასწერა პირველი ქართული სახელმძღვანელოები, რომლებითაც დღესაც მრავალი ქართველი ბავშვები სწავლობენ წერა-კითხვას. ნიკო ცხვედაძე არც მწერალი იყო, არც მოაზროვნე; სამაგიეროდ მას ჰქონდა დიდი მოთმინება, ნებისყოფა და უყვარდა მუშაობა, ყველა ამის მეოხებით მან შესძლო არაფრისაგან აეშენებინა პირველ ქართულ გიმნაზიის დიდი შენობა (აწინდელი უნივერსიტეტი). ორივე მეგობარი გრძნობდა, რომ მხოლოდ ქართული აღზრდის საშუალებით შეიძლებოდა ქართული კულტურის ამაღლება, ამიტომ ბევრს იბრძოდნენ ქართულ სკოლისთვის. ისინი იყვნენ ქართული სკოლის კეთილშობილი ფანატიკოსები და თვით მისივე ნამდვილი შემქმნელები. მათი სიცოცხლის მიზანი იყო ბრძოლა ქართული სკოლისთვის.

მაშინ (1886 წ.) ისინი ახალგაზრდები იყვნენ. მათ გვერდით იჯდა რაფიელ ერისთავი, მაღალი ტანის მოხუცებული, თეთრ-წვერა, წყნარი, რომელიც არც თავის გარეგნობით, არც ლაპარაკით არავითარ დიდ შთაბეჭდილებას არა სტოვებდა, მაგრამ ის იყო ნამდვილი პოეტი და როცა გოგებაშვილი და ცხვედაძე გატაცებული კამათობდნენ, ის დინჯად ათვალიერებდა გარშემო მიდამოებს და სტკბებოდა მათი სილამაზით. ისმოდა ირგვლივ ფრინველების ჭიკჭიკი და ბზაური.

მალე ჩვენს საზოგადოებას ახალი სტუმრებიც მოემატა. ეს იყო ილია ჭავჭავაძე და მისი მარჯვენა ხელი — გიგო ყიფშიძე, ვაჟაფშაველა და ვანო მაჩაბელი. არაჩვეულებრივი ახალგაზრდა ყმაწვილკაცები იყვნენ ესენი: ორი თავადი და ორი ღვდლის შვილი. ილია ნელა, თითქოს სიფრთხილით გადმოვიდა ეტლიდან და ვიდრე შემოგვიერთდებოდა, თვალი მოავლო არე-მარეს. შემდეგ დინჯად მოუახლოვდა მაგიდას და ღიმილით უთხრა გოგებაშვილს — შენი აქ ყოფნა მიკვირსო. რამ მოგაწყვიტო ეს ამბავი, რომ შენ თბილისი მიგიტოვებიაო, ეუბნებოდა ილია სიცილით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



იმ დროის ქართველებში ბლომად იყვნენ ისეთები, როგორიც გოგებაშვილი, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს თბილისში ატარებდა, ბორჯომში თუ და გაემგზავრებოდა საზაფხულოდ. ილია ჭავჭავაძემ და ვანო მაჩაბელმა თან მოიტანეს ქართული იუმორი. ილია ეხუმრებოდა გოგებაშვილს და მაჩაბელიც შველოდა. ჩქარა ყველანი გავმხიარულდით.

ვანო მაჩაბელი და ვაჟა-ფშაველა ორი ურთიერთის საწინააღმდეგო პოლიუსებს წარმოადგენდენ. ვაჟა-ფშაველას ჩოხა-ახალუხი ეცვა და მთელ თავის გარეგნობით არაფრით არ განსხვავდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებლებისაგან. ის გეგონებოდათ ან გლეხი, ან აზნაური. თვითონ თავის თავს გლეხს ეძახდა და მართლაც ის გარეგნობას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, როგორც ყველა მაშინდელი სემინარიელები. ვანო მაჩაბელი, მასთან შედარებით, ევროპიელი ფრანტი იყო. ვაჟა-ფშაველა მთელ თავის პოეზიის ოქრო-სიმდიდრეს პირველ-ყოფილ ფშაურ კულტურიდან და თავის მთიან სამშობლოს ბუნებიდან იღებდა. ვანო მაჩაბელი კი სცდილობდა, რაც შეიძლება, ბევრი რამ გადმოენერგა ქართულ ნიადაგზე დასავლეთ ევროპის გონების ნაჭირნახულევი. ვაჟა-ფშაველა დამოუკიდებელი შემოქმედი იყო, ვანო მაჩაბელი კი—სხვის, უცხო ნააზრევის და შექმნილის გადმომქართულებელი.

მალე აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე და პეტრე უმიკაშვილიც მოვიდნენ. აკაკი მედიდურათ მივიდა მაგიდასთან, როგორც გონების საქვეყნო მპყრობელი და სცდილობდა მაშინათვე სათავეში ჩასდგომოდა ბაასს. მან რამდენიმე ჭკუამახვილი სიტყვა გადმოისროლა, რამაც დიდი ხარხარი გამოიწვია, თვითონ კი სერიოზული სახე შეინარჩუნა.

ანტონ ფურცელაძემ, ჩვეულებისამებრ, როგორც კი შეამჩნია, რომ კამათი სხვა და სხვა საკითხებს შეეხებოდა და არა ლიტერატურას, მაშინვე მოითხოვა, რომ ილია ჭავჭავაძეს დაეწყო ლიტერატურაზედ ლაპარაკი. „მე ვიცი, რომ შენ არ შეგიძლიან ულიტერატუროთ ცხოვრება, მაგრამ ლიტერატურას კი შეუძლიან გასძლოს უშენოთ,“—უთქვა ილიამ. არავინ არ იცინოდა ბოროტათ. საუბარი მხიარული ტონით მიდიოდა. მაშინდელ დროში ყველა ეს პოეტები შეადგენდენ ერთ პატარა ოჯახს და სრულიად არ ფიქრობდნენ პარტიებად დაყოფას.

ჩქარა ავიშალენით და სასეირნოთ გავემართეთ. იქვე ახლოს მთის ძირას მწვანეზე დავსხედით. გავყურებდით მინდორს, საიდანაც მოისმოდა ახალგაზრდა გლეხის სიმღერა. ჩვენ იმდენათ მოგვეწონა ეს სიმღერა, რომ ერთხანს მთლად გავჩერდით და გატაცებული ყურს ვუგდებდით. შემდეგ ილია გლეხს გამოელაპარაკა, რომლის პასუხებიდან აშკარათ გამოჩნდა მისი ინტელიგენტობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„აი რამდენი საუნჯე ილუპება სოფელში ტყუილუბრალოდ“.— შენიშნეს ზოგიერთებმა და ჩავფიქრდით ყველა.

აქედან, სადაც ვისხედით, მოსჩანდა ორი ქართლური სოფელი დანგრეულ, მობრეცილ მიწურ სახლებით. არსად არ იყო მწვანე. ორივე სოფელი ძალიან საწყალი შესახედაობისა იყო.

ახალ მატერიალურ ცხოვრების დასაფუძნებლად უძლური იყო ყოველგვარი საშუალება გონებრივის აღორძინებისა.

ხომ ქართულ მატერიალურ ცივილიზაციას, რომლის ფესვები ღრმად იყო ჩამალული საშუალო საუკუნეებში, რამდენიმე თაობას გამოცვლა დასჭირდა მე-18 საუკუნიდან მე-19-მეტეში გადასასვლელად. იმათ კარგათ იცოდნენ თავისი მატერიალური უძლურება, ამიტომ სცდილობდნენ გონებრივ სფეროს გაფართოვებას, სადაც მათი გზა ისევ ძნელი და მძიმე იყო.

ჩვენ ნელ-ნელა დავბრუნდით, ავუარეთ მარანს, რომლის გვერდით იდგნენ ლეღვის და ბროწეულის ხეები, ეს ქართული ბუნების პირმშო შვილები.

შემდეგ ხილის ბაღში შევედით, დავათვალიერეთ ბოსტანი. იქვე ახლო მოშხუოდა მდინარე. ყველა აქ თავისუფალ ცხოვრებას მისდევდა: მწვანე კიტრები, პომიდორი, ბადრიჯანი, ხახვი, ლობიო, მწვანილეულობა, წითელი სტაფილო და წითელი ბოლოკი. ჩვენი იქ ყოფნის დროს მებაღემ ბოსტანი მოირწყო. გარეთ, გზაზედ, ორი სახედარი სძოვდა ბალახს. როგორც კამეჩი, ისე სახედარი ქართულ სოფლის კუთვნილებას წარმოადგენს.

კაკალს ქვეშ სუფრა გაშლილი დაგვხვდა. ორ დიდ ითევშზედ ეწყო დაჭრილი ქართული პური. დავსხედით თუ არა, ყველა მაშინვე პურის ჭამას შეუდგა, რადგან ქართველებს მემკვიდრეობით ძალიან უყვართ განსაკუთრებით ცარიელი პურის ჭამა და სადილათაც კი ვერ უღალატნიათ ამ ჩვეულებისთვის. სადილი ქართული იყო, ჩიხირთმით, რომელმაც ყველა დააკმაყოფილა. საჭმელების მხრივ ქართველები დიდი პატრიოტები არიან და მართლაც, სტუმრებს ყველას ნერწყვი მოუვიდა პირზე, როცა მოიტანეს ტოლმა, მწვანე ვაზის ფოთლებში გახვეული ხორცი, და შემწვარი ვარიები, ღვინო ქართლური, იყო ადგილობრივი, არ იყო მაგარი. როგორც შევეფერებოდით ამ სერიოზულ მოღვაწეებს, ცოტასა სვამდნენ, არა მღეროდნენ და სასიამოვნოთ მუსაიფობდნენ.

მზე გვესროდა ოქროს სხივებს, მერცხლები დაფრინავდნენ ჩვენს გარშემო. მახლობელ ბაღებში ორი მებაღე მღეროდა და იქვე ლობეს გარედან ისმოდა ნაკადულის ჩქაფა-ჩქფი.

მაგრამ ამ ქართულ სადილს ყველაზედ ძალიან უხდებოდა დარბაისელ ქართველების წმინდა ქართული საუბარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აბდული

(მეზღვაურების ცხოვრებიდან)

აბდული დაიბადა ქობულეთში, სადაც ძველადვე სცხოვრობდენ მისი წინაპარნი ჯერ უკვე მაშინაც, როცა ისინი ქართველ ქრისტიანები იყვნენ. აბდულს მშობელთაგან გაეგონა მოთხრობები იმ დროის შესახებ, მაგრამ მის პაპას აღეარებინა ისლამის სჯული და მიეღო თათრული სახელი, თუმცა კი ცუდად ლაპარაკობდა თათრულს და მის ოჯახში გაბატონებული ენა ქართული იყო. მამა მისმა უკვე უკეთ იცოდა თათრული, ერთხელ სტამბულიც მოენახულებინა და ერთ ლაზთან ერთად ხშირად მგზავრობდა სანდლით ბათომიდან ტრაპიზონამდე.

მაგრამ დაიწყო ომი და ბათომი დარჩა რუსებს.

მაშინ ბათომში დასახლდენ ქართველნი, ქართლიდან, გურიიდან და იმერეთიდან და იმათგან გაიგეს აჭარელებმა, რომ ისინი ყველანი ძმები არიან, რომ ძალათ მოსწყვიტეს საქართველოსა და ძალათვე გაამაჰმადიანეს. ყოველივე ეს ესმოდა აბდულის მამას და სჯეროდა კიდეც, მაგრამ რაღაცა ძალა იზიდავდა მას თათრებისაკენ და ძველებურად დაიარებოდა მეჩეთში. ერთი წლის შემდეგ დასტოვა ქობულეთში თავისი ცოლი და ექვსი წლის შვილი აბდული და გაემგზავრა რიზეს, ლაზისტანში, სადაც სანდლის პატრონი ჰყვანდა ნაცნობი და ათი წლის განმავლობაში იმასთან ერთად მგზავრობდა რიზე-ტრაპიზონის შუა. ბათომს აღარ დაბრუნებულა, არ იზიდავდა, და თურქებთანა და ლაზებთან ყოფნა ერჩივნა. თავის მონაგარს აგროვებდა და როცა უკვე რამდენიმე ასი მეჯიდიე მოაგროვა, ბათომს გაემგზავრა ცოლშვილის სანახავად. აბდული უკვე გაზრდილიყო და ლამაზი ყმაწვილი გამხდარიყო და მამამ რომ დაინახა იგი, მეტად ესიამოვნა. მაგრამ აბდულმა, ისე როგორც დედამისმა, თითქმის სრულებით არ იცოდა თათრული. ეს კი მამას აღარ მოეწონა. მაგრამ როცა დაჰყო რამდენიმე კვირა ქობულეთსა და ბათომში, დამშვიდდა, მით უმეტეს, რომ აბდულს მამასავით უყვარდა ზღვა.

რაკი ასეთი შვილი ჰყვანდა და დამხმარე, გადასწყვიტა ეყიდნა ერთი კარგი სანდალი და ბათომიდან გაეზიდნა ფქვილი ლაზისტანს. რამოდენიმე თვეს ეძებდა ასეთ ხომალდს, მაგრამ ვერ ეშოვნა. ამ დროს იგი ბათომის სანაპიროზე იყო უმეტესად, მოლაპარაკებას აწარმოებდა ბერძნებსა და ლაზებთან, ყავახანებში სვამდა თათრულ ყავასა და სწევდა ყალიონს. აქ მას შეეძლო ხილვა ზღვისა, ნავებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სანდლებისა და ამასთან მოსმენა თათრული ენისა. აბდული კი ამ დროს ბუხტში იყო პატარა ნავით და იჭერდა თევზებს, რითაც არჩენდა დედასაც და თავსაცა. დედა მამაზე ნაკლებით არ ამაყობდა თავისი აბდულით და როცა იგი იდგა მის წინ, თავზე ყაბალახგადაკრული, როგორც ნამდვილი აჭარელი ფრანტი და ლამაზი, დედა სიხარულით თვალებს ამოუკოცნიდა ხოლმე.

ბოლოს, იშოვნა მამამ სანდალი და სასწრაფოდ ემზადებოდა პირველი მგზავრობისათვის ლაზისტანს. სანდალი მეტად კოხტა იყო და საკმაოდ დიდი. სასიამოვნო საცქერალი იყო, როცა ის გაშლილი იალქნებით ქანაობდა ნაპირის ტალღებზე. მაგრამ როცა დასტვირთეს რამდენიმე ათეული ტომარა ფქვილით, მაშინ კი წყნარად დადგა და ანძა და ირხეოდა ოდნავ. როდესაც მამამ გარდასწყვიტა დამხმარედ წაეყვანა აბდული, დედა მწარედ სტიროდა და ჩამოვიდა ქობულეთიდან ბათომს, რომ გამოსთხოვებოდა ქმარ-შვილს.

არა მხოლოდ იგი, სხვანიც ბევრნი მოვიდნენ კოხტა სანდალის საჭვრეტად. მამა გამოცდილი მეზღვაური იყო და შვილის გარდა თან წაიყვანა ერთი ლაზიც, რომელიც უკვე ათი წლის განმავლობაში ეზიდებოდა საქონელს ლაზისტანს.

სუსტი ზურგქარი უდგათ და სანდალიც წყნარად, ურხევად მისრიალებდა სამხრეთისაკენ, თან კი ნაპირს არა შორდებოდა. და მხოლოდ იქ, სადაც ჭოროხი მთიან აჭარიდგან ხმაურობით შეერთვის ზღვაში, მამამ, რომელიც საჭეს უჯდა, სანდალი ღრმად შეაცურა ზღვაში. მაგრამ ჩქარი და ძლიერი დენით სანდალმა იწყო ქანაობა და ეს სამთავეს ესიამოვნა. სანდალი კარგად და წონასწორად იყო დატვირთული და მშვენივრად გაუძლო ქანაობას.

ჰაერი იყო სუფთა, მაგრამ ჰბილი და ყველა უდიდეს სიამეს განიცდიდა, განსაკუთრებით მამა, რომელიც საჭეს უჯდა და ჩიბუხს ეწეოდა. მისი შვილი და ლაზი უფრო წინ ისხდნენ და დროგამოშვებით ოდნავ უსვამდნენ ნიჩბებს.

მარცხენა მხარეს მოსჩანდნენ აჭარის დიდებული მთები, მარჯვნივ კი მბრწყინავდა უსაზღვრო სარკე ზღვისა. ასე მაცურავდნენ დღითაც და მთვარიან ღამითაც.

აბდული წყნარად დაჰღიღინებდა ქართულ სიმღერას, ლაზსა სთვლემდა, მამა კი ფხიზლად ადევნებდა თვალს სანდლის სვლასა და ხანდახან გასჭყივლებდა შვილს: წინ გაიხედე, ხომალდი რამ ხომ არ მოდისო.

მეორე დღეს შელამებისას მივიდნენ რიზეში და მამა მეტად კმაყოფილი დარჩა, როცა ნახა თავისი მეგობარი თურქები და ლაზები. და მთელი საღამო იჯდა ყავახანაში და ეწეოდა ყალიონს. აბდული ამ მხარეს უცქეროდა გულგრილად, როგორც უცხოელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დილით, განთიადისას მოუხმობდა მუეძინი მორწმუნეთ სალოცავად, და მამაც მაშინვე გაემართა მეჩეთისაკენ.

შემდეგ გაჰყიდა თავისი ფქვილი და როცა ყველა ტომრები დასცალეს, სამთავენი წავიდნენ თათრულ სასადილოში და შეექცნენ კეფალს, შემდეგ ფლავსა და ცხვრის მწვადებს. ასეთი სადილი მათთვის ჯილდო იყო გაწეულ შრომის შემდეგ. მთელი დღე ისვენებდნენ. მეორე დღეს კი მამამ იყიდა მარილის აგური, რომლითაც დასტვირთეს სანდალი და დაბრუნდნენ ბათომს.

მამა ეხლა კმაყოფილი იყო არა მხოლოდ სანდლით, არამედ შვილითაც, რომელიც კარგი მეზღვაური გამოდგა. ერთი კი არ მოსწონდა, რომ ის უფრო სხვა პროვინციებიდან მოსულ ქართველებს ეტანებოდა, ვიდრე აჭარლებს. ბათომში, როცა სანდალზე არ იყო სამუშაო, მამა მთელი საათობით იჯდა ხოლმე სანაპიროს ყავახანაში და ყალიონის წევით ოსმალურად ესაუბრებოდა სხვა მეზღვაურებს. ეს მას ესიამოვნებოდა და ვერ გაეგო, თუ აბდულს როგორ შეეძლო სხვა რამე გასართობი ეძებნა. მაგრამ სხვა ყველაფერში უწონებდა შვილი, და ეს ამშვიდებდა.

თვეში ორჯერ ან სამჯერ მიემგზავრებოდნენ ხოლმე იგინი რიზეს და ორ-სამჯერვე ლაზისტანის უფრო მახლობელ მხარეს და აბდული მუდამ თავის ადგილას იყო. ზოგჯერ, როცა არ იყო კარგი ზურგქარი, ცურვა საკმაოდ ძნელი იყო, მაგრამ ღონიერი და მოხერხებული აბდული სწორედ მაშინ მუშაობდა მეტად ერთგულად და ამით უადვილებდა მამას სამუშაოს. მოხდებოდა ისედაც, რომ ძლიერი და ცვალებადი ქარი ჩქარა მიაქანებდა სანდალს და მაშინ ხომ გამალებითა და ყურადღებით უნდა ემუშავნათ, რომ ტალღები არ შეჭრილიყვნენ შიგნით დატვირთულ სანდალში. მაგრამ ეს იშვიათად იყო, ჩვეულებრივ კი მხოლოდ კარგ ამინდში გაუდგებოდნენ ხოლმე გზასა. და მაშინ იგინი ბავშვებივით შეჰხაროდნენ სანდლის თანაბარად სრიალს. ტომრებს ზედ ისხდნენ მოხერხებულ ადგილას, ისუნთქავდნენ საამურ ჰაერს, გასცქეროდნენ აჭარის მაღალ მთებსა, სოფლებს, რომელნიც წინ ჩაუვლიდნენ: მამა ჩიბუხს ეწეოდა, შვილი წყნარად დაჰღიღინებდა ქართულ სიმღერას და ხანგამოშვებით გამოელაპარაკებოდნენ ერთი-მეორეს.

თუმცა კი, შეძლებისდაგვარად, კარგ ამინდს ირჩევდნენ, მაგრამ მაინც ხშირად სველდებოდნენ წვიმით. მაშინ სქელი ბრეზენტით მფარავდნენ ტომრებს, თვით კი, ნაბდებში გახვეულები, უნდა მისდგომოდნენ წვიმაში და თვალი ედევნებინათ სანდლის სვლისათვის. ეს ადვილი რამ არ იყო, რადგან ასეთ დღეებსა და ღამეებში ზღვას სქელი, შავი ღრუბელი დასცქეროდა ნაღვლით და ხშირ ნისლში კაცი ახლო მანძილზედაც ვერას გაარჩევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ თითქმის მუდამ სიჩუმე ჰსუფევდა ზღვაზე, მაგრამ ხანდახან რამდენიმე თოლია მიაცილებდა მათ ყვირილით ან კი ზღვის ღორი დიდხანს მისდევდა და ჰხტოდა, სანდალს უკან, სადილის ნარჩენის მოლოდინში. და მაშინ მართლაც უყრიდნენ მათ, რაც გააჩნდათ, რადგან მამაშვილს ესიამოვნებოდა ამხანაგების ყოლა ზღვის მარტოობაში. მაგრამ მარტოობა მუდამ არ იყო ხანგრძლივი. ხშირად მისცურავდნენ საკმაო დიდ მანძილზე, ისე, რომ მხოლოდ თვალითა ჰხედავდნენ ერთი-მეორეს, ხმას კი ვერ მიაწვდენდნენ. ხშირად ჰხედავდნენ გემებსაც, რომლებიც მიემართებოდნენ ტრაპიზონს ან ტრაპიზონით, მაგრამ გემები ისე შორს იყვნენ მათგან, რომ პატარა ნავებად მოსჩანდნენ, რომლებიც უშვებდნენ გრძელ ზოლს ბოლისას. უფრო ახლო ჩაუვლიდნენ ხოლმე იალქნიანი დიდი ხომალდები ორი ანძით. ასეთი ხომალდები დიდად ართობდნენ მათ მარტოობაში და როცა შორიდგან შეჰნიშნავდნენ ასეთებს, უკვე დიდ სიამესა ჰგვრიდნენ. ზოგიერთი ხომალდი სჩანდა რამოდენიმე საათის განმავლობაში, პატარა წერტილიდგან ვეებერთელად იზრდებოდა და ხანდახან ისე ახლო გაივლიდა, რომ შეიძლებოდა ხომალდის ცნობა და ზედ ხალხის დანახვა. მაგრამ ეს ორ-ანძიანი ხომალდები იმათს სანდალზე უფრო ჩქარა მისცურავდნენ და როცა გაჰქრებოდნენ, მათ ხელახლა მოიცვავდა ხოლმე მარტოობა.

როცა ამინდი იდგა კარგი და ნათელი, მაშინ ჩამავალი მზე აბნევდა ოქროს, მოვერცხლილ და წითელ ფერებს ზღვასა და ცაზე. ჩამავალ მზიდგან სანდლამდე გადაჭიმული იყო გრძელი ოქროს ზოლი, მთელი ზღვა ვერცხლიერით ბრჭყვიალებდა და როცა მზე ზღვაში ჩაეშვებოდა და მისი სარკისებური ზედაპირი ჰქრებოდა და მუქდებოდა, მაშინ აჭარის მთების თოვლიანი მწვერვალები ჯერ კიდევ დიდ ხანს ჰბრწყინავდნენ ვარდისფრად.

როცა უკანასკნელი სხივები გაჰქრებოდნენ და ღამე მოიცვავდა ზღვას, მაშინ უფრო მწვავედ ჰგრძნობდნენ მარტოობას მამა და შვილი და საუბრით სცდილობდნენ თავის გართობას, განსაკუთრებით ზამთრობით, გრძელსა და შავ ღამეებში.

დრო კი გადიოდა ასეთ მოგზაურობაში. გავიდა პირველი წელი, მას მიჰყვნენ სხვებიც. მამა-შვილი გულმოდგინედ ჰმუშაობდა და შეეძლო უზრუნველი ცხოვრება შრომის წყალობით. როცა აბდულს ოცდა ორი წელი შეუსრულდა, ის გაეცნო ერთ იმერელ მებაღის ქალიშვილს ბათომში. კატო ერქვა და მეტად ლამაზი იყო, მაგრამ აბდულიც ხომ სასიამოვნო, ლამაზი ახალგაზრდა იყო და მალე შეყვარეს ერთიმეორე.

აბდული თითქოს ავადაც გახდა სიყვარულით, დასჩემდა დაფანტულობა და მამამ ეს შეჰნიშნა, მაგრამ არას ეუბნებოდა. შვილის

დაფანტულობა თანდათან იზრდებოდა, ბათომში მთელი საათობით სტოვებდა სანდალს და როდესაც ისინი უკვე გაემგზავრნენ სანდლით, აბდული დალვრემილი იჯდა და მთელი საათების განმავლობაში ხმას არ იღებდა. მაშინ კი მამამ ჰკითხა მიზეზი ასეთი მდგომარეობისა: აბდული, თავის თავთან დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ, გამოუტყდა მამას — იმერელი ქალი მიყვარსო.

მამა დაჰლონდა, მაგრამ არა სთქვა რა. აბდულს კი სიყვარული უცხოველდებოდა. მათი ურთიერთობა უსიამოც გახდა, რადგან მამა დაფიქრებული იყო და თითქოს გაურბოდა შვილთან საუბარს. მამას ძალიან უყვარდა შვილი და ათასებდა და არ უნდოდა მისი წყენინება და დადარდიანება, კატოზე ქორწინების ნების დართვაც კი არ შეეძლო.

წინანდებურად ხშირად მიემგზავრებოდნენ ხოლმე ლაზისტანს. და ერთხელ, როცა ჩვეულებრივ მისცურავდნენ გაშლილ ზღვაზე, მამამ ჰკითხა:

— რად გინდა, შვილო, მაინცა და მაინც იმერელი ქალი შეირთო და არა აჭარელი?

— იმიტომ, რომ მომწონს! — უპასუხა აბდულმა.

— კი, მაგრამ შენ ხომ შეგეძლო გენახა აჭარელი, ისევე მოგწონებოდა, რომ მოგეძებნა. — უთხრა მამამ.

— მართალია, მე არ მიძებნია, — უპასუხებდა შვილი. — მე მთელი ჩემი ბავშვობა გურულებსა და იმერლებს შორის გავატარე და იმათგან შევიგნე, რომ ჩვენ ისეთივე ქართველები ვართ, როგორც ისინი. მაგრამ თათრებმა მოგვწყვიტეს ჩვენ მათ და სულ სხვა გზას დავადექით. ეხლა კი კვლავ მინდა დავუბრუნდე ჩვენს საერთო სამშობლოს და კატოს შეუძლიან დამაკავშიროს მასთან. მე იგი მიყვარს სიცოცხლეზე უფრო მეტად!

ეს არ მოეწონა მამას, მაგრამ არა სწყრებოდა. მათი ურთიერთობა კვლავ უსიამოვნო დარჩა.

ასე გავიდა რამოდენიმე დღე და მამა ისე გაერთო მუშაობით, რომ შვილის ქორწინებაზე სიტყვა არ ჩამოუგდია. ნოემბერი იდგა, მაგრამ ამინდი თბილი იყო, სუსტ-ქარიანი, და მამამ გარდასწყვიტა წაელო ფქვილი რიზეს. ერთ მზიან დღეს მამა-შვილი გაემგზავრა ბათომით; ზურგ-ქარი ჰქროდა და სანდალი სწრაფად მისრიალებდა წინ. მგზავრობა დიდ სიამეს ჰგვრიდა მათ. მზიან ჰაერში განუწყვეტლივ დაჰფრინავდნენ ზღვის თოლიები და ჰყიოდნენ, თითქოს უხაროდათ რამეო. გზაზე ჰხვდებოდნენ სხვა სანდლებს და გემებსაც კი. სწრაფად გარბოდა დრო.

მამა მშვენიერი გუნებით მოვიდა რიზეს და კიდევ უფრო გამხიარულდა, როცა აქ ეცა სუნი თათრულ ქალაქისა, რომელიც შე-

ზავებულიყო ყალიონის ბოლით, ყავის, ცხვრის მწვადების, თევზისა და თათრული (სხვა და სხვა ტკბილეულისა და ნამცხვრის სუნით, რომელსაც ბავშვობითგანვე შეჩვეოდა და რომელიც მშობლიურად მიაჩნდა, თუმც კი ქობულეთში დაბადებულიყო.

ფქვილის გადმოსატვირთად მამამ დაიქირავა ორი ლაზი, თვით კი ჩამოჯდა დაბალ სკამზე მახლობელ ყავახანის წინ და ეწეოდა ჩიბუხს.

ორი დღე დაჰყვეს რიზეში და, მარსელის აგურით დატვირთულნი, რომელიც ბალასტის მაგივრობას უწევდა, გაემგზავრნენ ისევ ბათომს. შუა გზაზე ამინდი გაფუჭდა. დასავლეთით ამოიზიდნენ შავი ღრუბლები, მაგრამ ქარი სუსტი იყო და სანდალი დაუბრკოლებლივ მისცურავდა. მამა და შვილი ნიჩბებით ჰმუშაობდნენ, რომ აეჩქარებინათ სანდალი და ბათომში ჩაესწროთ ქარიშხლის ამოვარდნამდე. მაგრამ ჭოროხის მიდამოს რომ მიუახლოვდნენ, ქარი გაძლიერდა და ტალღები ძალზე აქანებდნენ სანდალს, თუმც კი კარგად იყო დატვირთული.

მამა და შვილი მთელი ძალ-ღონით ჰმუშაობდნენ, რომ აეშორებოდნენ ძლიერ ტალღებს, მაგრამ მამა დაიქანცა და უთხრა აბდულს:

— ვერ ჩავაწევთ ბათომამდე, დავიღალე და საჭესთან ახლა შენ მიდი. ალლაჰი იყოს ჩვენი მწყალობელი!

რადგან ტალღები უფრო და უფრო ძლიერდებოდნენ და შეეძლოთ ჩასულიყვნენ მძიმედ დატვირთულ სანდალში, აბდულმა გადაჰყარა აგურების ნაწილი, რითაც შეამსუბუქა სანდლის სვლა. ჭოროხის ხეობას კი ბედნიერად გასცდნენ, მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდნენ ბათომს, მით უფრო ძლიერდებოდა ქარი და ტალღები ეხეთქებოდნენ სანდალს. ხანდახან, ის-ის იყო, მარცხნით მოსული ტალღა აიზიდებოდა და გადმოტრიალებული უნდა ჰაეთქებოდა სანდალს და სწრაფად ამოევსო, ან ღრმას აბდული მოხერხებულად მოაბრუნებდა საჭეს და სანდალს მოახლოებული ტალღა ისევ ძირს ეცემოდა ღრიალით. სანდალი მხოლოდ მაღლა აიწევდა და შემდეგ წინ გაჰქანდებოდა.

მთელი თავისი ძალ-ღონით ჰმუშაობდა აბდული და ბოლოს, როგორც იქნა, ბედნიერად მიაღწიეს ბათომს. მაშინ კი მამამ უთხრა შვილს:

— შენ გადაგვარჩინე, შვილო! შენთვის რომ საჭე არ გადმომეცა, უეჭველად დავიღუპებოდით.

შემდეგ დილით კი მამამ დაარტყა აბდულს მხარზე ხელი და უთხრა:

— თუ შენ უსათუოდ გინდა კატოს შერთვა, მოიყვანე, გყავდეს, შვილო, ღმერთმა გაბედნიეროს!

# გაზაფხული ზღვის ნაპირზე

ეს გაზაფხული იშვიათი იყო ბათუმის ამ წვიმიან მიდამოში. იანვარში უკვე ჰყვაოდნენ ხეხილები, კამელიები, ჰიაცინტები და ნარგიზები. მაგრამ ამ მრავალფეროვანი, სურნელ მოსალმების შემდგომ დადგა თებერვლის ქუში, ბნელი დღეები. დილით საღამომდე განუწყვეტლივ მოდიოდა კოკისპირული წვიმა და ავსებდა ნორჩ გაზაფხულის მთელ სიმწვენეს. ასეთ დღეებში აჭარის ბუნება ჭეშმარიტად რომ ნაღვლიანდება: ცა, ზღვა, მთები და ბაღები, ყველაფერი მოცულია სიბნელით, ყველაფერი მოღრუბლულია და შავი. კვიპაროზები, ეს მწუხარების ხეები, მოღუშულნი დგანან ამ უსინათლო მხარეში. მაგრამ ამ დღეებსაცა აქვთ თავიანთი სიმშვენე! როცა წვიმა გადაიღებს, ქარსა და ზღვას სძინავს და მხოლოდ სუსტი ტალღები ულონოდ ეცემიან ნაპირს, მაშინ ამ სიბნელეში მეფობს დიდებული სიჩუმე, რომელშიაც მაინც გამოსჭვივის დიდება ბუნებისა.

ორი კვირა გრძელდებოდა ეს პირშეკრული დრო და ერთ დილით კვლავ გამოაბრწყინა ოქროსი მზემ და თავისი ბრწყინვალება მოაფინა ცას, ზღვას, ბაღებს, ქალაქსა და მთებს. მთელი აჭარა გადაიქცა ნათელ, ზღაპრულ მხარედ. რამოდენიმე დღის შემდგომ ისევ გაიღვიძა გაზაფხულმა, ნამდვილმა, მშვენიერმა, ბრწყინვალებით აღსავსემ. მალე ბუჩქები და ხეები ჰკომწიოლობდნენ ნორჩი სიმწვანით, ჰპიპინებდა ბაღები და ამწვანდნენ დაბალი მთები ბათუმის მახლობლად. დადგა ნათელი, ტკბილი დღეები, არცერთი ღრუბელი ეფარა მოკრიალებულ, მტრედისფერ ცას, არცერთი მუქი ხალი მოსჩანდა ზღვის ლურჯ სარკეზე. ეს დიდებული, გრძნობ, ჯადოქარი ზღვა ეხლა გაზაფხულის ცასავით მოწმენდილი იყო და მისი ხილვა ამშვიდებდა და ახარებდა კაცის გულს. დიახ, ეს იყო ჭეშმარიტი გაზაფხული და მზის ნათელი დღით-დღე ტკბებოდა. მოფურჩქნიდა ყვავილთა და ფოთოლ-მწვანეულ ბაღებსა და ტყეებში ფერი და ფერი ფერი, მდიდარი და მშვენიერი ხდებოდა. აჭარის მთებზე მარჩალილოსებრ თეთრი თოვლის ზოლი სულ მაღლა-მაღლა იწევდა და მის მაგიერად ჩნდებოდა ნორჩი ბალახი.

მახინჯაურისა და ჩაქვის ბაღები სურნელ სამოთხედ გარდაქცეულიყვნენ. სახლთა კედლებზე ჰყვაოდნენ მომხიბლველი, მტევნისებური ლურჯი ყვავილები და ბაღებში მგალობდა ნიბლია, შოლოდური, შაშვი, ჭივჭავი და ჰაერში ჰკრიალებდა ტოროლა. ყველა ეს ჩიტები მხიარულად ჰგალობდნენ თავიანთ საგალობელს და მახლობელ ნაპირზე ზღვაც წყნარად, მშვიდად დამღეროდა თავის საუკუნო

სიმღერას. მოვიდა ღამე და ყველა ფრინველები დღისა დაყუჩდნენ. მაგრამ ეხლა ბულბულები დასტვენდნენ თავიანთ სევდიან საგალობელს და ზღვაც მისძახოდა მათ ნაპირზე მფეთქავ სუსტ ტალღის ნაზ ხმებით.

და ამ მშვენიერ გაზაფხულს დაჰნათოდა არა მხოლოდ მზე, დღისით, არამედ მთვარეც ღამით. მთვარის სინათლე ხომ შეყვარებულთა რჩეული სინათლეა და ბულბულთა სტვენაც ხომ რჩეული საგალობელია!

ტყეებში ჰყვაოდა იელი, შქერი და ბაღებში ვარდი, აჭარის მომხიბლველი ვარდი. ყოველ დილით იზრდებოდა მათი რიცხვი, ყოველ დილით ძლიერდებოდა ბაღთა სუნნელი და ზღვა ჰბრწყინავდა და წყნარად დამღეროდა თავის საუკუნო სიმღერას!

ხან ნიავი ამოვარდებოდა და მაშინ წყნარად ამოძრავდებოდნენ კიპაროზები და პალმის ფოთლები, მაგრამ ნიავი მალე მისწყნარდებოდა და ეს იდუმალი ხმებიც მიყუჩდებოდნენ.

აქ გაზაფხული უფრო მეტ ხანს გრძელდება, ვიდრე საქართველოს სხვა რომელიმე მხარეში. მეტ ხანს, ბევრად უფრო მეტ ხანს სცოცხლობს აქ სიმწვანე ნამიან ჰაერში და როცა უკვე ჰყვავის მაგნოლია და მისი გრძელი ყვავილი მოაბნევს თავის მომხიბლველ სუნნელებას, ჯერ კიდევ არ არის აქ მკვდარი გაზაფხულის სიმწვანე.

ფშავეთმა ჰპოვა თავისი მგოსანი, თავისი სისხლი და ხორცი — ვაჟა-ფშაველა; ამ მშვენიერმა აჭარის მხარემა და ჯადოსანმა ზღვამ კი-რატომ ჯერ კიდევ ვერა ჰპოვეს თავისი მწერალი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველი ქალები

ქეთევანი დაიბადა თელავის ერთ პატარა სოფელში. მამა მისი იყო წვრილი მემამულე, ყოფილი პოლკოვნიკი, რომელიც 1876 წ. ოსმალეთის ომში მონაწილეობას იღებდა. გარდა ჭრილობისა, სამხედრო სამსახურიდან ზურაბს შერჩა ქაღალდის თამაშის სიყვარული. სოფელში ქაღალდის თამაში მისთვის წარმოადგენდა ერთად-ერთ გასართობს, რომელსაც თანდათან უკან-უკან მიჰყავდა მისი ოჯახი.

ცოლად მას მახლობელ მეზობლის ქალი ჰყავდა; სუსტი, მაგრამ კეთილი. ის ყველაფერში ქმრის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ცოლ-ქმართ ერთად-ერთი შვილი ჰყავდათ — ქეთევანი, და ეს ბედნიერება იყო, რადგან პატარა მამულის შემოსავალი და პენსია ვერ გაუძლევებოდა შვილების აღზრდა-შენახვას. ქეთევანის მამა მთელ შემოსავლის ნახევარს ქაღალდში ჰლუპავდა და ამ მდგომარეობას დღითი-დღე ოჯახში უსიამოვნება შეჰქონდა. ქეთევანი უმზეოთ იზრდებოდა, როგორც მცენარე, თუმცა კახეთის ოქროს მზე გარშემო აბნევდა სიბრწყინვალეს. და თუმცა მზის სხივები ხანდახან სახლშიც იჭყიტებოდნენ, მაგრამ მათ მაინც ვერ გაეფანტათ ის მწუხარე და დაღვრემილი სულიერი განწყობილება, რომელიც ოთხკედელშუა გამეფებულიყო.

თვითონ სახლი ისეთი პატარა, უბრალო და ძველი იყო, რომ ჭერ-იატაკის და კარ-ფანჯრის გარეცხვა-დასუფთავებაც ვერ ალაზათიანებდა ოთახებს. ჭერს და კედლებს, დიდი ხანია, ფერი დაჰკარგოდათ და შავად გამოიყურებოდნენ, მაგრამ ქეთევანის მამა, ზურაბი არ ჰფიქრობდა მათ შელამაზებაზე. ის, საერთოდ, არაფრისათვის ზრუნავდა; მის საქმეს მხოლოდ მეზობლებთან მუსაიფი და ქაღალდის თამაში შეადგენდა, სიამოვნებით ატარებდა დროს ამ სახლში და სიამოვნებით ისვენებდა პაპაპაპურ ხალიჩა-მუთაქებზედ. ყველა ოთახების სამკაულს დიდი ძველებური, განიერი ტახტები, უბრალო ძველი მაგიდები, რამდენიმე სკამი, დიდი ხის ყუთი და ჭურჭლეულობის პატარა კარადა წარმოადგენდა.

მხოლოდ ქეთევანის ოთახს ოდნავ ეტყობოდა კულტურის ხელი. ქეთევანი ჯერ ისევ ათი წლიდან აგროვებდა სხვა და სხვა წიგნებს და ფოტოგრაფიულ სურათებს. მის ოთახის კედლებზედ ეკიდა უბრალო სხვადასხვანაირ ჩარჩოებში თამარ მეფე, შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვა ქართველი პოეტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14 წლის ქეთევანი უკვე კარგათ იცნობდა ყველა პოეტების ლექსებს. ქეთევანის ოთახში იდგა აგრეთვე ერთი ძველი კომოდი და დიდი სარკე, ერთი მისი შეძლებულ ნათესავის ნაჩუქები.

ათი წლის ქეთევანი დედამ თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში მიაბარა. მხოლოდ კვირა-უქმე დღეებს სახლში ატარებდა. ქეთევანს უყვარდა თავიანთი ძველი სახლი, თავმინებებული ბაღი, სადაც მან მთელი თავისი სიბავშვე გაატარა.

ის ძალიან ადრე მიუხვდა დედ-მამის ურთიერთო დამოკიდებულებას. ისინი ყოველ-დღე ჩხუბობდნენ, უსიამოვნება ჰქონდათ და მშვიდობიანი ლაპარაკი მათ შორის ძალიან იშვიათი იყო. ზურაბმა ოჯახს მთლად მიანება თავი და თითქმის მთელ პენსიას ქაღალდში აგებდა, ამიტომ ხშირათ დედა-შვილი უსადილოდ ისხდნენ და მარტო პურით, ყველით, რძით და ლობიოთი იკვებებოდნენ. მაგრამ ქეთევანი არ იყო უკმაყოფილო, ის შეეჩვია გაჭირვებას და ჩაუცმელობას. მას მარტო დედის ჩივილი და ცრემლები უშხამავდნენ სიცოცხლეს. მამა მაინც ძალიან უყვარდა ქეთევანს და ბედნიერად გრძნობდა თავს, როცა მამა გაეხუმრებოდა.

მოვიდოდნენ თუ არა სტუმრები, რომლებთანაც ზურაბი ქაღალდის თამაშს იწყებდა, ქეთევანი მაშინვე თავის ოთახში წავიდოდა, ან აივანზე გავიდოდა და აქედან ალაზნის ველს გასცქეროდა. ბავშვობაში ქეთევანი ვერ ამჩნევდა ალაზნის სილამაზეს, მაგრამ თანდათანობით განვითარდა მასში სილამაზის და ბუნების შეგრძნება და გატაცებით სჭვრეტდა ალაზნის ველის ჯადოქრობას, მშობელ კახეთის სილამაზეს. ამასთან ერთად ქეთევანი ქართველი პოეტების თხზულებების კითხვას შეუდგა, და ამნაირად დაიწყო მისი სულიერი და გონებრივი განვითარება. ასე იყო 14 წლამდის.

შემდეგ დედამ თბილისში წაიყვანა გიმნაზიაში მისაბარებლად. ქეთევანს თუმცა ძალიან უნდოდა სწავლა, მაგრამ გამომშვიდობებისას მაინც ქვითინი დაიწყო და საშინელი სულიერი ტკივილით გაემგზავრა ქალაქში. გზაში ტყიანმა და მწუხარე გომბორის მთებმა უფრო ძალიან დააღონეს მისი გული. ისე რომ დარდიანი ჩამოვიდა ქალაქში თავის დეიდის ოჯახში, რომელიც ოფიცერზედ იყო გათხოვილი. იმ დროს, ოთხმოციან წლებში, საქართველოში ყველა ქართველი ან ოფიცერი, ან მოხელე უნდა ყოფილიყო, რადგან თავისუფალ პროფესიებს ყურადღებას არ აქცევდნენ. ბევრნი იყვნენ მასწავლებლები, ექიმები და აფთიაქრები უფრო ცოტა, ძალიან იშვიათად იყვნენ ინჟინერები და ტეხნიკოსები, მემუსიკეები და მხატვრები კი სულ არ იყვნენ. პირველ ხანებში დეიდასთან ყოფნა ძალიან ეუცხოვებოდა. ქართულ ენაზედ სულ არ ლაპარაკობდნენ და ქეთევანს ყველანი რაღაც უცხო ქვეყნის ადამიანებად ეჩვენებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ თანდათან შეეჩვია ასეთ წრეს. გიმნაზიაშიც დიდხანს მარტოდ, უცხოდ გრძნობდა თავს, ვიდრე ამხანაგები არ იშოვნა. ის დაუმეგობრდა ერთ ქართლელ გოგონას, თამარას, და იმერელს, ნინოს. ამის შემდეგ ქეთევანის ნაღვლიანობა გაჰქრა. მისი ამხანაგები უკვე სამი წელიწადი სცხოვრობდნენ თბილისში და ქალაქის ცხოვრებას კარგათ იცნობდნენ. სამთავეს შორის თითქოს არ იყო არავითარი განსხვავება არც გრძნობებისა და არც აზრების მხრივ. სამნივე ისე დაამახინჯა მაშინდელმა სკოლის რუსულმა სულმა, რომ ერთმანეთშიაც კი რუსულათ ლაპარაკობდნენ და არც ეჩოთირებოდათ. ნინო და თამარი შორეულ ნათესავებთან სცხოვრობდნენ. ყურადღებას არ აქცევდნენ მათ და მათთან ამხანაგების მისვლა არ ესიამოვნებოდათ. ქეთევანს კი ცალკე პატარა ოთახი ჰქონდა და სამივე ამხანაგი აქ იყრიდნენ თავს. მათი ლაპარაკი სულ უბრალო და ცარიელი იყო, რაც თოთხმეტწლიანებს შეეფერებოდა. მაგრამ ქალები ძალიან სწრაფად და ადრე ვითარდებიან და მათი მუსაიფის თემაც ჩქარა შეიცვალა. მათ დაიწყეს ოცნება წმინდა, იდეალურ სიყვარულზე. გარდა ამისა მათ მდიდარ და პოეტურ სურვილებს ხელს უწყობდა მათი გარეგნული სილამაზე, რომელსაც თვითეული მათგანი კარგათ გრძნობდა. ისინი ერთმანეთს არ ჰგავდნენ, თუმცა სამივენი ლამაზები იყვნენ.

ნინო, მუდამ მხიარული და სწრაფი ბუნების, ნამდვილი იმერელი იყო; ლაქვსავით შავი მოელვარე თვალები ჰქონდა; მისი ფერმკრთალ სახის ნაკლი მხოლოდ ოდნავ გრძელი ცხვირი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა მისი სახე კეთილშობილი და ლამაზ მოხაზულობის იყო, როგორც ანტიური ღმერთების სახე, რომელთა ჩამომავალნი ქართველი ქალები არიან, განსაკუთრებით იმერლები. მისი, ყორნის ფრთასავით, შავი თმები ისეთი ხშირი და გრძელი იყო, რომ როდესაც გაიშლიდა, მთელ გულმკერდს და ზურგს ჰფარავდა, როგორც წამოსასხამი. ნინო ვექილის ქალი იყო, ქუთაისში მის მამას კარგი სახლი და ბაღი ჰქონდა და ითვლებოდა კარგ მცხოვრებელ კაცად. ამიტომ ნინო უფრო კარგათ იცვამდა, ვიდრე თამარი და ქეთევანი, თუმცა სცდილობდა მათთვის გული არ დაეჩაგრა, რადგან გულწრფელათ უყვარდა ამხანაგები.

თამარი ქართლელი ღვდლის შვილი იყო. ნინოზედ ოდნავ დაბალი, მაგრამ სამაგიეროთ სიდინჯე და სიდარბაისლე მის ტანს უფრო მეტს სიკეკლუცეს და კეთილშობილებას მატებდა. ოდნავ ამაყი სახე, სასტიკი გამომეტყველება, ლამაზი პირი თითქოს უხალისოთ, ძალდატანებით იღიმებოდა. სამაგიეროთ ლამაზი შავი თვალები იღიმებოდნენ უფრო ნაზათ და საყვარელათ, ვიდრე ბაგენი, და მაყურებლის გულში რაღაც გამოუთქმელი სიამე შეჰქონდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი ეს სამი თხუთმეტი წლის ქალი არა მარტო ოცნებობდნენ სიყვარულზედ, არამედ განუწყვეტლივ ჰკითხულობდნენ სასიყვარულო ამბებს და ლექსებს.

მაგრამ მაინც ყველანი ერთნაირად არ იყვნენ გატაცებულნი ასეთი ოცნებებით. ნინო ყველაზედ უფრო დიდ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდა ვაჟებს. უამბობდა თავის ამხანაგებს ლამაზ სტუდენტებზე ან გიმნაზიელებზე, შეყვარებაზე. ქეთევანი და თამარი კი ჯეროვნობით მორცხვათ, მოწიწებით იქცეოდნენ ახალგაზრდათა წრეში. მათ, სხვათა შორის, ერთმა ქართული ენის მასწავლებელმა ქალმა დიდი ზნეობრივი დახმარება გაუწია. ის დაუმეგობრდა სამ ამხანაგს და ხშირად დაიარებოდა ქეთევანთან. ეს ქალი ქმრიანი იყო, მაგრამ უშვილო, ამიტომ დაუახლოვდა ამ სამ მეგობარს, რომლებსაც თავის კარგი ხასიათით და სასიამოვნო გარეგნობით იზიდავდა. ერთხელ თამარ და ქეთევანი ამ მასწავლებელთან მიდიოდნენ. გზაში მათ ორი სტუდენტი აედევნათ, ისინი ჯერ ჩუმათ ლაპარაკობდნენ მათ გარეგნობაზე, შემდეგ კი მაღლა ხმით, ურცხვათ დაიწყეს ქება რაღაც უხეშ, ტლანქი სიტყვებით. ამხანაგებს შერცხვათ, ლოყები გაუწითლდათ და ჩქარი ნაბიჯით გაემართნენ მასწავლებლისკენ, რომელსაც ყველაფერი უამბეს.

— „ჰო, ასეა ხშირად, კაცები ქალს მხოლოდ, როგორც ქალს, როგორც სქესს, ისე უყურებენ. ეს თქვენთვის კარგი გაკვეთილია! ჰა, ეცადეთ, არავინ გაგიტაცოსთ იქამდის, ვიდრე არ შეხვდებით ყოველად პატიოსანს და ღირსეულს ადამიანს, რომელიც გულწრფელით შეგიყვარებთ და არა ისეთს, რომელიც მხოლოდ სიამოვნების მაძიებელია".

მასწავლებლის სიტყვებმა თამარ და ქეთევანი ოცნებათა ბურუსიდან გამოიყვანეს. მეორე დღეს თამარმა დედის ავადმყოფობა შეიტყო. ამ ამბავმა ძალიან შეაწუხა, მთელი დღე სტიროდა და მეორე დღეს სოფელში გაემგზავრა. მამა სასოწარკვეთილი და უიმედო დაუხვდა, მხოლოდ ოთხმოცდა ათი წლის ბებია წყნარად და ყურადღებით უვლიდა ავადმყოფს.

თამარის მამის, ლევანის, სახლი სულ სამი ოთახისაგან შესდგებოდა. მათი მოწყობილობა მხოლოდ სამი განიერი ტახტი იყო, სქელი ხალიჩებით და ლამაზ მუთაქებით მორთული. ყველგან სისუფთავე სჩანდა, პატარა ბაღი, დაგვილ-დაწკრიალებული ეზო სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა. თამარის ავადმყოფი დედა, ყოფილი სოფლის მასწავლებელი, გამრჯე დედაკაცი იყო. დღე და ღამე მუშაობდა, რომ შვილები თამარი და სანდრო როგორმე გამოეზარდა. თავის გართობისათვის ის სრულებით არა ზრუნავდა, ნაცნობებში სტუმრად არ დაიარებოდა და იმის შემდეგ კი, რაც შეიძლება თბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისში ასწავლიდნენ, ცოლქმარნი თითონ აკეთებდნენ ყველა შინაურ საქმეებს. მისი დედამთილი წერა-კითხვის მცოდნე დედაკაცი იყო და თუმცა თითონ წიგნებს არა კითხულობდა, შვილიშვილებს ბეჯითად ასწავლიდა. სოფელში ჭკვიან და განათლებულ დედაკაცად ითვლებოდა და სოფლელები ხშირად მოდიოდნენ მასთან დარიგებისთვის. ექიმბაშობაც იცოდა. იცოდა ავადმყოფების მოვლა. საქონლის და შინაური ფრინველების წამლობა. ყოველ გაზაფხულს ჰკრეფდა სხვადასხვანაირ ბალახებს, აშრობდა და წამლად ხმარობდა. გარდა ამისა, მან ბევრი სხვა რამეც იცოდა. კიდეც ამიტომ იყო, რომ გლეხები აფასებდნენ და აქებდნენ მის გონიერებას. ცოდნას და გამოცდილებას. მან ორასამდე ანდაზა იცოდა ზეპირად, და ისე მოსწრებულად მოიტანდა ხოლმე, რომ ყველანი გაკვირვებულნი იყვნენ მისი სიბრძნით. იცოდა სწორეთ ყველა უქმე-დღესასწაულები, მარხვები, სხვა-და სხვა საეკლესიო წესები, იცოდა ზეპირი ამბები საქართველოს ისტორიიდან და ვეფხის-ტყაოსანი.

თვითონ ეს სოფელი, სადაც თამარის მამა მღვდლობდა, და რომელიც გორის მაზრას მიეკუთვნებოდა, ნამდვილი ქართლური სოფელი იყო. აქა-იქ მოსჩანდა გლეხების მიწური სახლები, მთლად მიწაში აშენებულები, მათი მხოლოდ სახურავი სჩანდა, ისიც მიწით დაფარული, რომელზედაც სხვა და სხვა მცენარეები და ბალახები იზრდებოდა. სოფელში ვერ ნახავდით ვერც ორღობეს, ვერც ხეებს, ვერც ეზოებს. მხოლოდ სოფლის ბოლოში ერთ ძველ მობრეცილ სამიკიტნოში ჩასუქებული სომეხი იჯდა და ჰყიდდა მჟავე ღვინოსა, ჩაი-შაქარსა, თუთუნსა და სხვა და სხვა საჭირო საქონელსა. თითქმის ყოველთვის, სამიკიტნოს წინ იდგა ურემი, რომლის ჭრეჭყიან და მოგრეხილ კოფოზე იჯდა მეურმე და ტკბილათ შეექცეოდა საუზმეს. სოფლის მეორე ბოლოს უგუმბათო ეკლესია ამშვენებდა, რომელიც თავის ვიწრო ფანჯრებით უფრო ფარდულსა ჰგავდა. ეკლესიის ცოტა მოშორებით სასაფლაო იყო; აქა-იქ ეწყო უბრალო საფლავის ქვები. ამ შემაღლებულ ადგილებიდან, სადაც ეკლესია იდგა, მოსჩანდა მთელი სოფელი, როგორც ხელის გულზე, თუმცა სახურავების, ბანების მეტს ადამიანი ვერაფერს დაინახავდა. მხოლოდ მღვდლის სახლი, ეზო, პატარა ბაღი წარმოადგენდა ერთად-ერთ ლამაზ მწვანე კუნძულს ამ უშნო გარემოში. სოფლის ერთ მხარეზე გადაჭიმული იყო უტყეო დაბლობი, რომლის გასწვრივ მიიმართებოდნენ ტყიანი და კლდოვანი მთები.

ამ სოფელში გაატარა სწორეთ თამარმა თავისი ბავშვობა... ჩაფიქრებული დადიოდა თამარი თავიანთ პატარა ბაღში, და თბილისიდან ახლად დაბრუნებულს, სახლი, ბაღი და ყველაფერი მეტისმეტად ღარიბად და ფერმკრთალად ეჩვენებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი იყო სოფელი მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში.

თბილისში თამარას ხშირად არც კი ახსოვდა თავის სოფელი. ის ლამაზი იყო, კარგათ ჩაცმული, რიგიანათ აღზრდილი და ამხანაგებმა სრულიად მისთვის უცხო წრეში შეიყვანეს. ის არასოდეს არ გრძნობდა ამ განსხვავებას ისე მკვეთრათ, როგორც ახლა, მაგრამ მაინც ბედნიერი და კმაყოფილი იყო თავის ღარიბ, მაგრამ კეთილშობილ დედ-მამით და ოჯახით.

სოფლელები დიდს პატივსა სცემდნენ მის თავმდაბალ, ჩუმსა და სერიოზულ მამას, რომელიც დღე და ღამე შრომობდა, ხნავდა, სთესავდა, ბაღს აკეთებდა, რომ თავისი ერთად-ერთი ქალიშვილი რიგიანათ გამოეზარდა. მაგრამ მარტო იმას კი არ ასწავლიდა ის თავის შვილებს, რომ მათ ლუკმა-პური ჰქონოდათ, არამედ სცდილობდა მათთვის სამშობლოს სიყვარული ჩაენერგა და რომ სამშობლოს ღირსეული შვილები ყოფილიყვნენ და მისთვის რამე სარგებლობა მოეტანათ.

თამარის დედა მალე კარგათ გახდა და თამარი თბილისს დაბრუნდა. დედამამამ, წასვლის წინ, ჩვეულებისამებრ, მოწიწებით დალოცეს. თბილისში თამარი ბეჯითად შეუდგა მეცადინეობას და ამხანაგების ფუქსავატ გასართობებში მონაწილეობას აღარ იღებდა. ნინოს არ სჯეროდა, რომ თამარის სერიოზულობა დიდხანს გასტანდა და ყოველ დღე იმაზედ ლაპარაკობდა, რომ ახალგაზრდობაში ადამიანმა უნდა იმხიარულოს, დრო გაატაროსო. თამარიც ეთანხმებოდა.

გაზაფხულმა ჩქარა გაიარა. სამივე მეგობრები თავთავიანთ სახლებში დაბრუნდნენ. ნინო ეპატიჟებოდა ქუთაისში თავის ამხანაგებს, მაგრამ თამარს არ შეეძლო წასვლა უფულობის გამო, ქეთევანს კი სახლისკენ მიეშურებოდა, რადგან დედა ძალიან დარდიან წერილებსა სწერდა.

სახლში ქეთევანს სტუმრები დახვდა, მისი მამის ბიძაშვილი ქალი თავის ქმრით, რომლებსაც მამაპაპური ქონება გაეფლანგათ და ეხლა ბინას ნათესავებში ეძებდენ. ქეთევანმა გაიგო დედისაგან, რომ მამამ ლოთობა დაიწყო, გამწარებული სტიროდა, მაგრამ მამაზედ ცუდს მაინც ვერავერს იმბობდა. ის მხოლოდ მამიდაზედ ჯავრობდა. და მართლაც, როცა რამდენიმე დღის შემდეგ, ქეთევანის დედას და მამიდას ჩხუბი მოუვიდათ, ქეთევანი დედას მიემხრო, და ორივემ აიძულეს ის ქალი, მათი ოჯახი მიეტოვებინა.

ამ სახლში, რომელიც მთელი დღე ბრწყინვალე მზის სხივებით იყო მორთული, მაინც უსიამოვნება ტრიალებდა. ქეთევანის მამა მუდამ დღე ითვრებოდა. ქაღალდს თამაშობდა ან მეზობლებთან ქეიფობდა. როდესაც ზურაბი მარტო იყო და თავის ოთახში წიგნს კითხულობდა, ქეთევანი მხოლოდ მაშინ გრძნობდა კმაყოფილებას, მაშინვე შეუვიდოდა ხოლმე მამასთან სამუსაიფოდ. და აი ერთხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა


როდესაც ზურაბი სრულიად დამშვიდებული მეტად კარგ ხასიათზე იყო, ქეთევანი დაეცა მუხლზე, დაუწყო ხელზე კოცნა და სთხოვდა მამას თავი დაენებებინა ღვინის სმისთვის და ქაღალდის თამაშისათვის. „ჩვენი ოჯახი დაღუპვის გზაზე დგას. მალე წოდება ბოლო, ეუბნებოდა თვალცრემლიანი ქეთევანი,—შენ არც შენს თავს და არც საწყალ დედაჩემს არ უფრთხილდები. ასეთი ცხოვრებით ჩვენ დაგვაავადმყოფებ, მათხოვრებად გაგვხდი. ჩვენ გვინდა მშვიდად და კმაყოფილად ვიცხოვროთ შენთან ერთად, მამა. გევედრები, ნუ ღუპავ შენს თავს და ჩვენ".

ზურაბი გაჩუმებული ყურს უგდებდა და თანაგრძნობით ქეთევანის ხელებს უალერსებდა. უცბად თვალებზე ცრემლები მოადგა. ისა სტიროდა, მაგრამ არცერთი სიტყვა არა სთქვა. ორივენი დიდხანს სდუმდნენ.

მეორე დღეს ქეთევანის მამამ ავადმყოფობა მოიგონა და სტუმრები არ მიიღო. მესამე დღესაც ასევე მოიქცა და ბოლოს თბილისში წავიდა.

დამშვიდდნენ ქეთევანი და მისი დედა. მაგრამ ჩქარა ისევ სიხარული მწუხარებად შეეცვალათ: სახლკარი მოვალეებს რჩებოდათ ვალში. ბედზედ. ქეთევანის ბიძამ, დედის ძმამ, ორი მსხვილი მოვალე დააკმაყოფილა და დედაშვილმა თავისუფლად ამოისუნთქეს, ეგონათ, მათს სიღარიბეს ბოლო მოეღო. ქეთევანი მხიარულად ატარებდა დროს: ზურაბმა სამსახური იშოვნა ქალაქში, უბრალოდ სცხოვრობდა, ღვინოს აღარ სვამდა, რადგან ექიმებმა აუკრძალეს. ქაღალდის თამაშისათვის კი თავი ვერ დაენებებინა.

ენკენისთვეში ქეთევანი თბილისს დაბრუნდა. ძალიან სწუხდა დედის განშორებას. „რა უნდა ვქნა უშენოთ?—ეუბნებოდა ქეთევანს დედა,—შენ ჩემი დამცველი და დამხმარე ხარ, მე მხოლოდ ტირილი და ტანჯვა ვიცი, შენ კი ცხოვრებას ებრძვი. ჩემზედ დიდი ხარ, ძლიერი ჭკვით და გონებით, კეთილშობილ გულით და მამაშენსაც ხომ შენ გამოაცვლევინე ცხოვრება!"

თბილისში ქეთევანს თამარი დაუმეგობრდა უფრო ძალიან, ვიდრე წინათ. ორივენი დარდიანნი და დაღონებულნი იყვნენ. ხშირად აწუხებდათ ხოლმე ქართული ენის მასწავლებელი: დარდსა და მწუხარებას თქვენთვის აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს! ჩვენ უფიქრელათ ვეთამაშებით სიცოცხლეს და არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ჩვენს ხელშია ჩვენივე ბედისწერაო.

მთელი სამოსწავლო წელი ქეთევანი და თამარი ბეჯითად სწავლობდნენ. ნინოს მხოლოდ გიმნაზიაში ხედებოდნენ. ქეთევანის და თამარის ნაღვლიანმა გამომეტყველებამ ნინოს გულჩაკეტილობა გამოიწვია. წინანდებურათ აღარაფერს უამბობდა მათ. ნინო ცუდათ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სწავლობდა, რომანებს კითხულობდა და გიმნაზიელ ვაჟებთან კოტ-ტაობდა. ამაყობდა თავის სილამაზით, და ცდილობდა ბუნების მონაცემი ხელოვნური საშუალებებით უფრო აემაღლებინა. შეუყვარდა ზამთარში ერთი ახალგაზრდა ინჟინერი, მაგრამ მისმა მეგობარმა მარომ მოსტაცა ეს ოცნებათა საუნჯე. მარო გურული ქალი იყო, ნინოზედ ნაკლებ ლამაზი, თავის სინაზით დაიმონა ახალგაზრდა კაცის გული და ერთი წლის შემდეგ ცოლად გაჰყვა. ნინო ბრაზობდა, აძაგებდა მაროს ნაცნობებში, აღარ სწავლობდა და თავის გარეგნობას ახლა უფრო დიდ ყურადღებას აქცევდა. მალე ყველაფერი მიავიწყდა ნინოს და მხოლოდ მაროს შური დარჩა გულში. ძლივს-ძლივობით გადავიდა უკანასკნელ კლასში და მხიარულმა და კმაყოფილმა ნინომ ბლომათ წაიღო ახალი კაბები და წავიდა ქუთაისში მშობლებთან. მხიარულად გაატარა ზაფხული, ყველა გასართობებში მონაწილეობას იღებდა, ყველგან დაიარებოდა, არც ერთ ექსკურსიას არ დაჰკლებია, და ბოლოს უეცრათ ერთი მოვაჭრის შვილი შეუყვარდა უფრო იმიტომ, რასაკვირველია, რომ ლამაზი და მდიდარი იყო. ერთი თვის შემდეგ ჯვარიც დაიწერა. ამის შემდეგ თამარსა და ქეთევანს დიდხანს არაფერი გაუგიათ ნინოს შესახებ.

თამარი და ქეთევანი გაიფურჩქნენ, როგორც ნამდვილი მაისის ვარდები, თავს დაჰხაროდათ მზე ახალგაზრდობისა და ბედნიერ მომავლის იმედი. გიმნაზიის დამთავრებისთანავე ორივენი შეუდგნენ ქართული ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლას. საჭირო წიგნები მათმა მეგობარმა მასწავლებელმა უშოვნათ და ჯანსაღ სურვილებით თავთავიანთ სოფლებში წავიდნენ. „თქვენ ჯერ-ჯერობით დედის მფარველობა გჭირიათ. ორთავე ლამაზები ხართ და ისიც იცით, რა მონადირის თვალით უყურებენ მამაკაცები ამნაირებს. ისწავლეთ, იმეცადინეთ. მხოლოდ ფუქსავატ კაცებთან ნუ მოინდომებთ დროის გატარებას“. ასე დაარიგა მასწავლებელმა.

ქეთევანს დედა დიდ გაჭირვებაში დაუხვდა. მამული შემოსავალს არ იძლეოდა. თბილისიდან ზურაბი თუმცა უგზავნიდა ფულს, მაგრამ ეს ფული ხშირად მუშების დასაქირავებლადაც არა ჰყოფნიდა. წამოსვლისას ქეთევანს ათი თუმანი მისცა მამამ. დიდ თანხად მიაჩნდა, მაგრამ ესეც მალე შემოეხარჯა ოჯახში. ქეთევანი მხიარულად ატარებდა დროს, კმაყოფილი იყო, თუმცა ბევრი რამ აკლდა. მას ძალიან უყვარდა თავის მხარე, კახეთი, და თითქმის ყოველდღე საათობით გაჰყურებდა აივნიდან ალაზნის აბიბინებულ ველს, მდიდარ სოფლებს, თეთრი ან წითელ კრამიტით დახურულ სახლებს და მშვენიერ ვენახებს. ქეთევანი ბავშვობიდანვე იცნობდა ამ ჯადოქარ სურათს, ეს ადგილები მისი გულის და თვალების ძველი ნაცნობები იყო. სწორედ ამიტომ უხაროდა ქეთევანს, თუმცა ხშირად კაეშანიც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეეპარებოდა ხოლმე ნათელ ფიქრებში. წინ კარგად იცოდა, რომ ად-რე თუ გვიან ხელიდან გამოეცლებოდათ დავალიანებული სახლკარი.

ასეთ დარდებში იყო ქეთევანი, როცა ესტუმრათ ბარბარე, მისი შორეული ბიძაშვილი სიღნაღის მაზრიდან. ბარბარე კარგათ იყო ჩაცმული, მხიარული და კმაყოფილი სიხარულით უამბობდა, თუ როგორ გაატარა გაზაფხული თბილისში თავის დედამამასთან ერთად. როგორც ის ამბობდა, თითქმის ყოველ დღე თურმე კარგ საზოგა-დოებაში სადილობდნენ, თეატრებში და ოპერაში დაიარებოდნენ და ეტლით დასეირნობდნენ. ბარბარეს მშვენივრათ შეკერილი ახალი კაბები ეცვა. შემდეგ ბარბარემ უამბო ქეთევანს, რომ ის ერთ მდი-დარ, ლამაზ ოფიცერზე დაინიშნა და რომ ზამთარში ქორწილიც იქნებაო. ის ბედნიერი იყო და არ იცოდა, სხვა რაღა ეთქვა, ან რა დაეკვეხნა მორცხვ ქეთევანთან.

მაგრამ ორი კვირის შემდეგ ქეთევანის დედამ თელავში ბარ-ბარეს მეზობლისაგან შეიტყო ასეთი ამბავი. თურმე, მართლაც, ბარ-ბარე ქალაქში წაუყვანიათ დედმამას. მამული ბანკში მესამეთ დაუ-გირავებიათ და აღებული ფულებით თბილისში უქეიფნიათ სამი თვე. ორი წლის შემდეგ კი სახლკარი თურმე ბანკს დარჩა ვალში და პატრონები იძულებულნი იყვნენ მიეტოვებინათ სახლკარი და თბი-ლისში გადასახლებულიყვნენ და თურმე არცერთს ნათესავს თვალზე ცრემლი არ მოსვლია. ვიდრე მამა ალაგს იშოვნიდა ბანკში და ქა-ლები დათხოვდებოდნენ ვინმე შემთხვევით შეხვედრილ მოხელეებზე, მთელი ოჯახი ნათესავებში ცხოვრობდა.

ქეთევანი და მისი დედა სულ სხვანაირად იქცეოდნენ: სცდი-ლობდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, შეენარჩუნებინათ მამული. მაგრამ ცდა ამაო იყო, რადგან არც ერთმა და არც მეორემ არ იცოდა მეოჯახეობა.

ზამთარში მამა ავად გახდა და ქეთევანი და მისი დედა ქა-ლაქში ჩამოვიდნენ. ქეთევანი აქ შეხვდა თავის ყოფილ მასწავლე-ბელს თამარს. თამარი სამასწავლებლო გამოცდებისთვის ემზადებოდა.

— რა ბედნიერი ხარ, რომ ასეთ საქმეს ადგეხარ, რომელიც შენს გულს და გონებას შეეფერება. მე კი დავდივარ და დღემდის სიცოცხ-ლის მიზანი ვერ მიპოვნია,— უთხრა გულდაწყვეტით ქეთევანმა,— აქამ-დის ქართველ ქალებს ეგონათ, რომ გათხოვება ერთად-ერთი მიზანი, დანიშნულებაა ქალისაო, და არ იცოდნენ, რომ უმრავლესობისთვის ცოლობა და დედობა საშინელი, მძიმე ბორკილია.

— მართალს ამბობ,— შენიშნა მასწავლებელმა.— ბევრნი მატე-რიალურ უზრუნველყოფისთვის თხოვდებიან და, რასაკვირველია, იქ-ნებოდა კარგი, რომ სულაც არ თხოვდებოდნენ, უფრო სასარგებლო საქმისთვის მოეკიდებინათ ხელი, ვიდრე იყვნენ იძულებით დედა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლი, როცა სრულიად არა აქვს დედობრივი ხალისი ბავშვის აღზრდისა. და აი სწორედ ხშირად ასეთ გზაზედ ქართველი ქალები დგანან, ეს ჰღუპავს და ანგრევს ოჯახს, რაიცა ყოველი ერის დედაბოძია.

ამ ლაპარაკის შემდეგ ქეთევანს უფრო დაეტყო მოუსვენრობა. სცდილობდა მოეძებნა მიზანი ცხოვრებაში. ის სასიამოვნო და ლამაზი გარეგნობის იყო, ახალგაზრდა ვაჟები დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ქეთევანი სიყვარულს ელოდა. ბევრი სცდილობდა სხვადასხვა მასხრობით და ხუმრობით გაეტაცნა ქალი, მაგრამ ქეთევანი მათ ფუქსავატობას ადვილად ამჩნევდა. ზოგი უყურებდა, როგორც მხოლოდ ქალს. ასეთები საშინლად სძულდა. ის ეძებდა ჭკვიან, განვითარებულ და კეთილშობილს. მაგრამ იმ „საზოგადოებაში, სადაც ქეთევანი ტრიალებდა, არავინ იყო ამნაირი და ქეთევანი თავს ძალიან მარტოდ გრძნობდა. ეს მარტოობის გრძნობა იმდენად გაიზარდა, რომ ქეთევანი ხშირად იყო მოწყენილი და დარდიანი.

ქეთევანის თბილისში ყოფნის დროს, თამარმა ბებიის სიკვდილის ამბავი გაიგო და ორივენი წავიდნენ დასაფლავებაზე. ორასამდე კაცი და დედაკაცი მოგროვდა დასაფლავების დღეს ახლო-მახლო სოფლებიდან. თვითონ ამ სოფლის მცხოვრებლებიდან მარტო ავადმყოფები და დარჩნენ სახლებში. გაცარიელდა სოფელი, ამდენი ხალხი ერთად მას არასოდეს უნახავს. წირვა დიდხანს გაგრძელდა. ზოგი ეკლესიაში, ზოგი გარეთ იდგა მოწიწებით მიცვალებულის საპატივცემლად. სასაფლაოზე ჩაშვების დროს ერთმა ხანშიშესულმა გლეხმა შემდეგი სიტყვებით მიმართა:

„შენ ჩვენი დედა, მფარველი, დამრიგებელი, მოსამართლე, და ექიმი იყავ; კაცი არ მოიძებნება ჩვენში, რომ პატივს არა გცემდეს. ჩვენ ყველას გვიყვარდი და პატივს გცემდით და კიდევ დიდხანს წმინდად დარჩება შენი ხსოვნა ჩვენს სოფელში"...

სადა იყო ეს სიტყვები ისევე, როგორც დასაფლავება ამ ღირსეულ ადამიანის.

ქეთევანი ორი კვირა დარჩა ამხანაგის ოჯახში და ჩაფიქრებული თვალებით უყურებდა ამ ოჯახის მშვიდ და მყუდრო ცხოვრებას. თამარი ძალიან შეწუხებული იყო, მუდამ დადიოდა ბებიის საფლავზე და მწარედ სტიროდა. ქეთევანი ანუგეშებდა. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ იმერეთიდან დაპატიჟების წერილი მოუვიდა თამარს ამხანაგისაგან. დედ-მამა სცდილობდა გაეგზავნათ თამარი, რომ ცოტა დარდი გადაეყარა გულიდან. ქეთევანს ძალიან უნდოდა ესარგებლნა ასეთ შემთხვევით და იმერეთი ენახა. თამარი მალე მიხვდა მის გულის წადილს, მისწერა ზურაბს, იმერეთში წასვლის ნება მიეცა ქეთევანისთვის. ერთი კვირის შემდეგ ფული მოუვიდა და ორივე ამხანაგი იმერეთისკენ გაეშურენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორივეს ერთნაირად ძალიან-უყვარდათ და ორივეს ერთნაირად უყვარდათ საქართველო და საერთოდ ყველაფერი ქართული. გაზაფხული იდგა. ქართლში ყველაფერი ჰყვაოდა, ბაღები თეთრ, პირისფერ ყვავილებით გადაპენტილიყო. მწვანე ბალახებში იებს ამოეყოთ თავი, ტყეს საქონელი დაპატრონებოდა, მინდორს—ტოროლა. სურამის მაღალ მთებზედ კი ჯერ ისევ თოვლი იდგა. თანდათან, დასავლეთისაკენ გაზაფხულის იერი აჩნდა, ხეები ამწვანებულიყო. ქეთევანი და თამარი სტკბებოდნენ ბუნების სიმშვენიერით, თუმცა სერიოზულობა ბოლომდის შეინარჩუნეს, თვით ქუთაისშიაც კი, სადაც გარშემო მხიარული და სიცოცხლით სავსე იმერლის ქალები ეხვეოდნენ. ისინი მხოლოდ უყურებდნენ თავიანთ ტოლ ამხანაგების მხიარულ ცხოვრებას, დროის გატარებას. როგორც ამართული ლაფნის ხეები, ისე უცხო იყო მათთვის აქაური ქალები. „კი" წამდაუწუმ ისმოდა ლამაზ ქალთა საუბარში და თითქმის ეს „კი" მთლად ამოსწურავდა აღმოსავლურ და დასავლურ ხასიათების განსხვავებას. თუმცა თამარ და ქეთევანი თბილისშიც იცნობდნენ იმერულ ქალებს, მაგრამ ამდენი ერთად ჯერ არ ენახათ. ესენი გრძნობდნენ ამ ქალებში რაღაც ისეთ ძალას, რომელიც მათ აკლდათ. მათ არ შეეძლოთ ისე სწრაფად თავის გრძნობები და აზრები სიტყვათა სამოსელში გაეხვიათ, არ შეეძლოთ ისე სწრაფად სურვილი მოქმედებად გადაექციათ...

გაზაფხული კი თანდათან იშლებოდა და იშლებოდა სხვადასხვა მომხიბლველ სურათებად, რომლებიც აღმოსავლურ შეგრძნებას ჩაფიქრებულ თვალებს ატყვევებდნენ. სხვათა შორის თამარმა და ქეთევანმა ქუთაისში თავიანთ ძველი მეგობარი ნინო ნახეს. მას ერთი თვის წინ ქმრისთვის თავი დაენებებინა და მშობლებთან ცხოვრობდა. „ის სულელია, ტლანქი და მოსაწყენი", —თავს იმართლებდა. —არა, მე არ მინდა ასეთი ქმრის ცოლი ვიყოო". ნინო დასცინოდა მათთან ერთად, მაგრამ ამხანაგებმა ჩქარა შეამჩნიეს, რომ ფუქსავატ ცხოვრებას მისდევდა, მას არავინ უყვარდა, სამაგიეროდ, უნდოდა, რომ ყველას ჰყვარებოდა მისი თავი, ვინც კი მოეწონებოდა. ჩამოშორდნენ ნინოს, ცდილობდნენ არსად შეხვედროდათ, და ეს არც ისე ძნელი იყო, რადგან ისინი თამარის ამხანაგ კატოსთან ქალაქის ბოლოში ცხოვრობდნენ.

აუსრულდათ ნატვრა თამარს და ქეთევანს: კატომ წაიყვანა ისინი გელათში თავის ბებიასთან. გელათზე ბევრჯერ უოცნებიათ და ვახტანგ ორბელიანის ლექსი „გელათი", დიდიხანია, ზეპირათ იცოდნენ. ძლივს ეღირსათ გელათის ნახვა. თვალწინ აემართათ დიდებული გელათის ტაძარი და მონასტერი და თუმცა ირგვლივ ყველაფერი ნაზი გაზაფხულის სურნელით იყო გაბრუებული, ეს ორი ძველი შენო-

ბა რაღაც მშვენიერი და სერიოზულათ შეჰყურებდით ორ მეგობარს. ამ სიძველეში, მართლაც, დიდი სიმშვენიერე და სიდიადე ჩამალული, და თამარს ეგონა, თითქოს თვალწინ ედგა საქართველოს წარსულის სურათები. ახლო-მახლო მიდამოების დასათვალიერებლად ისინი მონასტრის აივანზედ ავიდნენ, საიდანაც დასავლეთ იმერეთის და ქვემო სამეგრელოს განიერი და გრძელი დაბლობი დაინახეს და სადღაც შორს კი ოდნავ მოსჩანდა შავი ზღვის სარკე. ასეთ დიდებულ სურათის ნახვის შემდეგ ორსავე მეგობარს გაუჩნდა სურვილი შავი ზღვის ხილვისა... მაგრამ სურვილის ასრულება ძნელი იყო სავზაო ფულის უქონლობის გამო და გულდაწყვეტილები კატოს სოფელში წავიდნენ.

ეს იმერული სოფელი სრულიად არ ჰგავდა ქართლის და კახეთის სოფლებს. აქ დედამიწა ყველგან დაფარული იყო მწვანით, ბუჩქებით, ხეებით, ყვავილებით. მაღლა კი ყვავილებით და ფოთლებით მოქარგულ ხალიჩაზე არხეინათ და მხიარულათ დაბზუოდნენ ათასფერი პეპლები, ფუტკრები, ჭრიჭინები და გაზაფხულის სხვადასხვაგვარი მწერები. ამ მომხიბლავ მიდამოებში რამოდენიმე ათეული ფიცრის სახლი იდგა და ხშირად შეხვდებოდით ფერმკრთალ, მაგრამ ტანგამართულ ახალგაზრდა ქალებს და ვაჟებს. ციებას ყველას სახეზე დაედო დაღი. ესენი ქუთაისის სიცოცხლით სავსე მცხოვრებლებს არა ჰგავდნენ. მათ ისეთი ავადმყოფი და დაღვრემილი სახეები ჰქონდათ, რომ სიკვდილსაც კი შეეშინდებოდა. ასეთ უბედურებაში იმყოფება დაბლობში მცხოვრები ხალხი, რომელიც ჭაობით იკვებება. კატოს მამას ჰქონდა აქ ქვის სახლი და ზაფხულობით ის თავის ოჯახობით რამდენსამე კვირას ატარებდა, რადგან ციების ეშინოდა. მისი ბიძაშვილი ქალი ჭლექით იყო ავად, ისეთი მოსუსტებული იყო, რომ დღითი-დღე სიკვდილს ელოდდა. ის მაღალი, ლამაზი ქალი იყო და ფერმკრთალი, როგორც მარმარილო. მისი ორი ქალიც ავად იყვნენ ჭლექით. ისინიც ისევე ლამაზები იყვნენ, როგორც დედა. სამსავე ქალს ჯერ დიდხანს აციებდათ, მერე კი ციება ჭლექად გადაექცათ. ქეთევანი და თამარი ძალიან შეწუხდნენ, მაგრამ რით უშველიდნენ ამ უბედურ ოჯახს? ავადმყოფობასთან ერთად შეძლებაც არა ჰქონდათ, და ავადმყოფი დები ზამთარში ქუთაისში სცხოვრობდნენ გაკვეთილებით.

ერთი კვირის შემდეგ სამივე ამხანაგი ძალიან დაღონებულები დაბრუნდნენ ქუთაისში. რა არის ადამიანის სიცოცხლის მიზანი? ამ საკითხზე პირველად დაფიქრდნენ სამნივე. განსაკუთრებით დამაფიქრებელი იყო მათთვის მაშინდელ ქალის მდგომარეობა.

იმ დროის ქალი ძალიან ვიწრო ბილიკზე იდგა. მას არ აინტერესებდა არც ლიტერატურა, არც საზოგადოებრივი ცხოვრება, იშვია-

თალ თუ შეხვედრილი ქალს, რომელიც რომელიმე კულტურულ მოღვაწეობას მისდევდა. ყველას შეეძლო მარტო გათხოვილიყო, ჰყოლოდა შვილები და გაეზარდა ისინი ან ცუდათ ან კარგათ. ოჯახის საქმეებს ყურადღებას არ აქცევდნენ, შვილებს სხვას აზრდევინებდნენ და ფუქსავატ ცხოვრებას ეწეოდნენ.

ქუთაისში ჯერ ისევ ჰყვაოდნენ გაზაფხულის ვარდები, როცა თამარ და ქეთევანი ჩამოვიდნენ სოფლიდან. მეორე დღეს გზაში ნინო შეხვდათ, ვიღაც ახალგაზრდა ყმაწვილს მხიარულათ ემუსაიფებოდა. მან მხოლოდ თავი დაუკრა ამხანაგებს და გაიარა. მათ დაკარგეს სამუდამოთ თავიანთი მესამე ამხანაგი, მათსა და ნინოს შორის არაფერი საერთო არ არსებობდა. სამაგიეროთ ისინი კატოს დაუმეგობრდნენ. კატო თუმცა ლამაზი არ იყო, მაგრამ სასიამოვნო სახე ჰქონდა და კეთილი გული. ყველა სიამოვნებით ლაპარაკობდა მასთან და პატივსა სცემდა. მას დიდრონი, მშვიდი და გულუბრყვილო თვალები ჰქონდა, როგორც შველს. საერთოთ ჭკვიანი ქალი იყო და ამასთანავე მუსიკის დიდი ნიჭი ჰქონდა. თავის ტოლებში ამხანაგები არა ჰყავნდა კატოს, რადგან იმერული ზერელობა და ცრუპატივმოყვარეობა მას არ ახასიათებდა. ის მეტად სერიოზული იყო და ეს ხელს უშლიდა მათთან დამეგობრებას. კატომ შემოატარა ქუთაისის ყველა ლამაზი კუნჭული. ქეთევან და თამარი სტკბებოდნენ ქუთაისის ლამაზ არემარის სიმშვენიერით, საღამოობით კი კატო უკრავდა როიალზედ. მაგრამ წასვლის დრო მოახლოვდა. დაღონდნენ, სამივენი სტიროდნენ და თითონვე აწუგეშებდნენ ერთმანეთს, როგორც „ვეფხვის ტყაოსნის" გმირები.

„რომ იცოდე, რა ძნელია შენი და შენ მშვენიერ იმერეთის განშორება!"—ეუბნებოდა თამარი კატოს,—აქ ყველაფერი ლამაზია და ჯადოქარია, არა მარტო მთები, მინდვრები, ტყეები, მდინარეები, მცენარეები, ყვავილები, არამედ ადამიანები, განსაკუთრებით ქალები. აქ მე ვნახე სახეები, რომელნიც სამუდამოთ ჩაიბეჭდნენ ჩემს მეხსიერებაში, ისე, როგორც ლამაზი ლექსი და მომხიბლავი მუსიკა!

„ჰო, ბუნებამ ჩვენ მოგვცა ყველა სიმშვენიერე, მაგრამ ბევრ ლამაზს ქალს აკლია ლამაზი სული, ბევრს ლამაზი სახე და სხეული უმახინჯებს სულს".

თამარ და ქეთევანი თავ-თავიანთ სოფლისკენ გაეშურნენ.

შემოდგომაზედ, როგორც კი ფოთლებს სიყვითლე შეეპარათ, ისევ თბილისში დაბრუნდნენ. თამარი ქართული ენის გაკვეთილებს აძლევდა, ქეთევანმა ალაგი იშოვნა ერთ თავის შორეულ ნათესავების ოჯახში. ქეთევანს აქ ყველაფერი ეუცხოვებოდა, ქართული ენა იშვიათად ესმოდა და სძულდა მათი ფუქსავატი ცხოვრება. ეს ერთი წარჩინებულ მოხელის ოჯახი იყო, რომელიც დღედაღამე სამხიარუ-

ში დაწინაურებისათვის ჰფიქრობდა. ყოველთვის სცდილობდა ესიამოვნებინა უფროსებისთვის და არამც თუ არაფერს იტყოდა, არამედ არც კი იფიქრებდა ისეთ რასმე, რაც მათ არ მოეწონებოდათ. მისი მეუღლე, მაღალი წრის არისტოკრატი ქალი, პირნათლად ასრულებდა თავის სალონურ მოვალეობას. მთელი წელიწადი წარჩინებულ პირთა ცოლებთან სადარბაზოთ დაიარებოდა, იღებდა სტუმრებს. დადიოდა, რასაკვირველია, ოპერაში, თეატრში, მაგრამ არა ქართულ წარმოდგენებზედ და თვეში ერთ რუსულ წიგნს კითხულობდა.

ქეთევანს სძულდა ესეთი სიცალიერე და ჩქარა მოსწყინდებოდა აქ ყოფნა, რომ არ შეხვედროდა 16 წლის ელისაბედს, უნცროს დას. ელისაბედი ქართველი იყო სულით, უყვარდა ქართული ყველაფერი და ეხვეწებოდა ქეთევანს ქართული წერა-კითხვა ესწავლებინა. დედა თუმცა არ უჯავრდებოდა, მაგრამ მაინც უკმაყოფილოთ იღიმებოდა, რომ მისი ქალი ასეთ უსარგებლო საქმეზედ დროს ჰკარგავდა და ხანდახან ელისაბედსაც ეტყოდა ხოლმე ამას. მაგრამ ელისაბედს ქეთევანი ისე შეუყვარდა, რომ მას აღარაფერს უმალავდა და მუდამ ნაღვლიანათ უამბობდა ხოლმე დედის ნათქვამს. გაიარა ერთმა წელმა. ქეთევანი ბეჯითად ასწავლიდა თავის მოწაფეს. ელისაბედს უფრო ძალიან შეუყვარდა ქეთევანი. დედა ყურადღებას აღარ აქცევდა და ელისაბედის აღზრდა ქეთევანს მიანდო, თუმცა ასეთი აღზრდის მომხრე თვითონ არ იყო.

გაიარა მეორე წელმა. ელისაბედის უფროსი და, მარგალიტაც, დაუმეგობრდა. მაგრამ მესამე წლის გაზაფხულზე ქეთევანმა საშინელი ამბავი შეიტყო: მათი მამული და სახლკარი გირაოში გაყიდულიყო. ქეთევანს გული შეუწუხდა, მთელი კვირა ლოგინში იწვა. როგორც კი მორჩუნდა, ქეთევანმა გადასწყვიტა კახეთში წასვლა. და რადგან ელისაბედმა და მარგალიტამ თავი არ დაანებეს, სამივე წავიდნენ.

გომბორის მთებზედ გაზაფხული გადაშლილიყო, მოსჩანდა ტყეში ყვავილები და ისმოდა ფრინველთა ჭიკჭიკი. ქეთევანის გული დახურულიყო, მისთვის აღარ არსებობდა სიხარული. მხოლოდ საღამოთ, მზის ჩასვლისას ქეთევანი თავის მეგობრებით სახლში მივიდა. დაღონებული დედ-მამა ბარგს ალაგებდნენ, რადგან ახალი პატრონი, ვიღაც თელაველი სომეხი ვაჭარი, თავის ცოლ-შვილით უნდა გადმოსულიყო. დედა-შვილმა ისეთი ტირილი დაიწყეს, თითქოს წინ მიცვალებული ედოთ. ქეთევანს მთელი ღამე არა სძინებია. გათენებისას ბაღში გამოვიდა, კაკლის ქვეშ დაჯდა. დაღონებული უყურებდა ნაცნობ ხეებს, ბუჩქებს, ძველ მონგრეულ ლობეს, ძველ სახლს, აივანს, კიბეს. ყველაფერი ეს მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის ბავშობასთან. ქეთევანი სტიროდა და მზემ კი, როგორც წინათ, უბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა


ვით მოაზნია სხივები ალაზნის ველს. ო, რამდენჯერ უნახავს ქეთევანს მზის ამოსვლა თავიანთ ძველ აივნიდან! ქეთევანი სტიროდა ხმა-მაღლა, დაეცა ბალახებზე და ქვითინებდა მდუღარე ცრემლებით. ამშვიდებდნენ ამხანაგები, ნუგეშს აძლევდნენ: ნუ სტირი, ქეთო, დღეის შემდეგ ჩვენი სახლი შენი სახლის მაგიერობას გაგიწევსო. — ეუბნებოდა მარგალიტა და ჰკოცნიდა. მაგრამ ქეთევანი ვერ დაამშვიდეს გულწრფელმა სიტყვებმა. „არა, ძვირფასო, ადამიანს აქვს მხოლოდ ერთი მშობელი სახლი და ვერაფერი ვერ დაიჭერს მის ადგილას, — უთხრა ქეთევანმა.

ხუთი დღის შემდეგ კი ყველა გულდაწყვეტილი ემშვიდობოდა აქაურობას. დედა-შვილი სტიროდა, ემშვიდობებოდნენ ხეებს, ბაღს, შეჰყურებდნენ ფანჯრებს, კედლებს და სტიროდნენ. ძაღლი და კატა მეზობლებს მიაბარეს. მწუხარე და მძიმე იყო ეს განშორება, როგორც „ვეფხვის ტყაოსანში".

დილიჟანი მზად იყო, ქეთევანი დაეცა მუხლებზე და ჰკოცნიდა მიწას. ძლივს აიყვანეს და ჩასვეს დილიჟანში. თბილისში ხელმეორედ ავად გახდა. მაგრამ ამხანაგების მოვლამ და ნუგეშმა მალე ჯანზე მოიყვანეს. თამარი და ქართული ენის მასწავლებელი მუდამდღე მოდიოდნენ სანახავად. ელისაბედი და მარგალიტა ხომ მთელი დღე უვლიდნენ ქეთევანს და მის მეგობრებსაც დაუახლოვდნენ.

ქეთევანი მალე ადგა. მარგალიტა და ელისაბედი თუმცა გასათხოვარნი იყვნენ, მაგრამ მათ არ მოსწონდათ ისინი, ვინც მათ სახლში დაიარებოდნენ, რომლებიც მათი მამის პროტექციით სცდილობდნენ საქმე გაეკეთებინათ და ქართველობის ნატამალიც არ ეტყობოდათ.

საზაფხულოთ ორივე და ქეთევანი სოფელში წავიდნენ. ქეთევანმა ისინი სულ სხვანაირ ცხოვრებას შეაჩვია, შეაყვარა ქართული ენა, სოფელი, სოფლის ცხოვრება, ისე რომ ქალაქის ფუქსავატური გასართობები აღარ ეჭაშნიკებოდათ.

ერთს მშვენიერ დღეს საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა მათი ბიძაშვილი სანდრო. სანდროს საზღვარ-გარეთ დაემთავრებინა უმაღლესი სასწავლებელი. გარეგნულად სასიამოვნო შეხედულების, ყოველთვის კარგად ჩაცმული, ჭკვიანი და განვითარებული სანდრო ქეთევანს შეუყვარდა. სანდროც ჩქარა შეეჩვია მას. ის სერიოზული კაცი იყო და თუმცა თითონ სპეციალობით ინჟინერი იყო, მაგრამ კარგად იცნობდა და შესწავლილი ჰქონდა გლეხთა საკითხი. მას ძლიერ აწუხებდა ქართველი გლეხის ცუდი მდგომარეობა. სანდრო, ოთხმოციან წლებში, ერთად-ერთი კაცი იყო, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხით დაინტერესებული. მაგრამ მთავრობა ავიწროვებდა და იძულებული იყო დაკმაყოფილებული იყო თავის სოფელში სკოლის გახსნით.

ნახევარი წლის შემდეგ სანდრომ და ქეთევანმა ჯვარი დაიწერეს. ქეთევანი ბედნიერი იყო. მაგრამ პირველი შვილის შემდეგვე მან საზოგადოებრივ საქმეზე ხელი აიღო და ყურადღებას არ აქცევდა იმას, რაც მის ოჯახს არ შეეხებოდა. ქეთევანს აკლდა ხასიათის სიმტკიცე და გამძლეობა.

მისი გათხოვების შემდეგ მარგალიტა და ელისაბედი ისევ მაღალ არისტოკრატიულ წრის გავლენას დაუბრუნდნენ და გათხოვდნენ კარიერის მაძიებლებზე. თამარმა არ უღალატა თავის მაშინ პრინციპებს, გათხოვდა მასწავლებელზე და იმასთან ერთად ეწეოდა საზოგადოებრივ მუშაობას. კატო მამის სიკვდილის შემდეგ თბილისში გადასახლდა და ითვლებოდა მუსიკის ერთ-ერთ საუკეთესო მასწავლებლად.

ყველა ეს ქალები, რომელნიც დაჯილდოვებულნი იყვნენ ყოველგვარ გონებრივ ნიჭით და კეთილი გულით, ასცდნენ თავიანთ პირვანდელ მიზანს, რადგან მათ არ ჰქონდათ ხასიათის სიმტკიცე, რომ წასულიყვნენ იმ გზით და იქითკენ, საითაც მიილტვოდა მათი ახალგაზრდური გრძნობა და აზრი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სანდრო მოურავი

მამამ სანდროს უანდერძა პატარა ვენახი, ძველი სახლი და სხვა არაფერი, რადგან თვით მამას სხვა არა გააჩნდა რა და მთელი თავისი სიცოცხლე ერთ მემამულის მოურავობაში გაატარა. მემამულე სამხედრო სამსახურში იყო და მხოლოდ იშვიათად თუ ესტუმრებოდა სოფელს, ასე რომ მოურავი გამგებლობდა შეძლებისა და სურვილისამებრ. არც თუ ცუდად ცხოვრობდა იგი, რადგან მუდამ გააჩნდა პურ-ღვინო, ლობიო და კვერცხი, ხან ქათამი და თევზი, ყველი და დღესასწაულებზე—ღორისა ან ცხვრის ხორცი და წელიწადში ორიოდეჯერ ინდაურიც კი.

სამუშაო ცოტა იყო, მუშა მრავალი: პატარა ჯამაგირი კი ჰყოფნიდა სამოს-სარცელისა, ჩუსტისა, ჩაი-შაქრისა და, ბოლოს, სახობუხე თამბაქოსათვის. მეზობლებს, გლეხებსა და წვრილ მემამულეთ უყვარდათ იგი და როცა კი ვინმესთან იყო ქორწილი, ნათლობა, დღეობა ან სხვა რამე ოჯახური დღესასწაული, სანდროს მამაც იქ იყო მოწვეული და ისეთი ნადიმი მისთვის უდიდეს რამეს წარმოადგენდა. ლოთი არ იყო, მაგრამ უყვარდა ხანდახან მხიარულება და ზაასი.

სანდრო მისი ერთად-ერთი შვილი იყო და მხოლოდ რამოდენიმე თვით უფროსი მემამულის შვილზე, რომელსაც ილიკოს ეძახდნენ. ზაფხულობით ილიკო დედასთან ერთად ჩამოდიოდა სოფელში და მაშინ რამოდენიმე თვის განმავლობაში ორივე ბიჭი დილიდან საღამომდე ერთად იყო: ორივენი თამაშობდნენ ეზოში, დადიოდნენ მინდორსა და ტყეში, თევზაობდნენ პატარა ღელეში, სეირნობდნენ ურმითა ან ბებერ, მშვიდ ცხენზე და ძღებოდნენ ბალით, კაკლით, ვაშლითა და სხვა ხილითა.

მთელი დღე დარბოდნენ სუფთა ჰაერზე, უძლებდნენ წვიმას, ქარსა და სიცხეს და გამოწრთობილნი იყვნენ სხეულით. მაგრამ სანდრომ თავისი ჯანი ილიკოზე უფრო მოიმრთელა, რადგან ზამთარშიაც სოფლად იყო და სიცივესაც ისე უძლებდა, როგორც ზაფხულობით სიცხეს.

ასე იზრდებოდა იგი ათ წლამდე, როცა მამამ მიაბარა გორის სასწავლებელში. სანდრო უხალისოდ სწავლობდა. ოთახში წიგნზე ჩაჩინი მის ბუნებას არ ეგუებოდა და გაჭირვებით დაამთავრა საქალაქო სკოლა. შემდეგ აღარ განუგრძია, მით უმეტეს, რომ მამას საშუალება აღარა ჰქონდა და საქალაქო სასწავლებელშიაც კი უჭირ

ძნელი შეექნა შვილის შენახვა. იგი ხომ დედაბერს, რომელთანაც სანდრო ცხოვრობდა გორში, მთელი სამოსწავლო წლის განმავლობაში, ყოველთვიურად აძლევდა ერთ მანეთს, ერთ ფუთ ფქვილს, შემდეგ კიდევ ათ გირვანქა ლობიოს, სამ გირვანქა ქონსა და ათ კვერცხს.

როცა სანდრომ დაასრულა გორში თავისი სწავლა, მასაცა და მამასაც უფრო შეუმსუბუქდათ პირობები. ეხლა იგი იყო მაგარი, ჯანსაღი ბიჭი და განაგრძობდა თავის ძველებურ ცხოვრებას ბუნების წიაღში, ჰშველოდა მამას მეურნეობაში, თუმცა კი თვით მამასაც ცოტა ჰქონდა სამუშაო.

ილიკო ჩამოდიოდა წინანდებურად და ორივემ შეიყვარეს ნადირობა და იყვნენ განუყრელი მეგობრები. ამბობენ, რომ სიყრმის მეგობრობა უმტკიცესიაო და სწორედ ასეთი იყო მათი მეგობრობაც.

სანდროს მამა, ძველი მოურავი, მეტად ბედნიერადა თვლიდა თავს, რომ მისმა შვილმა შეიყვარა სოფლის მეურნეობა და რომ შეეძლო დაეჭირა მამის ადგილი მისი სიკვდილის შემდეგომ.

— „რად გინდა დიდი სწავლა“-ო, — ეტყოდა ხოლმე შვილსა, — ბედნიერება სწავლაში კი არ არის, არამედ წყნარ ცხოვრებაშია. ის სწავლული ბატონები, ქალაქში, ვერ არიან ჩვენზე ბედნიერნი, პირიქით, რაც მეტი ცოდნა აქვს კაცს, მით უფრო მეტი აქვს საზრუნავი და სადარდებელი“-ო.

მოხუცი მოურავი მხოლოდ ზამთრობით, გრძელ ღამეებში, ჰკითხულობდა წიგნს, რომელსაც აძლევდა სოფლის მასწავლებელი. წიგნებს ჰკითხულობდა წყნარად, ისე რომ მთელ ზამთარში სამიოდეს თუ წაიკითხავდა, შინაარსი კი ასე უფრო ებეჭდებოდა მახსოვრობაში.

სკოლიდან დაბრუნებისას, თექვსმეტი წლის სანდრომ თავის მამასავით დაიწყო მუჯელობა და ცდილობდა ეცხოვრა წყნარადა და უზრუნველად. როგორც წინად, ეხლაც უყვარდა მას თავისუფალი ცხოვრება სუფთა ჰაერზე, ცოტასა სვამდა და მამასავით იკვებებოდა უბრალო საზრდოთი. ის სავსებით შეეჩვია მამისებურ ცხოვრებას, მაგრამ უფრო შეგნებულად და როცა შეუსრულდა ოცი წელი, აღარ ცხოვრობდა ჩვეულების მიხედვით და ხშირად ეკითხებოდა თავს, თუ რატომ იქცეოდა ასე და არა სხვანაირად.

ოცდახუთი წელი რომ შეუსრულდა, გარდაიცვალა მამა და სანდროს მემკვიდრეობით გადაეცა მოურავობა. დიახ, ის განაგებდა მამულს მამამისისავით, ანუ — არც აუმჯობესებდა მეურნეობას და არც აუარესებდა. მემამულე, რომელიც ტფილისში ცხოვრობდა, იშვიათად ჩამოდიოდა ხოლმე და უკმაყოფილება არასოდეს გამოუთქვამს. მსგავსად მამისა, სანდროს არავისი ჰშურდა რა, პირიქით, თავს ბედნიერად თვლიდა, სჭამდა და სვამდა, რამდენიცა სურდა, მაგრამ

ზომიერად. იცვამდა კარგად, თუმც კი სადად, ხშირად იყო ხოლმე მოწვეული მეზობლებთან, იჯდა კარგ ცხენზე, ნადირობდა და ჰყავანდა ერთგული ძაღლი.

მამის სიკვდილის შემდგომ, ერთ წელიწადში, სანდრო დაქორწინდა დედამისის ნათესავ გლეხის ქალიშვილზე, თამარზე. თამარს გათავებული ჰქონდა გორის პროგიმნაზია და შრომისმოყვარე და გონიერი ქალი იყო. თამარს სანდრო მეტად აფასებდა და ცხოვრობდნენ წყნარადა და ბედნიერად.

სანდრო, თავისი დინჯი, წყნარი ხასიათის წყალობით, დაკვირვებული და ჩაფიქრებული ადამიანი იყო. მოთმინებით ადევნებდა თვალყურს ბუნების ყოველ მოვლენას, მცენარეთა, ცხოველთა, განსაკუთრებით ფრინველთა ცხოვრებას. ჯერ ბავშვობაშივე შეიყვარა ბუნება და ეხლა უფრო მეტად განიცდიდა და აზრით უთვალთვალებდა მის ცხოვრებას.

ტყედ დადიოდა თითქმის ყოველდღე, რადგან ტყე რამდენიმე ასეულ ნაბიჯზე იყო მოშორებული სოფელზე. მაგრამ აუყვებოდა ხოლმე მაღლა მთას და ასეთი გასეირნება დიდ სიამესა ჰგვრიდა. მაღლა მთის ფერდზე მუშაობდნენ მენახშირეები და მათთან ხშირად შიემართებოდა საქმის გამო. მაგრამ ეს საქმე მას სავსებით არ იბერობდა. მიდიოდა წყნარად, უცქეროდა ხეებსა და ბუჩქებს და როცა შეამჩნევდა ლამაზ მუხას ან წიფელას, შეჩერდებოდა და შეჰხაროდა მის მშვენიერებას. წყაროები და ნაკადულებიც იპყრობდნენ მის ყურადღებას, რომლებიც მოწანწკარებდნენ ქვევით და ველს უხვად აძკურებდნენ თავიანთ სისოველეს.

მენახშირეებთან იჯდა ხოლმე თითო-ოროლა საათს, ისუნთქავდა მთის ჰაერით და ყურს უგდებოდა, თუ რას უამბობდნენ მელიებსა, მგლებსა და სხვა ცხოველებზე, რომლებიც ღამ-ღამობით ახლო მიდიოდნენ იმათ ქოხებთან. წასვლის წინ გადადგებოდა მთის ნაპირზე, გასცქეროდა ქვემოთ მომხიბლველ დაბლობს, მდიდარ ბაღებიან სოფლებს და შორიდგან გამომზირალ პირქუშ ქალაქ გორს.

როცა შინ სამუშაო ცოტა იყო, იგი შეჰკმაზავდა ხოლმე თავის ლურჯა თოხარიკს და გაემგზავრებოდა ნაცნობებთან მეზობელ ან შორეულ სოფელში. მისი თოხარიკი იყო მშვენიერი, მაგარი და მშვიდი ცხენი და უბნელეს ღამეებშიაც პატრონს სწორ გზაზე ატარებდა. ყოველი ასეთი სტუმრობა კარგ მეგობრებთან მას უდიდეს სიამესა ჰგვრიდა. მათთან მიდიოდა არა საქეიფოდ, არამედ რამოდენიმე საათს სამასლაათოდ. თვით გზა ჰგვრიდა უკვე სიამეს და ამიტომ იყო, რომ ისე აუჩქარებლად მირონინებდა და მისი თვალები გაფაციცებით უცქეროდნენ ყველაფერს, რაც გარშემო ჰქონდა შემორტყმული. მეგობრებთან უყვარდა ცოტათი დანაყრება, მაგრამ ღვი-

ნოს ცოტასა სჯამდა, რომ შეენარჩუნებია თავისი სიმშვიდე, რადგან სიმშვიდე აზრთა და გრძნობათა მას მიაჩნდა უდიდეს სიამოვნებად.

ასეთი გამტანი შეხედულება და სურვილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ზანტ ქართველს და მართლაც ის იყო ცოტათი ზანტი და მოზარმაციც კი. ზოგიერთნი მას „ლობიო"-საც ეძახდნენ, მაგრამ ის ამ სახელზე მხოლოდ იცინოდა. მას არ შეეძლო აერჩია ისეთი ხელობა, რომელიც მოითხოვდა გონებისა და სხეულის სისხარტეს და ამისათვის გახდა მოურავად, როგორც მამა მისი, რომელიც ისევე ზანტი და მოზარმაცი იყო. ტკბილი მასლაათი და ჩიბუხი უდიდეს სიამეს ჰგვრიდნენ და მზად იყო სამი-ოთხი ჭიქა ღვინით მთელი ღამე გაეტარებია და ეყბედნა კარგ ნაცნობთან.

სახლში ხშირად ღამითაც ბრუნდებოდა, მაგრამ სიბნელეშიაც ცხენით გასეირნება მისთვის დიდი სიამოვნება იყო, განსაკუთრებით ზაფხულში, როცა ღამის ფრინველთა და სხვა ცხოველთა ხმაურობა არღვევდა სიჩუმეს.

ზაფხულობით ხშირად მიდიოდა ხოლმე მთაში, რომ ენახა, თუ რა მდგომარეობაში იყო ცხვარი. ასეთ შემთხვევაში თან მიჰქონდა რამდენიმე დღის საგზალი და დილით, მზის ამოსვლამდე, გაუდგებოდა გზას თავისი ცხენით. უმეტესი გზა იდო ტყეში, ვეებერთელა მუხათა და წიფელათა ქვეშ. გზა იყო მძიმე, გადადიოდა უფსკრულებზე, მაგრამ სანდროს თავბრუ არ ეხვეოდა, როგორც ეს ემართება სუსტნერვებიანთ.

მისი ნერვები თოკებივით მაგრები იყვნენ და იგი მშვიდად იდგა უფსკრულის პირზე და გასცქეროდა შორეულ სოფლებს, გორის ეჯ სახლებს და ტყიან მთებს. ხშირად ენახნა მას ეს სურათი, მაგრამ მისი თვალები მაინც ხალისით ეძებდნენ ყოველ კუნჭულს და სოფელსა და სახლს, სადაც იგი ცხოვრობდა და სადაც ამ წამში მისი ცოლი, შესაძლებელია, ეალერსებოდა ბავშვსა და ჰფიქრობდა ქმარზე, როგორც ქმარი ჰფიქრობდა მასზე. დიახ, სანდრო იყო კარგი ქმარი და მამა, როგორც საზოგადოდ არიან კაცნი მშვიდნი და მორიდებულნი. მას არასოდეს მოუწადინებია სხვა ქალი და ასეთი ნდომა მიაჩნდა დანაშაულობად ცოლისა და შვილის წინაშე.

ტყეში ცოტა ხნის დასვენების შემდგომ, სანდრო მიდიოდა ზევით და ზევით ტყე თანდათან თხელდებოდა და ხეებიც დაბლდებოდნენ, სანამ ტყე სრულებით არ გათავდა და დაიწყო საძოვრები. მის წინაზე შორს გადაჭიმულიყვნენ მწვანე მინდვრები, სადაც ჯერ კიდევ მკათათვეში ნორჩ ბალახში ჰყვაოდა ათასფერი ყვავილი. წყნარად ადიოდა ზევით და ახლა მის თვალებს გადაეშალა ჯადოსნური სანახაობა. ჩრდილოეთისაკენ დაყუდებულიყო მზეზე მბრწყინავი გრძელი კედელი მყინვარებისა და სამხრეთით მის ქვეშ შორს გადაჭიმუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა


ლიყო მწვანე ქართლი. აქ ყოფილა უკვე ბავშვობისას თავის მამასთან ერთად და, დიდი ხანია, ეს მომხიბლველი სურათები ცოცხლდებოდნენ მის მახსოვრობაში, მაგრამ ამის მიუხედველად იგი მაინც მუდამ სიხარულით ივსებოდა, როცა კი აქ მოვიდოდა და მათ იხილავდა.

რაკი მივიდოდა იმ ადგილზე, სადაც გაშლილი იყო ცხვარი, გადმოხტებოდა ცხენიდან და ფეხით გაემართებოდა მწყემსების ბინისაკენ, რომლებიც მას უხვდებოდნენ მეგობრულად და მხიარულად, როგორც დიდი ხნის სასურველ ძმას. ყოველი მისი სტუმრობა მათთვის დღესასწაული იყო, რადგანაც მოუტანდა ხოლმე ახალ პურს, სამწვადე ხორცს და ღვინოს. თუ რა იყო მათ გულში, ეს, რა თქმა უნდა, არ იცოდა, მაგრამ როცა საღამოთი მათთან იჯდა და ვახშმობდა, ისინი მხიარულნი და კმაყოფილნი იყვნენ და მისთვის ესეც საკმარისი იყო.

საღამოთი, როცა ბარში უკვე შავი სიბნელე ჩამოწვებოდა, აქ მათ თავზე, მარმარილოსებრ თეთრ მყინვარებზე ჯერ კიდევ ბრწყინავდა მზის ვარდისფერი ანარეკლი.

გარშემო სიჩუმე იყო, შორით მოისმოდა ნაკადულის ჩუხჩუხი და მწყემსების სიმღერა. სანდროს უყვარდა ეს საღამოები, რომლებიც მოაგონებდნენ მამასა და ბავშვობას. უყვარდა აგრეთვე ამბები და სიმღერა მწყემსებისა და მის უბრალო გულს უხაროდა, რომ ისინი ასე განიხარებდნენ მისი სტუმრობით.

დილით, როცა ჯერ კიდევ ბნელოდა და მხოლოდ მყინვარები ბრწყინავდნენ მკრთალად, ის უკვე ამდგარი იყო, დაიბანდა პირს წყაროზე და სუფთა ჰაერზე მოსეირნე ელოდა მზის ამოსვლას. მყინვართა ვეება მწვერვი უფრო და უფრო მეტად მოივერცხლა, შემდეგომ კი ეს ბრწყინვალება ოქროდ იქცა. აღმოსავალზე ამობრწყინდა მზე და ნორჩი დილის ნორჩი სინათლე ეშვებოდა ქვევით კალთებზე და აღვიძებდა ბარს. სანდრო ჩიბუხის წევით გასცქეროდა ამ სიმშვენიერეს, გასცქეროდა სიამოვნებითა და გულდასმით, მაგრამ ბუნების სიმშვენეზე არასდროს იტყოდა რამეს, რადგან არ იყო ენაწყლიანი და არ შეეძლო არც აღფრთოვანება და არც გამოთქმა ასეთი შთაბეჭდილებისა. მაგრამ მაინც უყვარდა ბუნების სიმშვენე და განიხარებდა სულით. იგი იყო უტყვი მგოსანი, როგორნიც ყოველგან იბადებიან. ასეთნი უფრო მრავლად არიან, ვიდრე ნამდვილნი მგოსანნი.

ამ უბრალო ადამიანის ცხოვრებაში უხვად იყო პოეზია, რადგან მას მუდამ თან სდევდა სიმშვიდე, მეტსა სჭვრეტდა, ვიდრე ლაპარაკობდა და თავისი წესიერი ცხოვრების წყალობით მუდამ ჯანიანად იყო.

სანდრომ მთელი თავისი სიცოცხლე იმავე მამულის მოურავობაში გაატარა, იცხოვრა ღრმა მოხუცებამდე, არასდროს გამხდარა ავად და გარდაიცვალა უეცრად.

თავის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში აღარ ადიოდა მთად, მაგრამ კვლავ მიმოივლიდა ხოლმე სოფელს, ესტუმრებოდა მახლობელ მეგობართ, ან კი იჯდა ბანზე და ახალგაზრდულად გასცქეროდა ბუნების წიაღს. და როცა გაზაფხულზე აყვავდა მთა და ბარი, ტყე და ბაღები და ოქროს მზე აბრწყინებდა ამ მომხიბლავ სამყაროს, მისი გული მოიცვა კაეშანმა, რადგან ემძიმებოდა განშორება ამ სიმშვენიერისა, ამ სილამაზისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქართველთა ცხოვრება მე-18 საუკუნეში

მეთვრამეტე საუკუნეს დიდი ადგილი უჭირავს ქართველი ერის ისტორიაში, რადგანაც ამ ვრცელ ხნის განმავლობაში თავს იჩენს მრავალი მოვლენა, რომელშიაც ქართველთა მრავალფეროვანი ცხოველი ძალები ცხადდება მეტის სიძლიერით, ვიდრე წინა საუკუნოებში. ეს მოვლენანი არიან: ფიზიკური, ზნეობრივი და გონებრივი. პირველი და უკანასკნელი მოვლენა იმდროის ქართველთა სასარგებლოდ ღაღადებს, მხოლოდ ზნეობრივ მხარეს ემჩნევა ბევრი უწესოება და გახრწნა. უწინდელი გულადობა და მეომრობა მეტის სიმძლავრით იჩენს თავს.

ძნელია შეიწონოს, ეს მოვლენანი რამდენათ იყვნენ გამოწვეულნი გარეშე ან შიგნითი მოძრაობით ან თუ ეს იყო ბუნებრივი გაგრძელება ქართველ ერის საუკეთესო ნაწილის კულტურულ ცხოვრებისა. ისტორიული ბედი, დაუცხრომელი შევიწროვება მაჰმადიანთა სამყაროს მხრივ, რასაკვირველია, ყველაზედ მეტათ აიძულებდა ქართველ ერს გადახრილიყო ახალ ორგანიზაციისკენ, ახალ ცხოვრებისაკენ და დახსნილიყო აზიურ ბარბაროსობისაგან ევროპის ცივილიზაციისა, პოლიტიკისა და ეკონომიურ ცხოვრებისაკენ. ამ მოძრაობას ხელს უწყობდენ ეგრეთვე ზნეობრივი მიდრეკილება იმ ცალკე პირთა, რომელნიც, გარდა გარეშე მოვლენათა ძალდატანებისა, მისწრაფოდენ აღორძინებისაკენ თვით შინაგან აუცილებლობისა გამო. ამ თვითმოქმედ პროგრესისტების და კულტურულ მოღვაწეთა ზურგსუკან იდგა მამულიშვილთა წრე, რომელნიც ერთგულად და სრულის ნდობით მისდევდნენ მათ, როგორც თავიანთ მოძღვართ.

მე-18-ტე საუკუნის ცოცხალ ფონზედ ჩვენა ვხედავთ ფართო წრეს სხვადასხვა პირთა, რომელნიც გამოდიან სხვადასხვა ასპარეზზედ და სხვადასხვა გარემოებაში. როგორც ეს საზოგადოთ ხდება გარდამავალ ხანაში, მათს მოღვაწეობას ემჩნევა ქაოტიური ხასიათი და თვით კულტურული აღორძინების მოძრაობა ხშირად სწყდება და ცვლის მიმართულებას. ამ მისწრაფებათა, მოქმედებათა, აჯანყებათა და შეთქმულებათა მიზეზი, მიზანი და აზრის გამორკვევა ვერ გააშუქებს სავსებით საქართველოს ცხოვრებას მე-18-ტე საუკუნეში; მხოლოდ მთავარ მოძრაობათა და მოღვაწეთა თვისებათა საზოგადო დახასიათება მეტად თუ ნაკლებ გააშუქებს იმ ხანის სულსა და შინაარსს.

მეთვრამეტე საუკუნე საქართველოში მიდრეკილების გამოცვლის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აზრით იწყება წინა საუკუნის მეორე ნახევარში, რაც გამოიხატება სპარსეთის გავლენისაგან ჩამოშორების სუსტ ცდაში. თეიმურაზ I-ლი, იოსებ ტბილელი, არჩილი და პაშო ბერთაძეები თავიანთ თხზულებებში არ მალავენ თავიანთ წინააღმდეგობას სპარსეთის მტარვალთა მიმართ და. ჰლოლიდებენ-რა ქართველთა ტანჯულ ცხოვრებაზე შაჰების და მათ ნაცვლების მფლობელობის ქვეშ, სცდილობენ ამით გააღვივონ ქართველთა გულში სამშობლოს სიყვარული. თეიმურაზ I-ს სხვაზედ მეტი საბუთი ჰქონდა სპარსელებისადმი სიძულვილისათვის, თუმცა, მგონი, ახალგაზრდობის დროს ის სიყვარულით ეპყრობოდა სპარსულ კულტურას და ლიტერატურას. ისფაჰანში დროებითი ცხოვრების დროს, შაჰის სასახლეში მას შეეძლო აღტაცებულიყო სასახლეების, მეჩეთების და სხვა შენობების სიმდიდრით და სიმშვენით, სანეტარო ბაღებით, ძვირფასი სამკაულით და სპარსეთის სატახტოს თანამედროვე ცხოვრებითა ქეიფით და ლაღი ფუფუნებით; მაგრამ აღმოსავლეთის სიბრწყინვალემ დიდი ხნით ვერ აუბა თვალები თეიმურაზს, რადგანაც მან ჩქარა განიცადა თავის თავზედ შაჰის უხეში ძალმომრეობა, რომლის მსხვერპლიც შეიქმნა თეიმურაზის დედა, დედოფალი ქეთევანი. მისი წამება ისპაჰანში იყო ერთი უმთავრესი მოვლენათაგანი მე-17-ტე საუკუნეში, რომელმაც გამოიწვია მწვავე სიძულვილი ქართველებისა სპარსელების წინააღმდეგ. შაჰაბაზი I, რომელმაც ბევრი მოიმოქმედა ირანის ცივილიზაციისათვის, იყო ბოროტი სული საქართველოსთვის, როგორც შემდეგ საუკუნეში ნადირ და აღა-მაჰმად-ხანი.

თეიმურაზის გავლენა ცხოვრების ახალ მიმართულებაზედ თითქმის უმნიშვნელო იყო, მაგრამ მისი სამაგალითო სიყვარული და მისწრაფება საბერძნეთის კულტურისაკენ გავლენას ახდენენ იმ პირზედ, რომელნიც მიისწრაფოდნენ განათლებისაკენ. არც თეიმურაზი, არც იოსებ ტბილელი და არც არჩილი არ იყვნენ ნამდვილი მომქმედი მოღვაწენი, მხოლოდ ისინი იყვნენ უფრო მწიგნობრები. ისიც საკმარისი იყო, რომ ზღაპრებისა და არაკების ნაცვლად არჩილი და ტბილელი მოუთხრობდნენ სინამდვილეს და ამასთან არ ერიდებოდნენ სპარსელთა დევნის სინამდვილის გამოაშკარავებას. მაჰმადიანთა დაღი ემჩნეოდა არა მარტო პოლიტიკურ თავისუფლებას, არამედ ზნე-ჩვეულებას, ქართველთა საზოგადოებრივ და კერძო ცხოვრებას და თვით ეროვნულ მსოფლმხედველობასაც. საქართველო იყო პატარა კუნძული მაჰმადიანთა სამფლობელოში და, მიუხედავად მისი მდებარეობისა აზიის მიჯნაზე, ის მაინც მკაფიოდ განირჩეოდა მისგან თვისი სულით და ზნე-ჩვეულებით; განირჩეოდა ის ეგრეთვე სარწმუნოებით, მაგრამ ამ მხრივ ქართველნი ყოველთვის იჩენდნენ სამაგალითო ლმობიერებას და მათგან თითქმის არავის არ განუცდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარწმუნოებრივი დევნა. გულგაშლილობა და სხვის ჩვეულების და რწმენის პატივისცემა ყოველთვის იყო ქართველთა თვისება. ამ თვისებას მოკლებულნი იყვნენ სპარსელები, არაბები და ოსმალოები, და ამისთვის საუკუნოების განმავლობაში ქართველ ერს უხდებოდა განუწყვეტელი ბრძოლა და დაცვა თავის თავისებურობისა. ნივთიერ ცივილიზაციაში ქართველებმა ბევრი რამ გადმოიტანეს არაბებისა და სპარსელებისაგან და ოჯახურ მოწყობილებაში ბევრი საგნების ჩამომავლობას ამხელს მათი სახელები; ამასთან ერთად ქართულ ენაში შეიპარა ბევრი სპარსული, ოსმალური და არაბული სიტყვა. სპარსულ ენიდან გადმოტანილი იყო ბევრი სხვა ხასიათის სიტყვაც.

ზოგიერთ ხანას, განსაკუთრებით სპარსელების მფლობელობის გაძლიერების დროს ქართული სიტყვიერება განიცდიდა სპარსულ გავლენას. პირველი საერო თხზულებები მე-17-ტე საუკუნეში თითქმის გამოუნაკლისოთ ითარგმნებოდა სპარსული ენიდან, და რაც შეეხება ქართული ორიგინალურ ლიტერატურას მე-18-ტე საუკუნის ნახევრამდე, ეს ლიტერატურა აღბეჭდილი იყო სპარსული ხასიათით. ყველა ეს გასაგები და ბუნებრივია, თუ მიღებულ იქმნება მხედველობაში სპარსეთის ძლიერი და ხანგრძლივი მფლობელობა. უფრო ძნელი და გასაოცარია ის აზროვნული ძალა, რომელმაც, მიუხედავათ ამ ასწლოვან უღელისა, შვილიდან შვილიშვილამდე შეინახა ქართული ლიტერატურის სული, ქართული ენა და ქართული მსოფლმხედველობა. ეს სული, როგორიც თვით ქართული ციხე-დარბაზი, ხშირად იყო შენძრეული, მაგრამ კვლავ მაგრდებოდა და არ ჰქრებოდა.

ჩემის აზრით, ამ ზნეობრივ და აზროვნულ საუნჯეთა შენახვის უმთავრესი საფუძველი იყო რუსთაველის პოემა. იქ ვპოულობთ მსოფლმხედველობის იმ ზნეობრივ პრინციპებს და შეხედულებას, რომლითაც საუკუნეთა განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ ქართველი დედ-მამა თავიანთ შვილების აღზრდაში. ვერავინ ვერ უარყოფს, რომ „ვეფხის-ტყაოსანი" თავისი სულით, მსოფლმხედველობით, ზნეობრივ პრინციპებით და შეხედულებით წმინდა ქართული შემოქმედება არის და, მაშასადამე, გასაგებიც არის ის მნიშვნელობა, რომელიც მან მოიპოვა ქართველთა ცხოვრებაში.

საქართველოს წარსულში მოიპოვება რამდენიმე ისეთი ხანა, რომელმაც არ დასტოვა თანამედროვე აზროვნების ნიშნებიც კი, როცა ერი გაჭირვებით და ნელ-ნელა აახლებდა ჩინგის-ყაენის, თიმურის და სხვა დამპყრობელთა ფეხით გათელილ ნანგრევებს, მაგრამ ამ ბურუსით მოცულ შავ-ბნელ დღეებში მაინც ნაწილობრივ გადარჩა ჭკუისა და ზნეობის მოპოვებული საუნჯეები.

თვით უკიდურეს არეულობის დროს მაინც გამოსჭვივის თითო-

თითო სხივი და საზოგადო ნგრევის დროს არ სწყდება ნამდვილი კულტურის ცხადება. ამ შემთხვევისათვის მეტად საგულისხმო საბუთი დაგვიტოვა კახმა, რომელმაც 1258 წელს იყიდა ხიზილის მამული, შემდეგში გადაცემული რკონის მონასტრისათვის. მის გუჯარიდგან სჩანს, რომ ის იყო მოხერხებული მემამულე და კაცთმოყვარე ადამიანი. მონასტრის წინამძღვარს ურჩევს მსხდ ნოდარის მამულს, მოსავლის ერთი ნაწილი ყოველთვის გადაიდოს ცალკე ბეღელში უმოსავლო წლისათვის, ლმობიერებით მოექცეს გლეხკაცებს და არ შეავიწროვოს ისინი. მისი ზნეობრივი პრინციპები მოგვაგონებენ რუსთაველის შეხედულებას, და ცხადათ სჩანს, რომ ეს იყო კულტურული ადამიანი, კეთილად აღზრდილი თვისი მშობლებისაგან, მიუხედავათ მუღალთა თავდასხმისა. ასეთი თვისების ადამიანები მრავლად გვხვდებიან შემდეგს საუკუნოებშიაც და გადასცემენ თაობიდან თაობას ნეჭყვილერეობით კულტურას.

მამმადიანთა გავლენის ქვეშ, ნამეტნავად სპარსეთისა — აღმოსავლეთ საქართველოში და ოსმალეთისა — დასავლეთის, საათაბაგოში, ქართული კულტურა ძლიერ ზარალდება. და სწორედ ეს უკიდურესი მდგომარეობა წარმოშობს ისეთს მწერლებს, როგორებიც არიან: თეიმურაზ I, იოსებ თბილელი, პაშო ბერთაძე და არჩილი.

მაგრამ ქართული ცხოვრების და კულტურის დაცემა იყო შედეგი არა მარტო სპარსეთის და ოსმალეთის შემოსევის და გავლენისა, არამედ თვით საქართველოს შინაური ერთმანეთში გაუთავებელი დავისა. უკვე მე-15-ტე საუკუნეში ერთ მთლიან და ძლიერ სახელმწიფოდგან გამოიჭრა სამი სამეფო და ხუთი სათავადო, რომელნიც განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდენ ერთმანეთში. ამ ერთიერთ ბრძოლაში მონაწილეობას იღებენ, გარდა სამი მეფისა და და ხუთი მთავრისა, ძლიერი ფეოდალები, ერისთავები და ამილახვრები. შემდეგში გარემოება უფრო მეტად გართულდება და არ იყო მტკიცე-ნებიანი ხელისუფალი, რომელსაც შესძლებოდა შინაური ცეცხლის ჩაქრობა.

მე-18-ტე საუკუნის დასაწყისში, 1703 წელს, ქართლის მმართველად ინიშნება შაჰის წყალობით ვახტანგ მე-VI-ე, რომელიც სპარსელებისათვის ოფიციალურად ატარებს ჰუსეინ-ყული-ხან-ის სახელს. ეს იყო ჩინებული ადმინისტრატორი, კულტურის გატაცებული მოტრფიალე, მწიგნობარი, მაგრამ არ იყო არც ჯარის სარდალი და არც ისეთი მმართველი, როგორიც ჭირდებოდა მაშინ დანგრეულ საქართველოს. მას არ ჰქონდა ფოლადის სული, არც მას და არც თეიმურაზ II-ს და ერეკლე მე-II-რეს. ვახტანგ მე-VI-ის ცვალებადი ცხოვრება ცხადათ ამხელს იმას, რომ ის იყო მხოლოდ შაჰის მოადგილე და განიცდიდა, როგორც სხვა თანამედროვე ქართველი მეფენი,

ეროვნული ბიბლიოთეკა


სპარსეთის თვითმპყრობელის გავლენას და ნებისყოფას; მან ისლამიც-კი მიიღო. ესეთი უსაფუძვლო გარემოება მას უძლურს ხდიდა საქართველოსადმი და ართმევდა სახსარს შეემსუბუქებინა ქვეყნის ნივთიერი მდგომარეობა და მისი მოვალეობა სპარსეთისადმი. მაგრამ ის იყო გულით ქართველი და კულტურული კაცი და შეეცადა ისეთს საქმეებს, რომელზედაც მისი წინაპარი არც-კი ფიქრობდა. პირველი სტამბის დაარსება, კანონთა კრებულის დამუშავება და ქართული ქრონიკების შეგროვება მაშინ უდიდესი საქმე იყო. დაბეჭდილი წიგნების გამოცემას დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა გონებრივ ცხოვრებაზე, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ძალიან იყო მიყრუებული. რა დიდი სიამოვნება უნდა განეცადათ სიტყვიერების და პოეზიის მოსიყვარულეთ, როცა მათ პირველად დაინახეს დაბეჭდილი „ვეფხის-ტყაოსანი“! ან კიდევ ჩვეულებრივი კანონების მაგიერ სისტემატიურად განმარტებული კანონთა კრებული, რომელიც, ვგონებ, არც-ერთმა მოსამართლემ არ იცოდა ზეპირად.

ეს ახალი საქმეები შეიქმნა ახალი ცხოვრების ჭეშმარიტ საფუძვლად და ამიტომ ვახტანგ მე-VI-ე მართლაც ღირსია რეფორმატორის სახელის წოდებისა. ის იყო სული-რეფორმატორი მე-18-ე კულტურულ საუკუნესი, როგორც კათოლიკოსი ანტონი იყო მისი სული. მაგრამ ეს კულტურული მოღვაწე და საქართველოს განმაახლებელი მაინც იყო თავის საუკუნის შვილი, და, თუმცა იმას არ ჰქონდა ხანგრძლივი მეფობის იმედი, მაინც არ ჩქარობდა და არ ერიდებოდა ცხოვრების სიტკბოებას.

სეხნია ჩხეიძე ესე აღწერს ვახტანგ მე-VI-ეს ცხოვრებას: ბედნიერად და გულდინჯად ვანაგებდა ის სახელმწიფო საქმეებს და ადგენდა კანონთა კრებულს. ოთხშაბათობით და პარასკეობით ის ასამართლებდა და იყო სამართლიანი პატარასთან და დიდებულთან. კვირაობით და სამშაბათობით იყო დღე ქეიფისა და დროსტარებისა. სასამართლოში სხდომის და დროსტარების შემდეგ ის მიდიოდა სანადიროთ, თამაშობდა ბურთს, ვარჯიშობდა მიზანში სროლაში და ამგვარად მშვენივრად გაატარა თავისი სიცოცხლეთ. სხვათა შორის ჩხეიძე აღწერს მეფის ნადირობას, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ბევრი თავად-აზნაური და რომლისაც მარტო ორემი იყო მოკლული 160-მდე. ამას მოსდევს თევზის ჭერა, რის შემდეგაც მრავალი ორაგული ურიგდებოდა საწყლებს იმ დროს, როცა საწყლების მფარველობას და ქველმოქმედებას არ ჰქონდა სავანგებო ორგანიზაციები, მდიდართა უხვი ხელგაშლილობა ეწეოდა მაგიერობას, და ჩხეიძე დიდის ქებით აღნიშნავს ვახტანგ მე-VI-ის ქველმოქმედებას. საზოგადოთ ვახტანგი სავსე იყო მხიარულებით და სხვა აღმშენებლობის ასრულებასთან ერთად მან გაიყვანა ორი მოსარ-

წყალი არხი ზემო ქართლში. მე-18-ტე საუკუნის საქართველო არ სცნობდა დასავლეთ-ევროპის გასართობებს, როგორიც არის, მაგ., თეატრი, კონცერტი, ბალები და სხვა: სამაგიეროდ მან იცოდა ნადირობა, სხვა და სხვა თამაშობა და განსაკუთრებით ნადიმობა, თარზე და ჩონგურზე დაკვრა, საზანდარი, სიმღერა და ცეკვა. საზოგადოებრივი ცხოვრება, დღევანდელი სახით, ჯერ უცხო იყო, მაგრამ მაშინდელ ნადირობაში, ქორწილებში და ნადიმებში ხშირად მონაწილეობას იღებდა რამდენიმე ასი კაცი. მთელი საქართველო სცხოვრობდა სოფლური ცხოვრებით, რადგანაც ტფილისს გარდა, სხვა ნამდვილი ქალაქი არ იყო და გორი, ქუთაისი, თელავი, სიღნაღი მხოლოდ დიდი სოფლები იყო. ამისთანა ცხოვრების შესაფერად მაშინდელი დროსტარება აღბეჭდილი იყო შინაური ხასიათით და განისაზღვრებოდა საზოგადო სტუმართმოყვარეობით. ალბათ ამ მხრივ უკანასკნელ ორ-სამ საუკუნის განმავლობაში ცხოვრება ცოტათი იცვლებოდა, მხოლოდ ძლიერ იცვლებოდა ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა და მისთა მცხოვრებთა ზნეობრივი მხარე.

ლეკიანობა და მათი ცარცვა-ჟლეტა, სპარსელების ჯარის ხშირი შემოსევა და ამასთან ერთად ველური ბახტიარების, ავღანელების და სხვათა თავდასხმა, სპარსელების მიერ ველურად აკრებილი მძიმე არბაბი, ტყვეების წასხმა ანადგურებდა საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებას და ანგრევდა ოჯახურ მყუდროებას. ყველა უბედურებათა შორის, რასაც საქართველო განიცდიდა საუკუნოთა შორის, ყველაზე უმძიმესი—ტყვეების წასხმა იყო. მომეტებულ შემთხვევაში ტყვეებს მიჰყავდათ სპარსეთის შორეულ პროვინციებში, ხშირად მაშინდელ სატახტო ქალაქ ისპაჰანამდის; ეს მოგზაურობა მაშინ ხდებოდა ისეთ მძიმე პირობებში და წამებაში, რომ ეხლა ძნელი წარმოსადგენია. ტყვეთა და მძევალთა შორის იყვნენ ეგრეთვე ქალებიც, დედები და შვილები, თუმცა მომეტებული ნაწილი კაცები იყვნენ ხოლმე. წარმოიდგინეთ გულისსაკლავი სურათები, როცა სპარსეთის მოხელეების ბრძანებით ეს უბედურები გამოჰყავდათ თავიანთ სახლებიდან. როგორი კვირილი და გმინვა, რამდენი მწარე ცრემლი იღვრებოდა, როცა დედა უკანასკნელად ეხვეოდა თავის შვილს ან ქალიშვილს, ქმარი ცოლს, მამა შვილს ან შვილი—მამას! ადვილი წარმოსადგენია, როგორ ეპყრობოდნენ ამ უბედურებს ჯარისკაცები, იმ დროის სიმხეცით გაჟღენთილნი! მომეტებულ შემთხვევაში ტყვეები ფეხით მიჰყავდათ, და მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებაში—ცხენით ან ურმით. არა კვირაობით, არამედ მთელი თვეობით გრძელდებოდა ეს სატანჯველი მოგზაურობა მთით და ბარით, სპარსეთის უღელტეხილებზედ. დღისით საშინელი სიცხე და ღამით სიცივე თითქმის ფარღალალა ქარვასლებში და მხოლოდ სამხრეთ

სპარსეთთან მიმოსვლების დროს გზებზე ხვდებოდათ უფრო მოწყობილი ქარვასლები, აშენებული შაჰაბაზ I-ის მიერ. მგონი, ზამთარში ტყვეების გადაგზავნა შეუძლებელი იყო, და, თუ გინდაც ამ დროს ტყვეები შეჩერებულიყვნენ გაზაფხულამდის, მაინც ზაფხულში ბევრი ილუპებოდა გზაში.

ამ დროს, როცა სპარსეთის კულტურა სრულიად დაცემული იყო, საქართველოს ლიტერატურული მხრიდანაც არ ჰქონდა მისგან რაიმე სარგებლობა. სპარსეთის გავლენა ამ ხანას წინანდელ საუკუნოებზედ მეტათ ჰხრწნიდა საქართველოს და ცოტათ თუ ბევრათ აფერხებდა ეროვნულ ცხოვრების აღორძინებას. ეჭვს გარეშეა ისა, რომ იმ დროს ბევრი, სპარსულ ენის მცოდნე, ქართველი, გავლენიან სპარსელების გულის მოსაგებად და ნდობის მოსაპოვებლად, იღებდა მათს ჩვეულებას და, როგორც ცნობილია, თვით ისლამსაც. გარდა ამისა, სპარსული სული აღბეჭდილი იყო ცხოვრების ზედაპირზედ. როცა ფრანგი მოგზაური იყო ტფილისში 1672 წ., ქართველი ქალები დადიოდნენ ჩადრებიანი და შეკეტილი სცხოვრობდნენ. მხოლოთ მისივე მოწმობით ეს ჩვეულება იყო ტფილისში, სოფლებშიკი ქალები მას არ მისდევდნენ. ცნობილია აგრეთვე, რომ სპარსეთის გავლენამ ღრმად გაიდგა ფესვები საქართველოს ადმინისტრატიულ ცხოვრებაში. მაგრამ ვინაიდგან იმ დროს სპარსეთი, შინაური უთანხმოებით დაუძლურებული, თავის სიძლიერეს ჰკარგავდა, საქართველო დროგამოშვებით სულს ითქვამდა და მაშინ მაჰმადიანთა გავლენა ძალიან მკრთალათ ემჩნევოდა. მაშასადამე, სრულის რწმენით შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ სპარსული კულტურა, ენა, ზნე-ჩვეულება არ სცდებოდა ეროვნულ საზღვარს, და ვერსად შესძლო ამოეფხვრა ეროვნული კულტურა: მან შესძლო მხოლოდ ამ კულტურის ერთგვარი დამახინჯება, რასაც, სხვათაშორის, აღნიშნავს ყახუშტრიცა.

მეორე გავლენა მოისწრაფვოდა საქართველოში სამხრეთ-დასავლეთიდან. მაგრამ ეს ოსმალეთის შემოქრა აღმოსავლეთ საქართველომდე ვერ აღწევდა და თვით იმერეთსა და სამეგრელოში სუსტი იყო ეს გავლენა. ძლიერი და მეტათ მავნე იყო ოსმალეთის გავლენა ძველ მესხეთში, საათაბაგოში, სადაც უწინ გაფურჩქნილი იყო ქართული ცხოვრება. უკანასკნელ ქართველ ათაბეგის სიკვდილამდე ამ მხარეს ჯერ კიდევ როგორმე სძლებდა ქართული სული, მაგრამ 1635 წლის შემდეგ, როცა ოსმალეთის ფაშები ჩადგნენ საქართველოს მმართველებად, ქართული ენა ნელნელა გაჰქრა და შეიცვალა ადვილათ შესასწავლ ოსმალურ ენით. მესხეთის იქით თვით მე-18-ტე საუკუნეში ოსმალეთის გავლენა არ გადასულა; სამაგიეროდ გაძლიერდა როგორც ოსმალეთის, ისევე სპარსეთის მხრიდან სამხედრო შემოსევა, რომელიც მთელ მე-18-ტე საუკუნის განმავლობაში არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეწყვეტილა. ამ დროს საქართველო-სპარსეთის საქმეებში მეტად დიდი ჩაერია და ამან შესამჩნევლად გაამწვავა სპარსეთის მძულვარება, და მისი გაშმაგებული მტრობა საქართველოსადმი მთელ მე-18-ტე საუკუნეს განმავლობაში აიხსნება უმთავრესად რუსეთისა და საქართველოს დაახლოვებით. ამ გარემოებამ აუცილებლად დააჩქარა საქართველოს პოლიტიკური ნგრევა სწორედ იმ დროს, როცა ვახტანგ მე-VI-დან დაწყებული პოლიტიკურ მოღვაწეთა მთელი რიგი მუშაობდა ქართულ კულტურის და საზოგადოთ ქართულ ცხოვრებისათვის.

ამ მუშაობაში, ეჭვი არ არის, დიდი წილი უდევს კატოლიკე ბერების გავლენას ამ 200 300 წლის წინათ. ის ფაქტი, რომ მისიონერები ცხოვრობდნენ საქართველოში ათეული წლების განმავლობაში და შეისწავლეს ქართული ენა, უტყუარი მაჩვენებელია მათი ხალხთან დაახლოვებისა, განსაკუთრებით მოწინავე, განათლებულ, მათთვის უფრო შესაფერ ელემენტთან. ყველა მოწინავე ქართველი, ევროპისგან დაშორებული, უკვე მაშინ იყო გამსჭვალული დასავლეთისადმი ცხოველი ინტერესით და, რასაკვირველია, მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იტალიელ ბერებთან ურთიერთობას, რომლებიც აკმაყოფილებდნენ მათ ცნობის,მოყვარეობას ევროპის ხალხის ცხოვრების, ზნე-ჩვეულების, კულტურის და მეცნიერების შესახებ. ბერებისაგან დაარსებულ სკოლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთა მსოფლმხედველობის განვითარებისათვის. სუყველა ეს ერთად აღებული იყო დასაწყისი იმ პირთა წრისა, რომელნიც ესწრაფვოდნენ არა მარტო ევროპის კულტურას, არამედ სამშობლოს აღორძინებას და ახალ აღმშენებლობას. ესეთი წრე მე 16-ტე საუკუნის დასაწყისში აუცილებლად არსებობდა, მხოლოდ ეს პირნი არც ლიტერატურაში და არც მეცნიერებაში დაწინაურებულნი არ იყვნენ, მხოლოდ თავიანთი შეგნებით მაინც ჰქონდათ გავლენა საზოგადოებაზედ, ნამდვილი მოღვაწენი გამოჩნდნენ ნელ-ნელა და კანტი-კუნტად, გარნა მათი რიცხვი დღითი-დღე გადიდდა.

გარდა იტალიელების გავლენისა მე-18-ტე საუკუნეს ემჩნეოდა ეგრეთვე სუსტი გავლენა რუსეთის კულტურისა, რუსეთში ნაცხოვრებ ქართველების მიერ საქართველოში გადმონერგილი, თუმცა ეს გავლენა ჯერჯერობით არა სჩანდა არც ლიტერატურასა, და არც საზოგადო კულტურაში, გარდა ეკლესიისა და იქაც ძალიან სუსტათ.

ყველა ამასთან საჭიროა ვიცოდეთ, რა კულტურული მემკვიდრეობა გადაარჩინა და გადმოიტანა აღმოსავლეთ საქართველომ მე-17-ტე საუკუნიდგან მე-18-ში. სიტყვა „გადაარჩინა“ აქ აუცილებელია, ვინაიდან საქართველო განუწყვეტლივ ინგრეოდა მტრისაგან და ხშირად შვილებს უხდებოდათ მამა-პაპათაგან აშენებულის ხელმეორედ აშენება. არაფერს, ადამიანის ხელით აშენებულს, არ ჰქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი დღე: არამც თუ ქალაქები, თვით სოფლებიც ხშირად იცვლიდნენ როგორც გარეგნულ, ისევე შინაგან სახეს. 1671 წ. ფრანგი მოგზაური და ძვირფასი ქვებით ვაჭარი შარდენი მოვიდა ტფილისში და ინახულა აქ ლამაზი შენობები, მშვენიერი ბაღები, რამდენიმე დიდებული სასახლე, სუფთა ბაზრები და 21 ეკლესია. ტფილისის მცხოვრებნი კარგათ იყვნენ ჩაცმულნი და საზოგადოთ კარგათ სცხოვრობდნენ.

მაგრამ ამის შემდეგაც საქართველო ვერ სცხოვრობდა მოსვენებული ცხოვრებით, რადგანაც გიორგი მე-XI-ტე და ერეკლე I-ის შემდეგ ერთის მხრიდან სპარსელები აწვებოდნენ კახეთს და მეორე მხრივ თვით ქართველები ებრძოდნენ ერთმანეთს მსხვილი ფეოდალების წინამძღოლობით, განსაკუთრებით არაგვის ერისთავის მეთაურობით. პირველობის სიყვარულმა, დოვლათის სიხარბემ ბევრი ქართველი ჩაითრია მაშინ იმ საქართველოს მნგრეველთა რიგებში. სპარსეთის მფლობელობამ და მათ მოხელეების მმართველობამ ძალიან დააზიანა ზნეობა და შექმნა, სხვათა შორის, ავანტიურისტების განსაკუთრებული ტიპები, რომელნიც უკვე მე-17-ტე საუკუნეში დიდ როლს თამაშობდნენ საქართველოში და მთელი მე-18-ტე საუკუნეს განმავლობაში არ შორდებიან ქართული ცხოვრების ასპარეზს. ბევრი ქართველი ახალგაზრდა ატარებდა თავის სიყრმეს სპარსეთის ტყვეობაში, მძევლათ, ან ხანების ოჯახის წევრთა ამალაში, ან დიპლომატიურ მისიებში. ჩვეულებრივ, მიდიოდნენ სპარსეთის მაშინდელ სატახტო ქალაქში ისპაჰანში, სადაც მე-17-ტე საუკუნეს გამეფებული იყო დიდი ფუფუნება, სიმდიდრე, გარყვნილება და დარდიმანდული ცხოვრება.

მაშინდელ ისპაჰანში საქართველოზედ ნაკლებ არ ქეიფობდნენ და არ ნადირობდნენ, და, რასაკვირველია, უმეტესი ნაწილი იმ ქართველ ახალგაზრდობისა, რომელნიც ბედმა წაიყვანა მზის, პოეზიის და ფუფუნების სამეფოში, ადვილად მიეცემოდნენ იმ ცხოვრებას და ნელ-ნელა გადაიქცეოდნენ შემთხვევათა მაძიებლებად და მოყვარულებად. დიდიხნით დაშორება საქართველოსგან უკარგავდა მათ ცხოვრების მიზანს, ბევრს უკლავდა სამშობლოს სიყვარულს და აჩვევდა დროებითი ოცნებით და ტკბობით გატარებას. სამშობლოში დაბრუნებისას, უცხო გარემოებაში მიზანს მოკლებულნი, ისინი სიხარულით უერთდებოდნენ რომელსამე ბატონიშვილს, რომელიც მეორე ბატონიშვილს ედავებოდა ქართლის, კახეთის ან იმერეთის ტახტს, ან სპარსეთის შაჰის მფარველობის და მოწყალების მაძიებელს. ამ მფლობელობის მაძიებელთა უმრავლესობისათვის სამშობლოს უმნიშვნელო ადგილი ეჭირა და ბევრი მათგანი ეწეოდა ნამდვილი მოხეტიალის ცხოვრებას, უმიწაწყლოდ, უმიზნოდ, უმეგობ-

როდ. სწორედ ამდროს წარმოიშვა საქართველოში მოჯაღლრ[illegible]ო-ვანი თაობა იმ მოხეტიალეთა, რომელნიც უაზროდ, უმიზნოდ მისდევდნენ თავიანთ წინამძღვრებს დიდი ამალით საქართველოში, სპარსეთში და როცა ყველაფერის გამოცდის შემდეგ მოტყუებული რჩებოდნენ, მაშინ მიემგზავრებოდნენ რუსეთს და ამრავლებდნენ იქ ქართველ ემიგრანტების რიცხვს. ყველა ეს ახალგაზრდა ან ხნიერი კაცი, რომელიც აბარებდა თავის ბედ-იღბალს ამ ტახტის ან პატრონობის მაძიებელთ, ისპობდა სამუდამოთ უკან დასაბრუნებელ გზას და ძალაუნებურად ხდებოდა თავის წინამძღვარის მოპირდაპირის მტრად. ამგვარათ, სრულებით მათთვის უნებურათ, სამშობლოს და მათი ინტერესი იყოფოდა, უპირატესობას იღებდა მიზანი, რომელსაც მისდევდა მათი წინამძღვარი, რომელიც მათ ჰპირდებოდა დიდებას და სიმდიდრეს გამარჯვების შემდეგ. განა აქ არ წარმოსდგება დონკიხოტის ლანდი, რომელიც ეძებდა სამეფოს, კუნძულს ან საგერცოგოს თავის მსახურ სანჩო-პანჩოსათვის?... და ეს ამალა, რომელიც მისდევდა მას საომრად და სამშობლოს სანგრევლად, განა არ წააგავდა, მოძღეტებულ შემთხვევაში, სანჩო-პანჩოს?

დიახ, მე-17-ე და მე-18-ე საუკუნოების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას ბევრი დონკიხოტობა იყო და დიდი ბრძოლა სჭირდებოდა ამის წინააღმდეგ ყველა იმას, ვისაც უყვარდა თავისი სამშობლო და ზრუნავდა მის კულტურულ განვითარებისათვის. ამ უკანასკნელთა ცხოვრება მეტად მძიმე და სევდით სავსე იყო, რადგანაც ყველა მათი ცდა იმსხვრეოდა პირველობის მაძიებელ ფეოდალების და ბატონიშვილების ერთმანეთში ბრძოლით. რას წარმოადგენდა მაშინ ქვეყანა? კახეთში განუწყვეტლივ თარეშობდნენ ლეკები და არღვევდნენ არა მარტო მყუდრო ცხოვრებას, არამედ არ აძლევდნენ მცხოვრებლებს დროის მიწის მოხვნისა და პურის მომკისათვის, ან ვენახების დაკრეფისათვის. პურის მოყვანა ძლიერ დაეცა. ამის მიზეზი იყო, ერთის მხრით, განუწყვეტელი არეულობა და, მეორეს მხრით, მოსახლეობის შემცირება. მე-16-ე საუკუნიდგან დაწყებული მოსახლეობა მცირდებოდა, თუმცა გარკვეული ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ ბევრი განადგურებული და დანგრეული სოფელი მთლიანათ თუ ნაწილობრივ მაჩვენებელია მოსახლეობის შემცირებისა, არა მარტო კახეთში, არამედ ქართლსა და იმერეთშიაც. რადგანაც ეს ნგრევა მეორდებოდა პერიოდულად, არავინ აღარ ფიქრობდა ცხოვრების აღშენებისათვის და ამაოდ სთვლიდა ყველა ამგვარ ცდას. მომეტებული რიცხვი მცხოვრებთა დიდს გაჭირვებას განიცდიდა და ხშირად კმაყოფილდებოდა ცარიელი პურით, რადგანაც ლეკების შემოსევა და ცარცვა-გლეჯა აქრობდა საქონლის სიმსალას.

როცა საქართველო განიცდიდა ამისთანა უკიდურეს მდგომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობას, წამოიზარდა დავით გურამიშვილი, სევდის პოეტი, რომელმაც თავის „დავითიანში" მოგვცა სურათი საქართველოს უბედურობისა და მის მცხოვრებთა ზნეობრივი დაცემისა. თავზარდამცემი იყო ის სურათები, რომლის მოწმე იყო თვითონვე ან რომელიც გადმოცემული ჰქონდა თანამედროვე-მნახველისაგან და სამუდამოთ ჩარჩა გულში. თვით ვახტანგ მე-IV, რომელიც მოუღალავად მუშაობდა თავის ხალხში განათლების გასავრცელებლათ, გამოდის ლახვარით ხელში კახეთის მმართველის, კონსტანტინეს, საწინააღმდეგოდ. ვინ იყო კახელების უმთავრესი მეამბოხე?—მისი ღვიძლი ძმა, გამაჰმადიანებული იესე, კათოლიკოს ანტონის მამა! ყველა ამას აქვს ავანტიურის სახე და არა ისტორიისა. როგორ არის ერთმანეთში არეული სხვა და სხვა მსოფლიო-მხედველობა, მისწრაფებები, გუნება და განათლება! ვახტანგი მე-IV დინჯი, მხიარული მმართველი, მწიგნობარი, იტალიელ ბერების აზრებით გავლენილი, სპარსეთის შაჰის მონა, სპარსეთის კულტურის იძულებით მოტრფიალე! შემდეგ კონსტანტინე — კახეთის სუსტი მმართველი, მშვიდობიანობის მოყვარე, თავის ქვეშევრდომების გავლენის ქვეშ მყოფი! გარდა ამ პირთა, რომელნიც აღიზარდნენ უცხო ქვეყანას, უცხო ხალხის ხელში, და რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ ერთიერთ ბრძოლაში, ბევრი ისეთი ერია, რომელიც სცხოვრობდა სოფლებში და ატარებდა თავის მეურნეობას, რამდენათაც ამას ხელს უწყობდა გარემოება და დრო. მიუხედავათ ღარიბი ცხოვრებისა, ისინი მაინც იყვნენ შემნახველი ზოგიერთი კულტურისა და მგონი მათი ცხოვრება მე-18-ტე საუკუნის დასაწყისში ბევრით არ განირჩეოდა „კალმასობაში" აწერილ მე-18-ტე საუკუნის ბოლო ხანებიდან. ქართული ხასიათი, ქართული ზნე-ჩვეულებანი და ქართული ხალხური ფილოსოფია ერთნაირათ იყო შენახული მათ შორის, ვინც არ ეკუთვნოდა ამ ტახტის მაძიებელ ბატონიშვილების ამალას. რა თქმა უნდა, შორეულ სოფლებში მცხოვრებნიც განიცდიდენ ამ მოძრაობის გავლენას, მაგრამ ქართული სული მაინც მათში უფრო წმინდათ შეინახა, ვიდრე სხვებში.

ქართველების ერთი უმთავრესი თვისება ყოველთვის იყო სიტყვა-პასუხის სიყვარული, უყვარდათ საზოგადოება და სძულდათ მარტოობა და ეს თვისება ანვითარებდა მათში საზოგადოებრივს კულტურას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პურმარილობას და ნადიმობას, და რადგანაც იმ დროს სხვა დროსგატარება არ არსებობდა, ეს ნადიმები ადვილათ გადაიქცა მთელი ცხოვრების ცენტრად. სუფრაზედ დიდხანს ისხდნენ, დიდხანს და ბევრს ლაპარაკობდნენ, მღეროდნენ, ხუმრობდნენ, ქეშმობდნენ და ხშირათ მუშტი-კრივით და სისხლის ღვრითაც ათავებდნენ საქმეს. ეს იყო პირველყოფილი გრძნეული ცხოვრება, რომელშიაც სულიერს და აზროვნულს მცირე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილოვი ეჭირა. ძველი წიგნები, როგორც „ვეფხვის ტყაოსანი“ და ორიოდე სხვა, იშვიათად იკითხებოდა და ახლები მცირედ გამოდიოდა. კითხულობდნენ უმთავრესად ქალები და სამღვდელოება, და რადგანაც ამ წიგნთმოყვარეთ წიგნების შინაარსი ერთნაირად იცოდნენ, ალბათ იშვიათად იყენებდნენ მას საბაასო საგნად. მე-18-ტე საუკუნის პირველ ნახევრის ქართველების მხოლოდ დიდი უმცირესობა უყურებდა წიგნს, როგორც სერიოზულ საგანს; დანარჩენი კი მას უცქეროდა როგორც ფუფუნების საგანს, მით უმეტეს რომ წიგნები იყვნენ ხელთნაწერი და ამისთვის ძვირფასი.

მაგრამ წელიწადი მისდევდა წელიწადს, დრო მიდიოდა ახალ მოვლენათა შესახვედრად. საქართველოსთვის-კი ყველა ეს ახალი მოვლენა და ამგვარი იყო ახალი უბედურება! მიუხედავათ ამისა, დაუცხრომელია ცდა ცხოვრების აღდგენისა და აღშენებისაკენ, თუმცა ეს მუშაობა ხშირად სწყდება. 1723 წელს ლეკები მოდიან ტფილისამდე და მეორე წელს ოსმალოებმა დაიკავეს ტფილისი და რამდენიმე წლის განმავლობაში თარეშობენ აქ. საბედნიეროთ, მტრის შემოტევის დროს მაინც მოიპოვებიან ძალ-ღონით სავსე პირნი, რომელნიც არ ერიდებიან უბედურებას და სასტიკათ იცავენ სამშობლო კულტურასა და კეთილდღეობას.

1724 წელს საქართველო მკარგავს რამდენსამე ასეულ მოღვაწე და ძლიერ კაცს: ვახტანგ მე-IV, სპარსეთის შაჰისან სამსახურით მობეზრებული და სასოწარკვეთილი, სტოვებს საქართველოს და იხიზნება რუსეთში; მას მისდევს თან 1200 კაცი და ქალი, რომელთა შორის ბევრი მცოდნე და დიდათ მოსაქმეა. ეს საუბედურო მოვლენა იყო საქართველოსათვის, რომელსაც წაერთვა საუკეთესო ძალები და გადიხიზნა რუსეთში, სადაც მოწყვეტილი ნაწილი უკვალოთ დაიკარგა. ესეთი საბედისწერო სულმოკლეობა მძიმე დაღს ასვამს ქართველ ერს, ანელებს მის ცხოვრებას და რუსეთში გახიზვნა სენივით ედება მთელ შემდეგს ჩამომავლობას. მართალია, გარემოება ძალიან მძიმე იყო, მაგრამ ის მაინც ვერ გაამართლებს იმათ, ვინც ამ უბედურ დროს სამშობლოსა სტოვებდა.

საქართველოს ცხოვრება და მოვლენანი მე-18-ტე საუკუნეში ერთგვარათ მაგონებენ გერმანიის ისტორიას მე-19-ტე საუკუნის დასაწყისში, ნაპოლეონ I-ის დროს. მაშინ, მიუხედავათ პრუსიის სატახტოში საფრანგეთის ჯარების ყოფნისა, ფიხტე კითხულობს გერმანიის უნივერსიტეტში თავის „სიტყვებს გერმანელ ერისადმი“, რომლითაც განამტკიცა ახალგაზრდობის სული და გააძლიერა სამშობლოსადმი სიყვარული. ეგრეთვე იყო საქართველოში: აქაც, მიუხედავათ სპარსელების უღლისა, საზოგადოების მოწინავე ელემენტები ცდილობენ გაანათლონ ახალგაზრდობა მშობელი ქვეყნის სახსნელად და დასაცავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სპარსელებისა და ოსმალების ერთმანეთში ქიშპობას მძიმე შედეგები მოჰქონდა საქართველოსათვის, რადგანაც გამარჯვებული მხარე დამარცხებულის განდევნის შემდეგ სცდილობდა თავის მოწინააღმდეგის კვალის განადგურებას და ამასობაში ანგრევდა საქართველოს. 1725 წელს ოსმალოებმა, ტფილისის დაპყრობის შემდეგ, ვახტანგ მე-IV-ის მშვენიერი სასახლეც-კი დაანგრიეს, რადგანაც ეს უკანასკნელი აშენებული იყო სპარსეთის გემოვნებაზედ და მის მაგიერ ააშენეს ორი ყოველსავე არქიტექტურას მოკლებული ოსმალური მეჩეთი.

აღმოსავლეთ საქართველოს უბედური მდგომარეობა ყველაზედ კარგათ არის დახასიათებული პაპუნა ორბელიანის ქრონიკის წინასიტყვაობაში: რადგანაც სეხნია ჩხეიძის ქართლის ისტორია აქ (1739 წ.) თავდება, და სდუმს მას შემდეგ მომხდარ ამბებზედ, მე, პაპუნა ორბელიანმა, გადავწყვიტე განვაგრძო ეს ქრონიკა. ჯერ ერთი იმისათვის, რომ ეს ამბები არ მიეცნენ დავიწყებას და მეორე იმისთვის, რომ გადავცეთ ჩვენ ჩამომავალთ ეს უცნაური ამბები, როცა საქართველოს უნდა გადაეტანა იმდენი უბედურება, ისეთი ხშირი გამოცვლა ხელმწიფეებისა და მმართველებისა, ის მკაცრი და საშინელი შევიწროვება, რომელიც მე ვნახე ჩემის საკუთარი თვალით ან რომელნიც მე გადმომცეს სარწმუნო პირებმა. მე არ შემეძლო არ აღმესრულებინა ეს მოვალეობა, რათა მომავალში გადამენარჩუნებინა საქართველოს შვილები ამისთანა უბედურებისაგან. დეე, იცოდნენ მათ, რა მიზეზით და ვისი ხელით ხდება ჩვენი უბედურება, რომელიც თავზედ გვატყდება.

მომეტებულ შემთხვევაში ეს უბედურება წარმოსდგებოდა ტახტის მოყვარე ბატონიშვილებისაგან.

რუსეთის ელჩის, ივანე ტოლსტოის, მოხსენების თანახმად, 1723 წელს მაშინდელ აღმოსავლეთ საქართველოს ჯარი შესდგებოდა ოთხი დროშისაგან ანუ რაზმისაგან, 9000 ან 10000 კაცისაგან, ამათი მომეტებული ნაწილი ცხენოსანი იყო. მართალია, ეს რიცხვი თავის დღეში არ იყო უცვლელი და თვით ოფიცრებიც ვერ იტყოდნენ ნამდვილ რიცხვს. შეიარაღებული ვერ იყვნენ კარგათ, ხოლო დისციპლინა იყო კარგი და ბრძანება ყოველთვის სრულდებოდა. მაშასადამე, აღმოსავლეთ საქართველოს ყოველთვის შეეძლო გამოეყვანა 40000 კაცი; ამას რომ მივუმატოთ იმერეთი, გურია და სამეგრელო, მთელი საქართველოს ლაშქარი 100000 კაცამდე აღწევდა. მაგრამ ერთმანეთში დავა და ურთიერთი ქიშპობა უშლიდა ხელს ამ შეერთებას და ამ ქიშპობამ მიიყვანა საქართველო უძლურებამდი.

რაც უფრო მეტათ ვუახლოვდებით მე-18-ტე საუკუნის შუაწლებს, უფრო მეტათ ვხედავთ სამშობლოს განათლების და მეურნეო-

ბის ალორძინების მუშაკებს. ალბათ, მაშინდელ საქართველოში ბევრი იყო კარგი, გამრჯე მეურნე, რადგანაც ხშირი ნგრევისა და განადგურების გამო ცხოვრება აიძულებდა ბევრს ემუშავნა, თუ არ უნდოდა შიმშილით სიკვდილი. სწორე მიმოსვლის უქონლობის გამო საქართველო ყოველთვის იკვებებოდა მხოლოდ თავისი ნაწარმოებით: არც პური, არც ღვინო და არც ხორცი არ შემოდიოდა მეზობელ ქვეყნებიდან და ცუდი მოსავლის დროს საქართველოში გამეფდებოდა შიმშილი, თუ მას არ ჰქონდა გამოზოგვილი წინა წლების მოსავლებიდან. მაგრამ გამოცდილებამ, როგორც საუკეთესო მასწავლებელმა, დიდი ხანია, შეაჩვია ქართველები სიფრთხილეს და, როგორც მოწმობს ზოგიერთი გუჯარი, ჭირნახულის ნაწილის დაზოგვა საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ეჭვს გარეშეა, რომ მძიმე გარემოებამ ბევრი მიაჩვია ხანგრძლივ მუშაობას. პოეტი გურამიშვილი დაჭერილი იყო ლეკებისგან მინდორში ხვნა-თესვის თვალ-ყურის გდების დროს.

მიუხედავად ამისთანა მუშაობისა, მეურნეობა არ ვითარდებოდა და რჩებოდა პირველყოფილი. საქართველოში იტალიელ ბერების ყოფნამ ამ მხრივ არავითარი გავლენა არ მოახდინა, რადგანაც მათ შორის არ იყვნენ სოფლის მეურნეობის მცოდნენი. რაც შეეხება აზროვნულ განვითარებას, როგორც მე უკვე აღვნიშნე, ის მე-18-ტე საუკუნეში წარმოსდგებოდა იმ ჯგუფისაგან, რომელსაც ჰქონდათ ახლო კავშირი აღნიშნულ ბერებთან. ქართული სკოლები მაშინ ალბათ მონასტრები იყვნენ და დიდი გავლენა არ ჰქონდათ. შინაური სწავლა მოწინავე პირთა ხელმძღვანელობით უფრო მნიშვნელოვანი იყო.

ამ დროს ყველაზე განათლებული კაცი იყო სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც ევროპიდან დაბრუნების შემდეგ, 1716 წელს, ვითომცდა მოკლებული იყო სახსარს ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობის გაშლისა და განათლების შეტანისა საქართველოში, როგორც კათოლიკობაში გადასული. ამბობენ, რომ ის ვითომ იძულებული იყო ტფილისში დამალულიყო, მაგრამ ის ფაქტი, რომ მან ჩამოიყვანა ტფილისში ერთი იეზუიტი და ორი კაპუცინი, მაჩვენებელია საშკოლო საქმის განვითარების სურვილისა, ვინაიდან იტალიელი ბერების მოგზაურობის მთავარი მიზანი ყოველთვის იყო სკოლა.

მასთან დაახლოვებულ ცნობისმოყვარე ახალგაზრდობას ორბელიანი, ალბათ, აცნობდა იტალიის და საფრანგეთის ცხოვრებას და კულტურას. საუბედუროთ, ჩვენ ძალიან ცოტა ცნობები მოგვეპოვება შესახებ ამ რვა წლისა, რომელიც მან გაატარა ტფილისში, მოსკოვში წასვლის წინ. მე ვგონებ, რომ ორბელიანი ამ რვა წლის განმავლო-

ბაში მუშაობდა ახალგაზრდობის განვითარებისათვის. ვინაიდან ძნელი წარმოსადგენია, რომ ისეთ ნაწარმოების ავტორი, როგორც არის მისი „მოგზაურობა“ და „სიბრძნე-სიცრუის წიგნი“ შეზღუდული ყოფილიყოს მხოლოდ სალიტერატურო მუშაობით. მთელი მისი ცხოვრება, მისი მოძრავი არსება და მისი მიდრეკილება გვიჩვენებს, რომ ის იყო ძალიან გულგაშლილი კაცი და კარჩაკეტილი ცხოვრება მისთვის შეუძლებელი იქნებოდა. ალბათ, ის უზიარებდა სხვებსაც თავის ცოდნას და გამოცდილებას და ამით აიხსნება მაშინდელ ინტელიგენციის წრის გაფართოება. როცა ასპარეზზედ გამოვიდა კათოლიკოსი ანტონი, ეს წრე უკვე კარგა დიდი იყო და თუმცა საზოგადო მოღვაწეთა რიცხვი ჯერ მცირე იყო, მაგრამ ინტელიგენტთა წრის გავლენა საგრძნობელი გახდა. როგორც ეტყობა, მეცნიერების მოყვარულთა რიცხვიც გაიზარდა, რაცა სჩანს ორბელიანის მოწოდებისაგან თავის თანამედროვეთადმი: „ძიემატებინათ მის ლექსიკონში დაკლებული სიტყვები“. იმ დროის ქართველებში პლაგიატორიც-კი აღმოჩნდა, ვინმე წინამძღვარი იობი, რომელიც სწერდა ორბელიანის ლექსიკონიდან სიტყვებს და იჩემებდა. ეს პირველი სალიტერატურო ქურდობა მაჩვენებელია, რომ საზოგადოება უკვე ზედმიწევნით განვითარდა.

ორბელიანის თანამედროვე, ახალგაზრდა ბატონიშვილი ვახუშტი, მგონი არანაკლები განათლებისა იყო, ვიდრე თვით საბა ორბელიანი; იტალიელ ბერების ხელმძღვანელობით ის გაეცნო დასავლეთის კულტურას, ლათინურ და იტალიანურ ენას, და ევროპის აზროვნებას. როცა ვახუშტმა დასტოვა საქართველო, ის იყო 28 წლისა; და ალბათ, არავითარი განმანათლებელი გავლენა არ ჰქონდა ახალგაზრდობაზედ და ან თუ ჰქონდა, ძალიან ნაკლები.

1724 წელს ვახუშტი თავის მამასთან ერთად წავიდა მოსკოვში და თავის ნაწარმოებთა უმთავრესი ნაწილი დაამთავრა უცხოეთში, რაც, სხვათა შორის, ჩვეულებრივი მოვლენა იყო ბატონიშვილებს შორის. ამ გარემოებას უნდა განსაკუთრებითი ყურადღება მიექცეს, რადგანაც იმ დროს, როცა ევროპელი პრინცები სრულებით არა ფიქრობდნენ მეცნიერების შესწავლაზე, ან თავის დამამცირებლად სთვლიდნენ ესეთს საქმეს, ბაგრატიონები დიდის გულმოდგინებით ცდილობდნენ სწავლა-ცოდნა შეეძინათ. ალბად, დაკარგულ სამშობლოს დარდი და მის ბედისათვის ფიქრი მოუწოდებდათ მათ ქვეყნისათვის სასარგებლო მუშაობისაკენ. თეიმურაზის შემდეგ ლიტერატურის და მეცნიერების სიყვარული გარდაიქცა ბაგრატიონების ოჯახში საზოგადო მოვლენად, როგორც კაცებისა, ისევე ქალებისათვის. ქვეყნიერებაზედ არ მოიპოვება ისეთი სამეფო დინასტია, რომელშიაც ყო-

ყოლიყოს იმდენი სწავლული, მწერალი, პოეტი და პოეტესა, როგორც ამას ჰქონდა ადგილი ბაგრატიონების სახლში, სადაც ქალებიც ოსტატურად სარგებლობდნენ კალმით.

საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობის შესახებ მე-18-ტე საუკუნის პირველ ნახევარში მცირე ცნობები გვაქვს. „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერა"-ის გადმოცემით საქართველოს ბუნებრივი ნაყოფიერება, მშვენიერი ჰავისა გამო, მეტად დიდი იყო ნორმალური პირობების დროს, როცა ქვეყანა დაწყნარებული იყო და არ აძლევდა სპარსეთისა ან ოსმალეთს დიდს ხარჯებს. პურის გარდა ბევრ ადგილას სთესდნენ ბრინჯს; ხილი, ყოველნაირი ნადირი და ფრინველი, თევზი, მსხვილი საქონელი, ცხვრები და ღორები ყველგან უხვათ იყო. ვახუშტის თქმით, კახელ გლეხებს ჰყავდათ თითოს 200,400 და 2000-მდე ღორი. თუშები იმ დროსაც მისდევდნენ მეცხვარეობას და დიდი ფარები ჰყავდათ. საქართველოში ბევრ ადგილას მოჰყავდათ ბამბა და აბრეშუმის ჭია, ისე რომ ნედლი მასალა, როგორც მატყლი, ბამბა, აბრეშუმი, ტყავი—საქართველოში ყოველთვის საკუთარი იყო. ფართლეულის უმეტესი ნაწილი მზადდებოდა სახლებში, ზოგიერთ ადგილას იყვნენ ფეიქრები და რასაც საქართველოში ვერ ამზადებდნენ, ის შემოჰქონდათ სპარსელ და ოსმალელ ვაჭრებს, რომელნიც ხშირად მოდიოდნენ სამეგრელოში და შემოჰქონდათ არა მარტო მძივის ქსოვილები და სხვა საჭირო საგნები, არამედ ფუფუნების საგნებიც. რადგანაც მაშინდელი ნაწარმოები ძალიან ძვირი იყო, ადამიანს თავის სიცოცხლეში ორი-სამი ტანის მეტი არა სჭირდებოდა და ვისაც კი ჰქონდა პატარა ქონება და უყვარდა კოხტაობა, შეეძლო ეხლანდელზე არანაკლებ გამოწყობილიყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინდელი ტანსაცმელი ახლანდელზე უკეთ იყო მოკაზმული. რადგანაც მაშინ ცხენით სიარული როგორც კაცებისა, ისე ქალებისა, ძალიან იყო გავრცელებული, დიდი ყურადღება იყო მიქცეული ცხენის საკაზმავს, რომელიც მდიდრათ და ლამაზათ იყო მორთული ძვირფასი ქვებით, ვერცხლით და ოქრომკედით. ყველა ეს მაჩვენებელია ნივთიერი ცხოვრების თანდათანობით გაუმჯობესობისა და ფუფუნებისა.

რასაკვირველია, ტფილისის მოწყობილობა და შეხედულობა მაჩვენებელია მთელი საქართველოს მდგომარეობისა, და ვახუშტის აღწერით ტფილისი უფრო ცუდს სურათს წარმოადგენს, ვიდრე შარდენის აღწერით, თუმცა ეს უკანასკნელი ნახევარ საუკუნით ადრე იყო. ეს გარემოება მოწმობს იმას, რომ ტფილისი დაზარალდა ოსმალოების და ლეკების შემოსევით. ვახუშტი იხსენიებს ოსმალოების მიერ დანგრეულ ვახტანგ მე-VI-ს სასახლეს, მაგრამ ის არაფერს ამბობს სხვა შენობებზედ, ქარვასლებზედ და სასახლეებზედ, რომელ-

ნაც იყვნენ აშენებულნი მე-17-ე საუკუნეში. ალბათ იმათ იგივე ბედი ეწიათ. ქალაქის სახლები ზოგი იყო ქვისა, ზოგი თიხისა, შიგნით ფერადი თიხით მოქანდაკებული სპარსულ ან ქართულ გემოვნებით. საზოგადოთ, ქალაქი სხვა და სხვა გემოვნებით ნაშენ სახლებს წარმოადგენდა და ქუჩებიც ულამაზო ჰქონდა. ესეთს აღწერას გვაძლევს ვახუშტი თავის „ქალაქის“ შესახებ, რომელიც მას უყვარდა და იცოდა. ზოგიერთი ეკლესიები მოკლებულნი იყვნენ გუმბათებს, რაც ქალაქის საერთო სურათის სილამაზეს უკარგავდა.

გორის შესახებ ქართველი გეოგრაფი მე-18-ტე საუკუნისა კარგი აზრისა არის და ამ პატარა ქალაქს ასურათებს, როგორც კარგად მოწყობილს: ქუჩები სწორი იყო, სახლები ქვიტკირისა, და ხალხი — ზნედაცული და ზრდილი.

ვახუშტის დროს ქუთაისი იყო მხოლოდ მეფის რეზიდენცია. გარდა მეფისა იქა სცხოვრობდნენ უვარგის სახლებში რამდენიმე თანამდებობის პირი და ვაჭრები: იმერლები, ებრაელები და სომხები.

გარდა ამ სამი ქალაქისა საქართველოში იყო მხოლოდ სოფლები, ციხე-ქალაქები და რამდენიმე დაბა, როგორც თელავი, თიანეთი და სხვა, და მონასტრები. ციხე-სიმაგრეები ბევრი იყო, მაგრამ გაუქმებული იყო და ნახევრად დანგრეული და თავმინებებული. აგრეთვე მონასტრების მომეტებული ნაწილი დატოვებული იყო ბერების მიერ და მათი მიწები დაჩემებული ჰქონდათ თავად-აზნაურობას ან მეფეებს, რომელთაც იქ დაასახლეს ლტოლვილები. ეს იყო შიგნითი კოლონიზაცია, რომლითაც 50 წლის შემდეგ ერეკლე მე-II-ეს უნდოდა გაეუმჯობესებინა შინაური ეკონომიური მდგომარეობა. ამ დროს საქართველოში სცხოვრობდა ბევრი მღვდელი და ბერები, ნამეტნავად ეს უკანასკნელნი, რომელნიც სრულ უსაქმურობაში ატარებდნენ დროს, რადგანაც წიგნების გადაწერასაც-კი აღარ მისდევდნენ.

მე-18-ტე საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი ხალხის ზნეობა დაცემული იყო ხშირი არეულობის და მტრის შემოსევისა გამო, მაგრამ მაინც განსხვავდებოდა სხვა და სხვა კუთხეებში. დასავლეთ საქართველოში, იმერეთსა და სამეგრელოში, ზნეობა სრულიად დაბლა იდგა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში და განირჩეოდა მეტის სისასტიკით. აქ ოჯახების ამოწყვეტა ჩვეულებრივი სახსარი იყო როგორც სისხლის სამართალში და პოლიტიკურ საქმეებში, ისევე კერძო შურისძიებაში; ესეთს სიმკაცრეს თავისდღეში არ ჰქონდა ალაგი არც ქართლში და არც კახეთში. მე-17-ტე საუკუნეში სიმკაცრის განსახიერება იყო დადიანი ლევან მე-II-ე. მაგრამ მე-18-ტე საუკუნეში მეგრელების სიმკაცრე სრულებითაც არ შემცირებულა. მონების და სამხედრო ტყვეების გაყიდვა არსად საქართველოში არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო მიღებული იმდენათ, რამდენათ სამეგრელოში, სადაც ეს ველუ-
რი თვითნებობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, და ანგრევდა ოჯახურ
წყნარობას და ეროვნულ ცხოვრებას. ურთიერთ ბრძოლის დროს
გურიაში, სამეგრელოში და აფხაზეთში შეძენილ ტყვეებს ვაჭრები
მიერეკებოდნენ ყოველთვიურათ ოსმალეთში ათასობით, რის შედე-
გადაც იყო შესამჩნევი შემცირება ზოგიერთი პროვინციების მცხოვ-
რებთა რიცხვისა. ვინ იყვნენ ეს ვაჭრები, რომელნიც თავის გასამ-
დიდრებლათ აშორებდნენ ამ ხალხს თავის ოჯახს, მეგობრებთ და
სამშობლოს? ესენი იყვნენ გასყიდულთა თანამემამულენი, მათი ძმა-
ნი ჯვრითა და სამშობლოთი, ერთი ტომის ხალხი და ხშირათ ნათესა-
ვებიც-კი!...

რითი აიხსნას ყველა ეს მოვლენა? მგონი, რომ ბუნებრივი მი-
დრეკილებანი და გარეგნული პირობები ერთნაირათ ხელს უწყობ-
დნენ ამისთანა ზნედაცემულებას. ეჭვი არ არის, რომ იმერლები
და მეგრელები ცუდს უფრო ადვილათ ითვისებენ, ვიდრე კახელები
და ქართლელები; ერთგულობა და გულგახსნილობა უფრო ნაკლებია
იმერლებში და ზნეობრივი სიფაქიზე სუსტი. ეს თვისებები საგრძნობ-
ლათ შეიცვალა მე-19-ტე საუკუნეში საზოგადო ცხოვრების დამშვი-
დების გავლენის ქვეშ. იტალიელი ბერი ლამბერტი, რომელიც მე-17-
ტე საუკუნის მეორე ნახევარს ესტუმრა სამეგრელოს, ადასტურებს
ამასვე და უმატებს, რომ სწავლა-განათლებაც სრულებით დაცემული
იყო და რომ თვით წერა-კითხვა, ქალებს რომ არ შეენახათ, უცილოთ
დაიკარგებოდაო. უფრო ცუდათ იხსენიებს მეგრელების ზნე-ჩვეულე-
ბას ფრანგი-მოგზაური შარდენი, და რადგანაც მის შემდეგ პოლიტი-
კური პირობები უფრო ცუდი შეიქმნა, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ
მე-18-ტე საუკუნის სამეგრელო ძალიან უნუგეშო სურათს წარმო-
ადგენდა.

ამ მხრივ იმერეთი ცოტათი განირჩეოდა სამეგრელოსაგან და
მისი აზროვნული ცხოვრება სრულიად განადგურებული იყო. მთელი
საუკუნის განმავლობაში აქ ნიშანიც კი არ იყო აზროვნებისა და ღირს-
ალსანიშნია განუსაზღვრელი გარჩევა აღმოსავლეთ და დასავლეთ სა-
ქართველოს შორის: ამ უკანასკნელში არ მოიპოვებოდა არც ერთი
მწერალი ან პოეტი და მხოლოდ სოლომონ მე-II-ის დროს ემჩნევა
ამ მხრივ სუსტი ცდები; ტფილისში მომქმედს იმ დროის სწავლულთა
და მწერალთა შორის, მგონი, არ იყო არც ერთი წარმომადგენელი
იმერთა. რითი აიხსნება ესეთი მოვლენა? მე ვგონებ, რომ პოლიტი-
კურმა გარემოებამ უმთავრესათ აქ დაანგრია ცხოვრება და ხელი
შეუშალა ამ მხარეს განთავისუფლებულიყო შუა-საუკუნოების ბარბა-
როსობისაგან. აღმოსავლეთ საქართველოში, მიუხედავათ არეული
ცხოვრებისა, ვახტანგ მე-VI-ს დროს დაწყებული მოძრაობა ხშირად

ეროვნული ბიბლიოთეკა


სწყდება, მაგრამ მაინც გრძელდება 1730 წლამდის. 1735 წელს ქართლი დაკავებულია ოსმალოების მიერ და შაჰ-აბაზმა წაიყვანა ხორასანში ათასობით ქართველი ტყვე. საქართველოს ხელახლა ეწია ეს უბედურება, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში რამდენჯერმე აქრობდა ეროვნულ კეთილდღეობას და ანადგურებდა ათასობით ოჯახს. ისევ გაისმის შორეულ გზებზედ ტირილი და გოდება ქართველ ტყვეებისა, რომელნიც იხოცებოდნენ სპარსეთში მიმავალ გზაზედ სიცივისა, შიმშილისა და დაღლილობისაგან.

შაჰის ნაცვლების მმართველობის ქვეშ ქართველთა ცვალებადი ცხოვრება გაგრძელდა 1744 წლამდე, როცა თეიმურაზი მე-II-ე დანიშნულ იყო ქართლის მეფედ, და სპარსეთის გავლენა თითქმის დაიკარგა. რა თქმა უნდა, თეიმურაზის დანიშვნა ბედნიერი მოვლენა იყო ქართველთა ცხოვრებაში და ხალხი ნადიმობდა ამ შემთხვევისათვის სამი დღის განმავლობაში. ტახტზედ ასვლა ქართველი მეფისა განსაკუთრებული ზეიმით მოწყობილი იყო 1-ლ ოქტომბერს 1745 წელს მცხეთის ტაძარში, სადაც ძველ წიგნებში აღნიშნული უწინდელი ცერემონია მეფის კურთხევისა სავსებით იყო დაცული. აქ შეკრებილნი იყვნენ ქართლელნი და კახელნი. მთელი ტფილისი და საქართველოში მყოფი უცხოელნი და მრავალრიცხოვანი ჯარი. ეს იყო მეტად ლამაზი სანახავი, რადგანაც იმდროის კაცი და ქალი მოკაზმული იყო ძვირფას და გემოვნებით სავსე ეროვნულ ტანსაცმელებით. ეს აყვავებული ხალხის ბრბო არ შგავდა დღევანდელ უფერულ, უსიცოცხლო საზოგადოებასა, არამედ იფერადებული ქართული კეთილშობური გემოვნებით იტაცებდა აღტაცებულ თვალს.

სპარსელების შემდეგ წინა აზიის არც ერთი ხალხი არ აღინიშნება არც წარსულში და არც აწინდელ დროში ისეთი დიდი გემოვნებით, როგორიც დღემდის შესწევს ქართველ ერს თავის ზნე-ჩვეულებაში, ზეიმში, ტანსაცმელში და ლიტერატურაში. რუსთველის პოემა—ეს დიდებული ნაშთი შუასაუკუნოების ქართული კულტურისა, არის იმავე დროის ძვირფასი საბუთი კარგი გემოვნებისა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს თვისება არ შესწევს ყველა ქართველს ერთნაირათ. შეადარეთ კახელი ან ქართლელი გლეხი იმერულ ან გურულ გლეხკაცთან, რომელიც ქალაქის პირობებში ადვილათ იცვლის ტყავს და სისწრაფით ითვისებს ქალაქის მიხვრა-მოხვრას. შეადარეთ გურული ან იმერელი ქალი კახელ და ქართლელ ქალს და შეატყობთ საკმაოდ დიდ გარჩევას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ასულნი მოკლებულნი იყვნენ კარგ გემოვნებას!... არა. სრულებითაც არა! საკმარისია დაინახოთ მათი ტანსაცმელი, ხელსაქმე, შინაური მოწყობილება, მაგრამ მაინცას ისე ადვილათ არ ითვისებს სიკეკლუცის კანონებს, როგორც

დასავლეთ საქართველოს ქალი. ყველა ეს, ალბათ, მე-18-ტე საუკუნეშიაც ესე იყო, რადგანაც ქართველი ხალხის საზოგადო თვისებები ცოტათი შეიცვალა. კაცები ორი ათასი წლის განმავლობაში სცხოვრობდნენ მხედრულ ცხოვრებით, დადიოდნენ ცხენით, ნადირობდნენ, ებრძოდნენ მტერს, თამაშობდნენ ბურთს და სხვა თამაშობას, რომელიც ავარჯიშებდა მათ სხეულს, მაგრამ ისინი ნაკლებ ისხდნენ დახშულ ოთახებში და ნაკლებ მისდევდნენ მწერლობას ან ხელოვნობრობას. ეხლანდელ სახის სკოლები არ არსებობდა და ბავშვები სწავლობდნენ წერა-კითხვას ან თავის დედასთან სახლში ან დადიოდნენ რომელიმე მღვდელთან ან საერო კაცთან — მასწავლებელთან და სწავლა, რასაკვირველია, არ აღემატებოდა ისეთს საგანგებო ხასიათს და არ გრძელდებოდა დიდხანს. ვისაც წერაში კარგი ხელი ჰქონდა და აგრეთვე ჰქონდა გადაკითხული წიგნების არსებული მცირე რიცხვი, იმას უკვე შეეძლო თავისი თავი განათლებულ კაცად ჩაეთვალა და მიეღო რამე მოხელის ან მოსამართლის თანამდებობა. სამმართველო აპარატი არ იყო რთული, ბიუროკრატიული, საქმეები, მომეტებულ შემთხვევაში, სწორდებოდა სიტყვიერათ და არა წერილობით, რის გამოც მოხელეთა რიცხვი ძლიერ შეზღუდული იყო და მათი სამუშაო უბრალო და სადა.

ასეთი იყო ქართველთა ცხოვრება, როცა მე-18-ტე საუკუნის ნახევარში გამოდის კათოლიკოსი ანტონი 1-ლი საეკლესიო, პოლიტიკურ და საზოგადო ასპარეზზედ. მე-18-ტე საუკუნეში ეს არის ყველაზედ გამოჩენილი პიროვნება არა მარტო თავისი მოღვაწეობით და მისი ნაყოფით, არამედ თავისი მრავალფეროვან ნიჭით, ცოდნით, დიპლომატიური სიმარჯვით და ცხოვრების მრავალფეროვნებით. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო, ვინაიდან ანტონმა უკვე თავისი მშობლების სახლიდან გამოიტანა ერთგვარი ორმაგობა: მამა მისი, მეფე იესე, გამაჰმადიანებული და ყურმოჭრილი ყმა იყო სპარსეთის შაჰისა. მის სახლში ირეოდა არა მარტო ქართველი თავადაზნაურობა და სამღვდელოება, არამედ სპარსელი სარდლები და მოხელეები. და ანტონს, ერისკაცობაში თეიმურაზს, ესმოდა და ევლინებოდა ბევრი ისეთი რამ, რომელიც აშორებდა მის სამშობლოსაგან, ანელებდა მის ეროვნულ გრძნობას და ათვისებდა უცხო მიწაწყლის გემოვნებას. ეჭვი არ არის, რომ ეს ესე იყო და რომ ახალგაზრდა თეიმურაზში გრძნობა იყოფოდა სამშობლოს სპარსეთთან მეგობრობის შუა იმ დროს, როცა იქიდან ელოდდა მეფის ტახტს.

მაგრამ თეიმურაზს ეწია უმძიმესი უბედურება, რომელიც-კი შეიძლება ეწიოს ახალგაზრდას: შაჰ-ნადირი მოითხოვს თავის ჰარამხანისთვის მის ლამაზ საცოლოს, გივი ამილახვრის ასულს. როგორც დამცირება და გრძნობის შელახვაა უბედური მამისათვის, საქმროს-

ეროვნული ბიბლიოთეკა


თვის და თვით თავადის ქალისათვის! ირანის გარყვნილი თვითმპყრობელი ისაკუთრებს საქართველოს საუცხოვო ყვავილს თავის მონების ბაღში გადასარგავად! ტირილი, ყვედრება, ჩხუბი და საყვედური გაისმის ამილახვრის ოჯახში... ნაზი ქალი გამოგლეჯილია საყვარელ ოჯახიდან და წაყვანილი უცხო ქვეყანაში... მაგრამ მისი თავს იკავებს, რომ არ შეაპყროს თავის ოჯახს და მთელ საქართველოს სპარსეთის სასტიკი მბრძანებლის მრისხანება. ვინ იცის, რამდენათ სამართლიანათ მოიქცა ამილახვარი, ან რა განიცადა უბედურმა საქმრომ, რომლის ცხოვრებაც სრულიად შეიცვალა ამ ამბავის შემდეგ... ერთი რამ არის მხოლოდ უდავო: თეიმურაზი არ იყო ძველი დროის რაინდი — უშიშარი და უსაყვედურო; მას უნდა ძალით გამოეგლიჯა თავისი საცოლო და წაეყვანა იმერეთში, შორს სამეგრელოში ან გურიაში, სადაც შაჰის ხელი ველარ მისწვდებოდა. მაგრამ მან ეს არ გააკეთა, დაემორჩილა ბედს და ალიკვეცა ბერად. ამაშიც ცხადათ გამოიხატა მისი მიდრეკილება და მის თანამედროვეთ შეეძლოთ შეემჩნიოთ, რომ მისი იარაღი იქნება კალამი და არა ხმალი. ამ ხნიდან ის აღარ ფიქრობს არც მეფის გვირგვინზე და არც სარდლის სახელზე, ის სცდილობს დადგეს ქართული ეკლესიის სათავეში.

1739 წელს, როცა ანტონი იყო 19 წლისა, ის დანიშნული იყო გელათის მონასტრის წინამძღვრად და მრავალი გადაყვან-გადმოყვანის შემდეგ იმერეთიდან ქართლში და ქართლიდან—ისევ იმერეთში, 1744 წელს ბერი ანტონი გახდა სრულიად საქართველოს კათოლიკოსად. მისი ნაწერებიდან ჩანს, რომ ის მართლა იყო ეკლესიის მოსამსახურე და მებრძოლი მართლმადიდებლობისათვის. მაგრამ ეს ნაწერები ეკუთვნის მომდევნო შემთხვევაში იმ დროს, როცა ანტონი დაბრუნდა რუსეთიდან, სადაც ის განიმსჭვალა რუსული ეკლესიის ვიწრო სქოლასტიკით. ახალგაზრდობას ანტონი იყო იტალიელ ბერების გავლენის ქვეშ, რაც ადვილი გასაგები და ბუნებრივია იმ დროის პირობებში. მე-18-ტე საუკუნეში თითქმის ყველა გამოჩენილი ქართველი განვითარდა კათოლიკ მისიონერების დახმარებით. იყო კიდევ მიდრეკილება კათოლიკობისაკენ პოლიტიკურ მოსაზრებით, რათა მოემზადებინათ ნიადაგი ევროპის რომელიმე სახელმწიფოს პროტექტორატისათვის, სპარსეთთან და ოსმალეთთან საბრძოლველად. ალბათ, ანტონიც თავის კათოლიკოსობის დროს მუშაობდა ამ გზით, თუმცა იმავ დროს ის არ სწყვეტდა კეთილ-განწყობილებას შაჰთან. მირზა-მაჰმად-შაჰს ანტონი უკვე უცხადებდა თავის ერთგულების გრძნობებს და როცა მისი შვილი აბრაგიმი ავიდა სპარსეთის ტახტზე, მან გამოუგზავნა ანტონს „მის ერთგულობისათვის" ფირმანი, რომელიც ამტკიცებდა ანტონს საქართველოს კათოლიკოსობის ხარისხზე.

ეს მოხდა 1747 წელს და მაშინ საქართველო უზრუნველყოფილი იყო საგარეო მტრებისაგან. მაგრამ შიგ საქართველოში მისმა მოწინააღმდეგეებმა უკვე დაიწყეს მის საწინააღმდეგო მოქმედება. ამ საწინააღმდეგო მუშაობას საეკლესიო საქმეებთან საერთო არაფერი ჰქონდა რა; უმთავრესი მიზეზი აქ სულ სხვა ხასიათისა იყო. შეიძლება, რომ ახალგაზრდა კათოლიკოსის პიროვნება უკვე იწვევდა შურს და ბოროტ განწყობილებას, განსაკუთრებით მისი მეფური ჩამომავლობა და არაჩვეულებრივი ნიჭიერება. ძნელია ითქვას, როგორ დაიწყო ეს შეთქმულობა და ვინ იღებდა მონაწილეობას, გარდა გაბაშვილისა და რამდენიმე უმაღლესი ეპისკოპოზებისა; მხოლოდ ეჭვს გარეშეა ის, რომ ამ დიდ მოძრაობას ბევრი მტერი ჰყავდა თვით სამღვდელოებაში, რასაც, სხვათა შორის, მოწმობს გაბაშვილის სატირული პოემა „კლიტის ომი“. თავისთავად ცხადია, რომ ბევრისათვის ანტონის მკაცრი მმართველობა მძიმე იყო, განსაკუთრებით ფულის მოყვარეთათვის. ცხადათ სჩანს, რომ ზაქარია გაბაშვილი, თეიმურაზ მე-II-ეს მოძღვარი, იყო ამ მოძრაობის სულის ჩამდგმელი, ხოლო სხვები თავაზეებულნი იყვნენ და ალბათ მხოლოდ მაშინ გამოვიდნენ. როცა მოძრაობამ საეკლესიო ხასიათი მიიღო. ბოლოს და ბოლოს ანტონის მოწინააღმდეგეებმა მოახერხეს 1755 წელს მცხეთაში საეკლესიო კრების მოწვევა, და ანტონი გადაყენებულ იქმნა კათოლიკოსობიდან.

მე-18-ტე საუკუნის ქართველ მოღვაწეთა თითქმის ყველა წარმომადგენლის განსაკუთრებითი თვისება არის ისა, რომ დიდ ნიჭთან ერთად დიდი უარყოფითი მხარეებიც აქვთ. ზაქარია გაბაშვილი, რასაკვირველია, დიდათ ნიჭიერ კაცია, თუმცა მისი პოემები არაფერს არ წარმოადგენენ. ის დიდი ინტრიგანტია და დიდის ოსტატობითაც ტრიალებს მეფის სასახლეში, ჯერ თეიმურაზ მე-II-სთან, შემდეგ ერეკლე მე-II-სთან და იმავ დროს მის მოწინააღმდეგესთან —იმერეთის უკანასკნელ მეფე სოლომონთან. ზოგიერთი ფაქტები ცხადათ ამტკიცებენ, რომ გაბაშვილის ასეთს ბითქმა-მოთქმას გავლენაცა ჰქონდა, რაც მაჩვენებელია მაშინდელი დროის სუსტი მხარისა. საზოგადოთ მრავალი იყო მიზეზი საქართველოს ნგრევისა: გარდა გარედან მტრის შემოსევისა და შიგნითი ფეოდალების და ბატონიშვილების მექიშპეობისა ეროვნულ სხეულს ასუსტებდა კიდევ ბევრი სხვა უბედურება, როგორც, მაგალითად, შავი ჭირი, რომელმაც, ოსეშვილის გადმოცემით, 1736 წელს გასწყვიტა ნახევარი ტფილისი. მაშინდელ ქალაქების ცუდ პირობებში, უექიმობის და წამლის უქონლობისა გამო ასეთ საშინელ ავადმყოფობას მოჰქონდა ნივთიერ ზარალთან ერთად ზნეობრივი ნგრევაც: ხვალინდელ დღის გამოურკვევლობა ყოველთვის აფუჭებს ადამიანის ზნეობას, აღვიძებს მის უარყოფითი გრძნობებს და აორკეცებს ქვენა გრძნობებს.

მაშინდელ ცხოვრების ბევრი მაგალითიდან სჩანს, რომ მომეტებული ნაწილი მაშინდელ ქართველებისა მოკლებული იყო ყოველსავე იდეალს და გატაცებული იყო ნივთიერი ცხოვრებითა. ამის გამო იდეურ მოღვაწეთა გავლენა არ ვრცელდებოდა მასსაზედ, რომლისათვის ადვილი საზოგადო ჭამა-სმა იყო ცხოვრების უმთავრესი მიზანი. ილია ჭავჭავაძის ლუარსაბი და დარეჯანი სცხოვრობდენ ასის და ორასი წლით ადრეც საქართველოში. მე-17-ტე საუკუნეში იტალიელი ბერი ლამბერტი აღნიშნავს მეგრელების უზრუნველობას და ღორმუცელობას. ასი წლის შემდეგ რეინეგსი ამასვე ამბობს ტფილისის მცხოვრებთა შესახებ.

მე-18-ტე საუკუნის ნახევრებში, ანტონი I-ლის კათოლიკოსობის დროს, ახალი აზროვნება ჯერ კიდევ ვიწრო ფარგლებში მიმდინარეობდა და განათლებულთა წრე ბევრით არ გადიდებულა ამ საუკუნის დასაწყისიდან. ეხლა ისევე, როგორც უწინ, ამ წრეში შედიოდნენ მხოლოდ რჩეულნი, ჭკუით და ზნეობით მაღლა მდგარი ხალხი. მათი რიცხვის გამოკვლევა ძნელია. მხოლოდ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ, გარდა სამღვდელოებისა, იყვნენ აგრეთვე აზნაურნი და სხვა პირები, რომელნიც მიისწრაფოდნენ განათლებისაკენ.

ტფილისი თანდათან გადაიქცა ქართული განათლების ცენტრად, და თუმცა ვახტანგ მე-VI-ის წასვლის შემდეგ წიგნების ბეჭვდა შეწყდა 30 წლით, მაგრამ აზროვნობის კერა მაინც არ ჩამქრალა და ახალი წიგნები მაინც გამოდიოდა თითო-ოროლა და მათს გადაწერებს უწინდელზედ მეტს ყურადღებას აქცევდენ. ეხლა წიგნებში სურათებიც გაჩნდა და, რამდენათაც სჩანს მე-18-ტე საუკუნეში გამოცემულ „ვეფხის ტყაოსანი"-დან, ეს სახეები მოკლებულნი არიან ზოგიერთ მხატვრულ ღირსებას. განათლებულ ევროპისგან დაშორებული საქართველო სცდილობდა წინსვლას თავის-თავათ.

მამუკა ბარათაშვილის წიგნი „ჭაშნიკი" ცხადათ აჩვენებს, რომ სერიოზული წიგნების მოთხოვნილება უკვე იყო. ცნობილია, რომ ბარათაშვილმა მაშინდელ მწერლებს შინაარსიანი თემები მისცა, რაც იყო გამომხატველი არა მხოლოთ მისი პირადი გემოვნებისა, არამედ მის თანამედროვეთა მოთხოვნილებებისა. ამგვარი იყო მეფე თეიმურაზ მე-II-რის თხზულებები, რომელნიც მოკლებულნი არიან პოეზიას, რადგანაც თეიმურაზი არ იყო პოეტი, მაგრამ მათში აღნუსხულია თანამედროვეთა ბევრი ნაკლი, რომლის საწინააღმდეგოთ თეიმურაზი ძლიერ ილაშქრებდა. სხვათა შორის, მისგანაც ვიცით, რომ ზაქარია გაბაშვილი იყო ფულის მოყვარე, ჟარისყველი, ანტრო-განი, რაც ემჩნევა მთელ მის საზოგადო მოღვაწეობას.

საზოგადოთ ქართული სიტყვიერება მე-18-ტე საუკუნეში აღბეჭდილია პროზის ხასიათით და თვით გურამიშვილსაც-კი არ შეუ-

წყეს ძლიერი ალფრთოვანება და მგოსნობა. ნამდვილი პოეტური ნიჭი ემჩნევა შემდეგში ბესიკს და ორ-სამ სხვა მგოსანს და მგოსან-ქალს მეფის გვარიდან. ცხოვრებიდან და პოეტურ ნაწარმოებიდან მეტად და მეტად იკარგება გართობა და სიხარული, მხოლოდ მასაში რჩება ტკბობის წყურვილი. ძლიერი ნებისყოფის ადამიანი იშვიათი ხდება და ვნებანი მრავლდებიან. ძალიან მწვავდება სიყვარული ფულისა, საკუთრებისა, მამულის შეძენისა. მემამულეთა სიხარბისაგან ძლიერ იტანჯება გლეხკაცობა, რომელიც ჯერ ისევ სრულ მონობაში იმყოფება და თითქმის პირუტყვის ადგილი უჭირავს. საზოგადო უბედურობა უფრო გლეხკაცებს აწვება კისერზე, რადგანაც მტრისგან დანგრეული სოფლების აღდგენა მხოლოდ მისი ხელით ხდება. ამ დანგრეული სოფლების სანახაობა გლოვის სახეს აძლევდა საქართველოს მთელ მე-18-ტე საუკუნის განმავლობაში. ლეკებმა გაანადგურეს ცეცხლით და მახვილით ზემო-ქართლამდინ და 1735 წელს ნადირ-შაჰი მოვიდა თავის ჯარებით ანანურამდინ.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს გარეგნულ შეხედულობას სცვლიდნენ არა მისი მცხოვრებნი, არამედ მისი მტერი, რომელიც მას არბევდა ყოველ ხუთ-ექვს წელს ან, საუკეთესო შემთხვევაში, ყოველ ათ წელს.

მე-18-ტე საუკუნის ნახევარში ტფილისს ჯერ კიდევ ძალიან ემჩნეოდა სპარსეთის დაღი. სპარსეთის მაგვარად, ქალაქი შემორტყმული იყო კედლით და შიგ სხვადასხვა მიმართულებით დატანებული ჰქონდა ალაყაფის კარები. ქუჩები განიყოფოდნენ კარებით, რომლებიც ღამით იკეტებოდნენ. კალა, ჩუღურეთი, სეიდაბადი (აწინდელ ვორონცოვის ქუჩის ახლო ადგილი). მეტეხი და ავლაბარი იყო გარე-ქალაქი, ისე რომ თვითონ ქალაქს პატარა ადგილი ეჭირა. შიგ ქალაქში იყო რამდენიმე სასახლე და რამდენიმე ქარვასლა, სადაც დგებოდნენ ჩამოსული ვაჭრები. მეფის სასახლე და საუკეთესო შენობები გაშენებულნი იყვნენ მტკვრის პირას, სიონისა და ვანქის ტაძრების შუა. კათოლიკოსი ანტონიც ცხოვრობდა მტკვრის პირას, ანჩისხატის ეკლესიის ახლო. ამ ადგილას შეკრებილი იყო მთელი მთავრობა, ადმინისტრაცია, ვაჭრობა, საეკლესიო და საკულტურო ცხოვრება. აქ, ვიწრო ქუჩაზედ, მოთავსებული იყო სომეხ-ვაჭრების უბრალო დუქნები უფანჯრო, მოუწყობელი. საქონელს ინახავდნენ ყუთებში ან პარკებში და ღამით დუქნები იკეტებოდა ხის დარაბებით. ვაჭრები, ძველებურ სომხურ ტანისამოსში, ფეხაცვებიანი, დუქნების წინ ისხდნენ დილიდან საღამომდის და უყურებდნენ ქუჩის ცხოვრებას და მოძრაობას; ყველა ამბავს ისინი პირველნი იგებდნენ.

აზნაურიშვილობა, ტფილისში მეფის სანახავად ან სასამართლოს საქმისათვის ჩამოსული, მოდიოდნენ მშვენივრად შეკაზმული ლამაზ

ცხენებით. ზოგჯერ ჩამოდიოდნენ თვით ფეოდალები დიდი ამალის თანხლებით და მაშინ მთელი ქუჩა მათ უმზერდა, რადგანაც ისინი მშვენივრათ იყვნენ მორთულ-მოკაზმულნი ძველებურ ქართულ ქულაჯებში და აგრეთვე იარაღ-ასხმულნი იყვნენ. ჩამოდიოდნენ აგრეთვე ღვდლები ჯორცხენებზედ და ქალები საუცხოვოთ მორთულ ცხენებზედ. გასართობი სანახავი იყო, როცა მეფე გამოდიოდა თავისი ამალით ან მონადირეთა გუნდით სანადიროდ. ხშირად გამოდიოდა აგრეთვე დედოფალი ლამაზი ქალების ამალით; ყველანი ისხდნენ ცხენებზედ, გარდა მოხუცებულებისა, რომელნიც ისხდნენ დახურულ საკაცეებში. ცხენები მდიდრათ იყვნენ შეკაზმულნი და ქალები ბუზმენტებით და ოქრომკედით მოქარგულ თავსახურებით.

ეხლანდელი ალექსანდრეს ბაღის ალაგას უწინ გაშართული იყო ყაბახი—მოედანი სახალხო თამაშობისა და ვარჯიშობისათვის, რადგანაც უწინ ქართველები ძალიან მისდევდნენ ეროვნულ სპორტს: ჭიდაობას, ჯირითობას, ბურთის თამაშს, მიზანში სროლას და სხვა. ეს იყო მშვენიერი სპორტი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ხელს უწყობდა ფიზიკურ განვითარებას, ღონეს და სილამაზეს, როგორც ანტიურ საბერძნეთში. ისტორიულ საბუთებში ბევრჯელ არის მოხსენებული ეს ვარჯიშობა, რომელიც საყოველთაო იყო და რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ყველანი, როგორც ახალგაზდა, ისე ხნიერი. ეს ვარჯიშობა იმავ დროს იყო გასართობი და კარგი სანახავი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ქალებიც, რადგანაც მე-18-ტე საუკუნის ნახევარში სპარსული ჩვეულების გავლენა შესუსტებული იყო და ქალებს შეეძლოთ თავისუფლათ გამოჩენა საზოგადოებაში.

1768 წელს კათოლიკე მღვდელი დელაპორტე იყო თფილისში და სწერდა: ქართველ ქალზედ უმშვენიერესი ჩემს თვალს არაფერი უნახავსო. ყველა ნაბიჯზედ გხვდებათ მშვენიერი ქალიო, ამბობს აბატი. მაშასადამე, ეტყობა, რომ ქალი იმდენათ თავისუფლათ დადიოდა გარეთ, რომ ყოველთვის შეიძლებოდა მათი ახდილი პირისახის დანახვა.

---

სასამართლო აღმოსავლეთ საქართველოში იყო ბევრით ლმობიერი, ვიდრე იმერეთში და მის მახლობელ პროვინციებში. ვახტანგ მე-IV-ის მიერ გამოცემული კანონთა კრებული დიდი ნაბიჯია კულტურულ ცხოვრებისაკენ. საკუთრების შესახებ დავა ბევრი იყო საქართველოში, ნამეტნავათ მიწის საკითხზე, როგორც მე-18-ტე საუკუნეს, ისევე მე-19-ტეში. ოსეშვილის „ანდერძი"-დანაც სჩანს, რომ საჩივრები ბევრი იყო, რომ ტფილისის მოსამართლეებს ათარებული საქმე ჰქონდათ და ხშირად უსამართლოთაც იქცეოდნენ. მაშასადამე,

ვახტანგის თანამშრომელის, ნიკოლოზის, შოთიხოვნილება კანონების შემცირების შესახებ იმგვარად, რომ მოსამართლის კეთილსინდისიერებაზედ და ზნეობრივი გრძნობაზედ ყოფილიყო დამყარებული და მინდობილი სამართალი, ჯერ-ჯერობით ნაადრევი იყო. ბოროტმოქმედების რაოდენობის და ხასიათის მიხედვით შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ ამა თუ იმ ერის ან ხანის შესახებ; მაგრამ, საუბედუროთ, მაშინდელი ქართველები ჯერ შორს იყვნენ სტატისტიკაზე და არავითარი საბუთი დაგვიტოვეს ამისა, რის გამოც სხვა წყაროებს უნდა მივმართოთ.

კარგათ აშუქებენ ქართველი ერის ზნეობრივ მხარეს ეკლესიებისათვის შეწირულ ხატებზე წარწერები ან სხვადასხვა აქტების ტექსტები. ბევრ ხატზედ შემწირავები სწერდნენ თავიანთ საგმირო საქმეებს და თავის დროის ცოკლე აღწერას, ან კიდევ აღიარებდნენ თავიანთ ცოდვებს, რომლებიც, მათი შეხედულობით, თითქმის ყოველთვის უმნიშვნელონი იყვნენ. ამ შემწირავთა მომეტებული ნაწილი, განსაკუთრებით იმერეთში და სამეგრელოში, დიდ სიმკაცრით უსწორდებოდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს, და რაც უფრო მეტი ცოდვა ედვათ თავიანთ სულზედ, იმდენათ უფრო უხვათ სწირავდნენ ეკლესიას. ერთი უპირველესი შემწირავი იყო ოდიშის მთავარი ლევან მე-11-ე დადიანი, რომელიც თუმცა მე-17-ე საუკუნეში სცხოვრობდა, მაგრამ მეორე მე-18-ში მას კიდევ ჰყავნდა წამბაძავი. ყველა ეს წარწერები და აქტები გვაძლევენ საკმარისათ წარმოდგენას მაშინდელი ხალხის თვალსაზრისზე, მათ ცრუმორწმუნეობაზედ და მოყვასისადმი გრძნობა-განწყობილებაზედ. მოყვასი მომეტებულთათვის იყო ძალიან შორეული მათი გულისათვის, იმზომ იყო დაჩლუნგებული სიყვარული და ყოველივე კეთილშობილური გრძნობა განუწყვეტელი ომისა და სისხლისღვრისა გამო. რაც უფრო მეტათ ვუახლოვდებით მე-18-ე საუკუნის ბოლოს, ის უფრო მეტათ გამოსჩანს ამ წარწერებში და აქტებში ადამიანისადმი სიყვარული და ლმობიერება; მცირდება აგრეთვე დამნაშავეთა და ბოროტმოქმედთა რიცხვიც უფრო განათლებულ ადამიანთა წრეში, თუმცა უზრუნველობა, ქარაფშუტობა და ვნებათა უზომობა ჯერ კიდევ მაგრათ არის ფესვგადგმული.

სამშობლოს მოყვარულ და დარბაისელ ადამიანთათვის სამშობლოს ბედი ბნელით იყო მოცული და გამოსავალს არსაიდან აღარ მოელოდნენ. ბევრს სრულიად უტყდებოდა გული და უზომოთ ეძლეოდა თავშეუკავებელ გარყვნილ ცხოვრებას, როგორც მაგალითათ პოეტი ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი), დაბადებული 1750 წელს. მხოლოდ 1770 წლებში გამოვიდა ეს პოეტი საზოგადო ასპარეზზედ და ამ საუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუნის ნახევარში ასეთი გულგატეხილობა გამეფებული იყო, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, რაც გამოხატულია ბესიკის ლექსში:

„გამტყორცნა სოფელმა, მოუმართლი მჭირსა;
დღენი ჩემნი წარვლენ ბნელად და ბნელად!
რაყიფთად შემექნა ბედივე ჩემი;
სიცოცხლეს-ღა ვპოებ ბნელად და ბნელად!*

მისი ლექსის ეს პირველი სტრიქონები საკმარისად გამოხატავენ ბევრ მაშინდელ ქართველის გულის ნადებს. ამათ გვერდზედ სცხოვრობდნენ მტკიცე ნებისყოფისა და ძლიერი სულის ადამიანები, რომელნიც არ ეძლეოდნენ სასოწარკვეთილებას და არა ჰკარგავდნენ სამშობლოს გადარჩენის იმედს; ყველა ესენი განათლებით და ხასიათის სიმტკიცით მაღლა იდგნენ თავის თანამედროვეთა შორის.

ყველა ხანას თავისი მიმართულება აქვს ნივთიერ, პოლიტიკურ, აზროვნულ თუ ზნეობრივ ცხოვრებაში. თეიმურაზ მე-II იყო გატაცებული მწიგნობარი, თითქმის მწერალი, მაგრამ სუსტი მმართველი. თავის ხანაზედ თეიმურაზს ნაკლები გავლენა ჰქონდა; მე-18-ტე სა-კუნის გრძელი ბოლო, ოსმალეთთან და სპარსეთთან დამოუკიდებლობისათვის გამწვავებული ბრძოლის ხანა აღბეჭდილია ერეკლე მე-II გმირული სულით. ამ ხანის აზროვნულ ცხოვრებაზედ არავისა ჰქონდა კათოლიკოს ანტონისთანა გავლენა, და გაზვიადებული არ იქნება იმისი თქმა, რომ მას ეწოდოს კულტურულ მოძრაობის უმთავრესი მომქმედი. ცხადია, რომ მისი მიმართულება და მთელი მისი მოღვაწეობა უნაკლულო არ იყო და ის ძალიან შორს იყო ისეთი თავისუფალ აზროვნებისაგან, რომელმაც მე-18-ტე საუკუნეში მოიცვა ევროპის საუკეთესო მეცნიერნი.

ეს თავისუფალი აზროვნება ვერ აღწევდა საქართველომდის ვერც იტალიელ ბერების საშუალებით, მითუმეტეს მოსკოვის ვიწრო-სქოლასტიკურ მღვდლების საშუალებით, რომლებიც აცნობდნენ ქართველ ემიგრანტებს სასწავლებლის საქმეს თავიანთ ვიწრო თვალთსაზრისით. თეიმურაზის შემდეგ კატოლიციზმს საწინააღმდეგო ქადმაც-კი დაუბერია და მისიონერები განდევნილ იქმნენ. ესეთი შეუწყნარებლობის მოძრაობა ეხლა ხშირად ხდებოდა ხოლმე და სიმეცნიერო ლიტერატურასთან ერთათ დაიწყეს წერა უცხოელთა წინააღმდეგ, რაც, შეიძლება, აგრეთვე მიეწეროს რუსეთის ეკლესიის გავლენას. ამ გავლენის ქვეშ მყოფი ქართველი ემიგრანტები ჩამოდიოდნენ საქართველოში იმ მტკიცე განზრახვით, რომ თავიანთი ცოდნა ახალგაზრდობის აღზრდისათვის მოეხმარებინათ. როგორც უწინ, ისევე ეხლა სწავლის საქმე სამღვდელოების ხელში იყო და რუსეთიდან დაბრუნებულ აზნაურიშვილების და ბატონიშვილების გავლენას ამ

შემთხვევაში ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა; მხოლოდ სწავლაში თანდათან შედიოდა ახალი საგნები ძალიან შეზღუდულ ფარგლებში. საბერძნეთის ფილოსოფია, რომელსაც ქართველები წინა საუკუნეებშიაც სწავლობდნენ, ეხლა ხელმეორედ შეიქნა ყურადღების საგნად, მაგრამ ამ გარემოებამ სწავლა-განათლება არ წასწია წინ ევროპის განათლებისაკენ. ამ შემთხვევაში უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ ენაზე ევროპულ სახელმძღვანელოებისა და სხვა. წიგნების თარგმნას, მხოლოდ ძნელია ითქვას, რამდენად გამოყენებული იყო ეს თარგმანები, თუმცა სრულის რწმენით შეიძლება ითქვას, რომ მათ საგრძნობლად გააფართოვეს მოწინავე ელემენტთა საზოგადო განვითარება.

ახალგაზრდათა შორის განათლების ფართო მოძრაობა დაიწყო 1762 წლის შემდეგ, როცა კათოლიკოსი ანტონი დაბრუნდა პეტერბურგიდან და გახსნა სასულიერო სემინარია ტფილისსა და თელავში. ეს იყო ნამდვილი საზოგადო მოღვაწე, ორგანიზატორი, მასწავლებელი და მწერალი, რომელიც, მიუხედავად შემოქმედების ნიჭის ნაკლისა, ცდილობდა ყოველგან შეეტანა ევროპული კულტურის ნაკადი. მისი საქმე ფრიად მძიმე იყო, რადგანაც მას გარშემო ეხვია მტრები, რომლებიც ცდილობდნენ შეეფერხებინათ მისი კეთილი განზრახვები. ყველაზე მეტად მას წინააღმდეგ ილაშქრებდა სამღვდელოება, ზაქარია გაბაშვილის მეთაურობით. ეს უკანასკნელი რუსეთიდან კათოლიკოსის დაბრუნების შემდეგაც განაგრძობდა თავის ინტრიგას და ბრძოლას ძლიერ მოღვაწის წინააღმდეგ. მაგრამ ეხლა ამ ომში ისე ვერ იმარჯვებდა, როგორც წინათ. 1767 წელს გაბაშვილი განდევნილ იქმნა ტფილისიდან და შეეფარა იმერეთში მეფე სოლომონის, ერეკლე მეფის მტრის, ფრთას. ეს შემთხვევაც ეპოქის დამახასიათებელი არის: გაბაშვილი, რომლის ოჯახობაც დაახლოვებული იყო მეფის სახლობასთან, რომელმაც თვითონ პირადად მიიღო ერეკლე მეფისაგან მეგობრობისა და ნდობის მრავალი საბუთი, ივიწყებს ყველაფერს და მიდის იმერეთს, რათა თავის უწინდელი მფარველის მტრის ბანაკში ემოქმედნა მის წინააღმდეგ.

ამ მეფის მოძღვარს ჰყავნდა შვილი ბესარიონი, რომელმაც ერთგვარი გავლენა იქონია მე-18-ე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედზე და რომელიც ქართული ცხოვრების ასპარეზზე თავისი ნიჭით მამაზე გაცილებით მაღლა სდგას. ეს ნიჭიერი მწერალი სიყვარულისა, სევდისა და ვარამისა, მომღერალი მსოფლიო კაეშნისა და გმირის ერეკლესი, მომღერალი საბედისწერო მარცხთა, ცნობილ იქმნა ბესიკის ფსევდონიმით და კათოლიკოს ანტონ I-ს შემდეგომ, უნდა ჩაითვალოს ყველაზე უფრო ტიპიურ გამომხატველად თავის მედროვეთა და ამსახველად მათ ნაკლოვანებათა. მაგრამ იგი უარყოფითი ფიგურა

იყო, მაშინ როცა ანტონი, სულხან ორბელიანი და ვახტანგ VI ყვე-ლა თავიანთ ნაკლულოვანებასთან ერთად, დიდებითი შემოქმედნი იყვნენ, საქართველოს კულტურულად განახლებისათვის დამაშვრალნი.

ბესიკი ცხოვრების ასპარეზზე მაშინ გამოვიდა, როცა საქართველოს მდგომარეობა მტერთა შემოტევისა გამო მერყევი იყო.

ამ ჟამს დროში, როცა ხსნის იმედი თანდათან ჰქრებოდა, კეთილშობილთ ეცხოველდებათ სევდა და სასოწარკვეთა, მაგრამ ამავე დროს სურვილიც ხსნისა, გამოსწორებისა, კულტურისა და სახელმწიფოს გაჯანსაღებისა. ესენი შეადგენდნენ მკრთალ ნაწილს ხალხისას, როდესაც დიდი უმრავლესობა შესდგებოდა გულგრილ, პატივმოყვარე, სიამოვნების მაძიებელთაგან.

როგორც ბოკაჩიო აღგვიწერს ფლორენციელთა განწყობილებას შავი ჭირის დროს, იმის მსგავსადვე საქართველო ეხლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ეძლეოდა გრძნობათა სიამეს. ამ გარყვნილი ცხოვრების ცენტრი იყო ტფილისი, სადაც არა მხოლოდ ზამთრობით, არამედ ზაფხულობითაც მრავლად იყვნენ აზნაურნი, მთელი ქალაქი შემორტყმული იყო ბაღებით, სადაც იმართებოდა დაუბოლოვებელი ქეიფები, რომელთა ხშირი სტუმარი იყო ბესიკი. ამბობენ, რომ მას კარგი ხმა ჰქონდა და ლამაზად დამღეროდა თარზედ, ე. ი. ასრულებდა როლს ძველ სომეხ-თათარ აშუღთა, იყო მგოსანი, მომღერალი და მუსიკოსი ერთსა და იმავე დროს! მისი ლექსები წარმოადგენენ უსახიეროესს, გრძნობით გაჟღენთილს, მედიდარს, გულის ამაჩუყებელ ლირიკას მთელ მე-18 საუკუნეში. არა მარტო საქართველოში, არამედ ამ საუკუნეში არცა სომხებს, არცა თურქს, თათარს, არცა თვით სპარსელთ არა ჰყავდათ ისეთი ნიჭით მომადლებული პოეტი, ისეთი სახალხო მგოსანი, როგორიც იყო ბესიკი. სიტყვა „სახალხო" აქ ზედმეტი არ არის, რადგან იგი იყო ჭეშმარიტი გამომხატველი ხალხის სიყვარულისა და ჭმუნვისა, მისი ფილოსოფიისა.

ამბობენ, რომ ბესიკის ლექს-სიმღერები გაისმოდა მთელ ტფილისის ქუჩებზე და ბაღებში და რადგანაც თვითონ ბესიკი უკრავდა თარზე და კარგი ხმა ჰქონდა, ის თვითონ იყო საუკეთესო ამსრულებელი თავის სიმღერებისა და საერთო სიყვარული ჰქონდა მოხვეჭილი საზოგადოების ყველა წრეებში: ხელოსნებში, ვაჭრებში, თავადაზნაურობაში და თვით მეფის სასახლეში. საუბედუროდ, ამ გარემოებამ ცუდათ იმოქმედა ახალგაზრდა პოეტზე, რომელიც უზომოთ მიეცა სიამოვნებას და ქეიფს. მან სრულებით დაკარგა კეთილგონიერება და ბაღებში ავარა ხალხთან გაისმოდა მისი ეროტიული სიმღერები და ლექსები, რომელშიაც მან არ დაინდო თვით ბატონიშვილი ანა, რომელსაც ძლიერ უყვარდა ბესიკი. უპასუხებდა თუ არა ბესიკი სათანადო სიყვარულით? არ მგონია, რომ ამ ცნებიან, დაუ-

დღეგარ ახალგაზრდა ქაწვილს შესძლებოდეს ღრმა, ხანგრძლივი გრძნობა. არა, ბესიკი მიუხედავათ თავისი ძლიერი ლექსებისა, მხოლოთ თამაშობდა გრძნობებით. მისმა ყოფა-ქცევამ ბოლოს-და-ბოლოს მოთმინებიდან გამოიყვანეს საზოგადო აზრი და მომთმენი, ლმობიერი მეფე ერეკლე მე-II-ე, და ბესიკი იძულებულ გახდა გაქცეულიყო იმერეთში, სადაც თავი შეაფარა ჩამორჩომილ იმერეთის გამოჩენილ მეფე სოლომონის ეროთას.

სოლომონმა სიამოვნებით მიიღო დარდიმანდი პოეტი, და ხელი ალბათ იმისათვის უფრო შეუწყო, რომ გაეხადნა ერეკლე მე-II-ეს საწინააღმდეგო იარაღად. ესეთი მოქმედება საუკეთესოთ ახასიათებს მაშინდელ ზნეს საზოგადოთ და განსაკუთრებით იმერეთის მმართველის პოლიტიკას, სადაც ყოველთვის ბუდობდა ინტრიგა და ყოველგვარი ღალატი. მიუხედავათ ზოგიერთი ღირსებისა, როგორც, მაგალითათ, ჯარის-სარდლობაა, სოლომონი დანარჩენში ცოტათი განირჩეოდა ჩვეულებრივ იმერეთის მეფეებისაგან, და ჩვენს თვალში მისი მოპირდაპირე, მეფე ერეკლე მე-II-ე, შედარებით მასთან, მიუწდომელ სიმაღლეზედ სდგას. ერეკლე მე-II იყო არა მარტო დიდებული სარდალი, რომლის სახელიც ცნობილი იყო თვით ევროპაში, ის იყო იმავ დროს დაუცხრომელი მზრუნველი თავის ქვეყნის კეთილდღეობისა. პრუსიის ხელმწიფე ფრიდრიხ დიდის სიტყვები: „მე—ევროპაში და ერეკლე მე-II-ე—აზიაში", არის ნამდვილი დაფასება ერეკლე-სარდლის დიდი ღირსებებისა და მისი ბრძოლისა დაუღალავ გოლიათთან. მაღალი ძეგლი დაუდგა ეგრეთვე მას გერმანელ მწერალმა ლესსინგმა თავის კომედიაში—„მინნა ფონ-ბარნჰელმ".

ექიმი იაკობი რეინეგსი—საქართველოში პირველი გერმანელი იყო, რომელიც სამსახურში იყო ერეკლე მეფესთან ექიმის თანამდებობაზე და ეგრეთვე ტეხნიკოსად; ის ასწავლიდა ქართველებს მადნის გამოღებობას, თუჯის დამუშავებას, რკინის გამოსაჭედავ ქურების აშენებას, ზარბაზნების გაკეთებას და ტყვია-წამლის საუკეთესო დამზადებას. რეინეგსი ქება-დიდებით იხსენიებს მეფე ერეკლეს, მის ხასიათს, მის მოღვაწეობას, მის კეთილ გულს, მზრუნველობას ხალხის კეთილდღეობისათვის და კაცთმოყვარეობას. მაგრამ, როგორც ვიცით, გარემოება, რომელშიაც უხდებოდა მუშაობა მეფე ერეკლეს, მეტად შეუფერებელი იყო და მის მოქმედებას ვერ მოჰქონდა სრული ნაყოფი. აღმოსავლეთის უწინდელ მმართველთა ჩვეულებისამებრ ერეკლეს ეპყრა თავის ხელში არა მარტო ძალა-უფლება, არამედ სამეფოს სამხედრო ნაწილი და ყველა წვრილმანი საქმეები.

პოლიტიკური გარემოება მაშინ იყო ფრიად რთული, რადგანაც მას უხდებოდა განუწყვეტელი გაძრომ-გამოძრომა სპარსეთის და ოსმალეთის შუა და იმავ დროსვე სიფრთხილე რუსეთის ფარულ პოლი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ტიკასთან, რომელიც მეტს ანგარიშს უწევდა სპარსეთსა და ოსმალეთს. ესეთი გამოურკვევლობა თვით დიდი სამხედრო გამარჯვების დროსაც ვერავერ მტკიცეს ვერ შეჰქმნიდა.

როცა ერეკლე მეფე ავიდა ტახტზედ, ქართლი და კახეთი ძალიან იყო დანგრეული: უკვე 1730 წელს, როცა რეჰნეგსი მოგზაურობდა საქართველოში, კახეთში ყველგან ჰხვდებოდა განსაკუთრებული ცარიელი სოფლები, ციხეები და დაბები. გრემი და მის მეზობელი სოფლები ნახევრათ ნანგრევებში იყვნენ ჩაფლულნი და ქიზიყში მოსახლეობა მხოლოდ შიგნითა ტყეებში-ღა იყო; ვაკეზედ არავის აღარ ჰსურდა ცხოვრება ლეკების შიშით. ყვარელიც დაცარიელებული იყო, თუმცა იქ ბევრი ქვითკირის სახლი და ეკლესიები იდგა. საგურამო ლეკების ყაჩაღების ბუდედ იყო გადაქცეული, მუხრანში თითქმის ერთი კაციც აღარ სცხოვრობდა; ესევე იყო შორაპანში. ამისთანა დაცარიელების გამო ერეკლე მეფემ განიძრახა გაედიდებინა მოსახლეობა შიგნითი მოსახლეობით და დანიშნა თავისი შვილი გიორგი ბორჩალოს მმართველად. ამ უკანასკნელს რეჰნეგსი უწოდებს კარგ ადმინისტრატორს და ერის კეთილმზრუნველს.

ერეკლეს დროს სწარმოებდა აგრეთვე მადნების დამუშავება და ერთს სომეხს, მიკირტუმა თაქუშვილს, ჩაბარა სპილენძის მადნის დამუშავება. მეორე სომეხი არუთინი წავიდა ევროპაში, შეისწავლა ექიმობა და საქართველოში დაბრუნებისას დიდი პრაკტიკა შეიძინა, შემდეგში დანიშნული იყო ერეკლე მეფის და სოლომონ I-ს კარისექიმად. ზოგიერთ იტალიელ ბერების შემდეგ, რომლებიც ექიმობასაც მისდევდნენ, არუთინი იყო პირველი ექიმი, ევროპაში განათლებული. ერეკლე მეფე მას დიდათ აფასებდა და მადლობის ნიშნად აჩუქა თფილისში რამდენიმე დუქანი. ეს მეფე ძალიან უხვათ, ზოგჯერ გადამეტებული ხელგაშლილობითაც-კი, აჯილდოვებდა ყოველივე სამსახურს, რასაც ჰმოწმობს რამდენიმე გუჯარი. ესეთი ხელგაშლილობა ცუდათ მოქმედობდა სახელმწიფო ხაზინაზედ, რომელიც უმისოდაც ხშირათ განიცდიდა უფულობას. სხვათა შორის, მოხელე, რომელიც განაგებდა მეფისთვის მოტანილ ფეშქაშებს, იღებდა იქიდან მეათე ნაწილს. საზოგადოთ, მოხელეები იღებდნენ სახელმწიფო შემოსავლების მეათედს. ამასთან მრავალი ბოროტმოქმედება იყო დაკავშირებული. მექრთამეობა საზოგადოთ აღმოსავლეთში ძალიან იყო გავრცელებული ფეშქაშების სახით და ეს არაპირდაპირი გადასახადები სახელმწიფოს მმართველებთანაც მიდიოდა, და ისინი მათ არ იწუნებდნენ. როგორც ეს დღესაც მიღებულია სპარსეთში, ქართველი მეფეები სხვა და სხვა შემთხვევაში იღებდნენ ფეშქაშებს.

მაშინდელ ქართველების მოქალაქეობრივ კეთილსინდისიერობაზედ ძნელია ეხლა ვიქონიოთ მსჯელობა საბუთების უქონლობისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამო. მაგრამ იმისთანა შემთხვევები, როგორიც, მაგალითად, მოხელეების ჯამაგირები, გადახდილი ჯარიმის ფულიდან ან ქურდების შემოსავლიდან, კარგათ ვერ ახასიათებს საზოგადოებრივ კეთილსინდისიერებას. იოსეშვილი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს საშუალო ქართველად, ე. ი. არც საუკეთესოდ და არც უკანასკნელად, არამც-თუ ხარობდა და ატყავებდა გლეხკაცებს, არამედ ბოროტმოქმედებდა თავის მოსამართლეობის დროს და მისი სინიდისი მშვიდათ იყო. ხომ შეეძლო მას გაერჩია კარგი ავისაგან? ის იყო სიონის ტაძრის დეკანოზის შვილი და შვიდი წლიდგან სწავლობდა წერა-კითხვას და გალობას. მისმა შვილებმაც მიიღეს იგივე პირველდაწყებითი განათლება, მაგრამ მოქეიფე ახალგაზრდები დადგნენ, მთელი ღამეები იკარგებოდნენ ტფილისის ბაღებში და ხშირად სახლში არც-კი ბრუნდებოდნენ. მაგრამ უფრო საუკეთესო და მათთვის დამახასიათებელი ამბავი მოხდა: ერთი მისი შვილი დაქორწინდა; მამამ გამართა დიდი ქორწილი, რომელზედაც თვით ბატონიშვილები მოიწვია; ქორწილის მეორე დღეს ნეფემ გაქურდა ერთი ვაჭარი!... ასეთი მოვლენები გულს უკლავდნენ საუკეთესო ხალხს, რომელთაც იოსეშვილები თვითონ ცდილობდნენ გავლენიან საზოგადოების ნაწილს და თვით აწარმოებდნენ საზოგადო საქმეებს.

მეფე ერეკლეს დიდი ბრძოლა დასჭირდა აზნაურიშვილთა ამ სიმახინჯის გამოსასწორებლად. რეინეგსი ირწმუნება, რომ უზომო ჭამისა, სიმთვრალისა და გარყვნილებისაგან ბევრი ქართველი კვდებოდა სრულიად ახალგაზრდათ. თვითონ მეფე ერეკლე სანაქებო იყო თავისი მომჭირნე და ზნეობრივი და სადა ცხოვრებით, მაგრამ მას დიდი ხარჯი მოსდიოდა მრავალრიცხოვან ოჯახის გასაძღოლად და, გარდა ამისა, ოსმალეთის და სპარსეთის შაჰებთან და ხანებთან აუცილებელი ურთიერთობა მოითხოვდა მისგან ბევრ ზედმეტ ხარჯებს და სასახლის საჩინოთოდ მოწყობას. საზოგადოთ, იმდროის ცხოვრება ჯერ კიდევ ბევრი მხრით პირველყოფილი იყო და აკლდა ყველა ის, რასაც ჩვენ ეხლა აუცილებლად ვსახავთ. რეინეგსის გადმოცემით, ერეკლე მეფის დროს ტფილისში 4000-მდე სახლი იდგა, მაგრამ მოშენებული მათგანი ძალიან ულამაზო იყო და შიგნითაც სულ სადა მოწყობილობა ჰქონდა. საკმარისია ითქვას, რომ იშვიათ სახლში იყო გაკეთებული ბოლოსათვის საკვამლე, ფანჯრებშიაც იშვიათად იხმარებოდა შუშები; შუშის მაგიერად ცხიმით გაჟღენთილი ქაღალდი იყო გაკრული ფანჯრის ჩარჩოებში. ესეთი მოწყობილობა ბევრს ალაგს დარჩა მე-19-ტე საუკუნის პირველ ათეულებშიაც.

მეორე მხრით, ნივთიერი ცხოვრების ამისთანა ჩამორჩენილობის მიუხედავათ, საგრძნობლათ იზრდებოდა აზროვნული ცხოვრება, რასაც მოწმობს მაშინდელ მწერლების მოღვაწეობა, სასკოლო საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა


შის გაფართოება და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მოვლენანი. ბატონიშვილი იოანეს „კალმასობა" გვაცნობს ბევრ ისეთს პიროვნებას, რომელთა განვითარებაც არ იდგა მათი მომდევნო თაობაზედ დაბლა. განა თელავის სემინარიის რექტორები—გაიოზი და დავით ალექსიშვილები და თანამედროვე მწერლების მთელი რიგი არ იქნებოდნენ მე-19-ტე საუკუნის საქართველოს მშვენებად? დიახაც, რომ იქნებოდნენ, რადგანაც მე-19 საუკუნის ორმოცდაათ წლებში საქართველოში სრულებით არ იყო ახოვნებული ცხოვრება, და ალექსანდრე ჭავჭავაძის და ნიკოლოზ ბარათაშვილის მეტი მწერალი არ მოიპოვებოდა.

მე-18-ტე საუკუნის მოწინავე ქართველების ჩვეულებათა სისადავე, ხასიათის ეს მშვენიერი თვისება, შერჩათ აგრეთვე მათს შვილებს და შვილიშვილებს დიდი ხნის გაყოლებაზედ. მხოლოდ ზოგიერთ ამ მოღვაწეთაგანმა ჩამოიტანა რუსეთიდან სქოლასტიკური განათლებასთან ერთათ ქართველი ერისათვის არაბუნებრივი თვისებები: თვალთმაქცობა, პირში ქება და თავდამცირება. ეს პირფერობა განსაკუთრებით ეტყობა რექტორ ალექსიშვილს და აგრეთვე გაიოზს და ლეონიძეს, რომლის სიტყვას, მეფე ერეკლე მე-II-ის კუბოსთან წარმოთქმულს, აშკარად ეტყობოდა ეს.

ამავ დროს თავად-აზნაურობა და ფეოდალები იჩენენ სრულებით სხვა თვისებებს: თავხედობას, თვითნებობას, ლუქმაპურის თავის დამცირებას და ფულის სიყვარულს. რეჰნეგსი, რომელსაც თავშვილი „დოხტურ იაკობს" უწოდებს, იძლევა ქართველ აზნაურიშვილობის შემდეგს დახასიათებას: „აზნაურიშვილები ერთმანეთში ვერა რიგდებიან, და ძალიან მრავალრიცხოვანნი არიან და ამისათვის ღარიბნი. თავის ხელით მუშაობას თაკილობენ და ხარბი თვალით უყურებს თავის მეზობლის საკუთრებას. ხშირად რამდენიმე აზნაურიშვილი შეერთებული ძალით გამოდიან მეფის წინაამდეგ; ერთიერთ ბრძოლისათვის ისინი იქირავებენ ლეკებს, რის გამოც ეს უკანასკნელნი ისე კარგათ არიან გაცნობილნი საქართველოს, მის გზებს და ბილიკებს, რომ შემდეგში ადვილათ შემოდიან თავის-თავად, აწიოკებენ ქართულ სოფლებსა და ქალაქებს".

მე-18-ტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ერთიერთი ბრძოლა ძლიერდებოდა და ვრცელდებოდა თვით მეფის სახლეულის წევრთა შორისაც. მრავალრიცხოვანი ბატონიშვილები უწინდელზედ მეტათ ცდილობდნენ ერთმანეთის ტახტის მემკვიდრეობას და მოხუცებული მეფე ერეკლე მე-II-ე ვეღარ უძლევდა ამ დავიდარაბას. ეს დაუღალავი, გულადი და მზრუნველი მეფე, რომელიც მმართველობდა კახეთში ნახევარ საუკუნეზედ მეტს და ქართლში—35 წელიწადს, განსაკუთრებული ძლიერებით მუშაობდა სამშობლოს დაცვისა და აღორძინებისა-

თვის, მაგრამ მაინც სათანადო ნაყოფი ვერ გამოიღო ვერც ასპინძის გამარჯვებამ ოსმალებზე, ვერც წინმა კეთილშობილმა და გულახდილმა დიპლომატიამ. გარეშე ძალა, რომელიც დაუცხრომლად უთხრიდა ძირს საქართველოს, სტიქიური სიძლიერით ამსხვრევდა მეფე ერეკლეს აღმშენებლობითს მუშაობას და ეცრუებოდა იმედები.

ხალხის უმრავლესობა გულგრილად უყურებდა ყველა ამ მოვლენას, და როგორც „კალმასობიდან“ ჩანს, დაღონების მაგიერად ბევრგან სუფევდა სრული სიწყნარე და თითქმის კმაყოფილებაც-კი: სჭამდნენ, სვამდნენ, ხუმრობდნენ, და, როგორც ყოველთვის, ბევრს ლაპარაკობდნენ. იუმორი, მგონი, მაშინაც-კი არ აკლდათ ქართველებს და ბევრნი გულდამშვიდებული უზრუნველად უცქეროდა მომავალს. თვითონ მეფე ერეკლე, თუმცა გულდათუთქული იყო, მაინც სცდილობდა არ დაეკარგა მხიარული სახე, ხშირად ხუმრობდა, უყვარდა მოსწრებული სიტყვა, ბესიკის და საიათნოვას სიმღერა. ამ უკანასკნელს არ ჰქონდა ბესიკის პოეტური აღმაფრენა და სულიერი სიძლიერე. მაგრამ, როგორც აღმოსავლეთის მომღერალი, სიყვარულის მოტრფიალე და ხალხური ფილოსოფოსი, ის აკმაყოფილებდა თანამედროვეთა ესტეტიურ გრძნობას. „კალმასობა“ იხსენიებს აგრეთვე ქორ-ოღლის სიმღერას, რომელიც მაშინ, მგონი, ძალიან იყო გავრცელებული, მაგრამ ლიტერატურაში არ დასტოვა შესამჩნევი კვალი.

მაგრამ, როცა ახლო დავუკვირდებით ამ საზოგადოებას, რომელიც გარეგნულად დარეჯანისა და ლეონისაგან შესდგებოდა, დავინახავთ, რომ იქ იყო ბევრი ღრმად ჩაფიქრებული ხალხი, რომელიც შიშით უცქეროდა მომავალს. მომეტებული მათგანი იყო ერისკაცი; იყო რამდენიმე სამღვდელოც, როგორც მაგალითად ამბროსი კახეთში და ანტონი ჭყონდიდელი — სამეგრელოში, რომელთაც თავისი კარგი ქადაგებით გავლენა ჰქონდათ ხალხზედ; ამბროსი ცნობილია აგრეთვე თავისი ქველმოქმედებით. ანტონი ჭყონდიდელი საზოგადოთ ბევრს ზრუნავდა უბედურ სამეგრელოს ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ეს ცხოვრება, როგორც ვიცით, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში თითქმის არასოდეს დაწყნარებულა. ანტონი ერთგული იყო ხალხისა და ემსახურებოდა მას არა მარტო სიტყვით, რადგანაც მისი უბრალო და გონიერი ცხოვრება სამაგალითო იყო ყველასათვის. მისი ქადაგებები ეხებოდა თანამედროვე ცხოვრებას და მოვლენათ; ამ ქადაგებებში შერეული იყო ბევრი სევდა, რაც, სხვათა შორის, მე-18-ტე საუკუნის პოეზიაში გადაიქცა მთავარ ჰანგად; ხშირად ეს სევდა სასოწარკვეთილებამდე მიდის, როცა ასახიერებს სულიერ ტანჯვას ყველა იმ პირთა, რომელნიც ცხადლად ჰყურებდნენ სამშობლოს მდგომარეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ ერეკლე მეფე ჯანსაღი იყო და სიბერე ვერას აკლებდა მას ღონეს, იგი და მისი შვილი გიორგი დიდის ენერგიით სცდილობდნენ აღედგინათ სპარსეთის, ოსმალეთის და ლეკების მიერ დარბეული საქართველო.

მე-18-ტე საუკუნის განმავლობაში ბევრი შავი დღე გამოიარა საქართველომ, მაგრამ ყველაზედ მძიმე განსაცდელი დაატყდა მას თავზედ 1795 აღა-მახმად-ხანის შემოსევის დროს. ეს სასტიკი, თუმცა გულადი, დამპყრობელი რამდენიმე წლის განმავლობაში ცდილობდა, მაგრამ ვერა ჰბედავდა შემოსვლას საქართველოში, რომელმაც უარყო მისი უზენაესი უფლება. აზერბეიჯანის თათრის ხანები, გარდა განჯელი ხანებისა, ერთად მტრულად უყურებდნენ აღა-მახმად-ხანს და ამისთვის მას არ ჰქონდა აზერბაიჯანში მტკიცე საფუძველი. 1795 წელს, შეიკრა-რა თავისი მცირერიცხოვან გუნდით თათრების მიწა-წყალში, აღა-მახმად-ხანი დაბანაკდა განჯაში და აქედან ემზადებოდა საქართველოსკენ გალაშქრებისათვის.

სპარსელ ჯარებს შეუერთდნენ აქ თათრების რაზმები და დაქირავებული ლეკები. ეს ჯარი ისე საშიში არ იყო თავისი სამხედრო წრთვნილებით და გულადობით, როგორც ველურობით და ნადავლის სიხარბით. თვითონ აღა-მაჰმად-ხანი აწამებდა და სიცოცხლეს უსპობდა თავის მოწინააღმდეგეს პირდაპირ ან ვერაგობით, არბევდა და იტაცებდა ყველგან და ყოველთვის, და, რა თქმა უნდა, მისი ჯარისკაცებიც უკან არ ჩამორჩებოდნენ. ეს არ იყო რეგულიარული ჯარი, არამედ ბანდა, უწესრიგო, ცუდათ ჩაცმული და შეუიარაღებული და ხშირად ცალკე, თავის ნებით მოქმედი. როცა სპარსეთის ჯარი მიესია სომხეთს და თათრების ხანებს, მოსახლეობა მოცული იყო შიშის ზარით და ყველა ქონების პატრონი ჰკრებდა რაც-კი ძვირფასი ჰქონდა და იხიზნებოდა საქართველოში, რომლის ზურგს უკან უკვე რუსეთის მფარველობის ლანდი იდგა.

აღა-მახმად-ხანი მეჩქარდა საქართველოს საზღვართან, რადგანაც ეშინოდა რუსეთის ჩარევისა. ყველა ეს ლტოლვილნი შემდეგში შეიხიზნენ ტფილისის მცხოვრებლებთან ერთად ქართლის სიღრმეში, ან კავკასიონის მთებში, ხოლო სპარსელების შემოსევამდე დაბანაკდნენ საქართველოს სატახტო ქალაქში, რომელზედაც მოდიოდა საშინელი ტალღა.

ქალაქის დასაცავად შეიკრიბა ძალიან მცირე ჯარი, რადგანაც ერეკლემ შეკრიბა მხოლოდ 15000 კაცი და იმერეთის მეფემ, სოლომონმა, მოიყვანა 2000 კაცამდის. იმის მაგივრად, რომ მთელი საქართველო ამდგარიყო თავის დედა-ქალაქის დასაცავად, თვით ბატონიშვილებმა და თავადებმა დაანებეს თავი ერეკლე მეფეს ამისთანა გაჭირვების დროს. მისი უფროსი შვილი გიორგი არც-კი დაემორჩილა მას და 4000 კაცით დარჩა სიღნაღში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი თავად-აზნაური და ფეოდალი, რომელთაც უწინ თავისი პირადი პოლიტიკისათვის შეეძლოთ შეეკრიბნათ და შეეიარაღებინათ დიდი რაზმები, ეხლა, სამშობლოს ამისთანა განსაცდელის დროს, სდუმდნენ და არ იძროდნენ ადგილიდან.

10 ენკენისთვეს აღა-მაჰმად-ხანის ცხენოსანი რაზმი მიუახლოვდა თბილისს, და ზოგ შეკრებილი ხალხი შიშისგან დაფრთხა, რადგანაც აქ მყოფი ქართველთა ჯარი ძალიან პატარა იყო ქალაქის დასაცავად- ვერც მაგარი კედლები, ვერც ციხეები და ნოვალი ზარბაზნები ვერ დაიფარავდნენ მცხოვრებთ, რადგანაც კრწანისის ველზედ გმირულად მებრძოლი ჯარი შეირყა საშინელი ბრძოლის შემდეგ.

შეუთანხმებლობამ აქაც იჩინა თავი და შეუშალა გამარჯვებას ხელი, რასაც თან მოჰყვა საზოგადო დახევა. დედოფალი დარია შვილებით წავიდა ყაზბეგისაკენ, მთებში, ახლანდელ სამხედრო საქართველოს გზით. და დაიძრა თბილისიდან მთელი რიგი ურმებისა ბავშვებით, ქალებით, მოხუცებულებით. ბარგი-ბარხანით და გაისმოდა გზაზე წივილ-კივილი, ტირილი და გლოვა უბედურ ლტოლვილებისა. ურმები ნელა მიიზლაზნებოდა მთებისაკენ. სპარსელები-კი უახლოვდებოდნენ, და იზრდებოდა ხალხის შიში და არევ-დარევა, რადგანაც დაღლილ-დაქანცული საქონელი ეცემოდა გზაზედ და ურმები ჩერდებოდა. მოშვებულ ნაწილს ეძინა ცის ქვეშ, ბევრი ცივდებოდა და ავად ხდებოდა. მაგრამ უფრო მეტი გაჭირვება მოელოდათ მათ მთებში მისვლის დროს. აქ უკვე ციოდა და არ იყო თავშესაფარი ამ აყრილებულ ხალხისათვის. პატარა მთიულ სოფლებში, სადაც აქამდინ სცხოვრობდა ათეული კომლი, ეხლა შეიკრიბა ასეულობით. სუსტი ქალები და ბავშვები სიცივით იყინებოდნენ და ავადმყოფებს შველა არსაიდან ჰქონდათ. სანოვაგე გათავდა და შიმშილი მოედო თითქმის მთელს ბანაკს, უფრო შეძლებულ ხალხის პატარა ჯგუფის გარდა, რომელიც-რასაკვირველია, საუკეთესოთ მოეწყო. ამ უთანასწორობამ გამოიწვია მშიერთა უკმაყოფილება და გაისმა საყვედური ამ უბედურობის დამნაშავეთა წინააღმდეგ. თუმცა ამ ლტოლვილების გარემოება მძიმე იყო, მაგრამ მათი ბედი გაცილებით სჯობდა თბილისში და მიდამო სოფლებში დარჩენილ ხალხის ყოფას.

მეომარმა რაზმმა დაკარგა გამარჯვების იმედი. იმერლებმა პირველებმა დასტოვეს თბილისი და გაჰყვნენ უკან ლტოლვილებს. დახმარების მაგივრად ისინი სცარცვავდნენ გაქცეულთ და ართმევდნენ იმასაც-კი, რაც მათ მოასწრეს წაეღოთ თან. ბნელით არის მოცული ის, თუ რა სურათს წარმოადგენდა თბილისი იმერლების გაქცევის შემდეგ, როცა მეფე ერეკლე დარჩა იქ ერთგულ ქართლ-კახელთა პატარა რაზმით. ამაო იყო ყოველივე ცდა ქალაქის და-

ცვისათვის და 75 წლის მოხუცი გმირი, მრავალგზის დაჭრილი, მრავალჯერ გამარჯვებული სახელოვან ბრძოლებში უძლური შეიქმნა დედა-ქალაქის დაცვაში.

რა მწარე დაცინვა არის ბედისგან!

თორმეტი ბატონიშვილიდგან არც ერთი, დავით გარდა, და არც ერთი ფეოდალი არ მიეკარნენ სამშობლო კერის დაცვის საქმეს და მოხერხებულ წესებს მარტოკა უხდებოდა ჯარის შექნა. მოხუცმა ლომმა ერთხელ კიდევ უჩვენა სპარსელებს თავისი სიძლიერე კრწანისის ველზედ, სადაც თავის შვილ დავითთან ერთად ქალაქში შესვლის წინ დიდებულად მოიგერია მტრის პირველი იერიშები. ამის შემდეგ მოაწყა ტფილისს მტრის მთავარი ძალა და ქართველთა მცირე რაზმი დასუსტებული გაიფანტა ქალაქისაკენ. თვითონ მეფე ერეკლე თავისი საარსულ შავი რაზმით გაექანა ყაზბეგის მხარეს, შეხვეული ცხვრის ტყავში, უბრალო ლტოლვილივით. თავის მშვენიერ სასახლეში, თფილისში, მან დასტოვა მთელი თავისი ქონება, რაც-კი ძვირფასი ჰქონდა.

ბევრი დარჩა საზოგადოთ საქართველოში ძვირფასი ქონება, საუკუნოებით დაგროვილი და შენახული ძველის-ძველ სკივრებში. ქალის სკივრები, გადმოცემული დედისგან და ბებიისაგან, განსაკუთრებით იყო სავსე თვალ-მარგალიტით, ძვირფასი სამკაულით და ოქრომკერდით მოქარგულ სარტყელ-გულისპირით, ფარჩით და დიბა-სტავრით. ბევრი მათგანი ელავა სკივრებში ათეული წლების განმავლობაში და სკივრის თავის ახდის დროს ისმოდა ძველებურის საამური სუნი. ბევრ სახლში ინახებოდა აგრეთვე ძველი ხელთნაწერები, ვეფხვის ტყაოსანი" და სხვა წიგნები, რომლებიც ძლიერ საზოგადო და ძვირფასნი იყვნენ.

ვინ იცის, რამდენი ძვირფასი ხელთნაწერი დაიღუპა ძველი საქართველოს საუნჯიდან აღა მაჰმად-ხანის ჯარისკაცების ვერაგული ხელით!... კაცობრიობის ისტორიისათვის ესეთი დანაკარგი ყველაზედ საგრძნობელი და დაუვიწყარია, რადგანაც მათი აღდგენა ან განახლება ყოვლად შეუძლებელია. აღა-მაჰმად-ხანმა დიდი ზიანი მიაყენა ძველ საქართველოს სალიტერატურო ნაშთებს, რადგანაც მე-18-ტე საუკუნეში ქართული მწერლობა მეტად იყო გაღვიძებული არა მარტო პოეტურ ან სამეცნიერო თხზულებების სახით, არამედ კერძო მიწერ-მოწერის ფორმითაც. ეს კერძო წერილები დიდს ნათელს შეიტანდნენ მაშინდელ ცხოვრების გამოკვლევაში...

სპარსეთის ჯარის-კაცებმა მოკრიბეს ნადავლი არა მარტო სასახლეებში და კერძო სახლებში, არამედ ბაზრებშიაც, რომელნიც მაშინ სავსე იყვნენ ყველანაირ საქონლით, რასაც, სხვათა შორის, ადასტურებს „კალმასობა". ყველაფერიდან სჩანს, რომ მაშინ ევრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიდან ბევრი საქონელი შემოდიოდა, რაც ხელმეორეთ ამტკიცებს მცხოვრებთა მოთხოვნილებათა გაფართოებას. დუქნებში იყიდებოდა გარდა ჩვეულებრივ საგნებისა, როგორც ჭურჭელი, თეფშები, ფინჯნები, დანა-ჩანგალი, კოვზები, ლიტრები, ქილები, თუჯის ქვაბები, ნემსები, ძაფი, ჩითი, აბრეშუმი, შალი და სხვა ქსოვილები, ფეხსაცმელი, კლიტე-გასაღები, ლურსმები და სხვა რკინეული, მუზიკალური დასაკრავები, სარკეები, ქუქები, და სხვა; გარდა ამისა, იყიდებოდა ფუფუნების საგნები, ოქრო-ვერცხლის სამკაული, ძვირფასი თვლები, სურნელოვანი წყლები, ხავერდი და ძვირფასი ქსოვილები ქალის კაბებისათვის, მშვენიერი ფნავირები და ცხენის საკაზმი, ბეწვის ქათიბები, ძვირფასი იარაღი და სხვა.

ბევრი არ გავიდა თფილისიდან მხოლოდ იმისთვის, რომ არ უნდოდათ დაეტოვებინათ თავისი ქონება და შეწყნარების იმედი ჰქონდათ. მაგრამ ესეთები მწარეთ მოტყუვდნენ. სპარსეთის ცხენოსანი ჯარი არ შემოსულა თფილისში როგორც რეგულიარული ჯარები: ისინი შემოცვივდნენ, როგორც ნამდვილი ბარბაროსები ცეცხლით და მახვილით და გამოასალმეს სიცოცხლეს რამდენიმე ათასი ქალი და ბავშვი, დაანგრიეს და დაარბიეს სასახლეები, შენობები და დუქნები, დასწვეს, რაც-კი დაიწოდა და წაიყვანეს ტყვეთ ათი-ათასი კაცი. სამი დღის განმავლობაში ქალაქი გადაიქცა ერთ მთლიან ნანგრევად, და შავმა კომლმა აცნობა მიდამო სოფლებს დედა-ქალაქის ბედი.

ტყვეთ წაყვანილნი გაიგზავნენ განჯაში, სადაც დარჩნენ მეორე წლამდის, სანამ ერეკლე მეფე არ გამოისყიდიდა. თფილისს გარდა დაზარალდა მეზობელი სოფლებიც, რომლის მცხოვრებნი გაიხიზნენ მთებში.

აღა-მაჰმად-ხანი მხოლოდ ერთი კვირა მოისვენებდა თფილისში. შემდეგ ის წავიდა თათრების სახანოებში. იმის წასვლის შემდეგ ნელ-ნელა დაბრუნდნენ გაქცეულები დანგრეულ, დამწვარ და გაცარცულ თფილისში. ეხლა უფრო გადაუწყდათ იმედი რაიმე სიკეთისა, რადგანაც ბევრი წლები ედო წინ დანგრეულ ქალაქის აღდგენას.

ყველა დაღონდა და გაბოროტდა მათ წინააღმდეგ, ვინც სულ-მოკლეთ გასცეს თფილისი და ჩაუგდეს მტერს ხელში. დაბრუნდა ერეკლე მეფეც მხოლოთ კახეთში, სადაც სპარსეთის ჯარს არ შეუდგამს ფეხი. გზა და გზა ხალხი უხვდებოდა დედოფალ დარიას დიდის საყვედურით. რადგანაც ხალხმა იცოდა, რომ დედოფალი, დიდიხანია, თვითონ განაგებდა საქართველოს საქმეებს, ისინი უფრთხილდებოდნენ მეფე ერეკლეს და ჯავრს დარიაზედ იყრიდნენ.

ესეთ გუნებაზედ იყო ხალხი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემ-

დეგ. თფილისი და სხვა ალაგები დაცარიელდა. აქამდინ განვითარებული კულტურა, რომელიც იყო მომავლის საფუძველი, ჩაქრა. თფილისის სემინარია რამდენიმე წლით სრულებით დაიკეტა. ზოგიერთი მწერლები განაგრძობდნენ წერას, მაგრამ ესეთი კანტი-კუნტი მუშაობა ვერ აღადგენდა უწინდელ სიცოცხლეს.

---

ერეკლე მეფე ნელ-ნელა კვდებოდა წყალმანკისგან და მისი ავადმყოფობის ამბავი ლახვარივით ესობოდა ქართველთა გულში, განსაკუთრებით კახეთში, სადაც მან გაატარა 53 წელიწადი. მომეტებული ნაწილი უყურებდა მას, როგორც მამას და მფარველს და, თუმცა ბევრ შემთხვევაში მას ვერ მოუხდა თავიდან აცილება უბედურებისა, მაგრამ მაინც ხალხის გულში მისდამი ნდობა მტკიცე იყო, და სანამ ის ცოცხალი იყო, კარგი მომავლის იმედი არ იკარგებოდა.

ესე ხდებოდა თელავის სასახლეში ხანგრძლივი ტრაგედია, რომელიც შავი ღრუბელივით ეფინებოდა საქართველოს ცას. ქართლში, განსაკუთრებით, ტფილისში, სადაც ჯერ არ გადაგვლილიყო აღა-მაჰმად-ხანის დარბევის კვალი, სადაც უწინდელი ცხოვრება ჯერ არ აღდგენილიყო, მძვინვარებდა შავი-ჭირი, ოსმალეთიდან შემოტანილი, და კახეთმა გამართა სასტიკი კარანტინი, რომ ეს საშინელი სენი თავიდან აეცდინა. ამისთანა მძიმე დროს ამ შეზღუდვამ, გარდა მიმოსვლისა და ურთიერთობის შეზღუდვისა, გააძლიერა საერთო დაღვრემილება და დაღონება. ნახევრათ მომკვდარ ტფილისში, სადაც აქა-იქ მოჩანდა სასახლის და სხვა შენობების ნანგრევები, სადაც მცხოვრებთა რიცხვი ნახევრად შემცირდა, სადაც ბევრი ოჯახი მთლად ობლებისა და ქვრივებისაგან შესდგებოდა, რადგანაც მამაკაცები დაიხოცნენ აღა-მაჰმად-ხანთან ბრძოლის დროს, შავი ჭირი ბოლოს ულებდა და სასოწარკვეთილებაში აგდებდა ხალხს. ჭირით ავადმყოფი განმარტოებით და უპატრონოდ რჩებოდა, ყველა გაურბოდა, ექიმობა არ არსებობდა, წამალი და მოვლა აკლდა და თავის ანაბარას დარჩენილი ავადმყოფი ან კვდებოდა, ან, იშვიათ შემთხვევაში, რჩებოდა მხოლოდ თავის განსაკუთრებულ ჯანის სიმრთელის წყალობით.

საზარელი სიჩუმე იყო გამეფებული ქუჩაში, სახლებში, ბაღებში, სადაც უწინ გაისმოდა ბესიკისა და საიათნოვას სიმღერა. პირველმა დაასრულა თავისი ხანმოკლე წუთისოფელი შორეულ უცხო მოლდავეთში, და მეორე, ოთხმოცი წლის მოხუცი, მოკლული იყო 1795 წელს სპარსელ ჯარისკაცებისაგან. ბესიკი სწრაფლად ჩაქრა, როგორც სანთელი. მისი ლექსების და ცხოვრების აღწერის დროს ჩვენ ვგრძნობთ, რომ ესეთმა ზეგარდმო ნიჭით ცხებულმა მგოსანმა არ

იცოდა ცხოვრება, არ იცოდა მდიდარი საუნჯის შენახვა და წაუღია ამ წუთისოფლიდან უნაყოფოდ გაფლანგულ ცხოვრების შემდეგ. საიათნოვა იყო სომეხი ფეიქარი: თავისი ხელობით და ჩანგითმღერლობით უფრო ნაცარს და ფეხშიშველ ჯიშის ხალხს ეკუთვნოდა. ისიც სვამდა ღვინოს და მისდევდა გრძნობებს, მხოლოდ ზომიერათ და ამგვარათ შეინარჩუნა ჯანი და სიცოცხლე ღრმა სიბერემდინ.

დიახ, თბილისში მეფობდა სევდიანი სიჩუმე და სოფელში გლეხკაცობა იტანჯებოდა მემამულეების სამსახურის მძიმე უღლის ქვეშ. იაკობ რეინეგსის მოთხრობით ერეკლე მეფე ყოველთვის ცდილობდა შეემსუბუქებინა გლეხკაცის ჯაფა. იყო ნამდვილი მათი მამა; მხოლოდ ფეოდალები და თავად-აზნაურობა უწყალოთ ამუშავებდენ მათ.

ცხადია, რომ ყველა ამის შემდეგ მეფის ავადმყოფობა დიდათ აღონებდა ხალხს, თვით თავად-აზნაურობა შეკრთა, რადგანაც არ იცოდა, რა მოელოდათ მათ ბატონიშვილების ურთიერთი ბრძოლის და დედოფალ დარიას მმართველობისაგან, რადგანაც ამ უკანასკნელმა ჩაიგდო ხელში ძალა-უფლება და უნდოდა გადაეცა სამეფო ტახტი თავის საყვარელ შვილ იულონისათვის, როცა ერეკლე მეფე, მწოლარე ავადმყოფი დღითი-დღე სუსტდებოდა, მთელი სამეფოს მმართველობა დარიას ხელში იყო და ამით უფრო ძლიერდებოდა ურთიერთი ბრძოლა და არევ-დარევა. დარია იყო ჭკვიანი, მაგრამ მფლობელობის მოყვარული დედაკაცი და თავისი ეგოისტური მისწრაფებით გამოიწვია ხალხის სიძულვილი.

---

1798 წელს 11 იანვარს ერეკლე მეფე გარდაიცვალა და, თანახმად მისი ანდერძისა, მისი უფროსი შვილი გიორგი ავიდა ტახტზედ, მიუხედავათ პარტიის ბრძოლისა. მეფის სიკვდილი ხალხს შეატყობინეს განცხადებით, რომელიც დაატარა შიკრიკებმა ყველა კუთხეში, და ისედაც დაღონებული ერი უზომო გლოვამ მოიცვა.

დაკრძალვა და ტირილი მოწყობილი იყო ძველებურ წესებით და დიდებული ცერემონიისათვის თელავში შეიკრიბა მთელი საქართველო: კახეთი, ქართლი, ფშავ-ხევსურეთი, თუშები და იმერლებიც-კი. ამ უკანასკნელთა თავმოყრა ამტკიცებდა, რომ, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს უთანხმოების მიუხედავათ, შეგნებულ ნაწილს იმერლობისას მაინც დარჩენოდა საზოგადო სამშობლოსადმი სიყვარული.

წყნარ თელავს თავის დღეში არ ენახა ამოდენა ხალხი. ოთხი-ხუთი კვირა გასტანა მოსამძიმრეთა მისვლა-მოსვლამ და დამარხვის ცერემონიამ. ეს იყო უკანასკნელი ძველი-ქართველური სამგლოვიარო ცერემონია, ფრიად თავისებური და საინტერესო საქართველოს კულტურის ისტორიისათვის.

წარმოიდგინეთ თელავში მიმავალი გზები, განუწყვეტელი ურმებით, ცხენოსან და ქვეითი ხალხით სავსე. ყველა მხრის მცხოვრებნი ეკვეთ თავისებური ტანსაცმელი განსაკუთრებით მორთულნი. დაესწრნენ თბილელი სომეხ-ვაჭრები და ბორჩალოს თათრები, რომლებიც მეფე ერეკლეს ომებში მონაწილეობას იღებდნენ და კარგი ჯარისკაცებიც იყვნენ. მთელი ეს აჭრელებული ბრბო წარმოსდგა თელავში, სადაც მათ დაურიგეს სამგლოვიარო შავი ტანსაცმელი. დარბაზი, სადაც ხდებოდა ეს ამბავი, მთლად გაკრული იყო შავი ქსოვილით ისე, რომ ეს შავით მოკრული ხალხი და სახეები წარმოადგენდნენ ჩვენთვის განსაკუთრებულ უცხო სურათს.

ყველა ახლადმოსულნი პატარა ჯგუფებად მიდიოდნენ კუბოსთან და ტიროდნენ. ტირილი და გოდება არ სწყდებოდა დილიდან საღამომდის. დაიტირეს არა მარტო მხედარი, არამედ მისი იარაღი, ტანსაცმელი და მისი საყვარელი ცხენი. სასახლის წინ ამაღლებულ ალაგზედ ხალებით დაფენილ ტახტზედ ელაგა ყველა ეს საგნები და უნაგირი, რომელზედაც მეფე ერეკლე იჯდა ინდოეთში ნადირ-შაჰთან გალაშქრების დროს. ყველა ეს ხდებოდა ზამთარში და, რადგანაც არ იყო ყველასათვის თავშესაფარი, ბევრი ღამეს ცის ქვეშ ატარებდა. ბუტკოვის გადმოცემით, შეიკრიბა აგრეთვე 20.000 ათასამდე ჯარი, და ხალხის ამისთანა მოგროვებამ გამოიწვია თელავში და სოფლებში დიდი სიძვირე. სამძიმრისათვის მოსული ბატონიშვილები და ფეოდალები მიღებული იყვნენ შავ დარბაზში, სადაც იჯდა დედოფალი დარია, ხალზედ მოკეცილი და შემორტყმული ამალით, ქალით და კაცით. ყველაზედ მძიმე შეხვედრა მოხდა ბატონიშვილ მირიანთან, რომელიც დაბრუნდა 14 წლის წასულ სარდალ ციციშვილთან ერთად. ეს ციციშვილი თან ახლდა მეფე ერეკლეს ინდოეთში გალაშქრების დროს. თელავის ქვევით დახვდა მირიანს ტირილით და მოაცილა სასახლემდის, სადაც მას მოუთმენლად ელოდნენ დედა, ძმები და დები.

ექვსი კვირა გასტანა ამ ცერემონიამ, ცოტა თეატრალურად მოწყობილმა და გაუთავებელმა. მე-18-ტე საუკუნის ქართველობამ ჯერ არ იცოდა საკმარისად დროის დაფასება და არ ფიქრობდა იმაზედ, როგორი ზარალი მოჰქონდა ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობისათვის მუშაობის ამისთანა ხანგრძლივ შეწყვეტას. ექვსი კვირის შემდეგ ჩამოვიდა კათოლიკოსი ანტონი სამღვდელოებით ანდერძის ასაგებად. თოფ-ზარბაზნის გრიალის დროს კუბო გამოსვენებულ იქმნა თელავის სასახლიდან და, მიუხედავად ქართლში მძვინვარე შავი ჭირისა, სამგლოვიარო პროცესია დაიძრა მცხეთისაკენ. სამი დღის განმავლობაში მიაღწიეს მცხეთას, სადაც მოხდა მიცვალებულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკრძალვა მცხეთის ტაძარში და მის საფლავზედ დადებულმა ქვამ დახურა ძველი საქართველოს ისტორია, რადგანაც გიორგი მე-XII-ეს მოკლე ხნის მეფობა—უკანასკნელი დღეები იყო სულთმობრძავ საქართველოსი.

---

შემდეგში ამაო იყო ყველა ცდა მაშინდელ საქართველოს ხსნისათვის, რადგანაც გარეშე მტერი უთვალავი იყო. საქართველო დიდიხნის აქეთ იყო დაღლილ-დაქანცული და მოძაბუნებული გარეშე მტრის დაუღალავ შემოსევასა და შიგნითა ურთიერთი ბრძოლისაგან.

ბევრს რასმე გაუძლო ქართველმა ერმა და მრავალ ხნის განმავლობაში იყო უცხოთა მფლობელობის ქვეშ, მაგრამ ვერც არაბებმა, ვერც სპარსელებმა და ვერც ოსმალოებმა ვერ გაანადგურეს ეროვნული თავისებურობა, თვისება და ენა. ყველა ცდილობდა ემყნო თავისი კულტურა და შეეტანა ძალით ისლამი, მაგრამ ეს გავლენა ვერ სწვდებოდა ღრმათ ხალხის მასას. მხოლოთ მესხეთში შესძლეს ოსმალოებმა მაჰმადიანობის გავრცელება.

თუმცა მე-18-ტე საუკუნის კულტურულმა მუშაობამ ცოტა ნაყოფი მოიტანა, მაგრამ დაუდო საფუძველი მე-19-ტე საუკუნის აღორძინებას.

მე-18-ტე საუკუნესა და ილია-აკაკის ეპოქას შუა სამოცი წელიწადი დევს. მაგრამ ეს ორი ხანა ვიწროთ არიან დაკავშირებულნი ერთი მეორესთან და მე-19-ტე საუკუნის პირველი მწერლები და მოღვაწენი განუწყვეტლივ სარგებლობდნენ თავიანთ წინაპართა მუშაობით, რომელნიც სცოცხლობდნენ ერთი საუკუნით ადრე.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველები

## ისტორიული დახასიათება 1900 წლამდე.

ეს განხილვა არ შეიცავს ქართველი ერის ისტორიას, არამედ წარმოადგენს სურათთა ნათელ რიგს, სადაც დახასიათებულნი არიან ის პირნი, რომელთაც ქართველი ერის ბედსა და ცხოვრებაზე გავლენა მოუხდენიათ. ცალკე პიროვნებათა დახასიათებასთან დაკავშირებულია ქართული კულტურის მიმდინარეობა, მაგრამ მე ვცდილობდი, რომ საქართველოს წარსულის ყოველ ხანაში, 1900 წლამდე, იმ პიროვნებებზე მიმეთითებია, რომელთაც თავიანთ დროისათვის ტიპიური მნიშვნელობა ჰქონებიათ.

---

პიროვნება უნდა იყოს ერის დამახასიათებელ თვისებათა შემცველი, მაშინ შეიძლება ჩავთვალოთ იგი თავის ერის წარმომადგენლად, ამ სიტყვის როგორც კარგ, ისე ცუდ მნიშვნელობით.

ასეთი პიროვნებანი უნდა ვეძიოთ ძველ საქართველოშიაც იმ პირობით, რომ ისინი იქნებიან ისეთ თვისებიანნი, როგორნიც მოყვანილ დროში ხშირად შეგვხვდებიან. მაგრამ, ნამდვილ ცნობათა სიმცირისა გამო, ძნელია ასეთი გარკვევა ძველ წარსულის ადამიანებში.

ყოველ ერსა ჰყავს თავის ისტორიაში პიროვნებანი, მოსილნი აღმატებულ პატრიოტისა და დიდების ბრწყინვალებით. ეს პიროვნებანი განასახიერებენ ეროვნულ მადლსა და დიდებას. რაც უფრო შორეულ წარსულისა არიან ეს პიროვნებანი, მით უფრო ჰფარავენ მათ ლეგენდები, მით უფრო ძნელი ხდება იმათის ჭეშმარიტ სახის ცნობა. ქართველთა შორის, შორეულ წარსულიდგან, ყველაზე უფრო განთქმულნი პიროვნებანი არიან წმიდა ნინო და თამარ მეფე.

განა თუ მრავალ ერს ძალუძს იმაყოს ეროვნულ წარსულის იდეალთა ასეთ ბრწყინვალე წარმომადგენლებით!.. უეჭველია, რომ საქართველო საუკუნეთა განმავლობაში იყო გატაცებული სახით ნინოთი და თამარითა და რომ ამ კულტმა შეუწყო ხელი ძველ საქართველოში ქალებისადმი უდიდეს პატივისცემის განვითარებას. ეს პატივისცემა წარმოადგენს რუსთველის პოემის ერთ-ერთ ნათელ ხატთაგანს. ქალისადმი რაინდული მოპყრობა არა ნაკლებ პროვანსალურ ტრუბადურებისა წარმოადგენს ვეფხის ტყაოსნის გმირთა მოქმედებას. დასავლეთ ევროპის რაინდთა მსგავსად რუსთველის რაინდებიც იბრძვიან გულის სატრფოსათვის. ალბად ამ სულმა, რომელმაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცილობლად კეთილშობილური გავლენა იქონია ქალწულთა დამოკიდებულებაზე, გასტანა რუსუდან დედოფლის ხანაშიაც, რადგან ძნელია იმისი თქმა, რომ ზნედაცემულობა, რომელიც მონღოლთა შემოსვლისას დაიწყო, ფართოდ შეჭრილიყოს ხალხში.

თამარ, დედა ნინო, გამოირჩეოდა ჭეშმარიტად რომ მეტად საჩინო ხასიათით, იყო ძლიერი ნებისა და ზნისა, მაგრამ მაინც ნაზი ქალი იყო.

ისტორიიდგან ვიცით, რომ საქართველოში წინადაც და შემდგომაც ყოფილან ქალნი მსგავს ხასიათით, მაგრამ იშვიათად და ისიც ნაკლებ გამოჩინებულნი. თამარ მეფეში სრულიად ჭეშმარიტი ქართველი ქალი და ამიტომაც ბუნებრივია, რომ მის პიროვნების ნაკვთები ხშირად მეორდებოდა საქართველოში, მაგრამ არა ისეთი სრულყოფილი სახით. ეს ქალები, თამარის ხასიათით, ალბათ ინახავდნენ ქართულ კულტურის ერთ თაობიდგან მეორე თაობაში და საუკუნიდგან საუკუნემდე. იგინი იყვნენ შვილთა აღმზრდელნი და მასწავლებელნი. მე-17 საუკუნეში, საქართველოში იტალიელ ბერთა შემოსვლისას ქალთა შორის უფრო მეტი იყო წერაკითხვის მცოდნე, ვიდრე მამაკაცთა შორის. ამასვე ამბობდნენ ქართველი მწერლებიც. როცა თეიმურაზ მე-II-მ თავისი ქალი ელისაბედი მიათხოვა სამეგრელოს მთავარს კაცია II დადიანს, მზითვად, სხვათა შორის, გაატანა 80 წიგნი რელიგიურისა და ფილოსოფიური ხასია-ხასიათისა..

პოემა „ვეფხის-ტყაოსან"-საც დიდის მოწიწებით ეპყრობოდნენ განსაკუთრებით ქალნი, და ზნე-ჩვეულებისა და ზრდილობის კანონთა კრებულადა სთვლიდნენ. ამ წიგნის გავლენა გრძელდებოდა 19 საუკუნის ნახევრამდე. ის ხელს უწყობდა ქართველ ქალთა შორის კარგ ზნეთა დაცვას; მაგრამ ახლა ჩვენ არ შეგვიძლია გავიგოთ ის, თუ რა როლსა თამაშობდა ეს წიგნი ძველ ქართულ ცხოვრების განვითარებაში და მის ნიადაგზე რამდენ ქართველ ქალის პიროვნება აღიზრდილა. ეს პიროვნებანი მოსჩანან ისტორიის ფურცელ სვლაში, თუმცა ისტორია ცოტას მოგვითხრობს მათ შესახებ.

არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ წარსულ საუკუნეთა ქართველ ქალებს, რუსთაველის პოემის სახეები თავიანთ ზნისა და ჩვეულების მიხედვით არ შეეფასებინოთ, რადგან მათი თვისებანი ნათლად იყვნენ გამოკვეთილნი. თინათინი იყო განსახიერება ერთგულებისა, ქალური ღირსებისა და ზრდილობისა. ასმათიც სამაგალითო ქალი იყო და პატივისცემის ღირსია. მოკლედ, ეს ნაწარმოები შეიცავს მთელ რიგს პიროვნებათა, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თამარ მეფის ხანაში, როცა ქართველთა საშუალო საუკუნოების კულტურამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, მსგავსი პიროვნე-

ბანი არც თუ ისე იშვიათნი იყვნენ, და შემდეგაც, როცა უკვე დაცემის ხანა დაიწყო, იგინი კვლავ და კვლავ ჩნდებოდნენ და ხელს უწყობდნენ ქართულ კულტურის შენარჩუნებას.

კიდევ ჩავყვეთ ქართულ საშუალო საუკუნეთ და ჩვენ შევხვდებით აგრეთვე მეფეებს, მღვდლებსა და ბერებს, რომელთა პიროვნებასაც ნათლად აჩნევია ჯერ ქართული ბეჭედი, და რომელნიც შემდგომ საზოგადოებრივ ღვაწლით თავიანთ ხანის მნიშვნელოვან ქართველებად გამხდარან და ბრწყინვალე კვალი დაუტოვებიათ მომავალ თაობისათვის. ბაგრატ III, დავით აღმაშენებელი, სწავლული პეტრიწი და სხვანიც მრავალნი იყვნენ, რომელთაც ქართულ ცხოვრების შენობაში ჩაუკირავთ ქვაკუთხედი თავიანთ პიროვნებისა და წინმავალ კულტურის მნიშვნელობისა.

რუსთაველის მოვლინება ძველ ქართულ ცხოვრებაში უმაღლეს კულტურის უმწვერვალეს წერტილად მოსჩანს. ეს ფილოსოფოსი, მორალისტი და ენაწყლიანი მგოსანი განასახიერებს ქართველ ერის კეთილ სულს. იგი უნდა იყოს მისი აღმზრდელი და განმწავლებელი და არის კიდეც ახალ ხანამდე. სევდა და სიხარული ცხოვრებისა, ბედის უკუღმართობა და ბრძოლა კეთილისა ბოროტთან, გენიალურ სიძლიერით აჩხატა რუსთაველმა. მისი შემოქმედება იყო და არის მდიდარი საუნჯე სულისა და გულისათვის, მაგრამ უპირველეს ყოვლისა იმათთვის, რომელთაც ძალუძთ მისი წაკითხვა და გაგება. მისი პირადი ცხოვრება ჩვენთვის თითქმის სავსებით უცხოა, მაგრამ მისი დიდი პიროვნება სცოცხლობს მის შემოქმედებაში.

„ქართლის ცხოვრებაში" ვხვდებით აგრეთვე მრავალ სხვათაც, რომელთა პიროვნება მკაფიოდ გამოირჩევა, მაგრამ რომელთაც ქართველ ერის განვითარებაში ცოტა რამ შეუტანიათ და ხშირად ხიფათიც კი შეუმთხვევიათ. ასეთთა რიცხვი, რომელნიც მხოლოდ თავიანთ სურვილებისა და ანგარების დაკმაყოფილებისთვის ზრუნავდნენ, საქართველოში მუდამჟამს მეტად დიდი იყო. ეს მეუდროობისა და სახელმწიფოებრივ დამრღვეველნი მხოლოდ კეთილშობილნი იყვნენ, რომელნიც მეფეთა სუსტ მმართველობისას თავს სრულიად თავისუფლად და შეუზღუდველად გრძნობდნენ. თქმაა, რომ საქართველო დანაწილების შემდგომ ხუთ პატარა სამთავროსაგან შესდგებოდა, მაგრამ დიდი ფეოდალები, როგორც მაგალითად ათაბაგები, ქსნის ერისთავნი, ბარათაშვილნი და სხვანი, იმდენად შეძლებულნი იყვნენ, რომ მათი მამულები სამთავროებში კვლავ ახალ სამთავროებს წარმოადგენდნენ. ამ ფეოდალთა შორის არა მცირე იყო რიცხვი მტკიცე ხასიათის, დამოუკიდებელ პიროვნებათა, რომელნიც თავიანთ ოჯახის კულტურის აღმაღლებისა და კეთილმდგომარეობისათვის ზრუნავდნენ, გლეხების ყოფა არად ეპიტნავებოდათ და სახელმწიფოს მდგო-

მარეობა იმდენათ აინტერესებდათ, რამდენადაც ეს თვით მათი ცხოვრებას შეეხებოდა ან თუ კი რაიმე საერთოდ იყო მოსალოდნელი.

თავადაზნაურთა ასეთი ტიპი, მერმე მე-19-ე საუკუნემდე და რადგანაც ეს მეტად მრავალრიცხოვანი იყო, ქართულ საერთო კულტურულ ცხოვრების თავისი ბეჭედიც დაასვა. როგორც პოლონეთში, ქართული კულტურაც ხსენებულ ხანამდე **თავადური კულტურა** იყო, რადგან ტფილისსა და გორს გარდა თითქმის სრულებით არ იყო ქალაქის მოსახლეობა და გლეხობაგან მხოლოდ იმათ შეეძლოთ ამ კულტურას ჰზიარებოდნენ, რომელნიც მემამულის სახლში იზრდებოდნენ, და ასეთთა რიცხვი არასდროს ყოფილა დიდი.

ყველა ეს პიროვნებანი საუკუნეთა განმავლობაში იყვნენ მატარებელნი ქართულ კულტურისა, ამ სიტყვის როგორც კარგ, ისე ცუდ მნიშვნელობითაც. მაგრამ ჩვენ ეს პიროვნებანი უფრო ახლო უნდა განვჭვრიტოთ, რომ გავითვალისწინოთ სურათი ანუ, უკეთ, სურათები ქართველ ერისა წარსულში. რადგან იმ საუკუნეებში ცხოვრების პირობები მეტისმეტად ნელა იცვლებოდნენ, კაცნიც დიდ ხნობით ჰრჩებოდნენ უცვლელნი და მათი ცვალებადობაც დინჯად ხდებოდა.

„ქართლის ცხოვრება" ძლიერ ცოტას მოგვითხრობს საერთოდ ზნე-ჩვეულებათა და ცხოვრებაზე, ისე რომ ძნელია დღეს ამაზე წარმოდგენა ვიქონიოთ. პიროვნებანიც საბურველით იფარავენ პირს ჩვენს წინაშე, მაგრამ მე მაინც მინდა შევეცადო მათი სხეულები შორეულ წარსულიდან სინათლეზე გამოვფინო.

უმაღლეს საფეხურზე იდგნენ მეფე და პატრიარქი ანუ კათალიკოსი, მაგრამ არცერთი იყო შეუზღუდველი მეუფე, რადგან საქართველოში არც სამეფო კარსა და არც ეკლესიას არა ჰქონიათ ისეთი ძლიერი მეუფება ხალხზე, როგორც ევროპის ბევრი სახელმწიფოებში. საქართველოში არ ილოდა ერთმეფეობა და მეფეს ხშირად ეთამაშებოდა მარჯვე ხელით დიდებულთა შორის თავის ძლიერების დასამკვიდრებლად. თვით დავით მე-III აღმაშენებელი, ეს მტკიცე ხასიათი შეუპოვარი, რომელმაც ქართული სახელმწიფოს სხეული კვლავ გაამთლიანა, შესაძლებელია, ჯერ მეფეთა, მტკიცე სახლის პატრონი იყო, ვიდრე თვითმპყრობელი უფლების მქონე. ზოგიერთი ფეოდალები, თქმა არ უნდა, უფრო თვითნებანი და ძლიერნი იყვნენ, ვიდრე მრავალი მეფენი, რომელთაც დიდებულთა წინააღმდეგობისათვის ანგარიში უნდა გაეწიათ.

ეჭვი არ არის, დავით მე-III დიდი პიროვნება იყო და ქართველ მეფეებში, არც დასავლეთში და არც აღმოსავლეთში, ბადალი არა ჰყავდა. თამარი, რომელსაც, როგორც ქალმა, შესაძლოა, მეტი პატივისცემა იწვია, ვიდრე დავით მე-III-მ, იქცეოდა როგორც

ჭეშმარიტი დედოფალი, მაგრამ, აგრეთვე როგორც დედა თავის ერისა, და ამისათვის არის მისი პორტრეტები შემდეგს თაობაში ასეთ ბოწიწებით გამოსახული.

შემდეგი მეფეები მოსჩანან როგორც ნაკლებ პატივსაცემი პიროვნებანი და მათ ღირსებას ბევრი აკლდება, როგორც სპარსეთის შაჰის მოადგილეებისას.

სპარსეთის ბატონობის უღელს ქვეშ უნდა აღინიშნოს საგრძნობი დაცემა ეროვნულ ღირსებისა დიდებულთა და სუსტ მეფეთა შორის. არა თუ ცოტანი გადადიან დიდებულთაგან ისლამის სჯულზე, ხალისით ჰმეტყველებენ სპარსულად, წლობით დაჰყოფენ სპარსეთში, განსაკუთრებით ისპაჰანში, რომელიც მაშინ ბრწყინვალე დედა-ქალაქი იყო.

მეფეები დიდებულთ წინ ეხწროებოდნენ თავიანთ მაგალითით და ნახევრად სპარსელდებოდნენ. სრულყოფილი რეზულტატი მათ შორის იყო როსტომ, რომელიც ისე დაკნინებულა, რომ ერთ-ერთ წერილში 1634 წლის თავისთავს „სპარსეთის შაჰის ფერხთა მტვერს" უწოდებს.

თუ შევადარებთ ამ ხალხს იმ ქართველთ, რომელნიც დავით მე-III-სა და თამარის დროს სცხოვრობდნენ, ვნახავთ თუ რაოდენად დაცემული იყო სახელმწიფო და მასთან ერთად ხალხიც. ეს იყო მეტად ხანგრძლივი დაცემა, რომელიც დაახლოებით 400 წელს გაგრძელდა, თითქმის 400-ჯერ დაცვდა საქართველოს განადგურებული და კვლავ ზამთარი. მრავალი მოდგმა იყო გადაშენებული და თითქმის არავინა ჰფიქრობდა ერის კულტურის ამაღლებაზე. შინაგანი უთანხმოება და საომარი სამზადისი გარეშე მტრის წინაამდეგ—ერთად-ერთი საქმიანობა იყო საზოგადო ცხოვრებაში.

თუ რა სიმაღლეზე იდგა ქვეყნის სამეურნეო კულტურა მე-13 საუკუნეში, გვაჩვენებს გუჯარი კახასი 1258 წლისა. კახა გვიამბობს თავის გუჯარში, რომ თათართაგან დადებულ ხარკის გამო, საქართველოში ფულის ნაკლებობა ჰსუფევდა და ბევრი მემამულე იძულებული იყო თავის მამულის ნაწილი გაეყიდნა, რომ დამპყრობელთა ხარკი გაესტუმრებინათ. კახამ მათგან მეტად იაფად იყიდა მამული ხოლო, მაგრამ მაინც, რაკი კაპიტალი არ გაუწვდა, იძულებული გახდა ურიებისა და სომხებისაგან პროცენტებით ესესხნა ფული. ნაყიდი მამული აჩუქა რკონის მონასტერს. ამით ბერები ვალდებულნი იყვნენ აღდგომა დღეს ღარიბთა და დავრდომილთათვის საზრდო ეძლიათ. აქ არავითარი მითვისებას ექნებოდა ადგილი, რადგან იგი ქონების გამგებლობას გადასცემს არა მხოლოდ იღუმენს, არამედ მონასტრის მთელ თაბუნს. ამას გარდა კახა უბარებს იღუმენს, მამულის მეურნეობას ზრუნვით მიჰხედოს, მოსავლის ნაწილი მუდამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეინახოს განსაკუთრებულ მეუღლეში, რათა მარაგი გამოულეველი ჰქონდეს, თუ ვინიცობაა ცუდი მოსავალი მოვიდა, გლეხებს მოუვარის და არავითარ შემთხვევაში შეაჭიროვოს. ეს კაცი, რომელიც 13 საუკუნეში სცხოვრობდა, რა თქმა უნდა, კულტურული ადამიანი იყო და ჩვენი პრინციპები ჰგვანან იმათ, რომლითაც რუსთველის გმირები განირჩევიან. იგი იყო აგრეთვე მზრუნველი მეურნე და მაშინ ალბად ბევრი იყო ასეთი გონიერი კულტურული ადამიანი საქართველოში.

მაგრამ მონღოლთა შემოსევამ და მტრის ურდოების სხვა მრავალმა თავდასხმამ დაანგრიეს ეს კულტურა და ხალხიც გაველურდა. ამ დრომდე, დავით მე-III-დან მოყოლებული თამარის სიკვდილამდე, საქართველოში ბრწყინვალე აღყვავების ხანა იყო. ამ ხანაში, კახას მსგავს კაცთა გარდა, რასაკვირველია, კიდევ მრავალნი სცხოვრობდნენ, რომელნიც ამ კულტურის წინსვლასა და ამაღლებას ხელს უწყობდნენ, მაგრამ მატიანე უფრო ხოტბის შემსხმელია, ვიდრე დღიური ცხოვრების ამსახველი.- ასე, რომ ცხოვრების სურათები სრულებით არა გვხვდებიან. მაგრამ ჩვენ ვიცნობთ კარგ მეურნე კახასა და ვიცით, რომ იმ დროს საქართველოში უკვე იყვნენ სომეხი და ურია ვაჭრები და ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ალბად იმ აღყვავების ხანს ბევრი დარდიმანდ ცხოვრებას ატარებდა, რაზედაც მათ სარჩო-საბადებელი არ გასწვდებოდა. ალბად, ქართველს მუდამ თან ახლდა ფლანგვა და დარდიმანდობა, როცა კი თავს კარგადა ჰგრძნობდა, და არა მხოლოდ ქალები იმოსებოდნენ აბრეშუმისა და სხვა ძვირფას ფარჩის სამოსით, არამედ მამაკაცნიც ალბად ატარებდნენ ძვირფას ტანისაცმელს, ოქროს ქარქაშიან სატევრებსა და და ძვირფას ბეჭდებს. იმათ მშვენიერი ცხენები ჰყავდათ ძვირფას თვლებით მოჭედილ უნაგირებით. და ადვილად შეიძლება, რომ თავადაზნაურნი, სხვა და სხვა შეკრებულებას, მეულლეებიითურთ მდიდრულად შემოსილნი, თავიანთ კოხტა ცხენებით ესწრებოდნენ. ფრანგი მწერალი Chardin-ი მე-17-ე საუკუნის ისპაჰანის აღწერაში, სპარსეთის დედა-ქალაქის მაშინდელ ცხოვრებას ასურათებს, როგორც ბრწყინვალესა და ფეროვანს. ასევე იქნებოდა საქართველოშიაც თამარ მეფის ხანს და თვალის სასეიროდაც გადაიშლებოდნენ ფერად-ფერადი სურათები, როცა ქალ-ვაჟნი საზეიმო სამოსში, ხოხბა რაშებზე შემსხდარნი, რომელიმე სალხინოსაკენ გაემართებოდნენ.

იგივე Chardin-ი აღწერს ქორწილს ვახტანგ ნე-V-სთან 1658 წელს ტფილისის სამეფო სასახლეში. ქორწინებას Chardin-ი ვერ დაესწრებოდა, რადგან ის სხვა დარბაზში იყო და იმ დროის ქართულ ქალაქებში მამაკაცებს არ შეეძლოთ ჩადრ-ნაბურ ქალებთან საზოგადოებაში გამოლაპარაკება. ეს ადათი სპარსელებმა შემოიტა-

ნეს, მაგრამ ის მხოლოდ ქალაქებში იყო დაცული, რადგან სოფელში ყველა ქალი უბადრო იყო, ასე რომ ამ შემთხვევაში ქართული ცხოვრება არ იყო შეცვლილი.

მეორე დარბაზში გაშლილი იყო საქორწილო სუფრა, რომელსაც უსხდნენ მხოლოდ მამაკაცები და მათ შორის Chardin-იც. ფრანგი არას ამბობს მათ ჩაცმულობაზე; აქებს კია სტუმრების სიდარბაისლესა და სუფრის ჭურჭელს. დარბაზში ყველა დაბალი ხმით ლაპარაკობდა და ილხინდა ღვინოც ზომიერად დიოდა.

ესენი იყვნენ მე-17 საუკუნის პიროვნებანი, რომლებიც ფრანგ მწერალს მორიდებას ჰგვრიდნენ. ეს იყო აღმოსავლეთ საქართველოს კულტურა, რომელიც ძველ დროიდგან შემონახული იყო ან ახლად ვითარდებოდა.

მე-17 საუკუნის სამეგრელოზე კი სულ სხვაგვარად მოგვითხრობს Chardin-ი, რადგან სამეგრელო მაშინ უკულტურო მხარე იყო და ძველ განვითარების მდგომარეობაში იმყოფებოდა. თვით თავადის ქალი თავის მოახლე-მოსამსახურეებით ბანზე შემზარავ შთაბეჭდილებას სტოვებდა, მით უმეტეს, რომ მუდამ შიში ჰქონდა მისთვის, ძვირფასი სამკაული არ მოეპარათ. მოკლედ, Chardin-ი სამეგრელოში ხედავდა მხოლოდ უხეშობას, ველურობასა და სრულიად არაკულტურ აღზრდასა. იტალიელი პერი Lamberti, რომელმაც ეს მხარე რამდენიმე ათეული წლით ადრე მოინახულა და საკმაოდ დიდ ხანსაც დარჩა, მეგრელებსა და განსაკუთრებით იმათ თავად ლევან მე-II-ს ცოტა უფრო ლმობიერად იხსენიებს. ეს იყო საშინელი ტირანი, რომელმაც თავის ახლო ნათესავებს თვალები დასთხარა, პირველ ცოლს ცხვირი მოსჭრა, სხვაც ათასი საზიზღრობა ჩაიდინა და მაინც ხოტბას ასხამდა თავის მხარის მეურნეობის აღორძინებისათვის. Lamberti აქებს მის ნიჭს, როგორც ქვეყნის მმართველისას და ჰფიქრობს, რომ ლევან მე-II სხვა უფრო კულტურულ ქვეყანაში ღირსშესანიშნავი გამგებელი იქნებოდა. რა თქმა უნდა, მხედველობაში უნდა მივიღოთ მაშინდელ მეგრელთა ველურობა და გასაგები გახდება, რომ ის არაჩვეულებრივი კაცი იყო. მისი ღირსი იყო მეორე მეუღლე ნესტან-დარეჯანი, ტურფა მონაწილე თავის მეუღლის ბრალეულ დანაშაულისა. სამეგრელოსას ბედის ეს ორი საზარელი მმართველი სწორად მოუძღვნიდა ველურსიან საჩუქარს და უსტარში სიმრავლე: მერე ეყოფ სულის ჩენსათ. ეს დაცინვასავით გაისმის, მაგრამ იმ დროის კაცნი დაჩვეულნი იყვნენ ასეთ წინააღმდეგობას. მაინც, ლევან მე-II იქნებ ურჩეულესი მეგრელი იყო შორეულ წარსულში. იმ მუდმივ ომისა, ძარცვისა და ყაჩაღობის ქვეყანაში, ცხოვრება მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ასეთ დაბალ საფეხურზედ იდგა! ნადავლი ცოტას ილეოდა, რადგან სახნავი მინდვრები არ იყვნენ ვრცელნი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლსაც ამუშავებდნენ. მხარის უდიდესი ნაწილი დაფარული იყო წმინდა ტყეებით, რომელშიაც ნადირობა მეტად მოსახერხებელი იყო.

სამეგრელოში სცხოვრობდნენ ბატონნი და მსახურნი ანუ თავისუფალნი და მონანი. თავისუფალნი თავიანთ ერთად გადიოდნენ საომრად ან კიდევ ნადირობით თავს ირთობდნენ. თუ ესეც არ იყო, მაშინ ისხდნენ სახლში, ქეიფობდნენ, ჭამდნენ და მღეროდნენ, თავიანთ გლეხებსა ანუ მონებს კი ყანებს ამუშავებინებდნენ. ეს იყო უცვლელი ცხოვრება წელს რიგ თობათავან მოკიდებული, რომელთაგანაც არც ერთი კაცი განერიდებოდა, რომელსაც რაიმე სხვა საქმით, თუ-არა მეომრობით, მეგრელთა ცხოვრებაზე კეთილი კვალი დაეტოვებინოს. ამ ვრცელ დროის განმავლობაში არავინ იყო, თვით ბერია შორისაც კი, რომელსაც ოდნავ განათლების მატარებელი მაინც ყოფილიყო. იგივე განათლებას შეადგენდა წერა და კითხვა ზოგიერთ საეკლესიო წიგნისა. Lamberti მოგვითხრობს, რომ მის დროს ზოგიერთ ქალმაც იცოდა წერა-კითხვა და ეს მცირე განათლებაც დაიკარგებოდა, რომ ქალებს არ მოეკიდნათ ამისთვის ხელი, რადგან გავლენიანებული მამაკაცები ხელში არც წიგნს იღებდნენ და არც კალამსა. მთელ მის წარსულში სამეგრელოს მხოლოდ ერთი უწმინდესი მკურნალი ჰყვანდა.

ამ ლატაკ ქვეყანაში დარიდანადობა მაინც იშვიათი არ იყო, რადგან ბერძნულ ხომალდებს სტამბოლიდგან მოჰქონდათ ძვირფასი ტანსაცმელი, სამკაული და სხვა საჭიროები, როცა ამის გამოცვლაც ძვირფას საქონელი მოჰქონდათ სპარსეთიდგან. Lamberti მოგვითხრობს, რომ თავადის ცოლები მეტად ლამაზად და ძვირფასად იყვნენ ჩაცმულნი, როცა ისინი კარგი ცხენებით თავიანთ მეგობრებისაკენ მიემგზავრებოდნენ. ქალური ბატონმოყვარეობა იყო აქ ერთად-ერთი მომძლავრებული მატერიალ კულტურისა, როცა ჭეშმარიტი მოთხოვნილება მატერიალ ცხოვრების ელემენტებისა სრულებით მიყუჩებული იყო.

მე-17 საუკუნეში სამეგრელოში ყოფნისას, Chardin-ი წერს სამეგრელოსის მთავრის მეუღლეზე და ამ უკანასკნელმა ჰკითხა: რატომაა, რომ ევროპული ხელოსნები არ მოდიან სამეგრელოში, მით უფრო რომ ასეთები აქ არა გვყავს. მან ამ ქალს სცოდნია საჭიროებანი ქვეყნის მეურნეობის ასაღორძინებლად, მაგრამ ის აზრისა იყო, რომ თვით მეგრელები ხელოსნობას ვერ შეიძლებდნენ. ლევან მე-II-ე ამ შემთხვევაში წინსვლის კაცი იყო, ზოგი რამ სიახლეც შემოიტანა და თავისი ხალხი წამლებითაც კი უზრუნველყო.

იქნებ მართალი იყოს Lamberti, რომ ლევან მე-II მშვენიერი, ჭკვიანი კაცი იყო, მაგრამ სისხლიანი ნამოქმედარი შავ ლაქასავით სცხება მის სახელს.

სამაგიეროდ სუფთა და ნათელია მისი უბედური დის მარიამის ხვედრი, რომელიც პოლიტიკური მოსაზრებით სვიმონ გურიელს მიათხოვა. შემდეგ მას მოსწყვიდა და როსტომ ქართლის მეფესთან შეუღლდა. უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ შაჰის ბრძანებით მის შვილს ვახტანგს გაჰყვა ცოლად; ვახტანგი გარდაიცვალა 1676 წელს, მისმა მეუღლემ კი კიდევ ოთხი წელი იცოცხლა. როცა ის 64 წლისა იყო, შაჰმა სპარსეთს გაიწვია, რომ მოეხსენებინა მისთვის გარდაცვალებული ქმრის პოლიტიკური ზრახვანი. მან აჩვენა ტფილისის სპარსელ განგებელს თავის ჭაღარა თმა და ამით გადარჩა მძიმესა და დამამცირებელ მგზავრობას. მისი ცხოვრება იყო ხანგრძლივი ტრაგედია, მაგრამ იგი დარჩა წმინდა და კეთილშობილი.

ასე გამოიმზეურებოდნენ ადამიანნი, დასავლეთ საქართველოს საზღვარზე იმ დროის მკვიდრები, როცა აღმოსავლეთ საქართველოში უკვე ახალი ცხოვრების კულტურა იღვიძებდა. მე სამეგრელოზე იმიტომ გადავედი, რომ Chardin-ის შეხედულება ამ მხარეზე მინდოდა ჩემ განხილვისა საფუძვლად დამედო.

ქართლიდგან სამეგრელომდე გრძელი გზაა. მათ შუა მდებარეობს იმერეთი, რომლის წარსულიც ასე დაბნეულია და მხოლოდ ცოტა სხივებს გამოსცემს. ქუთაისის სამეფო ციხისა და კათედრალის ძველი ნანგრევები და არიან იმ დროის ძეგლები. სხვა ყოველივე, ორი ათასი წლისა, რაც უეჭველად დაკარგულა. და კაცნი?—ციყურთ-ბავთ. ჰო, ცაცხლისაც მუდმივ ბრძოლა ჰქონდათ მეზობლებთანა და გარეშე მტერთან. როცა კი საქართველო გაერთიანებული იყო, იმერეთის მნიშვნელობა ჰქონდა, ის იყო შემაერთებელი ხიდი საქართველოს აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. იმ დროის ამ მხარეს სულ მოკლე აღყვავების ხანაც ხვდა წილად, რომელიც მალე მისწყდა. საქართველოს დანაწილების შემდეგ იმერეთის მეფეები არ მძლავრებია, პირიქით, ბრძოლის ბედუკუღმობა აზანზარებდა მთელ მხარეს ძალიან ხშირად, მაგრამ კულტურული ანუ სულიერი ცხოვრება არ გაძლიერებულა და ასე დარჩა მე-19 საუკუნემდე. მეფე განაგებდა აქ, როგორც პატარა თვითმპყრობელი. თუ ის ძლიერი ნებისა იყო, და თუ სუსტი იყო, განაგებდა როგორც ქვეშევრდომთა და უმთავრესად თავადების სათამაშო ტიკინა, რადგან გლეხები დაჩაგრული მონები იყვნენ, რომელთაც არც თავისუფლება ჰქონდათ და არც სხვა რამ უფლებები, ბრძოლის დროს კი თავიანთი სიცოცხლე ბატონებისათვის უნდა შეეწირნათ. და ამ ომიანობას თითქოს დასასრული არც ჰქონდა. ამ დაუსრულებელი ბრძოლის ისტორია არ არის ისტორია, რომელშიაც სახელმწიფოებისა ან ხალხის ბედი იყოს გადმოცემული, რადგან ამ ბრძოლათა უმრავლესობა ერთი-ერთზე ყაჩაღური დაცემაა, რომლის ერთადერთი მიზანი თვით ფეოდალებს მოთამაშენების ჰქონდა წყითიველისაც კი დაპყრობის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მეზობელ სამეგრელოსა და გურიაში, იმერეთშიაც ამ გრძელ ხნის განმავლობაში ცხოვრება იყო სულ ძველი ყაიდის, მოკლებული წინსვლის შემოქმედ ძალის. მხარე სცოცხლობდა მხოლოდ ხვნა-თესვით, საქონლის მოშენებით, ნადირობითა და მეთევზეობით. თუ როგორ ამუშავებდნენ მინდვრებს, ადვილი წარმოსადგენია. ბაღებისა და ველების კულტურაში სიახლეებით არ იყო წინსვლა, რადგან სხვა არაფერი ესმოდათ, ოღონდ, კი მოეყვანათ პური ყოველდღიური არსობისა. მაგრამ ხშირად ბევრს ყოველდღე სამყოფი პურიც ვერ მოჰყავდა და ვინ იცის, უთვალავ ომების დროს რამდენჯერ ეწვია მხარეს შიმშილობა. კმაყოფილი ყოფნასა და სიმდიდრეზე, ჩვენებური გაგებით, ხომ ლაპარაკიც ზედმეტია და ალბათ ისიც დიდი იყო, თუ ხალხს გაჭირვება არ ადგა. ქეიფი იმერლებმა წარსულ საუკუნეებშიაც ისე იცოდნენ, როგორც ახლა და, ნადირობის გარდა, ალბათ წვეულება და ქეიფი იყო მათი ერთად-ერთი გასართობი.

ასეთ ცხოვრებაში, რომელიც მხოლოდ მოკრძალული დაკმაყოფილება იყო, მეტად ძნელი იყო გამოჩენილ პიროვნებათა განვითარება, და მრავალ გარდასულ თაობათა ქალნი და კაცნი, რა თქმა უნდა, ნაკლებად ატარებდნენ თვისებათ, რომელნიც ადამიანს მაღალ ღირსებას ანიჭებენ. როგორ გადიოდნენ მათი დღეები, თვეები და წლები, ადვილი საფიქრებელია: აქა-ქება, მოსავლიანობისათვის ზრუნვა, ბავშვების აღზრდა, ბრძოლა ზამთრის ყინვასთან ცუდ ბინებში. ავადმყოფობასთან ბრძოლა, რომელიც ისეთიც თუ ბრძოლა იყო, რადგან მათ არა ჰქონდათ თავდაცვის საშუალება, და ბოლოს, მტრის შემოსევის შიში. ეს იყო მარტივი შინაარსი მათის მარტივის სიცოცხლისა. არა სჩანს, რომ დასავლეთის ქართველები კარგი მეომრები ყოფილიყვნენ, თუმცა კი ისე ხშირად გადახდებოდათ ბრძოლა. მაინც და მაინც არ უყვარდათ და დასავლეთი საქართველო ვერას დროს გადაიხდიდა ისეთ მძიმე ბრძოლას, როგორც აღმოსავლეთი. ამაზე მეტყველებენ, რომ ახლო და შორეულ მეზობლებთან მრავალი ომი და სამკვდრო-სასიცოცხლო შეტევა საწინააღმდეგოს ამტკიცებს. მე კი ვფიქრობ, რომ ამ დაუსრულებელ ბრძოლათა უმთავრესი მიზეზებია: კინკლაობა, შეუთანხმებლობა, შური და ქონების შეძენის სურვილი, რომელიც განსაკუთრებით აშფოთებდა იმერლებს. რაინდობა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილობრივ წილად ჰხვდა, დასავლეთ საქართველოს არ უნახავს.

იმერული ენა მეტად მატერიალური ანუ რეალისტურია და საუკუნეთა განმავლობაში არ შეეძლოთ ამ მდიდარ აზრთა სამყაროსათვის თავი დაეღწია. მე-19 საუკუნემდე პოეზიის ერთ სიტყვასაც არ გაუმშვენიერებია ანუ აღუმაღლებია ეს სიყვარული ზნეობრივი ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში არც იმერეთის სამღვდელოებას განუცდია შინაგანი მოძრაობა, რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნნეს აზრთა და შეხედულებათა ბაექრობით. გელათის მონასტერი დიდხანს იყო იმერეთის ეკლესიის სული, მაგრამ კულტურული ცხოვრება არ გაუცხოველებია ამ ცნობილ მონასტერს, დავით აღმაშენებლის განსასვენებელს.

თითო-ოროლა პირი, რომელნიც საუკუნეთა ცვალებადობაში იმერეთს შორის დიდ მასსისაგან გამოირჩეოდნენ, შესაძლოა ცხოვრებისეული მოყვარული აზრები, მაგრამ არა მაღალ აზრთა შემცველი წინაწრაფეებანი.

---

ეხლა იქვე მინდა დავუბრუნდე აღმოსავლეთ საქართველოს მე-XVII საუკუნისას, სადაც მფეთქდა საქართველოს გული, თუმცა კი ხშირად ეს გულის ცემა დიდ ხნობით შეუმჩნეველი იყო.

იმერეთით, სადაც Chardin-მა იხილა ცხოვრება ფრიად ღარიბი და უწესრიგო, ტფილისს გზა მიდის ზემო-ქართლზე. და აქ ფრანგს თავი სხვა ქვეყანაში ეგონა, რადგან ნიადაგი კარგად დამუშავებულია, მრავალია სოფლები, ფუტკრიანი შეკრებილი, სანოვაგე და საქონელით. აქ, დიდ-ლიახვილ ქართლში, მე-XVII საუკუნეში, პირველად განვითარდა დასაწყისი ახალ ქართულ კულტურულ ცხოვრებისა, მაგრამ მეტად ხანმოკლე და ამასთან მრავალი დაბრკოლება უშლიდა ხელს.

ეს იყო მაშინ, როდეს მეფობდა შაჰ-აბაზი, საშინელი თვითმპყრობელი, რომელსაც მაინც შესაძლოა, სპარსეთი მოკლე ხნით აეყვავებინა და განედიდებინა და ისპაჰანისაგან შესანიშნავი ქალაქი შეექმნა. შაჰ-აბაზისაგან საქართველოს მრავალი წამება გამოსცდა, მაგრამ ჩაგვრასთან ერთად მაშინდელ სპარსულ ცხოვრებისაგან სხვა ბევრი რამეც შეითვისა, რადგან საქართველოდან მაშინ ბევრნი მოემგზავრებოდნენ ისპაჰანს, სადაც იმ დროს მრავლად იყვნენ ევროპელნი.

ამ საუკუნეში მოღვაწეობდა სამი ქართველი მეფე-მწერალი, რომელთაც მაშინდელი ევროპა არ იცნობდა და რომელთაც არა თუ მცირე მნიშვნელობა მიეკუთვნება ქართულ კულტურის ისტორიაში: თეიმურაზ I, თეიმურაზ II და არჩილ მეფე. ესენი იყვნენ პირველნი ბაგრატიონთა გვარის მწერალთა, სწავლულთა და მგოსანთა წრიდან. ევროპა მეტად ცოტას იცნობს ასეთ მეფეთა და დიდებულთ, და საქართველოსათვის ეს, რა თქმა უნდა, საქები ღირსებაა, რომ მისი მეფეები სულიერ საქმიანობას ეძიებდნენ, როცა ევროპელი მონარქები იშვიათად თუ აიღებდნენ ხელში წიგნსა.

თეიმურაზ I იყო არა მარტო მგოსანი, არამედ, როგორცა სჩანს, პირველი ქართველი დიპლომატიც, რადგან სპარსეთს მის გამგზავრების დროს უმთავრესად პოლიტიკური მიზანი ჰქონდა. სპარსეთის ურთიერთობა ამ საუკუნეში მეტად გართულებული იყო, მაგრამ ქართველნი სპარსეთის დედა-ქალაქში ისეთ როლს ვერ შეასრულებდნენ, როგორსაც ერთ დროს ასრულებდენ სტამბოლში, როცა ჯერ კიდევ ბიზანტია არსებობდა.

პ. გელცერი „Bizantische Geschichte" (ბიზანტიის ისტორია)-ში სწერს: „ქართველნი ხშირად იმყოფებოდნენ ბიზანტიის სამეფო კარზე, სადაც მათ უმეტეს შემთხვევაში მეტად კარგადა ჰპყრობოდნენ და შეეძლოთ შეეთვისებინათ უკეთესი განვითარება და მოხდენილი ცხოვრების რიგი. ჯარსა და დიპლომატიაშიაც მოინახებოდნენ ისინი."

ასეთ გავლენას ვერ მოახდენდა ქართველებზე ისპაჰანს ყოფნა, მაგრამ ზოგმა მათგანმა მაშინდელ აღმოსავლეთის ჩინებულ ქალაქში მაინც გაიმდიდრა თავის გონებრივი სალარო.

თეიმურაზ პირველიც იყო ნამდვილი პირველი ქართველი ლირიკოსი, რომელმაც მრავალ ლექსის მასალად სპარსული ცხოვრება გამოიყენა და, მის მიერ სპარსულიდგან ბევრი რისამე თარგმნის წყალობით, სულიერობითაც თანამემამულენი სპარსულის გავლენისაგან განთავისუფლდებოდნენ.

არჩილ და თეიმურაზ მე-II, როგორც პოეტები, არ იყვნენ ისე მნიშვნელოვანნი, როგორც თეიმურაზ I, მაგრამ თავიანთ დროისათვის მაინც გამორჩეულებად ითვლებოდნენ.

სპარსელ ტირანის შაჰ-აბაზის დროს სცხოვრობდა კიდევ ორი პიროვნება, რომელსაც უყვარდა თავისი ერი და სამშობლო, და ყოველ შეჭირვების მიუხედავად შაჰის ნებას არ ემორჩილებოდა. ესენი იყვნენ: ქეთევან დედოფალი და გიორგი საკაძე. ქეთევანმა ისლამის სჯულს სიკვდილი არჩია და საკაძე, თუმცა ქართველ ფეოდალებს ეწინააღმდეგებოდა, ქართველ ერის მეგობარი იყო.

---

ეხლა მისდევს მეთვრამეტე საუკუნე და აღმოსავლეთ საქართველოს საქმიანი ცხოვრება უფრო და უფრო იზრდება. ამის საძირკველი იდო სხვა და სხვა გარემოებაში, რომელიც ნაწილობრივ დროისა და ნაწილობრივ გარემოებათაგან გამომდინარეობდა. საკუთარ ქვეყანაში უთანხმოებამ მრავალი ქართველი გაამგზავრა რუსეთს, და ვინც უკან ბრუნდებოდნენ, მოუთხრობდნენ სხვა და სხვა ნახულზე, რაც ქართველებისათვის ახალი რამ იყო და მათში მიბაძვის სურვილსა ბადებდა. ეს იყო მშვიდობიანი გავლენა, როცა სხვა

გავლენას, რომელსაც ახდენდა ერეკლეზე იტალიელ მისიონერების სკოლა, უშუალო იყო. ამას მოჰყვა კიდევ რამოდენიმე ქართველის მოგზაურობა აღმოსავლეთ ევროპაში, საიდანაც შთაბეჭდილება ჩამოჰქონდათ სამშობლოში და ამან გაუღვიძა მრავალ ქართველს მისწრაფება თავიანთ ყოფის გაუმჯობესებისა.

იტალიელ მისიონერთა გავლენა, რა თქმა უნდა, ძლიერი იყო, რადგან ამ გავლენამ ტფილისში შექმნა კრებული ისეთ კაცთა, რომელნიც ბეჯითად ჰფიქრობდნენ იმაზე, თუ კულტურულად როგორ აემაღლებინათ თავიანთი ქვეყანა ან აღმოსავლეთი საქართველო მაინც.

მაგრამ ასეთ კაცთა კრებული არ იყო დიდი. უფრო მრავალრიცხოვანნი იყვნენ მშვიდობის დამრღვევნი, რომელნიც ტახტის მაძიებელს ამა თუ იმ დიდებულს ეკედლებოდნენ. უკვე მე-17 საუკუნეში აპროტესტებდნენ ეს ტახტისმაძიებელნი, რომელთაც მოჰქონდათ სამშობლოს შფოთი და უბედურება, რადგან თავად-აზნაურთა შორის მრავლადა ჰპოვებდნენ ამყოლთ, როცა მათ გამეფების შემდეგომ დიდ ჯილდოსა ჰპირდებოდნენ. ასე წარმოიშვა დიდი რიცხვი ბედის მაძიებელ პირთა, რომელნიც ხშირად დიდ ხნობით თარეშობდნენ და მხოლოდ მაშინ ისვენებდნენ, როცა საქმე სრულებით ხელიდან წასული იყო. სამშობლოს სიყვარული ამ ხალხში ალბად არც თუ შესამჩნევი იყო. ისინი ისევე ემსახურებოდნენ გამარჯვების სწრაფვით შეპყრობილნი, სამშობლოს მწვერვალ დიდებულთ, როგორც ემსახურებოდნენ სპარსეთის შაჰს, რომელსაც საქართველო მონად გაეხადა.

მოუხედავად სამშობლოს მძიმე მდგომარეობისა, აწარმოებდნენ სამოქალაქო ომს, რომელიც ეხლა განსაკუთრებით საზიზღარი იყო, რადგან ურიცხვნი იყვნენ გარეშე მტრები. ეს ბედისმაძიებელთა ახალი ჯგუფი, რა თქმა უნდა, მხოლოდ თავად-აზნაურთაგან შედგნა, რომელნიც ამ საუკუნეში განსაკუთრებით შფოთიან ცხოვრებას ატარებდნენ.

ამ ხნის მეფეები, ერეკლე მე-II-ის გარდა, იყვნენ არა გმირები, არამედ კაცნი, განცხრომიანი ცხოვრებისათვის მზრუნავნი. თვით ვახტანგ მე-VI, რომელმაც პირველი სტამბა გაამართვინა და კანონები შეაკრებინა, არ იყო მოსვენების წინააღმდეგი და გამგებლობდა მეტისმეტად გულარხეინად. მე-XVIII საუკუნის მემატიანე, სეხნია ჩხეიძე, იმის ცხოვრებას ასე გვიხატავს: მშვიდობიანობისა და ბედნიერობის დროს ის განაგებდა საზოგადოებრივ საქმეს და ადგენდა თავის სამართლის წიგნს. კვირა და სამშაბათი—ნადირობისა და სხვა გა—სართობისათვის იყო დანიშნული. ოთხშაბათობითა და პარასკეობით სასამართლოში იჯდა და დიდსა და მცირეს განიკითხავდა. სასა-

ნათლულის კრებებზე და ნადიმებზე შეძლებით მღეროდა სანადიმოდ. ქეიფობდა ან მინდორში თითქოს ისვენებდა და ასე ატარებდა ნათელ დღეებს.

დაჩქრულ, ნაჩქარევ საქმიანობაზე არავინ ჰფიქრობდა და არ იჩქაროდნენ არც ის მცირერიცხოვანნი კაცნი, რომელნიც ახლა საქართველოს კულტურის აყვავებისათვის ზრუნავდნენ. ძველ დრო-ში დაჩქარება საზოგადოდ მთელ აღმოსავლეთში იშვიათი მოვლენა იყო.

მაგრამ აღმოსავლეთი საქართველო, ეს მართლა აკვანი ქართული ცხოვრებისა, სულ მცირე და მეტ კაცებსა ჰშობს, რომელნიც რა დროინდელ არც ყოველდღიურ კაცთა ეკუთვნიან, არც შასსასა და არც ბიზის. ესენი არიან პიროვნებანი, რომელნიც ბრბოისაგან გამოდიან, საკუთარი აზრები აქვთ და საკუთარ შრომით ყველას ემსახურებიან.

სულხან ორბელიანი, შემდგენელი „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“-სი, თითქოს ემორჩილება ბედისმაძიებლობას, რომელიც საქართველოში მოიტანა მე-XVII-მა და უფრო მეტად მე-XVIII საუკუნემ. დიახ, მე-XVIII საუკუნე საქართველოსათვის იყო შემთხვევათა და ბედისძიებათა ეპოქა, მაგრამ ამავე დროს ახალ კულტურულ მუშაობის ხანაც. მაშინდელ ქართველთა უმეტესობას ემჩნევა ბედის ძიების სახე, ეძიებენ რაღაცას, მაგრამ ჯერ არ იცნობენ ჭეშმარიტ გზასა და ამიტომ ბრავალჯერ გაუცრუვდებათ იმედი.

სულხან ორბელიანი თავის მოღვაწეობას იწყებს როგორც მოუსვენარი, ცოდნის მოწყურებული ბერი; შემდეგ კათოლიკე ხდება, მოივლის ევროპას და კვლავ უბრუნდება თავის წინაპართა სარწმუნოებას. კათოლიკობისაკენ მაშინ ბევრნი იხრებოდნენ და შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ჭკვიანნი მათ შორის ამის სწადიოდნენ ორ მიზეზების: ჯერ ერთი კათოლიციზმი მათ აკავშირებდა უმაღლეს კულტურას და მეორეც ისა, რომ, როგორც კათოლიკენი, უფრო ადვილად იქნებოდნენ ევროპის-მიერ დაცულნი სპარსელთა და თათართაგან.

თუ განვიხილავთ ქართლ-კახეთის ცხოვრებას მე-XVIII საუკუნეში, ადვილად დავინახავთ, რომ ის ევროპულ ცხოვრებას თან და თან უახლოვდებოდა. თუმცა ზოგ შემთხვევაში მაინც პირველყოფილ ბუნებას ატარებდა. საზოგადოებრივი სახე იყო არც უხეში და არც თუ მეტად დახვეწილი, საერთოდ ჰუმორით მდიდარი, თუმცა კინკლაობა არ იყო იშვიათი. ქალებს ისევე სცემდნენ პატივს, როგორც წინა საუკუნეებში, ისინი ხალხში ისეთივე ღირსებით გამოდიოდნენ. და მიმზიდველი სურათი იქნებოდა, როცა ბევრი ასეთი პატივცემული მანდილოსანი თავს მოხდენილ ტანისაცმელში ერთად გა-

წიეტრიანებულია ქუჩაში. მათი გარეგნობა, რა თქმა უნდა, მეტად მიმზიდველი იყო, მაგრამ მათი შინაგანი ცხოვრება გამოუცნობი რჩებოდა, რადგან მაშინდელი მათი ცხოვრება იყო თითქმის სავსებით სახლის კარზე მიჯაჭვული და პასსიური. საზოგადოებრიობაში ქართველი ქალი მაშინ თითქმის მხოლოდ მჭვრეტელი იყო და არა მომქმედი. როცა ქვეყანას თამარი განაგებდა, ქალის მდგომარეობა სხვანაირი იქნებოდა და მხოლოდ სპარსულ ჩვეულებათა გავლენამ შეზღუდა ქართველი ქალი. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ქართველი ქალი, რომელსაც ას ან ორას წლის წინად უცხოვრნია? მხოლოდ როგორც დედასა და მეუღლეს შეეძლო თავისუფლად ქცევა; როგორც ოჯახის ქალი კი, ალბად, თავის უფლებებს ქმარს უნაწილებდა.

ამ ხნის ქართულ კულტურის ისტორიაში ქალს ვერ შევხვდებით, და მხოლოთ ერის დიდ მასსაში ზოგი ძლიერი, გამძლე ქალი, რომელიც თაობითგან თაობაში გადადიოდა. ერის ყოფას კი ქალს ვერ ამცნევდა.

მე-XVIII საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოს გვევლინებიან პირველი სწავლულნი, რომელნიც თითქოს ნელ-ნელა მუშაობენ. მათგან უმნიშვნელოვანესი იყო ვახუშტი ბატონიშვილი, შემდგენელი საქართველოს გეოგრაფიისა, რომელიც თუმცა ზეზეური სჩანს, მაგრამ როგორც მის დარგის პირველი ნაწარმოები, მძიმე შრომისა და მომზადებას მოითხოვდა და დიდ მნიშვნელობის მქონეა. ვახუშტმა ეს წიგნი იმ დროს დასწერა, როცა ევროპაში ბატონიშვილთაგანი არავინ ჰფიქრობდა მეცნიერულ შრომით თავის შეწუხებას. აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო კარზე სხვა მრავალიც ზნეობრივად უცალოდ მაღლა იდგა, ვიდრე ევროპის მონარქ-ბატონები, რომელნიც ნადირობისა და ამალით ჯირითს გარდა იშვიათად თუ ეძიებდნენ სხვა რამ გასართობს.

სხვა ბატონიშვილნიც, რომელთაც 18 საუკუნეში საქართველო იძულებით დატოვეს და რუსეთს გაემგზავრნენ, იქ მოღვაწეობდნენ სამშობლოის საკეთილდღეოდ და ამით დაამტკიცეს თავიანთი სერიოზული ნიჭი და სამშობლოსადმი სიყვარული. ეს იყო ახალი ხილი საქართველოში, რადგან მანამდე აქ მხოლოდ ბერები იყვნენ მეცნიერულ შრომით გატაცებულნი.

მწერალთა რიცხვი თანდათან იზრდება ქართველებში, რომლებიც ტფილისში იტალიელ ბერებს დაუახლოვდნენ, იღვიძებს ცოდნის წყურვილი და სიყვარული. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ცოდნის წყურვილით შეპყრობილთა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო, თუმცა არა ყოველი მათგანი იყო წერის ნიჭით დაჯილდოვებული. იმ პიროვნებათა შორის, რომელნიც მე-XVIII საუკუნეში მასსითგან გამოიყო-

ფილდნენ, იდგა ანტონ კათალიკოსი, როგორც ენციკლოპედისტი, არაჩვეულებრივი ადამიანი, მაგრამ ისიც, როგორც ის დროინდელი მრავალი ქართველი, ცვალებად ცხოვრებას ეწეოდა, რადგან მეფის მამიდშვილის ხიზნებს აშკარად ეტანებოდა. ის, როგორც ძმისწული ვახტანგ 17-სა, ალბათ ტახტს ეძიებდა და რაკი აქ ბედმა არ გაუღიმა, გახდა ეკლესიის მამამთავარი. მისი რწმენის ცვლა და შემდეგ მართმადიდებელ ეკლესიასთან დაბრუნება, იყო აგრეთვე შემთხვევითი ძიება. ასეთნი მე-XVIII საუკუნის საქართველოში არ იყვნენ მრავალნი, ტახტის მაძებარ ბატონიშვილთა ამყოლნი ან თავადაზნაურნი, რომელნიც იმავე დროს შაჰს ემსახურებოდნენ. უეჭველად არ მიმართულების შიში არყევდნენ.

და სითვან უნდა დამყარებულიყო მტკიცე პრინციპები, როცა ათეულ წლების განმავლობაში ტახტისათვის ბრძოლა იყო გაჩაღებული, რომელშიაც თავადაზნაურობის უმრავლესობა თავის გამორჩენას ეძებდა? ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ეს სარწმუნოებო იმ საშინაო ბრძოლასადმი სიძულვილს შეარყევდა და ქართველებს ჩაუნერგავდა ანგარებისა და ეროვნულ გულგრილობას.

განა გიჟი ამილახვარიც, შემდეგომ გაკათალიკოსებულ ანტონის ტურფა საყდრის მამა, არ იყო ანგარო ადამიანი, სამშობლოის სიყვარულმოკლებული? თავის სიამო ცხოვრება რომ გადეარჩინა, ლეკიძლი მეფეთ შეწირა ავხმრივ მაძის შაჰს, ანტონი კი, იმის მაგივრად, რომ საკუთარი ამოყოფ გაეტეხა, ასტრახანისკენ გადიარა.

ესენი არ იყვნენ გმირები ან თუნდ ძველ დროის ნამდვილი რაინდები: ეს იყო ბელნი, რომელნიც უფრო თავის სარგებლობისათვის ფიქრობდნენ, ვიდრე გულითად გრძნობისათვის.

რაინდული სული უმეტეს შემთხვევაში გაქრობილი იყო და მხოლოდ იშვიათად გამოდიოდნენ კიდევ ნამდვილი რაინდები.

თავად-აზნაურთა მასსა ეძიებდა ცხოვრების სიამეს, და ლუარსაბისა და მის მეუღლე დარეჯანის ტიპი, როგორც ილია ჭავჭავაძემ ასახა, მე-XVIII საუკუნეშიაც მრავალრიცხოვანი იყო. ესა სჩანს სხვა და სხვა მოგზაურთა აღწერილობისაგან.

ამ დროის ჭეშმარიტი შვილები იყვნენ მღვდელი ზაქარია გაბაშვილი და მისი შვილი, მგოსანი ბესიკი; ამათ ბანს ეუბნებოდნენ დავით გურამიშვილიც, მაგრამ ის სულ სხვაა. რომ მოხუცი გაბაშვილი მეტად რელიგიურად გაწყობილი მღვდელი ყოფილიყოს, არა სჩანს. მაგრამ ეს კია, რომ მუდამ ცდილობდა ქართულ ეკლესიაში თვალსაჩინო როლი ეთამაშნა და ამით ფართო გავლენა მოეპოვებინა. როგორცა სჩანს, კინკლაობა იყო მისი მთავარი ღვაწლი და მთელ მის ქცევაში გამოსჭვივის მე-XVIII საუკუნის ბედის მაძებარი სული. ალბათ იმ დროინდელ სასულიერო პირთა შორის ის მარტო არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდგა, არამედ მოთავე იყო არა მცირე წრისა, რომელიც უფრო ამ სოფლის საქმეებს ასრულებდა, ვიდრე ეკლესიას. მღვდელი და ბერი, რომელთათვისაც ეკლესია უპირველესი და უმთავრესი რამ იყო, დიდი ხანია, გაჰქრალიყვნენ და მათვე გაჰყოლოდნენ რელიგიურ თხზულებათა მორჩილნი გადამწერნი თუ შემდგენელნი. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში არა ჰყოლიათ მათ მიმდევარნი. და როცა კათოლიკე მისსიონერები საქართველოში მოვიდნენ და მიმდევრებიც გაიჩინეს, ქართველ სამღვდელოებაშიაც გაიღვიძა კონკურენციამ, რომელიც დიდხანს გრძელდებოდა ევროპის სამღვდელოებაშიაც.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ აღმოსავლეთის ქართველნი ევროპიულ განათლებას, მით უფრო იზრდებოდა რიცხვი მშფოთავ სულთა, რომელნიც ებრძოდნენ ახალ აზრითა და გზათ, და ეს იყო კეთილი ნიშანი, რადგან განსაზღვრულმა სულებმა არ იციან შფოთი. ისინი კმაყოფილდებიან იმით, რაიც იციან და ნაკლებად ესწრაფვიან წინსვლას. მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რომ ვინმე უცხოელი აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთა და მათს ცხოვრებას დაკვირვებოდა, ჯერ უკეთ მაშინაც შეჰნიშნავდა მათს ნიჭსა და სულიერ სიღრმეს.

მე აქ ვლაპარაკობ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოზე, რადგან ქართულ კულტურის დამოუკიდებლად აღორძინებისას დასავლეთი საქართველო მხედველობაში ვერ მიიღება, რაკი ის ახალ მოძრაობაში ჩაება მხოლოდ XIX საუკუნეში რუსული გავლენის ქვეშ. მანამდე დასავლეთის ქართველების კულტურულ ცხოვრებას არ განიცდია მოძრაობა, აქაურები მუდამ ერთსა და იმავე სიმაღლეზე იდგნენ, ჰბარჯავდნენ ჯერ კიდევ ძველ დროიდგან შემონახულ კულტურულ მარაგს, და თაობიდგან თაობამდე ეს მარაგიც ცარიელდებოდა. გიორგი ბატონიშვილი, იმერეთის მეფის ალექსანდრეს შვილი, თავის „თავგადასავალში“ მაშინდელ იმერეთის მდგომარეობას ჰხატავს როგორც მეტად უმწეოს, და ბალტიის ბუნებისმეტყველმა იოანე გიულდენშტედტმა (Johannes Güldenstädt), რომელმაც იმერეთი 1772 წელს მოიარა, აქ ნახა მხოლოდ გაჭირვება და ზნეობრივი დაცემა. ქუთაისი იყო უმნიშვნელო დაბა ღარიბული სახლებით, რომელშიაც ცხოვრობდა დაახლოებით მხოლოდ ორმოცდაათამდე ოჯახი. მაგრამ ეკლესიათა და ქვის შენობათა მრავალი ნანგრევი მოწმობდა ძველ დიდებასა და უკეთეს დროს, რომელიც დიდი ხანია გარდასულიყო. მიწას ამუშავებდნენ უძველეს ყაიდაზე, საქონლის მოშენებას იშვიათად მისდევდნენ, და სრულიად უმნიშვნელო მრეწველობა იძლეოდა სავსებით უბრალო, არახელოვნურ ნაწარმოებთ, რომელთაც შეეძლოთ დაეკმაყოფილებინათ მხოლოდ უკულტურო ადამიანი. ყველაფერს ეტყობოდა, რომ არავინ ჰფიქრობდა თავის მდგომარეობის გაუმჯო-

ბესებასა ან ცხოვრების პირობების მოგვარებისათვის, არამედ ყოველი იმოდენს ჰმუშაობდა, რაოდენიც საჭირო იყო ხორციელ უსაჭიროეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

იაკობ რაინეგსი (Jakob Reineggs), რომელიც იმერეთს ცოტა უფრო გვიან ეწვია, ქუთაისზე შემდეგს მოგვითხრობს: „მეფე სცხოვრობდა ქუთაისში, ერთ ღატაკ, ქვის, ნახევრად დანგრეულ, სახლში და მთავრობის მხოლოდ ოცი პირველი მოხელე იდგა მის მახლობლად ხის სახლებში, რომლებშიაც ჩვეულებრივ ნოემბერსა და დეკემბერში იყვნენ მეფის ბრძანებით. დანარჩენ დროს თავიანთ სოფლებში ატარებდნენ და უცდიდნენ დანიშნულ დროს, როცა უნდა მობრძანებულიყო მეფე, რომელიც ყოველ წელიწადს მოივლიდა ხოლმე მხარეს ნელ-ნელა და ყველგან, სადაც დაბანაკდებოდა, სამართალსაც აწესებდა, ყოვლის საჩივარს მოისმენდა და წესიერებას ალაგებდა“.

ასე გამოიმზირებოდა მე-XVIII საუკუნის იმერეთი. გლეხს მძიმე შრომა უნდა გაეწია, რომ თავისა და ბატონისათვის პური მოეწია. თავადი დაბრძანდებოდა სანადიროდ, ხშირად დღე-ღამის განმავლობაში უჯდა სუფრას, სჭამდა და სვამდა მეგობრებსა და მეზობლებთან ერთად, დაჰმღეროდა მარტივ სუფრულს და დაუბოლოვებლად ჰმუსაიფობდა სუფრის მეგობრებთან, ნადირობა და ნადირობის ილბალი კი მუდამ მნიშვნელოვან როლსა თამაშობდა. ამ უქმ ცხოვრებიდგან თავად-აზნაურთ ხშირად მოუხმობდნენ ომში და ამ დროს უნდა მიეტოვებინათ საცხოვრებელი, არც თუ იშვიათად ხანგრძლივად, როცა საზოგადოდ უკან იხევდენ ხოლმე.

ასეთი იყო ცხოვრება მე-XVIII საუკუნის იმერეთში, ყოველგვარ სულიერ შინაარსს მოკლებული, რადგან თითქმის არავინ იწუხებდა თავს წიგნების კითხვით ან საუბრით, რომელიც ხორციელ ცხოვრების გასცილდებოდა.

სხვა გვარად იყო საქმე აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც, მრავალ მგოსანთა მეოხებით, ჯერ კიდევ მე-XVII საუკუნეში გაჩნდა სუსტი დასაწყისი სულიერ ცხოვრებისა. აქ გამოჩნდა მგოსანი, რომელიც განსახიერება იყო ქართველი ერის სულიერ ძალისა, ეს იყო ბესიკი, შვილი ზაქარია გაბაშვილისა. იგი მამაა ქართველ ლირიკოსთა, მსოფლიო კავშირით გულნაბური მგოსანი, რომელიც თავის თანამედროვე ქართველთა ყველა თვისებას ატარებდა და ბედის მაძიებელი იყო, როგორც სხვა მრავალი ნიჭიერი შვილი მე-XVIII საუკუნისა. მგრძნობიარე, ამყოლი, გარდამეტებით მიძებარი სიამისა, როგორც სჩანს, მაინც ხელოვნებისათვის ცხოვრობდა. და როგორც მგოსანი, მღერალი და თარის დამკვრელი, მრავალი წლის განმავლობაში სწორუპოვარი იყო ახალგაზრდათა შორის, რომლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბიც ტფილისში ატარებდნენ დღეებს მხიარულ ნადიმსა, სიყვარულსა და სიმღერაში. ბესიკი იყო განდიდებული გმირი და თანამედროვე, მაგრამ აგრეთვე განდიდებული მგოსანი იყო იმათთვისაც, რომლებიც უფრო ჭკუადამჯდარნი იყვნენ.

ამ ცხოვრებაში ქალები თუ რა როლს თამაშობდნენ, ჩვენთვის თითქმის უცნობია, თუმცა ჩვენ ვიცით, რომ, ბესიკი ხშირად ზნეობის საზღვარს გადასცდებოდა და უწმაწურ ლექსებსაც მღეროდა. ის შეყვარებული იყო ერეკლე მე-II-ის ასულ ანნაზე, ხოლო უკანასკნელს ის უყვარდა თუ არა, ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ. გერმანელ ბედის მაძიებელ რაინეგგს (Reineggs), რომელსაც სხვათა შორის, ერეკლე მე-II-თან მნიშვნელოვანი თანამდებობა ეჭირა, თავი მოსწონდა იმით, რომ ვითომ ის ჰყვარებოდეს ერეკლეს მშვენიერ ასულს ქეთევანს. ტრაღიკული ახალგაზრდობა გამოიარეს ერეკლე მე-II-ის სამმა ქალიშვილმა, რომელთაგანაც ორმა — ქეთევანმა, და მარიამმა, ცოტა არ იყოს, თამამი, ლირიკული ლექსები შექმნა.

სიტყვა „ტრაღიკა" გამოსთქვამს ამ სამ მადლიან ქალის აჩრდილს, მაგრამ ეგ სიტყვა იყო აგრეთვე გამომხატველი სიტყვა „საქართველოს ბედი"-საც.

ტრაღიკულია აგრეთვე შაირობა უიღბლო დავით გურამიშვილისაც. არცერთ იმ დროინდელს ქართველს ისე არ შეუგრძვნია და არ აუსახავს მთელი უკულმართობა ცხოვრებისა და სამშობლო ერის ტრაღიკული ბედი, როგორც ეს ჰქნა დ. გურამიშვილმა. უბედურმა ბედმა მოსწყვიდა იგი სამშობლოს და ლეკეთს გადაჰხვეწა, შემდეგ კი — რუსეთს, სადაც უცხო მხარეში სამშობლოს სიყვარული არ გაჰქრობია, არამედ, პირიქით, ნათლად აელაპლაპდა. დავით გურამიშვილი არ იყო იმ ბედისმაძიებელ პირთაგანი, რომელნიც უფრო თავიანთ კეთილდღეობისათვის ჰფიქრობდნენ, ვიდრე სამშობლოსათვის. მისთანანი არ უნდა ყოფილიყვნენ მაშინ მეტად მრავალრიცხოვანი, რადგან იესე ოსეშვილის ანდერძსა და იოანე ბატონიშვილის „კალმასობა"-ში ვხედავთ, რომ უმეტესობა მაშინდელთა მხოლოდ თავდავიწყებასა და სიამეს ეძიებდა. ორივე წიგნს შეგვიძლია ვუწოდოთ ქართულ ცხოვრების მე-XVIII საუკუნის მე-II ნახევრის სარკე. თუ „კალმასობა"-ს სურათები ნამდვილ ცხოვრებას გადმოგვცემენ, მაშინდელ აღმოსავლეთ საქართველოს ქართველთა ცხოვრება ყოფილა ჭამა-სმა, ლაყბობა და საერთოდ მეგობრებთან დროის გატარება, ვიდრე მუშაობა. ლამაზი ახირება და ჰუმორი არც თუ იშვიათად სჩანს, განსაკუთრებით ბერებთან, რომლებიც კარგი მჭამელ-მსმელები იყვნენ.

ასეთი იყო საერთო განწყობილება იმათი, ვინც ნიადაგს საკუთარი ხელით არ ამუშავებდნენ, როცა გლეხთა მდგომარეობა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაძრწუნებელ იყო და ამას რაინეგსიც (Reineggs) ადასტურებს თავის 1794 წელს გამოსულ გერმანულ წიგნში. როგორც იგივე გერმანელი მწერალი აღნიშნავს, ერეკლე მე-II ყოველ ღონეს ხმარობდა გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ საერთო პირობები, განსაკუთრებით კი მეზობელთა ქცევა, ხელს უშლიდნენ.

მეფის მდგომარეობა ისევ გამოსწორდა 1745 წელს, თეიმურაზ მე-II-ის კურთხევის შემდგომ. და ეს დღესასწაული, რომელიც გადაიხადეს დღეობისთვის მცხეთაში, ეროვნული ზეიმი იყო, რადგან საქართველოს, დიდი ხანი იყო, ასეთი რამ არ ენახა. ქართულ კულტურის ისტორიისათვის დიდი დანაკლისია, რომ არ დარჩენილა დაწვრილებით აღწერა იმ მრავალრიცხოვან ხალხისა, რომელიც იმ დღეს მცხეთას შეკრებულიყო. იქნებ მე-XVIII საუკუნეში არასდროს მოეყარის თავი იმდენ ადამიანს ერის ყოველ კლასითგან და ერთ ცოცხალ სურათად შეერთებულიყოს!.. ეს სურათი რომ ჩვენ გვქონდეს, არა მხოლოდ კაცთ დაგვიხასიათებდა, არამედ იმათ ჩაცმულობასაც, ზნე-ჩვეულებასა და ქცევას დაგვიხატავდა. იქ იყვნენ თეიმურაზ მე-II და შვილი მისი ერეკლე მე-II ოჯახებითურთ და კარისკაცებითურთ, სხვა მოხელეები: ოთხი მედროშე, სამღვდელოება მცხეთისა, ტფილისისა და სხვა კუთხეთა, ურიცხვი გროვა თავად-აზნაურთა და გლეხთა თავიანთ მეუღლეებით და ბოლოს ტფილისელი ვაჭრები და ხელოსნები. ბევრი ფეხით იყო მოსული, მაგრამ ისევე ბევრი ცხენებით, სახედრებითა და ურმებით. ალბად უდიდესი, ფერადი სურათი იქნებოდა, ძველ ქართულ ცხოვრების სურათი, რომელიც ჯერ კიდევ თავისუფალი იყო ევროპულ ფერთა სიღარიბისაგან. თეიმურაზ მე-II-ის სადღესასწაულო კურთხევაზე შეკრებილნი იმათი პაპანი იყვნენ, რომელნიც ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ერთად გადადგნენ მე-XIX საუკუნეში და ამათგან სულიერად და ზნეობრივად დიდად არ განსხვავდებოდნენ. ჩვენ ცოტა ვიცით იმის შესახებ, თუ ისინი როგორ ჰშრომობდნენ, მეტი ვიცით იმის შესახებ, თუ დროს როგორ ატარებდნენ და ეს-კი ქართველთათვის მუდამ მნიშვნელოვანი რამ იყო.

თეიმურაზ მე-II-ის შემდგომ აღმოსავლეთ საქართველოს ბედი მის შვილის ერეკლე მე-II-ის, მამაცისა, მაგრამ უიღბლოსი, ხელში იყო, რომელიც მრავალ წლის განმავლობაში სულ იმის ცდაში იყო, საქართველო აღემაღლებინა და გაემაგრებინა. მაგრამ ნათლად ჰხედავდა, სამშობლო თუ როგორა ჰკარგავდა ნელ-ნელა თავის სასიცოცხლო ძალას. მას თითქმის არავინ გააჩნდა მარჯვედ გვერდში ამომდგომი. ეს ნათლად დაიჩნდა აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმისას. მისი მეფობა ღარიბი იყო გმირებით, მდიდარი კი ინტრიგანებით, რომლებიც მის ზურგს უკან მბატონობდნენ, როგორც საკუთარ მამულში. თითქმის არავინ იყო მასთან სულგრძელად, გაიოზიც კი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელავის სემინარიუმის დამაარსებელი. დარია დედოფალი, რომელიც უფრო თავის შვილებისთვის ზრუნავდა, ვიდრე ქართველ ერის კეთილდღეობისათვის, ჭეშმარიტი შვილი იყო ამ დაცემის ხანისა და იმისი მსგავსნი იყვნენ ალბად მრავალნი ქალნი მაშინდელ მებატონეთა. ძლიერ, პატრიოტულ სულს მათ შორის ვერა იპოვნიდით. მათი საზრუნავი უწინარეს ყოვლისა იყო ოჯახი. საქართველოს საკითხებზე კი ნაკლებ ჰფიქრობდნენ.

უკვე მაშინდელ ქართველ აზნაურობაში გაჩნდა ახალი ტიპი, რომელიც შემდეგ, მე-XIX საუკუნეში, ცარიზმის მმართველობისას, მეტად გამრავლდა და უმთავრეს მიზეზთაგანი იყო ქართველ ერის სხეულის დაშლისა.

ვინც მე-XVIII საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლების მოვლენას გულდასმით გადაავლებს თვალს, ადვილად წარმოიდგენს, თუ როგორნი იყვნენ ისინი, რომელთაც განვლეს აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოს ნგრევა.

სათავეში იდგა თავად-აზნაურობა, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, გულგრილად უცქეროდა სამშობლოს ბედს და მხოლოდ თავის მამულის შენარჩუნებისათვის ზრუნავდა. არაფერს აკეთებდა სახელმწიფოს მოსალოდნელ ნგრევის შესაფერხებლად, როცა იმათი რიცხვი, რომელნიც ერეკლესთან ერთად იღწვოდნენ სახელმწიფოს შესანარჩუნებლად, დიდი არ იყო.

გლეხებს, რომელნიც მონებად ემსახურებოდნენ თავიანთ ბატონებს და რომელთაც კისერზე აწვათ მძიმე უღელი სოფლის მეურნეობისა, არა გაეგებოდათ რა სამშობლოსი; ისინი იცნობდნენ მხოლოდ თავიანთ შემავიწროებელთა და უღლის დამდგმელთ და სხვას არავის ისეთს, რომელსაც შესძლებოდა ამ მძიმე მდგომარეობიდგან მათი განთავისუფლება.

ასეთ გულგრილად განწყობილ მოსახლეობით შეეგება საქართველო მე-XIX საუკუნეს და დაჰკარგა თავისი დამოუკიდებლობა ცარიზმის უღლის ქვეშ.

## ქართველები XIX საუკუნეში

ერის ცხოვრებაში ერთ საუკუნის ზღვარს მნიშვნელობა არა აქვს, ანუ, სხვანაირად რომ ვსთქვათ, ერთი საუკუნე არ არის გამმიჯნავი ზღვარი. საქართველოსათვის კი მე-XIX საუკუნის დასაწყისს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის მაშინ რუსეთის მმართველობის ქვეშ მოექცა.

ძველი საქართველო, სახელმწიფოს დაცემის შემდეგაც, კიდევ

დიდხანს ცოცხლობდა, მისი სული კიდევ დიდხანს იყო ქართველ ერის სულად. მაშინაც კი, როცა მრავალ კეთილშობილი ახალ გავლენას უკვე სულითა და გულით დამორჩილდა..

კეთილშობილთა მასსა ეხლა თითქოს გამოჰფხიზლდა დაუდევრობისა და გულგრილობის ძილისაგან, მაგრამ მალე ისევ ჩასთვლიმა და ატარებდა უმოქმედო ცხოვრებას. მხოლოდ ცოტანი დარჩნენ მოხელეებად ან ასეთებად ახლად ინიშნებოდნენ, რადგან შინაგანი მმართველობა პირველ ხანებში ქართველთა ხელში იყო.

როგორც პოლონეთში სახელმწიფოთა დაყოფისას შემამულე თავად-აზნაურობა უქმ, ანაო ცხოვრებას მიეცა, ისე ქართველ თავად-აზნაურთა უმრავლესობაც ჰფიქრობდა მხოლოდ ქეიფსა და გართობაზე, რომელთა ხარჯები მალე მათს შეძლებას აღემატა და ისინი ვალებში ჩაფლა. რა თქმა უნდა, ბრბოში, რომელიც დღეს უმიზნოდ აღამებდა, გამოერეოდენ ისეთნიც, რომელნიც ცხოვრებას სერიოზულად სჭვრეტდნენ და ცვლილებათ, რომელნიც საქართველოში ხდებოდნენ, სისწორით განსჯიდნენ. მაგრამ ასეთ გონიერ ადამიანთა რიცხვი არ იყო დიდი და უმრავლესობა დანდობილი იყო საკუთარ წინდაუხედაობას.

შეცდომა იქნებოდა, ვისმე ეფიქრნა, თითქოს აღმოსავლეთი საქართველო მე-XIX საუკუნეს საკუთარ კულტურის გარეშე დახვედროდეს. პირიქით, აქაურებს აკლდა მხოლოდ სასკოლო განათლება ევროპულ მეცნიერებათა მიხედვით, მაგრამ ისინი სულიერ განვითარების პატრონნი იყვნენ, რომელიც გამომდინარეობდა თანდაყოლილ ნიჭისა და ძველ კულტურისაგან. ეს კულტურა წარმოადგენდა თავაზიან ცხოვრებას, ორთავ სქესის ზნეობრივ ურთიერთობასა და ერთიმეორის პატივისცემას. უმართებულოა წინანდელი მტკიცება, თითქოს აღმოსავლეთის ქართველნი რუსის ბატონობას ისე მოექცეოდნენ, როგორც „ველურნი“. 1840 წლამდე რუსის გავლენა თითქმის მხოლოდ ტფილისით განისაზღვრებოდა და ოდნავ ატანდა სოფლებში, სადაც ცხოვრება ჯერ კიდევ ძველ ქართულ ზნე-ჩვეულების კალაპოტში მიმდინარეობდა, თუმცა აქ მაინც იყვნენ ისეთნიც, რომელნიც ტფილისს ჩამოსვლისას მეტად სწრაფად და ადვილად ეჩვეოდნენ ახალ ცხოვრებას.

ამ პირველ ხანში არ იყო დიდი ისეთ პიროვნებათა რიცხვი, რომელნიც ბრბოთაგან გამოიყოფოდნენ და მასსის ტიპიურ თვისებათ ატარებდნენ. ილია ჭავჭავაძეს თავის მოთხრობებში სინამდვილის სისწორით დაუხატია ამ გარდამავალ ხანის ქალნი და კაცნი. ესენი ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, თითქოს მათი მდგომარეობა, რომელიც გლეხზე იყო დანდობილი, დაბადებით თანდა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოლილი და უცვლელი ყოფილიყოს. ეს გარემოება ნათელყოფს მათ სულიერსა და ზნეობრივ მდგომარეობას, მთელ მათ შინაგან ცხოვრებას.

იმ დროის ტიპიური შვილი არის ალექსანდრე ჭავჭავაძე, მე-XIX საუკუნის პირველი ქართველი მგოსანი. ჯერ კიდევ ბავშვი გაგზავნეს იგი პეტერბურღს და იქ აღიზარდა სანახევროდ ფრანგულად. მიუხედავად ამისა, მასში მაინც სცოცხლობდა მე-XVIII საუკუნის ქართველი და თითქმის ყველა მისი ლექსი გამოხატავს ძველ ქართულ მსოფლმხედველობას. ის ნამდვილად ჭეშმარიტი ქართველი იყო, მაგრამ მებატონე, რომელიც კარგად სცნობდა საკუთარ ინტერესებსა და სამშობლოსას სიყვარულით ნაკლებ იყო შეპყრობილი. ის იყო პირველი წინაპარი ცარიზმის მთელ რიგ ოფიცერთა და მოხელეთა, რომელთაც მრავალ თაობის შემდეგ ახალი ტიპი წარმოშვეს და რომელნიც ნახევარქართველნი იყვნენ. იქნებ სპარსულმა გავლენამაც წარმოშვა მსგავსი ტიპი, და ეს მოვლენა ცხად ჰყოფს ქართულ ხასიათის დიდ სისუსტეს.

როცა ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის აზნეო ლექსებსა სწერდა, ქალ-ვაჟნი ჯერ კიდევ ქართულად ჩაცმულნი დადიოდნენ და ზოგი ქალი ჩადრსაც კი ატარებდა. მაგრამ ჩადრი თანდათან გადავარდა, როგორც ძველ ცხოვრებისა და სამოსის მაჩვენებელი და კუთვნილება. ას წელზე მეტი გავიდა, სანამ ქართული სამოსი გაჰქრებოდა. მაგრამ მას დღესაც ბევრი ქალი ატარებს და ეს კარგი ნიშანია, რომ ქართველი ქალები კიდევ ემალებიან თავიანთ ძველ ზნე-ჩვეულებას. ეს ყველაზე მტკიცედ შერჩა გლეხებს, რომლებიც თავიანთ ჩვეულებათა შეცვლაზე კი არა ფიქრობდნენ, არამედ მხოლოდ მდგომარეობის გაუმჯობესებას მოითხოვდნენ.

როცა ახალი ცხოვრება თავის ზუზუნობით, გართობებითა და ზიზილ-პიპილოთ საქართველოში შემოიჭრა, ის ერის მხოლოდ ზედა ფენას შეეხო.

ყოველ ადამიანის თანამდევარი სიამის ძიება, რომელიც ძველ ქართულ ცხოვრებაში მეტად განსაზღვრული იყო და მარტივ სიხარულით შემოფარგლული, ახლა, დატკბობის ახალ საშუალებათა წყალობით, მეტად გაიზარდა და ახალ გზაზე გადაიხარა. აგრეთვე გაიღვიძა ზვაობამაცა და კარიერის ძიებამ. დასაწყისში ამან თითქოს მხოლოდ ცოტა ოჯახი მიიზიდა, მაგრამ რაკი ესენი ახალ, უცხო ცხოვრების სიამითა და ახალ პირობებით თითქოს გაბედნიერებულნი სჩანდნენ, მათ მალე მიჰყვნენ სხვანიც, მაგრამ მხოლოდ კეთილშობილნი.

თუ რა სწრაფად და ადვილად მიმდინარეობდა ეს ცივილიზაცია, საყოველთაოდ ცნობილია. მრავალ, მეტად მრავალ, მანამდე

სოფელში მარტივ ცხოვრების მატარებელ მებატონეთა და აზნაურთა სიამის ძიებამ და ზვაობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია: ნახევარმა მათგანმა მიიღო თავადის წოდება და ამგვარად აღმაღლდნენ წარჩინებითა და ჯილდოებით. ახალი პირობანი რომ აზნაურებს მძიმე მდგომარეობაში აგდებდნენ, მალე ყველასთვის დასანახი გახდა, მაგრამ იმის მაგივრად, რომ თავიანთი მდგომარეობა მეცადინეობითა და სოფლის მეურნეობის კარგ დამუშავებით გამოესწორებინათ, ჰფლანგავდნენ თავიანთ ქონებას. თუმცა კი ეს მოვლენა არავის უნდა გაჰკვირვებოდა, რადგან ატავიზმი ძლიერი ბუნებრივი ძალაა და ჯერ კიდევ მე-XVIII საუკუნით განებივრებულ აზნაურთა ან მათი შვილთაგან არ შეიძლებოდა მოეთხოვნა სოფლის ბეჯითი, ყაირათიან მეურნეობისა. სამეურნეო ურთიერთობისა, მე-XVIII საუკუნის ცხოვრების პირობებისა და იმ მდგომარეობას შორის, რომელშიაც ჩავარდნენ ქართველები მე-XIX საუკუნეში, ფართო და ღრმა უფსკრული იყო, რომელზე გადასვლა მხოლოდ თითო-ოროლათა ხვედრი იყო. ეს ცხადია, რომ მაშინ ყველაფერი ისე უნდა მომხდარიყო, როგორც მოხდა, რადგან ქართველ აზნაურობას არა ჰქონდა წინააღმდეგობის უნარი და თან და თან ირღვეოდა. თავიანთ უძლურების შეგნებით მეურნეობაში და მოულოდნელ დღეუჭყის წინააღმდეგობით, ბევრი მათგანი ლოთზე ეძებდა ცარიზმის მფარველობას. უმეტესობა ჯარში ოფიცრად შევიდა და ეს იყო მათთვის უადვილესი და მიმზიდველი რამ. მაგრამ დიდი უმცირესობა მოხელეებად გახდნენ, მაგრამ ამისათვის ნაკლებ გამოსადეგნი იყვნენ. მხოლოდ ზოგმა არჩია თავისუფალი წოდება და დამოუკიდებლად ჰშრომობდა.

თვალსაჩინო თავისებურობითა და ნიჭით დაჯილდოვებული პიროვნებანი მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში მეტად ცოტანი იყვნენ. ალექსანდრე ჭავჭავაძის გვერდით ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთად-ერთი იყო, რომელმაც ლიტერატურას მიჰხედა. ის იყო უბედური, ღარიბი და ავადმყოფი კაცი, რომელიც, სამშობლოს მომწყდარი, განჯაში თავს ირჩენდა როგორც პაწია მოხელე. სამშობლოს მონატრული და მოწყენილი იტანჯებოდა იქ. როცა ტფილისში, ჯერ კიდევ სიყრმით ახალგაზრდას, ჩვეულებრივ მოქალაქეთა წრეში გაეტარებინა დრო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამი მიზეზი იყო, რომელმაც გაუღვივა მას შემოქმედებითი ძალა. ეს მიზეზები იყვნენ, ალბად: უიღბლო სიყვარული, უკმაყოფილება მდგომარეობითა და გარემოთი და, ბოლოს, სამშობლოსადმი მონატრულება. ბარათაშვილი იყო სულ სხვა ადამიანი, ვიდრე ალექსანდრე ჭავჭავაძე და აგრეთვე სულ სხვა მგოსანიც. ეს თავის ცხოვრებითა და გარემოთი მეტად კმაყოფილი სჩანს და აქა ვხედავთ ჩვენ საწინააღმდეგოს. რაც შეეხება

ეროვნული
ბიბლიოთეკა


ამ ორ მგოსნის დასაბამს, პირველი — თავის დროის ღვიძლი შვილია, მეორე კი მე-XIX საუკუნის პირველ ნახევრის ქართველთათვის უცხო იყო.

ოჰ, ეს ქართველები 1800—1850 წლებს შუა! ზვიადები, სიამის მაძიებლები, ზარმაცები და სრულიად უვარგისები შრომისათვის, მაგრამ ისინი მაინც ყურადღებითა და ცნობისმოყვარეობით უნდა განვიხილოთ, რადგან ეს გარდამავალი ქცევანია. არაფერი იქნებოდა უფრო საინტერესო, როგორც ქრეცელი ამ ხნის გულითგან ამოღებული რომანი, მაგრამ ვინა ჰფიქრობდა მაშინ ასეთის დაწერაზე და თუნდ ისეთი დაეწერა კიდეც ვისმე, ეს სინამდვილის სწორი სარკე იქმნებოდა? გიორგი ერისთავის კომედიები შეიცავენ იმ დროის მხოლოდ დამახასიათებელ სურათებს, მაგრამ არა ცხოვრების ფართო სურათს. ასეთივე დახასიათება, როგორიც გიორგი ერისთავის კომედიებშია, შეცვლილ დეკორაციად გამოგვადგება მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვისაც. მაგრამ ამ ხანში მხოლოდ ცალკე ტიპები ვხვდებიან.

ზედა ფენის ყოველ ერთგვარობის მიუხედავად, ქართველი მაინც იყო მდიდარი ქალ-ვაჟით, რომლებიც მტკიცედ ატარებდნენ ერეკლე მეორის ბეჭედს. როგორ განიცდიდნენ მათი სიყვარული და სიძულვილი, სიხარული და ჩივილი, როგორ სიმღერებს მღეროდნენ ისინი? ამის შესახებ ჩვენ ცოტა რამ ვიცით. ილია ჭავჭავაძემ ორი სახე შექმნა, რომელიც იმ დროისათვის ტიპიური იყო, მაგრამ ლუარსაბსა და დარეჯანს გარდა ხომ სხვანიც იყვნენ, რომლებიც მათ არა ჰგვანდნენ.

მხოლოდ 1840 და 1850 წლებს შუა მრავლდებიან ქალნი და კაცნი ახალ სიტყვებით, ახალ აზრებით, ახალ მოთხოვნილებით და ჩვეულებებით. აგრეთვე საქმიანობაც, ხელობაც სხვა და სხვა გვარი ხდება და ეს მნიშვნელოვანია, რადგან საქმიანობასთან იცვლება ადამიანის გარეგნობა, თუმცა შინაგანი მხარე ნაკლებ იცვლება. ისევ ისე აზნაურობა და სამღვდელოებაა, რომლითგანაც გამოდიან ეს ადამიანები. ქართულ ცხოვრებას ახალ ადამიანებად პირველად ოფიცრები, მოხელეები და მასწავლებლები იყვნენ პირველნი, რომლებიც მოევლინენ. გლეხები ჯერ კიდევ გზიდ ეცქერიან ქალაქურ ცხოვრებას და მხოლოდ მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდებიან მიწერილი გლეხები ქალაქების ხელოსნურ ცხოვრებაში. პირველად ისინი ვერავითარ როლს სთამაშობდნენ და ქალაქის მცხოვრებთა გროვაში ჰქრებიან.

ცვლილებას, რომელიც 1850 წლიდან მოხდა ქართველ ერში, მისთვის არ მოაქვს ახალი ძალები, არამედ, პირიქით, ასუსტებს მის ორგანიზმს, რადგან ერთს სხეულში უცხო ელემენტები შემოჰყავს.

ამ დროს, როცა ახალი ქართველობა ჯერ კიდევ ღრმად სთვლემდა, გამოჩნდა ორი მგოსანი. ამათ ქართული პოეზია კვლავ გამოაცოცხლეს და იქნებ ზოგიერთ მაშინდელ ქართველში მშობლიურ-ენისადმი სიყვარულიც გააძლიერეს. ესენი იყვნენ გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები. ამ ორ მგოსნის ნაწარმოებთ დიდი მნიშვნელობა აქვთ, რადგან ბარათაშვილთან ერთად მათ დაუმტკიცეს ქვეყანას, რომ ქართველ ერში ხელოვნების უდიდესი ძალა იყო ჩამარხული, რომელიც მაშინ, როცა სხვა რამ ძალა ჯერ კიდევ სიცოცხლის ელფერს არ ატარებდა, ძლიერებით გადმოსკდა და მშვენიერების ნათელი სხივები მოჰფინა მთელ საქართველოს. ეს პოეტური ნაწარმოებნი იყვნენ მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში ერთად-ერთნი სხივნი ქართველ ერის სიცოცხლის ძალისა. რაც კი სხვა რამ წარმოიშვა ამ დროში, ნაკლებ სავარგო იყო და არავისა ჰქონია ქართველებისათვის ისეთი მნიშვნელობა, როგორიც ამ სამ მგოსანს.

სამწერლო შემოქმედების წყურვილმა ეხლა უკვე გაიღვიძა; გამოჩნდნენ მრავალნი მოთხრობანი, მაგრამ ესენი, როგორიც პირველნი ცდანი, ნაკლულოვანნი იყვნენ, რადგან მოთხრობა ისეთი ხელოვნური შემოქმედებაა, რომელიც სრულიად ახალი იყო საქართველოსათვის. კარგი მოთხრობები ცხოვრების სურათებს უნდა შეიცავდენ. თუ ეს ასეა, მაშინ აქვთ მათ ჭეშმარიტი მნიშვნელობა ერის ზნეობრივ განვითარებისათვის, რომლის ცხოვრებასაც ასახავენ, მაშინ როცა ამ მოთხრობებს, რომლებიც სინამდვილეთაგან არ არიან აღებულნი, არამედ ფანტაზიიდგან, მხოლოდ თავის შექცევის ხასიათი აქვთ. კითხვა ისმის, თუ ქართველთ მოთხრობების ამ ორ გვარიდგან რომლისადმი აქვთ მეტი ნიჭი. მაგრამ ამ კითხვას შემდეგ კვლავ მინდა დავბრუნდე.

სანამ ილია ჭავჭავაძე თავის მოთხრობებს დასწერდა, რომელთაც ქართველთა ზნეობრივ ცხოვრებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, 1850 წელს წარმოიშვა ქართული თეატრი. გიორგი ერისთავმა დასდვა თავისი ნამდვილ ქართულ ხასიათის პირველი კომედიები. ეს მოხდენილი შერჩევა იყო, რადგან გიორგი ერისთავი მასალას თავის დროის ქართულ ცხოვრებიდგან იღებდა. იგი დიდ ხანს სცხოვრობდა პოლონეთში, სადაც გაეცნო პოლონურ თეატრსა და განსაკუთრებით ალექსანდრე ფრედროს (Alexander Fredro) კომედიებს, რომლებიც პოლონურ ცხოვრების ნამდვილ სარკეს წარმოადგენდნენ. ამათ მიხედვით სწერდა გიორგი ერისთავი თავის სათეატრო ნაწარმოებთ, რომელთაც იმ დროის დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ. პირველად გაითამაშეს ეს კომედიები სცენის მოყვარეებმა, რომელთაც შემდეგ ნამდვილი მსახიობები მოჰყვნენ. თუმცა ეს პიროვნებანი მხოლოდ მიმბაძველნი იყვნენ და არა ახალ ხელოვნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემქმნელნი, მაგრამ ყოჩაღნი და ხალისიანნი. დიაღ, ყოჩაღნი და ხალისიანნი იყვნენ თითქმის ყველა ისინი და ეს კარგი ნიშანი იყო ქართულ თეატრის მომავლისათვის, რომელიც მხოლოდ ნელ-ნელა ვითარდებოდა, რადგან მისი განვითარება დამოკიდებული იყო ქართველ ერის ახალ განვითარებაზე. ოთხმოციან წლებში, მაშასადამე, დაარსებიდგან 30 წლის შემდგომ, ქართული თეატრი ტფილისში ჯერ მეტად ღარიბი იყო რეპერტუარით, მაყურებლებით და ქართველ ხალხის დახმარებით. საუკეთესო, რაც მაშინ თეატრს გააჩნდა, იყვნენ მსახიობები. ვინც იმათ თამაშსა სჭვრეტდა და მხედველობაში მიიღებდა, რომ ისინი „პირველნი" იყვნენ და ჯერ კიდევ ნაკლებ გაწვრთნილ-განსწავლულნი, ჰრწმუნდებოდა, რომ ისინი უჩვეულო, თანდაყოლილი ნიჭის პატრონნი იყვნენ.

შემდეგ დადგა უკეთესი დროც და ქართული თეატრი გარდაიქცა ქართველთა ცხოვრების მნიშვნელოვან დაწესებულებად. მაგრამ მისი რეპერტუარი ქართულ ორიგინალ ნაწარმოებით მაინც ღარიბია. არ ვიცი, ქართველებს დიდი დრამატიული შემოქმედებითი გრძნობა არა აქვთ, თუ საკმაოდ მუყაითად არ ჰშრომობენ. ჰუმორი მათთან იშვიათი არ არის და ის მშვენიერი საფუძველი იქნებოდა კომედიისათვის, მაგრამ კომედიის მწერალი ამასთანავე უნდა იყოს კარგი დამკვირვებელი და ადამიანის მცოდნე. დრამის გამოჩენილი მწერალი ქართველთ ჯერ არა ჰყოლიათ და ეს ადვილად გასაგებია, რადგან დრამატიული ხელოვნება არც ისე ადვილი შესასწავლია. ევროპის ხალხთაგანაც უმეტესი მხოლოდ საშუალო მწერლები ჰყავთ თეატრისა, ვიდრე კარგი. და ქართველთ შეუძლიათ ამით გულის დამშვიდება, მაგრამ მათ მაინც უნდა ისწრაფონ სრულყოფისაკენ. და ქართველი მსახიობები? ბევრი მათგანი უცილოდ დიდი ნიჭის პატრონია, მაგრამ ხშირად დიდ სიზარმაცესაც, და ეს სიზარმაცე ხელს უშლის თავის ნიჭისაგან ჭეშმარიტი ხელოვნება შექმნას. საერთოდ, სიზარმაცე მეტად შემაფერხებელია ქართველთა სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებისა. რა სიმაღლეზე იქნებოდა დღეს ქართველი ერი, მუყაითი რომ ყოფილიყო!

სიზარმაცესია, მრავალი ნიჭი სრულ განვითარებამდე რომ არ მიჰყავს და, როგორცა სჩანს, ქართველი მსახიობი ვერ აღწევს დამაკმაყოფილებელ განათლებას, თუმცა კი საკმაოდ შეგვხვდება ქართველი ქალი და ვაჟი, დაბადებით მსახიობი. ქართულ თეატრის განვითარებაში 1850 წლიდგან ქალებს დიდი ღვაწლი მიუძღვით; თავიანთ სამშობლოთის დრამატიულ ხელოვნებისათვის უცილოდ ბევრი რამ გააკეთეს და ქართულ სასცენო ხელოვნებაში ისინი მუდამ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, რადგან მაშინაც კი, როცა დიდ ნიჭის პატრონნი არ არიან, იშვიათ მიმზიდველ ძალას იჩენენ ხოლმე. უმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტესად სასიამოვნო არიან ისინი, ძლიერ ხშირად ლამაზნიცაა, რადგან იციან, თუ სილამაზე როგორ მოიხმარონ. ეს ოსტატობა გარეგან ქცევის ელეგანტურ სურათად გარდაქცევისა ყოველ მსახიობ ქალისათვის მნიშვნელოვანი მადლია. ხოლო ქართველ ქალებში ეს ბუნებრივად მომადლებულია და ამიტომაც არის ის ასე მიმზიდველი.

ქართულ სცენის დაარსებიდგან მოდიოდა მთელი წყება მსახიობ ქალთა, რომლებიც სასიამო თამაშით გამოირჩეოდნენ. მაგრამ ხელოვნების მაღალი მადლი იშვიათი იყო და ეს ფრიად ხშირი იყო ვაჟ მსახიობებში. ქართულ თეატრს უკვე უნახავს როგორიც შესანიშნავი ნიჭის ტრაგიკოსი-ხელოვანნი და დამახასიათებელ როლთა შემსრულებელნი, ისე კომიკნიც, და ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ქართულ ხელოვნებას ამ დარგშიაც დიდი მომავალი აქვს.

მაგრამ ქართულ ხელოვნების დედა-ბოძი მე-19 საუკუნეში იყო წყობილსიტყვაობა, რომელიც ქართულ თეატრის დაარსების შემდეგომ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეოხებით ახალი სულით აღივსო.

როცა ილია ჭავჭავაძე ასპარეზზე გამოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა იყო, უკვე ჰქონდა თავისი გარკვეული მსოფლმხედველობა. სამშობლოს მაშინდელმა მდგომარეობამ დიდ და ფიქრიან ჰყო იგი, და როცა მან სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო, მტკიცეთ ჩაინერგა გულს, რომ თავისი ნიჭი და შრომა თავის ერის აღმაღლებისათვის შეეწირა. თვალ წინ ნათლად ედგა მაშინდელ თავად-აზნაურობის ზნეობრივი და მეურნეობითი დაცემა და ჰგრძნობდა, რომ თავის ერის კვლავ გამოცოცხლება დამოკიდებული იყო გლეხთა მდგომარეობის გამოკეთებაზე. მისი მოთხრობები „კაცია ადამიანი?“, „გლახის ნაამბობი“ და „ოთარაანთ ქვრივი“ ასახავენ სწორედ ამავე მიზანს, სახელდობრ გლეხის მდგომარეობის აღმაღლებას. თავის პირველ მოთხრობათა გამოშვება მეტად გაბედული ნაბიჯი იყო, რომელსაც მაშინ ალბად იმის მეტი ვერავინ გაბედავდა. ილია ჭავჭავაძის გარშემო შემოკრბენ სხვა ახალგაზრდანიც, რომელთა უმეტესობა მღვდლის შვილები იყვნენ. ესენი და რამოდენიმე თავად-აზნაური იყვნენ ახალ სოციალურ და კულტურულ ნაკადის მეთაურნი მე-XIX საუკუნის გასულამდე, როცა დემოკრატიული მიმართულება გაძლიერდა და ახალი ბელადნი გამოჩნდნენ.

თითქმის იმავ დროს გამოვიდა ქართულ ცხოვრების ასპარეზზე აკაკი წერეთელი, პირველი იმერელი მაღალი ნიჭისა და მნიშვნელობის მქონე, საუკუნეთავან მოკიდებული. თავის ტემპერამენტისა და აზრთა მსვლელობის მიხედვით აკაკი ტიპიური იმერელი იყო. სულიერი ცხოვრებით ის ილია ჭავჭავაძის გვერდით იდგა, მაგრამ ორივე მგოსანი სხვა და სხვა მსოფლმხედველობისა იყო და მთელ სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხლებში ორთავე მომწყდარი იყო ერთიმეორეს, თუმც დასავლეთ საქართველო მაშინ უკვე მჭიდროთ შეუკავშირდა აღმოსავლეთ საქართველოს. უკვე მაშინვე აჩნევდნენ, რომ იმერეთი გურია-სამეგრელოთი თავის საუკუნეობრივ ძილიდგან გამოფხიზლებული იყო და ემზადებოდა ქართლთან გასაერთიანებლად. როცა ქართლეული გლეხი ჯერ კიდევ თავის მიწის ბელტს ჩაჰკირკიტებდა და გაქანებასაც არ აპირებდა, უკვე მრავალრიცხოვანი იმერელი გლეხები მოაწყდნენ აღმოსავლეთს, განსაკუთრებით ტფილისს და ქალაქის მცხოვრებლე-ბად გახდნენ.

ეს იყო ახალ კაცთა მთელი ჯარი, რომელთა სიმკვირცხლით უნდა შეექმნათ სოფლებთა საწინააღმდეგო მოკიდე ძალა, მაგრამ, როგორც სჩანდა, ეს ნაადრევი დარჩა. იმერული მოძრაობა, რომელიც 1875 წლის შემდეგომ მეტად გაძლიერდა, ისწრაფოდა აღმოსავლეთ საქართველოსთან სულიერად და კულტურულად შესაერთებლად; აქეთ შემოიჭრა არა მხოლოდ აკაკის შემოქმედების გავლენა, არამედ იმერელი მსახიობნიცა და გაზეთის თანამშრომელნიც.

იმავ დროს მოწყდა დაუსრულებელი ტალღა მებაღეთა, მზარეულთა, მსახურთა, ლაქიათა და სხვათა.

თუ რას მოასწავებდა აღმოსავლეთ საქართველოსათვის ასეთი ამოსვლა, ილია ჭავჭავაძე წინასწარ ჰგრძნობდა და 1889 წელს მან შემდეგი განაცხადა: „ეს ამოსვლა აღმოსავლეთ საქართველოსა ერთის მხრივ ჩვენთვის სასარგებლოა, რადგან იმერლები მკვირცხლნი არიან და ისეთი თვისებები შემოაქვთ, რომლებიც ჩვენ გვაკლია, მაგრამ მეორის მხრივ იმერლებს მეტად სპეკულიატივი ტვინი აქვთ და ხშირად არ არიან სანდონი. მაგრამ მე მაინც ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ერი ამ ერთობას დროთა განმავლობაში განამტკიცებს“-ო.

იმერელთა შორის ბევრი იყო ვარგისი კაცი, რომელნიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჰმოღვაწეობდნენ და რომელთა გავლენა მთელ საქართველოზე ვრცელდებოდა. უნიჭიერესი და სულიერად ყველაზე მაღლა მდგომი, ეჭვს გარეშე, არის ნიკო ნიკოლაძე, აკაკისთან ერთად ყველაზე მეტად გამოჩენილი იმერელი მე-XIX საუკუნეში. ეს მაღალნიჭიერი, ჭკვიანი და ევროპულად განათლებული ადამიანი — პირველი ქართველი ჟურნალისტია ევროპული მნიშვნელობით, რომელმაც მრავალი ათეული წლის განმავლობაში ნათელი გონებით გასჭვრიტა თავის ერის მრავალმნიშვნელოვანი საკითხი. ნიკო ნიკოლაძე თავისში განასახიერებს იმერულ გონებას სრულყოფილ გაგებით.

ამავე დროს დაიწყო გიორგი წერეთელმა თავისი მოღვაწეობა, როგორც მწერალმა და ჟურნალისტმა და ლიტერატურაში შემოიტანა დემოკრატიული კილო. დემოკრატიული სული უკვე დიდი ხნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგან იყო დასავლეთის ქართველთა ცხოვრებაში ჩამარხული და შე-საძლო იყო გათვალისწინება, რომ სოციალისტური მოძრაობა პირველად იქ მოიკიდებდა მაგრად ფეხს. გიორგი წერეთელი მკვირცხლი კალმოსანი იყო, რომელმაც თავის დროს დიდი სიცოცხლე შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში. როცა ის თავის მოთხრობებსა სწერდა, ეს ლიტერატურული ყაიდა უკვე აღარ იყო ახალი საქართველოში, და ბევრი მწერალი ჰქმნიდა მთელ რიგ სურათებს ქართულ ცხოვრებიდგან, რომლის სარკედ აღებული იყო ხოლმე გლეხთა ცხოვრება და ზნე-ჩვეულება. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ე. წ. მოთხრობითს ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველ კულტურულ ერისათვის, თუ მოთხრობები აღემატებიან უბრალო გართობას. მხოლოდ უმეტეს ქართველ ბელეტრისტთა და მოთხრობის მწერალთ უნდათ ქართულ ცხოვრების დახატვა, მაგრამ ნდომა ჯერ კიდევ არ არის შეძლება. რადგან კარგ რომანისა თუ მოთხრობის წერა არც ისე ადვილი საქმეა. დაამტკიცეს ქართველ ბელეტრისტებმა, რომ იმათ ამ ხელობის ნიჭი გააჩნიათ? შექმნეს მათ რამდენიმე ნაწარმოები მაინც, რომელშიაც დახატულნი იყონ ნამდვილი ქართველები და მათი ნამდვილი ცხოვრება? ამ კითხვებზე შეგვიძლია უარყოფითად ვუპასუხოთ.

ყველამ იცის, რომ კარგი მთხრობელი ადამიანის მცნობელი და კარგი დამკვირვებელი უნდა იყოს და ყოველივე ამასთან ერთად საჭიროა გულისყური და სიმშვიდე, ხოლო ქართველთ თავიანთი ცოცხალ ტემპერამენტთან იშვიათად თუ ვისმე გააჩნია. ამიტომ ვიზიარებ მე ილია ჭავჭავაძის აზრს, რომელსაც ხშირად მიმეორებდა ხოლმე. მისი აზრით, ქართველისათვის ადვილი საქმე არ იყო ობიექტიურად აზროვნება, დაკვირვება და მსჯელობა. ამის გამო ის ჰფიქრობდა, რომ ფსიქოლოგიური და დამახასიათებელი რომანი საქართველოში ნაკლებ განვითარდებოდა, ხოლო შესაქცევ რომანს, რომლის ოსტატებიც ფრანგები არიან, საქართველოში დიდი მომავალი ექნებოდა.

ასე მჯერა მეც. მაგრამ ამისათვის მწერალი კარგად უნდა იცნობდეს ქართულ სხვა და სხვა ტიპებს და თავის ხალხის ეროვნულ თავისებურებათ, ხოლო არც ეს არის ადვილი საქმე.

თუ განვიხილავთ ქართულ ცხოვრებას მე-XIX საუკუნეში, ვნახავთ, თუ რა სისწრაფით იცვლებიან ზნე-ჩვეულებანი და თანდათან ზოგი შეხედულება და მცნებაც. მე-XIX საუკუნე საქართველოშიაც უფრო სწრაფი იყო, ვიდრე მე-XVIII საუკუნე. ეს შფოთი და სიახლის ძიება ქართველთათვის მე-XVIII საუკუნის ნახევრამდე რომ იყო, სრულიად უცნობი იყო, რადგან ძველ ქართულ ცხოვრებაში ცვლილებანი მეტად ზანტად ხდებოდნენ. დიდი ცვლილებანი საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოში მუდამ გამოწვეულნი იყვნენ გარედგან ძლიერ შეჭირვებით, როგორც არის საქართველოის აოხრება არაბთაგან, მონღოლთაგან, სპარსთა და რუსთაგან. ბიზანტიელთა და თურქთაც ჰქონდათ საქართველოზე გავლენა და ამანაც გამოიწვია ცვლილებანი.

საუკუნეთა განმავლობაში ყველა ამ გავლენამ იმოქმედა ქართულ ცხოვრებაზე, მაგრამ, როგორც სჩანს, მხოლოდ ზეზეური ცვლილებანი გამოიწვევია. უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ცვლილება მოახდინა ევროპულ ცივილიზაციის შემოჭრამ მე-XIX საუკუნეში, მას მოაქვს მრავალი სიამე, მოხერხება და ცხოვრების შემსუბუქება, მაგრამ შრომას მოითხოვს იმისაგან, ვისაც თავის საჩუქრით აჯილდოებს. მრავალ ათეულ წლის განმავლობაში ქართველი ერის მასსა თითქმის სრულებით არა ჰზრუნავდა ახალ სამუშაოსთვის, არამედ ახალ ცივილიზაციისაგან მხოლოდ საჩუქრებს მოითხოვდა. ეს არ იყო საკვირველი, რადგან ახალი საქმიანობა შესწავლილი უნდა ყოფილიყო და მისდამი სწრაფვაც გაღვიძებული. 1875 წლამდე ქართველებში ძლიერ ცოტა იყო ექიმი, იურისტი, მხატვარი, მუსიკოსი, ინჟინერი, ტეხნიკი, კარგი ხელოსანი და სხვა. მაგრამ საუკუნის მიწურულში მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

1880 და 1890 წლებს შორის ტფილისისა და ბათომის ქართველი მოსახლეობა მცირე იყო, მაგრამ ასე 1900 წლითგან მეტად გაიზარდა და სხვა ქალაქებიც, როგორც ხაშური, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სოხუმი და ფოთი იწყებენ მომრავლებასა და იქცევიან წმიდა ქართულ პროვინციალ ქალაქებად. როცა მე 1892 წელს დასავლეთ ევროპაში სამ წლის ყოფნის შემდეგომ ისევ ტფილისს დავბრუნდი და ქართული თეატრი ვინახულე, დავინახე რომ სავსე იყო მაყურებლებით, რომელთა სახეები ჩემთვის მეტ ნაწილად უცნობნი იყვნენ. ხუთ-ექვს წლის წინად ძველი, პატარა თეატრი ძლიერ ხშირად სანახევროდ ცარიელი იყო ხოლმე, ეხლა კი ვიხილე მთელი რიგი ახალ მაყურებელთა და აგრედვე ახალ მსახიობთა. ქართულ ქალაქთა მოსახლეობის ზრდის უმეტესი წილი ელემენტი მოდიოდა იმერეთითგან და საზოგადოდ დასავლეთ საქართველოთგან. იქაური გლეხობა გამოეხიზლდა ახალ ცხოვრებით და ათასობით ჰგზავნიდა ქალაქებში ახალ და ახალ პირთ, სადაც ბევრი მათგანი მდიდრდებოდა და ქალაქელდებოდა. ეს ცვლილება სწრაფად ხდებოდა. იგივე იმერელი, რომელიც მრავალ საუკუნის განმავლობაში არ გაქანებულა, ეხლა უცბად ასე ცვალებადი შეიქნა, რადგან მასში გაიღვიძა ახალ ცხოვრებისაკენ სწრაფვამ. მალე შეეჩვივნენ ქალაქურ ცხოვრების განცხრომას, განსაკუთრებით კი ასულნი მათნი და ცოლნი, რომელნიც მალე უახლეს მოდაზე შეიმოსნენ. სოფლის ღარიბ და უბრალო ცხოვრებითგან ქალაქის განცხრომა-ფუფუნებაზე ასე სწრაფათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდასვლას უნდა შეერყია მრავალთა ზნეობა. ასედაც მოხდა. ახალ ცივილიზაციას მოჰყვა ზნეობის დეკადენციაც და ეს უბედურებაა, რომელიც მას შემდეგ აღარ შეცვლილა.

ქალაქებში დასახლებულმა იმერლებმა და მეგრელებმა გამოიჩინეს ძლიერი ვაჭრული ალღო, რომელმაც ისინი მაშინ ბევრი თანამდებობას მიამაგრა, მაგრამ უფრო მეტად ფულის მოგების წყურვილიც გაუცხოველა. ერთი სიტყვით, ევროპულ ცივილიზაციის შემოჭრამ მოიტანა მთელ საქართველოში, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში, არა მხოლოდ მატერიალური გარდატეხა, არამედ მორალურიც. აღმოსავლეთ საქართველოში აზნაურობის გაღატაკება თანამგზავრი იყო გარდატეხისა, როცა დასავლეთ საქართველოში ბევრი უაღრესად ღარიბი გლეხი საკმაოდ შეძლებული გახდა.

როგორ ვითარდებოდა ქართველ გლეხობის ცხოვრება ბატონყმობისაგან განთავისუფლების შემდეგ? მდგომარეობის მატერიალ და კულტურულ გაუმჯობესებისათვის თითქმის სრულებით არაფერი გაკეთებული და ვინც მიწას არ მოსწყდა და ქალაქს არ გაემგზავრა, ძველებურადვე ღატაკი და უკულტურო დარჩა. გლეხთა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ცარიზმი სრულებით არა ზრუნავდა და მის სოფლის სკოლებს გლეხისათვის ცოტა სარგებლობა მოჰქონდა. ყველა ეს გარემოება აფერხებდა მოსახლეობის საერთო წინსვლას.

როგორი და იყო სულიერი ცხოვრება ქართულ საფუძველზე დაყრდნობილი? უკვე მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში სერიოზულად იყო მიპყრობილი გულისყური თავაშვების პროცესის შესაჩერებლად. პირველად იყო ცდა ქართულ კულტურის ხელახლად გამოცოცხლებისა და მისთვის საჭირო განვითარების მასალის შექმნისა. მაგრამ სუსტი იყო და მკრთალი ეს ცდა. და თუ იმ პირველთა დაუცხრომელ ნებას, შრომის უშრეტ ძალასა და ერუდიციას იმედს თვალს გადავავლებთ, განცვიფრებულნი დავრჩებით. იგინი კეროსელიძე, სერგეი მესხი და ზოგიც სხვა ნამდვილნი დამაარსებელნი იყვნენ ქართულ ჟურნალისტიკისა. შესაძლოა, დღეს ეს ხალხი პატარა გამოჩნდეს, რადგან შორითგან ვჭვრეტთ და მისი მძიმე შრომა არ გვიხილავს. მათ გვერდით იყვა მხოლოდ ცოტა და ისიც უსწავლელი თანამშრომელი, არავითარი ქონება გააჩნდათ და ყველა ამასთან ერთად საზოგადოების გულგრილობასთან ბრძოლა უხდებოდათ.

უფრო ადვილი იყო მგოსანთა თუ რომანისტთა ანუ მოთხრობის მწერალთა მოღვაწეობა, რომელნიც მხოლოდ მაშინ სწერდნენ, როცა მოესურვებოდათ. მათი წრე იზრდებოდა ზანტად, მაგრამ უწყვეტლივ და მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში დიდი დამსახურება მიუძღვის, რადგან, ჯერ ერთი, ქართული მწერლობა გაამდიდრეს

და მეორეც, თანამემამულეთა შორის გაავრცელეს ცოდნის წყურვილი და კითხვის ხალისი. ეს ყოველივე მძიმე, ძნელი შრომა იყო, რომელმაც ფუჭად მაინც არ ჩაიარა და ნაყოფი გამოიღო.

მგოსანთაგან განსაკუთრებით ორი იყო, რომელთაც გამოსვლისთანავე მკითხველის ყურადღება მიიპყრეს, რადგან ქართულ პოეზიაში მათ ახალი ქვეყანა შემოიტანეს, სახელდობრ გლეხთა ქვეყანა. ესენი იყვნენ: რაფიელ ერისთავი და ვაჟა-ფშაველა. რაფიელი უფრო სუსტი იყო, მაგრამ დროის შესაფერი, ვაჟა-ფშაველა კი, მქისე ფშაველი მღვდლის შვილი, რომელმაც არა მხოლოდ ახალი ქვეყანა გადაშალა, არამედ ახალი პოეზიაც შექმნა. იგი სდგას ილიასა და აკაკის გვერდით, მაგრამ მათ სრულებით არა ჰგავს და უფრო მეტი ბუნებრივი პოეტური შემოქმედებითი უნარი აქვს. ვაჟა-ფშაველა უძლიერესი მოვლენაა ქართულ კულტურაში, რადგან თავის მცირე ცოდნით ყველაფერს თავისსავე არსიდგან ჰქმნიდა და თავის უდიდეს ძალით მაშინვე უმაღლეს საფეხურამდე ამაღლდა. ეს მგოსანი განსახიერებული გენიოსია ქართული ხელოვნების სულისა. მის თხზულებებში ყველაფერი ქართულია და მხოლოდ ქართული, იგი არ არის უცხო მგოსანთა მოწაფე და არც მიმბაძველი, არამედ დამოუკიდებელი შემოქმედია. მან არ იცის მეთოდები, არ იცის ეგრედწოდებული—იზმები, ეს კოჭლ მგოსანთა ყავარჯენი, მან არ იცის მართლწერა, არც „მიმართულებანი", არც რეცეპტები: იგი ვაჟა-ფშაველაა და სხვა არავინ.

საქართველო რომ ჰშობდეს კიდევ ერთ მხატვარსა ანუ კომპოზიტორს ასეთ თავისებურს, უცხო სიძლიერით, მისი დიდება მთელ ქვეყანას ფართოდ და ნათლად მოეფინება.

დასახელებულ მგოსანთა გვერდით მე-XIX საუკუნეში სხვაც ბევრი ყოფილა, ქართველ ერისათვის გრძნობა და აზრები ლექსებად გარდუქმნიათ, და მკითხველთათვის მრავალი სასიამო ანუ სევდიანი წამი განუცდევინებიათ. მაგრამ შეიჭრნენ კია იმათი ლექსები ხალხში, გაიმსჭვალნენ კია მის სულსა და გულში, როგორც ვაჟასი, აკაკისა, ილიასი და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები? რა თქმა უნდა, არა. შთაბეჭდილება, რომელსაც ისინი ახდენდნენ, წარმავალი იყო, რადგან წარმავალია ყველა ლიტერატურული თხზულება, რომლის შინაარსი უფრო პიროვნულ ხაზებს ატარებს, ვიდრე საერთაშორისოს.

ლიტერატურის სიმდიდრეს სხვა და სხვა თხზულების სიმრავლე კი არა ჰქმნის, არამედ რჩეული თხზულებები, რომელნიც მუდამ იცოცხლებენ. ყოველ კულტურულ ერის სულიერი სალაროს ასეთი რჩეული თხზულებანი კაცობრიობის კულტურის ქვაკუთხედნი არიან.

ამ ჭეშმარიტების დასასკვნი ქართველთათვის შემდეგია: რომ

მათ უნდა იზრუნონ არა იმისთვის, რომ ბევრი სწერონ, არამედ იმისთვის, კარგათ სწერონ, რადგან ქართველნი არ არიან საკმაოდ მდიდარნი, რომ ცუდი საქონელი გაასაღონ, რომლისაგანაც სარგებელი არა დაშრჩებათ რა. ამას მე ალეგორიულად ვამბობ და „სარგებლად" ვგულისხმობ ხალხთა შორის პატივისა და დიდების დამსახურებას.

---

ჩვენს განხილვაში უკვე მე-XIX საუკუნის ბოლოს მივაღწიე და თან მრავალი პირიც გამოვსტოვე, რომელსაც მე-XIX საუკუნის აღმშენებლობაში ღვაწლი მიუძღვისთ. ამ ვრცელი დროის ქალებიც ზერელედ იყვნენ დაწქებისას მხედველობაში მიღებულნი. მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქალები ჩამორჩენილნი იყვნენ და მხოლოდ იშვიათად გამოსჭვივოდნენ; თანდათან იწყეს გამოსვლა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ ეს გამოსვლა იყო მხოლოდ გასართობებსა, ბალებსა, საცეკვაო საღამოებსა, თეატრსა და ქორწილსა ანუ სხვა ნადიმში. ეს ქალები საერთოდ სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდნენ. უმეტესი მათგანი სასიამო გარეგნობისა იყო, ბევრი იყო ლამაზი და თავი ეჭირათ ზრდილადა და თავაზიანად. მათი უცხოელი გამჭვრეტელი მათში იცნობდა კეთილშობილ რასის ასულთ, ძველი კულტურის შთამომავალთ. დიახ, მათი კულტურა იყო ძველი და, ასე გასინჯეთ, ძველებურიც კი. და უცხოელი, რომელიც არ იცნობდა ძველსა და გათხუპნული იყო მხოლოდ ახალი ევროპული კულტურით,* ტურფა, ქების ღირს ქართველ ქალს ნაკლებ პატივისცემით ეპყრობოდა. იგი სჭვრეტდა მათში მხოლოდ სიყვარულის საგანს. და ბევრი უცხოელი მწერალი იმავე აზრისა იყო და არც უნდა გავამტყუნოთ ისინი, რადგან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე ევროპაში არ იცოდნენ რა ქართველთა შესახებ, ქართველ ქალებზე კი მხოლოდ ის გაეგონათ, რომ ისინი ტურფანი არიან.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ ქართველნი 1850 წლამდე და შემდეგაც როგორ ეძლეოდნენ სიამესა და გართობას, რომელიც მათ ახალმა ევროპულმა ცივილიზაციამ მოუტანა. ამ სიამისათვის ნადირობაში, რომელიც დილიდან, ძალიან დილიდან გრძელდებოდა, ქალთაგან მხოლოდ ცოტანი გამოერჩეოდნენ, რომელნიც საერთო ბურანში სერიოზულ სწრაფვათ მისდევდნენ და ზრუნავდნენ იმისთვის, თუ თავიანთ ერისათვის სარგებლობა მოეტანათ რამმე. შემდეგ, 1875 წლის შემდეგომ, გამოჩნდნენ პირველი მწერალი ქალები და ამათ შექმნეს არა მხოლოდ ლიტერატურული თხზულებანი, არამედ საფუძველიც ჩაუყარეს ქართველ ქალთა მომავალ მუშაობას. „მუშაობისა" ვამბობ, მაგრამ ეს სიტყვა მთელი მე-XIX საუკუნის განმავლობაში ქართველ ქალთა მასისათვის უცხო იყო. ქართველი ერის

ეროვნული ბიბლიოთეკა


ნახევარი არაპროდუქციული იყო, რადგან გლეხ-ქალებიც კი გაურბოდნენ მინდვრის მძიმე სამუშაოს და სახლში ოჯახობასა და ადვილ შრომას არჩევდნენ.

ოჯახობა ყველაზე უფრო შესაფერი საქმიანობაა ქალისათვის. ევროპის ყველა მხარეს ქალი თავისებური სულია სახლისა, ის უნდა იყოს დიასახლისი, აღმზრდელი და სახლის მომვლელი. მაგრამ ქართველი ქალი იშვიათად ეწევა ცხოვრების ამ ბუნებრივ მოთხოვნილებას. იგი ნაკლებ მშრომელია, აკეთებს მხოლოდ იმას, რაც უსაჭიროესია, ევროპელი ქალი-კი არ გაურბის უმძიმეს სამუშაოსაც, ოღონდ ქმარ-შვილისა და თავისთავის თბილი კერა გააჩნდეს. ცნობილია, რომ ის ერნი სდგანან მეურნეობითა და კულტურით მაღლა, რომელთა ქალებიც გამრჯელნი არიან და მეოჯახენი. გერმანელი ხალხი თავის მატერიალ სულიერ კულტურის სიმაღლეს მეტწილად თავის ქალთა გარჯილობასა და მეოჯახეობას უნდა უმადლოდეს. შილლერის მშვენიერი ლექსი ქალებზე ბევრმა ქართველმა ქალმა უნდა ისწავლოს ზეპირად და გულში შეუშვას. ამაზე მეტყვიან, რომ ქართველი ქალები ხომ გერმანელნი არ არიანო და მათი ტემპერამენტი სამხრეთისა უფრო ლაღი და თავაშვებულიაო. ეს მართალია, მაგრამ მართალია ნაწილობრივ, რადგან თუ გულწრფელი სურვილია საქმის გაკეთებისა, ბევრის რისამე გაკეთება შეიძლება.

აღსანიშნავია, რომ ქართველი ქალები ყოველგვარ დაძაბულს და ხანგრძლივ ფიზიკურ სამუშაოს გაურბიან და ღონიერი ქალებიც მხოლოდ მსუბუქ სამუშაოს ეძიებენ. ამ გარემოებას ქართულ სახალხო მეურნეობისათვის დიდი ზიანი მოაქვს და ამასთან ერთად აზიანებს ქართველ ქალთა კუნთების სისტემას. ისიც, რომ უკვე წე-XIX საუკუნეში მრავალმა ქართველმა ქალმა მასწავლებლობას მიჰყო ხელი, იმას დამამტკიცებელია, თუ როგორ გაურბიან ისინი ფიზიკურ შრომას, რადგან ბევრ მათგანს სრულებით არ გააჩნია პედაგოგიური ნიჭი.

ყოველივე იმის შემდეგომ, რაც მე ვსთქვი, შესაძლოა ვინმემ იფიქროს, თითქოს მე ქართველ ქალთა წინააღმდეგ ვიყო განწყობილი. მაგრამ არავითარ შემთხვევაში! პირიქით, რადგან მე ქართველ ქალებს დიდ პატივსა ვცემ და ვისურვებდი, რომ მათ ბევრი კარგი თვისება ჰქონდეთ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სასარგებლო გარჯით ცნობილი გამხდარიყვნენ. ბევრმა მათგანმა ეს უკვე ლიტერატურაში შეასრულა, მაგრამ მათი რიცხვი მცირეა სხვა უმოქმედოდების კრებულში.

ქართველი ერის წე-XIX საუკუნის სულიერ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობა ჯერ სრულიად უმნიშვნელო იყო და საერთო წინსვლა მხოლოდ მამაკაცთა მიერ იყო დაწყებული და განგრძობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძის მოთხრობათა გამოსვლამ ქართულ ცხოვრებაში დიდი ნაპრალი გასჭრა და გლეხის უფლებები აზნაურობის თვითნებობისა და შევიწროების წინააღმდეგ მნიშვნელოვან საკითხად აღანაღლა. იმ ხნიდგან შეიჭრა დემოკრატიული სული ქართულ ცხოვრებაში, მაგრამ ჯერ კიდევ მკრთალი იყო და მხოლოდ ნელნელა ვრცელდებოდა. ილია ჭავჭავაძის უმეტესი თანამშრომელნი ყოფილი სემინარისტები იყვნენ, რომელთაც ოჯახიდგანა და სემინარიიდგან მტკიცე დემოკრატიული შეხედულებანი გამოჰყოლოდათ. ისინი პირველი პიონერები იყვნენ სოციალ მოძრაობისა, რომელიც თან და თან ძლიერდებოდა, მაგრამ მხოლოდ 1890 წელს გაძლიერდა იმდენად, რომ მისგან შესაძლებელი გახდა სოციალისტური პარტია შექმნილიყო.

მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარი ქართველი ერისათვის იყო მძიმე, მაგრამ განვითარების უწყვეტი პერიოდი. მისი მსვლელობა ისეთივე იყო, როგორიც სხვა ქვეყნებში და ქართველი ერის დახასიათებისათვის არც თუ ისე მნიშვნელოვანი, როგორც პიროვნებანი, რომელთაც უმოღვაწნიათ ამ განვითარებისათვის.

იმათ დიდ მასსიდგან, რომელნიც მხოლოდ მამითა და პაპათაგან დატოვებული ძველი ქართული კულტურით სცხოვრობდნენ და წარსულსა და მომავალს უმოქმედოდ გასცქეროდნენ, თან და თან გამოვიდნენ პიროვნებანი, რომელთაც უნდა შეექმნათ ახალი დროის ქართული კულტურა. პირველად ესენი იყვნენ უმთავრესად მასწავლებლები და მწერლები. თითქმის ილიასა და აკაკისთან ერთდროულად გამოჩნდნენ იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე — ქართველი მღვდლისშვილები. უბრალო კაცები, რომელთაც მეტი საზრუნავი არაფერი გააჩნდათ, ოღონდ კი თავიანთ ერისათვის ქართული განათლება მოეპოვებინათ. ეს ორი ადამიანი იყო მტკიცე ხასიათისა და პრინციპებისა, ორი ბეჯითი მშრომელი, რომელნიც იმას ასრულებდნენ, რაც განეზრახნათ. მთელი მათი მოღვაწეობა მიმართული იყო ქართული სკოლისაკენ და ქართული ენის შენარჩუნებისაკენ. გოგებაშვილი და ცხვედაძე არიან ახალ დროის ქართულ მასწავლებლობის წამათმთავარნი, როცა იმ დროს უკვე მრავალნი მისდევდნენ იმათ მაგალითსა და მასწავლებელთა ერთი ახალი, თავისებური წოდება შექმნეს. ზოგნი ამ მასწავლებელთაგან ლიტერატურულადაც მოღვაწეობდნენ, სწერდნენ წერილებს საგაზეთოდ ან წიგნებისათვის. და თუ დღეს ბევრი ეს შრომა დავიწყებას არის მიცემული, თავის დროზე ბევრი სარგებლობა მოუტანია. ეს ნაშრომნი იყვნენ მომავლის თესლნი და ეს, რა თქმა უნდა, ბევრია. განა უმეტესი წილი კლასიკოსების მუშაობისა მეტია, ვიდრე თესლი მომავალ თაობისათვის? რჩეული ლიტერატურული თხზულებანი ეხლა უკვე დაბლოგ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბით 50—100 წლისანი არიან, თუნდაც თავის დროზე საერთო მოთხოვნა დაეკმაყოფილებინოთ და სარგებლობა მოეტანოთ. მარადიული არა არის რა, ყოველივე ცვალებადია და თვით გენიალური თხზულებანი, ეს საუნჯენი დიდებულ აზრთა, საუკუნოდ არა სცხოვრობენ.

იმ დროს უფრო და უფრო მეტი სულიერი მშრომელი მოიძებნებოდა, უფრო და უფრო მეტი აღმშენებელი ახალ ქართულ ცხოვრების კულტურის აღსაშენებლად, რომელიც ახალ ტალღის გავლენის ქვეშ სწრაფად და სწრაფად ვითარდებოდა. დიახ, რაც ხანი მიდიოდა, მით უფრო სწრაფი იყო მუშაობა და მით უფრო დიდი მისი ნაყოფი.

ეს ნაყოფი—ერთი დიდი სკოლა იყო და საქმიანობა—თითქმის მხოლოდ ფართო სწავლა. უსაჭიროესი მასალა ტექნიკისა და მეცნიერების არეში საზღვარგარეთითგან უნდა შემოეტანათ და ეს მოხდა სწავლით. რაც უკვე ბევრის ძვალ-ლბილში უკვე გამჯდარი იყო, ქართველი ერის მასსაში კი ჯერ კიდევ ზანტად შედიოდა. ამიტომ იყო, რომ უცხო მასწავლებლები ქართველ მოწაფეებს „უნიჭოებად" სთვლიდნენ, როცა ნამდვილად ბევრი მათგანი მხოლოდ ზარმაცი იყო.

არც ერთ უცხოელს წაეკითხნა უმნიშვნელოვანეს ქართველ მგოსნის თხზულებანი; ქართველი ექიმები, ინჟინრები ანუ სწავლულები მე-XIX საუკუნის გასულამდე ცოტანი იყვნენ, ქართული მუსიკა და მხატვრობა ჯერ კიდევ სთვლემდა. და არ უნდა გავუმტყუნოთ უცხოელთ, თუ ისინი ამტკიცებდნენ, თითქოს ქართველი ხალხი უნიჭო ყოფილიყოს, რომელსაც არ შესძლებოდეს საკუთარ ეროვნულ კულტურის შექმნა. მაგრამ თუმცა ქართველთა ნიჭს მაშინ ჯერ თავი არ ეჩინა, რადგან ისინი ჯერ კიდევ ნაკლებ გამოჯკილნი იყვნენ, მაინც გამოფხიზლდნენ და უკვე მე-XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მრავლად იყვნენ სწავლული მოსაქმენი, რომელთაც ქვეყნის საერთო ცხოვრება ძლიერად აამოძრავეს. შემდეგი განვითარება ამ ახალ მოძრაობისა სძევს უკვე მე-XX საუკუნეში. ჩემი განხილვაც აქამდე მოდის, მაგრამ რაკი ჩემი დახასიათება მე-XIX საუკუნის ქართველთა ჯერ კიდევ არ არის სრული, ვუბრუნდები მას ისევ უკან.

---

მე-XX საუკუნის მეორე ნახევარს საქართველოში ორი სახე ჰქონდა: ერთი მხიარული, მეორე კი—დარბაისლური.

საუკუნის პირველ ნახევრის წინააღმდეგ ცხოვრება ოდნავ მიწყნარდა, რასაც მატერიალი და აგრეთვე მორალური საფუძველიც ჰქონდა. ერთის მხრივ თავად-აზნაურობა, რომელიც იმ დროს ქარ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თულ ცხოვრებაში ჯერ კიდევ ბატონობდა. უკვე მნიშვნელოვნად გადარიბდა და იძულებული იყო თავისი სარჩო სახელმწიფო სამსახურში ეძებნა. მეორის მხრივ იყვნენ, ბევრნი ქალნი და კაცნი, რომელნიც თავიანთ ერის მდგომარეობას უფრო საღ თვალით სჭვრეტდნენ, სერიოზულნი იყვნენ. ასე რომ შეიძლება ითქვას, ქართველი ერი ორ პარტიად იყო გაყოფილი. უმრავლესობა ნაკლებ იწუხებდა თავს სერიოზულ მისწრაფებებით, სხვანი, დიდი უმცირესობა, შესდგებოდენ ისეთთაგან, რომელთაც ერის ბედი და იღბალი გულსა ჰხვდებოდა და მის წინსვლისთვის ჰზრუნავდნენ. ისინი, რომლებიც მეორე პარტიას ეკუთვნოდნენ თავიანთ განწყობილებითა და შეხედულებით, დანარჩენთ კრიტიკულად ეპყრობოდნენ: განსჯიდნენ და საჯაროდ ჰკიცხავდნენ იმათ ქარაფშუტობასა და გულცივობას ქართულ ცხოვრების საკითხებში; ამასთანავე ჰზრუნავდნენ, რომ ისინი სასარგებლო საქმისაკენ გადმოებირებინათ. ეს ადვილი არ იყო და ბევრი ჯაფა დაიკარგა უსარგებლოდ. მაგრამ წლითი-წლობით იზრდებოდა ამ პარტიის ძლიერება, რომელიც ქართველ ერის აღორძინებისაკენ ისწრაფოდა.

არსებითად ესენი კი არ იყვნენ მოპირისპირე პარტიები, არამედ ესენი იყვნენ დაფანტული მცნობელნი ცხოვრების ორ განსხვავებულ მოწამისა.

ქართველ ერის მდგომარეობის გულგრილად მჭვრეტელთა დიდმასას ეკუთვნოდნენ მრავალნი თავად-აზნაურნი თავიანთ ცოლ-შვილით. უმთავრესად იმათგან იყვნენ ოფიცრები და მოხელეები, რომელნიც განსაკუთრებულ ტიპს წარმოადგენდნენ. მათ შორის ძლიერი იყო კარიერიზმი, რადგან უმთავრესად ისინი იდეას კი არ ემსახურებოდნენ, არამედ მსახურებდნენ იმისთვის, რომ ჯამაგირი კარგი ჰქონებოდათ. სცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა, ჩქარა წაწეულიყვნენ წინ, ანუ, როგორც იტყვიან, კარგი კარიერა გაეკეთებინათ. ამ ხალხისათვის მოხელეობის კარიერაში იყო მთელი შინაარსი და მიზანი ცხოვრებისა, და მხოლოდ ცოტანი ჰფიქრობდნენ ქართულ ერის კეთილდღეობაზე. ასეთნივე იყვნენ მეუღლენი მათნი, რომელნიც მხოლოდ ტფილისის დარბაზს ეწვეოდნენ ხოლმე და რომელთაც აინტერესებდათ ოპერა, თეატრი (ქართული კი არა) და ბალები და, უპირველეს ყოვლისა, ქმრის კარიერა. როგორცა სჩანს, ეს ქალები მეტად მოუცლელნი იყვნენ და მართლაც ბევრი რამ ჰქონდათ გასაკეთებელი!.. ყოველ დღე უნდა სწვეოდენ მოხელეებისა ან ოფიცრების ცოლებს, მაგრამ ისეთებისას, რომლებიც მდგომარეობით იმათის ქმრების სიმაღლეზე იდგნენ ან კიდევ უფრო მაღლა. პატარა მოხელეებისა და ოფიცრების ცოლებს იშვიათად თუ ეწვეოდენ ხოლმე. თეატრსა და ოპერაში ხშირად დაიარებოდნენ, რადგან საჩინო დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაზრობისას ბევრსა ჰლაყბობდნენ მშვენიერ ხელოვნებაზე, და სასირცხვილო იყო, რომ ამ ბრძნულ საუბარში მონაწილეობა არ მიეღოთ თავიანთ შვილებს, ქალებსაცა და ვაჟებსაც. მეტად გულმოდგინედ ჰზრდიდნენ სამაგალითო ქარაქტერისტიკებად და ასე ჰზრუნავდნენ, რომ მათი შთამომავლობა არ ამომწყდარიყო, და არც ამოწყდა, არამედ გაიზარდა, პირფერობით, ცბიერებითა და დამცირებით სულდგმული.

ამ შთამომავლობის გვერდით ეთაარდებოდნენ სხვანი, რომლებშიაც კარაქტერიზმი ნაკლებ იყო გაღვივებული. სამაგიეროთ, ისინი მოლაზღავენი იყვნენ, სიამის მაძებარნი და დაუდევარნი. უმეტესობა მათგანი სოფელში სცხოვრობდა, თავიანთ მამულებში, რომლებიც უკვე ძლიერ დავალიანებულნი იყვნენ. თუმცა კი ჰხედავდნენ, რომ ქონება თანდათან ხელიდგან ეცლებოდათ, მაინც სცხოვრობდნენ ისე, თითქოს აქ არაფერია, რადგან იცნებობდნენ და იმედოვნებდნენ, რომ ან ნავთს, სპილენძს ან სხვა რამე ძვირფას მადანს აღმოაჩენდნენ თავიანთ მამულში. კარაქტერისტიკებითაც ისინიც თავაზიანნი იყვნენ, მაგრამ უფრო კარგი გულისანი და საერთოდ უფრო სადანიც. შინ, მამულში, მეტად სტუმართმოყვარენი იყვნენ, სტუმრებს გულგაშლით უმასპინძლდებოდნენ. ამგვარად უწყობდნენ ერთიმეორეს ხელს ქონების გაფლანგვაში და არა მხოლოდ ღვინის ქვეყანა კახეთში, არამედ ქართლშიაცა და იმერეთშიც.

გასაგებია, რომ ამ ნადიმთა მთავარი პირნი ყველგან მამაკაცნი იყვნენ, მაგრამ არც ქალები იყვნენ ქეიფის უარზე და თავიანთ დახწრებით სიამესა ჰმატებდნენ მთელ კრებულებას. სადაც კი ქართველი ქალი შედის, თან შეაქვს მოჯადოება და სტუმრებს მეტად კარგს გუნებაზე აყენებს. ყოველი ტურფა, კეკლუცი ქართველი ქალი ჯადოქარია და ამიტომ სცდილობენ სხვა ქალები იმათ გვერდზე ამოდგომას. ტფილისში მხოლოდ ის საზოგადოება იყო გზნებით სავსე, სადაც მრავლად იყო ქართველი ქალი: ტურფა, მაქციერი, გულმოსალბუნე. გემოვნებით შემოსილი ქართველი ქალი იადონისა ანუ ბულბულის ხმით! მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ცხოვრებაში ქალები არ თამაშობდნენ მნიშვნელოვან როლს, მაგრამ მეტ წილად უკვე გამცდარნი იყვნენ ჩამორჩენილობას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეიტანეს ძლიერი თილისმა.

საერთო ცხოვრებაში ასეთი თვისებებით გამოყოფის უნარი ყოველ კლასის ქართველ ქალთა აქვთ, თუმც კი არა თანაბრად. ბევრი რამ არის დამოკიდებული ხასიათსა და ტემპერამენტზე, მაგრამ მაინც არის მრავალი ნიშანი, რომლითაც აღმოსავლელი ქართველი ქალი დასავლელისაგან განსხვავდება. ეს განსხვავებულობა არ არის უმნიშვნელო და ზოგ შემთხვევაში ჰხსნის სხვა და სხვა ქალის ქცევასა და ყოფას. ქართლ-კახელი ქალი თითქოს ზანტია, განსაკუთ-

რებით გლეხის ქალი, მაგრამ მაინც ადვილად ცხარდება, თუ კი ვინმე გულს მოჰხვდა. საერთოდ იმათ ხასიათში უფრო მეტი სიმშვიდეა, ვიდრე იმერელ ქალებისაში; ისინი აგრეთვე არც ისე ცვალებადნი და თავმომწონენი არიან, როგორც იმერნი. საზოგადოებრივ ურთიერთობაში ისინი მოხდენილად ინარჩუნებენ თავიანთ ღირსებას და და ამასთან ერთად მხიარულნი და სასიამონი არიან. 1900 წლის გასულამდე, იშვიათ გამონაკლისთა გარდა, აღმოსავლეთ საქართველოს ქალები საზოგადოებრივ საქმიანობიდგან განზე იდგნენ. ქალიშვილები შინ ისხდნენ გათხოვებამდე, ან სანამ მასწავლებლებად გახდებოდნენ, მეტად იშვიათად კი — მსახიობებად. შინ ისხდნენ, სოფელში, გლეხი-ქალებიც რომლებიც, ამასთანავე იქ საკმაოდ ჩამორჩენილ ცხოვრებას ეწეოდნენ და თითქმის სრულებით არა ჰზრუნავდნენ გარე სამყაროსათვის. მხოლოდ ცოტანი მიემგზავრებოდნენ ტფილისს ანუ სხვა ახლო მდებარე ქალაქს. მაგრამ აქაც მამაკაცებივით ნაკლებ იცვლიდნენ ცხოვრების ყოფას.

იმერელი ქალები მკვირცხლნი არიან და ამიტომაც შეითვისეს ისე სწრაფად ევროპული ცივილიზაცია. ბუნებრივია, რომ ეს სწავლა პირველად ქუთაისსა და სხვა პატარა ქალაქებში გავრცელდა, სადაც სულ რამდენიმე ათეულ წელში სრული ცვლილება მოხდა. ეჭვს გარეშეა, რომ ეს ცვლილება უმეტესად ზეზეური იყო. აგრეთვე იმერელ ქალის არის და ხასიათშიაც ბევრი ზუზღურობაა ჩამარხული; მათ ნაკლები გამძლეობა აქვთ, ვიდრე ქართლელ ქალებს და არ არიან მუყაითნი. ყველა ამ თვისებით, რა თქმა უნდა, თავიანთი დაღი დაასვეს მათ საერთო საქმიანობას, რომელიც მე-XX საუკუნემდე თითქმის მხოლოდ და მხოლოდ სახლ-კარით განისაზღვრებოდა. პირველად გაჩნდნენ მასწავლებელი და შემდეგ მსახიობი ქალები. ორი შეუსაბამო წოდება, რომელიც იმერეთის მკვირცხლ ასულთათვის ძნელი დასაძლევი არ არის. აგრეთვე მკერავებიცა ჩნდებოდნენ თან და თან და, როგორცა სჩანს, არა მხოლოდ იმერელთ, არამედ ქართლ-კახეთის ქალებსაც დიდი ნიჭი აქვთ ქალთა სამოსის დამზადებისა, ჭრა-კერვისა და სხვა.

მეგრელი ქალები უფრო პრაქტიკულნი ჩანან. გურულნი კი ზოგ შემთხვევაში მეტად გამჭრიახნი და მოხერხებულნი არიან და ამასთან უფრო თავაზიან ცხოვრებას ეთვისებიან, რაიც იმერთათვისაც არ არის უცხო. ბევრ იმერელ გლეხ ქალისათვის ქალაქელად გარდაქმნა მეტად ადვილი საქმეა. უკვე დაახლოვებით მე-XIX საუკუნის მიწურულში ბევრი იმერელ გლეხის ქალი სცხოვრობდა როგორც ქალაქელი დასავლეთ საქართველოს ქალაქებში, ტფილისსა და სოფლებშიაც კი. ტანთ იცვამდნენ ლაზათიანად და ასრულებდნენ დარბაისელ დედების როლს, რადგან მათი ქმრები, სასტუმროს მეპ-

რონნი თუ ვაჭარნი, რაკი ბევრ ფულსა ჰბოჭავდნენ, იზრდებოდა მათი თანდაყოლილი პატივმოყვარეობაც და ზოგი მათგანი გადიდგულდა კიდეც. ეს იყო ჩვეული სლვა ქალურ აღმაღლებისა, რაიც სხვა ხალხშიაც არის, მაგრამ ტურფა იმერელი ქალები ამასთან ისეთ ზნესაც იჩენდნენ, როგორსაც სხვა ეროვნების ქალებში და თვით აღმოსავლეთ საქართველოელ ქალებშიაც იშვიათად შეხვდებით.

ამ გზნებიან ქალთაგან კვლავ ვუბრუნდები მამაკაცთ, რომელთაც 1875 წელს შემდგომ ახალ კულტურულ საქმიანობის უდიდესი ნაწილი დაასრულეს და ჩაჭყარეს საძირკველი, რომელზედაც ახალი ქართული ცხოვრება განვითარდებოდა. ესენი იყვნენ მასწავლებლები, ჟურნალისტები, მწერლები, თითო-ოროლა ექიმი, ინჟენერი, ხელოსანი, სოფლის მეურნე და სხვანი. მაგრამ მათ რიცხვი დასაწყისში არ იყო დიდი. ამავ დროის იზრდებოდა სოციალისტური მოძრაობა, მუშები და გლეხები ქართულ ცხოვრებისაგან მოითხოვდნენ მეტ შინაარსს. მაგრამ ამისათვის პირობანი ჯერ კიდევ არ იყვნენ სასურველნი და წინ მრავალი დაბრკოლება ელოდებოდა. მწერლებმა, როგორც დავითაშვილმა, ნინოშვილმა და ზოგმა სხვამაც, რომელთაც სილატაკე საკუთარ თავზე გამოეცადნათ, ხმა აღიმაღლეს ძმათა დასაცავად; იმათი რიცხვი, რომელნიც მშრომელ კლასის დგომარეობის გაუმჯობესებისათვის იბრძოდნენ, თან და თან იზრდებოდა, მაგრამ მხოლოდ მე-XX საუკუნეში აღესრულა მათ სწადელი რევოლუციამ.

ამასთანავე ქართველთა შორის გაძლიერდა ეროვნული თვითშეგნებაც და ამის მაჩვენებელი იყო, ჯერ ერთი, დიდებულ გადმოსვენება გარდაცვალებულ მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშთისა და შემდეგ—მგოსან რაფაელ ერისთავის იუბილეუმი, რომელსაც დაესწრნენ მთელ ქართველ ერის ურიცხვი წარმომადგენელნი. ვინაც ეს ორი დიდებული შეკრებილება იხილა, ის დარწმუნდებოდა ქართველ ერის კვლავ მოღონიერებაში და სასოებით გაჰხედავდა მომავალს.

---

ჩემი მიმოხილვა, რომელიც 1900 წლამდე წარმოვადგინეთ, არის არა მოკლე ისტორია ქართველ ერის იღბლისა, არამედ მის შვილთა მოკლე დახასიათება საუკუნეთა განმავლობაში. ეხლა კვლავ მინდა გადავავლო თვალი ამ დახასიათებას და შემდეგ გამოვიყვანო დანასკვი სხვა კულტურულ ერთა შორის ქართველ ერის მომავალ სახის გათვალისწინებისა.

სპარსულ ცეცხლ-თაყვანისცემლობის გავლენისაგან ქართველი ერი სირიულ და ბერძნულ-ბიზანტიურ კულტურის ნაკადიან ქრისტიანობაში გადავიდა. ამგვარად შესდგა ქართველი ერი ბერძნულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოშობის ნიადაგზე. ბერძნული კულტურა მაშინ უკეთილშობილესი იყო მთელს მსოფლიოში, და დარწმუნებული ვარ, რომ ბერძნული გავლენა ქართველთა კულტურულ გრძნობაზე ხანგრძლივი იყო. აგრეთვე არაბულმა გავლენამაც აიყვანა ქართული კულტურა გარკვეულ სიმაღლეზე და თვით სპარსელებმაც მოიტანეს ზოგი რამ სარგებლობა. ორი ათას წლის განმავლობაში ქართველნი ამგვარად გაეცნენ მრავალ კულტურას და ხან თუ მტერთა თავდასხმით შევიწროებულნი ხშირად ჰკარგავდნენ მშვიდ ცხოვრებას და გარეგნად ველურობის მდგომარეობაში ცვივდნენ, ძველ კულტურის შინაგან შთანასახს მაინც ინახავდნენ მე-XIX საუკუნემდე.

მე-XX საუკუნეში შემოიჭრა რუსული გავლენა და მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში—დასავლეთ-ევროპულიც და ქართულ ცხოვრებას მიეცა ახალი მიმდინარეობა. ეს შეეხებოდა სამოციან წლების რუს მწერალთა პროგრესიულ მოძრაობასაც, რომელთა შემწეობით ილია ჭავჭავაძეც წაბაძლისდა.

ვრცელია იმ კაცთა მწკრივი, რომელნიც წარსულში მზრუნავდნენ, ქართველი ერი გაველურებისაგან დაეცვათ და მისი ცხოვრება კულტურის ახალ მასალით გაემაგრებინათ. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ შორეულ წარსულში ბევრი იყო ისეთი ქალიც, რომელიც შვილთა აღზრდას არასდროს უშვებდა ხელს.

თუმცა კი ეს კაცნი და ქალნი, დიდი ხანია, უჩინარნი არიან, მაგრამ დიდია მათი მემკვიდრეობა, რომელიც შთამომავლობას დაუტოვეს. ეს მემკვიდრეობა არ იყო მდიდარი, მაგრამ ქართველთათვის მაინც ძვირფასი იყო და რაც მე-XIX საუკუნეს შეუქნია, ამ მემკვიდრეობის საფუძველზეა წარმოშობილი. ქართველებს ბევრი რამ უნდა შეეთვისებინათ, ცოდნის გასავითარებლად, რომ ეს ცოდნა მათ მოთხოვნილებად გახდომოდათ.

როდესაც ერი იმდენ სულიერსა და მატერიალ ქონებას წარმომოშობს, რომელიც მის საკუთარ მოთხოვნილებათ დააკმაყოფილებს, ეს უკვე პაწია სიმდიდრეა. ქართველნი ჯერ ასე შორს არ წასულან, მაგრამ ჰწამთ, რომ მათ სულიერ ნაწარმოებთ უცხო ხალხთათვისაც კი აქვთ ერთგვარი ღირებულობა. ასეთი რწმენა ყოველ ერშია და გასაკვირველი არ არის, თუ ეს თავს იჩენს ქართველებშიაც, რომლებიც ეხლა უკვე მრავალ მხრივ ამტკიცებენ, რომ ნიჭის პატრონნი არიან. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართულ კულტურულ ცხოვრების უფრო ღრმა განვითარებასთან ერთად ქართველთა ნიჭიც უფრო და უფრო გამოცხიზლდება. მე-XIX საუკუნეში მხოლოდ პოეზია იყო, რომელიც ყურადსაღებ სიმაღლემდე ავიდა და ევროპაში პირველად გამოიწვია ინტერესი ქართველთადმი. ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გრიგოლ ორბელიანი და ვაჟა-ფშაველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული დიდების პირველნი დამფუძნებელნი არიან ევროპაში და კვლავაც იქნებიან საქართველოის დიდების განმასახიერებელნი. ეჭვს გარეშეა, რომ პოეზიის შთაგრძნობა და პოეტური მადლი ქართველთა შორის უხშირესი მოვლენაა და არც მომავალში განქრება.

შაირობის გვერდით სდგას პროზაც, რომელშიაც ყაზბეგმა, კლდიაშვილმა და არაგვისპირელმა თავისებური ტალანტით იჩინეს თავი და თავისებური თხზულებანი შეთხზეს, რომელნიც წმინდა ქართულ პროზისათვის სანიმუშონი არიან, მაგრამ საზღვარგარეთელთათათვის ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლებიან საკმაო ხელოვნებით დამუშავებულად.

რომანისა თუ მოთხრობის მწერალმა რომ ნაყოფი გამოიღოს და საზღვარგარეთაც იქმნას წაკითხული, ის სამ შემთხვევაში უნდა იყოს **თავისებური**: მან უნდა ჰპოვოს ჩვეულებრივს ცხოვრებაში თავისებური და კაცთა შორის ტიპიური და უნდა ესმოდეს **თავისებურად** დახატვა. გამოჩნდება თუ არა ახლო მომავალში ისეთი ქართველი მწერალი, რომელიც ამ უნარით იქნება დაჯილდოვებული, წინასწარ ვერავინ იტყვის. მაგრამ ქართველთა ცხოვრება მდიდარია სხვა და სხვა კარგ და ცუდ მოვლენებით, როგორც ქართველი ერი მდიდარია ტიპიური სახეებით და ეს მდიდარი მასალა ბოლოს და ბოლოს თვით წარმოშობს თავისს ხელოვანს.

მოთხრობათა მშვენიერი სანელებელია ჰიუმორი და ქართველთ ჰიუმორი არ აკლიათ. სწორედ, იქნება ეს იყოს იმისი მიზეზი, რომ მწერალთა შორის ქართველთ ჭეშმარიტი იუმორისტი არა ჰყავთ, რადგან ნამდვილი ჰიუმორისტები დინჯნი არიან. ქართველები კი უმეტესად მხიარულნი და მკვირცხლნი არიან ფრანგებივით, რომელთაც ისევე არა ჰყავთ ჭეშმარიტი ჰიუმორისტები. საუკეთესო ჰიუმორისტები ჰყავთ ესპანელთა და ინგლისელთ, ორივე კი დინჯ ეროვნებას ეკუთვნის. ჭეშმარიტი ჰიუმორისტი არ იცინის, ქართველი კი ბევრჯელ და ძალიან ბევრჯელ იცინის. აქედგან გამოდის ოხუნჯობა, ჰიუმორი კი ნაკლებ.

ქართველთ შეუძლიათ სთქვან, რომ მთელი მათი ხალხი ერთი დიდი ჰიუმორისტია, მაგრამ ეს ჰიუმორი იშლება მრავალ პატარა, მეტად პატარა ნაწილად და დაუფასებლად იკარგება. მიუხედველად ამისა, ილია ჭავჭავაძეს იმედი არ დაუკარგავს, რომ ქართველთა შორისაც გამოჩნდებოდა ნამდვილი, ჭეშმარიტი ჰიუმორისტი. მეც მწამს, რომ ქართველებშიაც დაიბადება ისეთი ხელოვანი, ქართველი სერვანტესი, რომელიც ფრიად მნიშვნელოვან მოთხრობაში მრავალ ქართველ დონ-კიხოტსა და სანჩო-პანჩოს დახატავს.

რა თქმა უნდა, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ქართველებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნებაში ბრწყინვალე მომავალს ვეწინასწარმეტყველებთ და ხელოვნებას მივაკუთვნებთ, გარდა მხატვრობისა, მუსიკისა და სახიობისა, აგრეთვე წაირობასა და, შესაძლოა, მოთხრობათაც.

მხატვრობაში ქართველებმა უკვე განვლეს სკოლის მძიმე წლები; ნიჭი, რომელიც მიძინებული იყო, ეხლა იფურჩქნება და უფრო და უფრო ძლიერად იჭრება ცხოვრებაში. გიგო გაბაშვილს, ქართულ მხატვრობის შემომქმედსა და ძველ ოსტატს, რომ შესძლებოდა 50 წლის განმავლობაში ქართველ მხატვრის შემოქმედებისათვის მიეხედნა, დაინახავდა, რომ მისი სვლა ქართულ ბუნებაში და თავისებურობაში სწორი იყო და ქართველ ხელოვანთ გაუხსნა ქვეყანა, სადაც ისინი მდიდარ სახელის მოხვეჭას შესძლებენ.

„და ქართული მუსიკა?“-ო, მკითხავენ ბევრნი. პასუხი მოკლე არ უნდა იყოს, რადგან, ჩემის აზრით, ქართულ ხელოვნებაში მუსიკა უმდიდრეს განძს წარმოადგენს, რომელიც შესაძლოა დაუშრეტელიც იყოს.

40 წლის წინად ქართველებში ჯერ კიდევ მიძინებული იყო ტონთა მელოდიის გრძნობა. თითქმის ევროპიონ, თვით ქართველნიც, ვერ ამჩნევდნენ ჯერ კიდევ იმას, რასაც ბევრი მათგანი სულში ატარებდა.

ნადიმებზე ქართველები უკვე შორიულ საუკუნოებშიაც მღეროდნენ, იქნებ სიმებიან საკრავებზედაც უკრავდნენ, მაგრამ ეს ჯერ არ იყო ტონის ხელოვნება ევროპულ გაგებით. მაშ ვხედავთ, თუ ქართველებში მუსიკალური გრძნობა როგორ ნელ-ნელა ვითარდებოდა. მაგრამ საერთოდ ჩაითვლება კია მუსიკა ძველ ხელოვნებად?

რა გაეგებოდა მუსიკისა მე-XVII საუკუნის მთელ ევროპას? განა ის მხოლოდ მე-XVIII და მე-XIX საუკუნეში არ განვითარდა დიდებულ ხელოვნებად, რომელიც დღეს განგვაცვიფრებს? მაშ თუ მუსიკალური გრძნობა და ნიჭი ტონების მელოდიურ ნაწარმოებად გარდაქმნისა ქართველებში უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში ასე მძლავრად განვითარდა, ეს უჩვეულო მოვლენაა, რომელიც ბევრად უფრო ადრე შემოიჭრა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ 1875 წლამდე, ქართველები ზოგიერთის სიტყვებით არ იცნობდნენ ევროპულ მუსიკის არსს და, მაშასადამე, პირველ ქართულ ოპერათა დაწერამდე მხოლოდ მოკლე სკოლა ჰქონდათ გავლილი.

რაც შეეხება ქართულ მუსიკის ხასიათს, ის ლირიკულია და ლირიკულადვე დარჩება, იტალიურ მუსიკასავით. ფსიქოლოგიურადაც შეგვიძლია ეს ავხსნათ, რადგან ქართველი ლირიკული ბუნებისაა. ხოლო ეს ჰნიშნავს იმას, რომ მასში გრძნობა სჭარბობს აზრს, როგორც იტალიელში, ეს იყო ილია ჭავჭავაძის შეხედულებაც. იმა-

ელექტრონული ბიბლიოთეკა